დედამიწის კალენდარი

ქართული ენის შემსწავლელთათვ

სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტის
„დედამიწის კალენდარი“ ფარგლებში
პროექტი

გამოცემულია ფონდ ”ღია საზოგადოება - საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

პროექტის ავტორები: **ანა თოდუა, თეა ქამუშაძე**

კონსულტანტი: **პაატა პაპავა**

ტექსტებისა და სავარჯიშოების ავტორები:

თოდუა ანა
პაპავა პაატა
ქამუშაძე თეა
ჭანტურია თამარ
ლორთქიფანიძე მარიამ
ჭუმბურიძე რუსუდან
გაბუნია კახა

რედაქტორები: **მზია შენგელია**

კახა გაბუნია

ყდის დიზაინი: **ნინო იოსელიანი**

დედამიწის კალენდარი

ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები
(კითხვა/ წერა - მოსმენა/ლაპარაკი)

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის

ქართული ენისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული
სწავლებისათვის

თბილისი

2017

შინაარსი

წინასიტყვაობა ---------- 5
შესავალი ---------- 6
ველური სამყაროს დღე *(თამარ ჭანტურია / მაია ლორთქიფანიძე)* ---------- 7
წიგნიერების საერთაშორისო დღე *(პაატა პაპავა)* ---------- 16
ურთიერთპატივისცემის დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 23
კარგი მეზობლის დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 37
ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 47
პურის დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 60
ხეების დარგვის დღე *(თამარ ჭანტურია / მაია ლორთქიფანიძე)* ---------- 73
მეცნიერების საერთაშორისო დღე *(პაატა პაპავა)* ---------- 80
სიკეთის საერთაშორისო დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 91
მისალმების საერთაშორისო დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 103
სამაგიდო თამაშების დღე *(პაატა პაპავა)* ---------- 115
ახალი წელი *(თამარ ჭანტურია / მაია ლორთქიფანიძე)* ---------- 120
ჩახუტების საერთაშორისო დღე *(ანა თოდუა)* ---------- 131
უცნაური გატაცებების დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 141
საათის წიკწიკის დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 155
კომპლიმენტის საერთაშორისო დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 167
ყვავილის დარგვის დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 180
დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე *(ანა თოდუა)* ---------- 195
კულტურული მრავალფეროვნების დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 211
ქართული ენის დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 220
ჩაის საერთაშორისო დღე *(თეა ქამუშაძე)* ---------- 234
დედამიწის დღე *(თამარ ჭანტურია / მაია ლორთქიფანიძე)* ---------- 243
თავისუფალი პრესის დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 256
მეხანძრე-მაშველის საერთაშორისო დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 267
ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე *(კახა გაბუნია)* ---------- 279
მუზეუმის საერთაშორისო დღე *(ანა თოდუა)* ---------- 291
თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 299
დროშის დღე *(რუსუდან ჭუმბურიძე)* ---------- 313
ლაშქრობის თვე *(თამარ ჭანტურია / მაია ლორთქიფანიძე)* ---------- 327

წინასიტყვაობა

ეს სამყარო წილად ჩვენ გვერგო, ის "გვაქვს უთვალავი ფერითა". ამ უთვალავ ფერთა ჰარმონია სამყაროულ წესრიგს განაპირობებს. წარმოდგენილი წიგნიც ამ ჰარმონიის შემადგენელ კომპონენტთა შესახებ მოგვითხრობს.

საქმე ისაა, რომ ჩვენი სამყარო მზრუნველობას საჭიროებს. იურიდიული თუ ეკონომიკური ინსტიტუტები სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კაცობრიობამ საკუთარი, ჰუმანისტური სახე შეინარჩუნოს. ჩვენ გვჭირდება დაფიქრება ისეთ საკითხებზე, რომლებიც თითქოს ბუნებრივად უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ცნობიერების, ქმედების ასპექტებს. მაგრამ ტექნიკური პროგრესი არ აღმოჩნდა თანაფარდი კაცობრიობის ჰუმანისტური განვითარებისა. ამის გამო, საჭირო გახდა გარკვეული სისტემატურობით ამა თუ იმ აუცილებელი მომენტის წინ წამოწევა და ცივილიზებულმა სამყარომ დაიწყო აღნიშვნა ისეთი საერთაშორისო დღეებისა, როგორებიცაა: წიგნიერების, მეცნიერების, ბუნებაზე ზრუნვის და ა. შ. ასეთი დღეები ურთიერთპატივისცემის, ნიჭით გამორჩეულთა აღიარების, საკუთარი ენის გაფრთხილების, იუმორისა და სიხალისის აუცილებლობას შეგვახსენებს ხოლმე, რათა არც ერთი დღე არ იყოს უმნიშვნელო, ერთფეროვანი, რათა ამგვარი დღეები ერთდროულად აღინიშნოს როგორც კეთილი ნების საერთო გამოხატულება.

ამ წიგნში ავტორებმა თავი მოუყარეს აღნიშნული ტიპის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებს. წარმოდგენილი მასალა მოგვითხრობს, თუ როდის, რომელ ქვეყანაში, რა კონკრეტული მიზნით ჩაეყარა საფუძველი ამა თუ იმ საერთაშორისო დღეს, რა დატვირთვა შეიძინა მან კაცობრიობისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი არ არის მარტო შემეცნებითი ხასიათისა. ის ენის სწავლებასთან ერთად დაგვეხმარება, ჩვენც ჩავერთოთ საერთაშორისო თანამეგობრობის ამ ჰუმანისტურ საქმეში.

მზია შენგელია

შესავალი

უმცირესობათა ინტეგრაცია და სამოქალაქო ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, სწორედ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, განათლების ხელმისაწვდომობისა და მათი სამოქალაქო აქტიურობის გაძლიერებისაკენ არის მიმართული საშეღავათო პოლიტიკის გატარება ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ სკოლადამთავრებულებთან.

ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უკვე მეშვიდე წელია, წარმატებით მიმდინარეობს განათლების საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების მიღება "1+4" პროგრამაზე, რომელიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას გულისხმობს; ერთი წლის განმავლობაში ისინი ინტენსიურად ეუფლებიან ქართულ ენას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რათა შემდგომ ეტაპზე სწავლა განაგრძონ მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამებზე.

ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდა არაერთი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო, დაინერგა სწავლების სხვადასხვა მეთოდი, თუმცა ქართული ენის სწავლების მეთოდიკური სრულყოფისა და თანამედროვე, სისტემური მიდგომების დანერგვის აუცილებლობა ჯერ კიდევ აქტუალურად დგას. სწავლების პროცესში გამოიკვეთა ენის სწავლებისადმი პრაგმატული მიდგომის აუცილებლობა, რომელიც კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას გულისხმობს. ენების სწავლების ამგვარი მიდგომა თემატიკისა და ტექსტის სახეობების მრავალფეროვნებასა და სისტემურ ცვლილებას მოიცავს. სწავლების ამ მეთოდის ფარგლებში, სტუდენტები არა პასიურ მონაწილეებად, არამედ ცოდნის თანაშემოქმედებადაც განიხილებიან, იგულისხმება კომპლექსური აქტივობების შემოტანა სააუდიტორიო სივრცეში, რომელიც, ენის სწავლებასთან ერთად, სტუდენტების კომპეტენციებს აამაღლებს სხვადასხვა მიმართულებით, შესძენს მათ პრეზენტაციის, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, აზრის თავისუფლად გადმოცემის უნარს, მისცემს საშუალებას, იყვნენ ინფორმირებულები, შეძლონ საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

წიგნი „დედამიწის კალენდარი" სასწავლო პროცესზე კალენდარული ფორმატის მორგებას გულისხმობს, იგი ერთგვარ მეთოდიკურ საშუალებად იქცევა ლექტორისათვის, მოახდინოს თანამედროვეობაზე, რეალობაზე რეფლექსია და განუვითაროს სტუდენტს კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. პროექტი ითვალისწინებს მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოსთვის, მნიშვნელოვანი თარიღების შერჩევას, რომელიც მოერგება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სომხურ და აზერბაიჯანულენოვანთათვის) სპეციფიკას, თარიღები ძირითადად ემთხვევა სასწავლო პროცესის კალენდარს (მაგ. მეცნიერების საერთაშორისო დღე - 10 ნოემბერი; დედამიწის დღე - 22 აპრილი, ხეების დარგვის დღე - 22 ოქტომბერი და ა. შ.), რაც საშუალებას გვაძლევს, ლექტორმა სალექციოდ შეიტანოს შესაბამის კალენდარულ დღეებზე სხვადასხვა მეთოდოლოგიით, აქტივობებითა და რეფლექსიით უკვე დამუშავებული მასალა.

აღსანიშნავია, რომ კალენდარული მეთოდის სასწავლო სივრცეში გამოყენება სიახლეს არ წარმოადგენს, ამ მეთოდს აქტიურად იყენებენ მსოფლიოს წამყვან სკოლებში, უნივერსიტეტებში, სადაც შესაბამის დღეს თემატური გაკვეთილები / ლექციები ტარდება, რომელსაც მოჰყვება რეფლექსიის სახით სხვადასხვა აქტივობა.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს არა მეთოდის კოპირება, არამედ მისი სასწავლო პროცესში ახლებური გამოყენება, რაც, ენის სწავლებასთან ერთად, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს.

ველური სამყაროს დღე

სექტემბერი

ადამიანი და ველური საყარო

შინაარსი: შესაძლებელია თუ არა, ადამიანმა გაძლოს ველურ გარემოში. მტაცებელი ცხოველებისა და ადამიანების ურთიერთობა. ადამიანების დამოკიდებულება ველური სამყაროს მიმართ.

აქტივობა 1. მოლოდინების გზამკვლევი

მტაცებელი ცხოველების და ადამიანის უსაფრთხო თანაცხოვრება შესაძლებელია.

ვეთანხმები **არ ვეთანხმები**

გაიხსენეთ ყველა ის სიტუაცია / ფილმი / წიგნი / ამბავი, სადაც ცხოველისა და ადამიანის უსაფრთხო თანაცხოვრებაზე ან პირიქით, ცხოველის მიერ ადამიანისთვის საფრთხის მიყენებაზეა საუბარი. მოცემული მოსაზრების მომხრეები დადექით აუდიტორიის მარცხენა კუთხეში, მოწინააღმდეგეები - მარჯვენა კუთხეში. შემდეგ დაწყვილდით, ისე, რომ წყვილში იყოს ერთი მომხრე და ერთი მოწინააღმდეგე. წყვილებმა შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

მტაცებელი ცხოველების და ადამიანის უსაფრთხო თანაცხოვრება შესაძლებელია.

ვეთანხმები

არ ვეთანხმები

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა მონიშვნებით

წაიკითხეთ ტექსტები წყვილებში მონიშვნებით. კითხვისას ტექსტს გვერდით მიუწერეთ / მიუხატეთ შემდეგი ნიშნები:

☺ – ყველაფერი გავიგე

☹ – ვერ გავიგე

? – შეკითხვა მაქვს (დაზუსტება მინდა)

! – ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია/საინტერესოა

მეწყვილეები კითხულობენ ერთსა და იმავე ტექსტს. ზოგიერთი წყვილი კითხულობს პირველ ტექსტს, ზოგიერთი - მეორეს. ტექსტების კითხვისას გამოიყენეთ ლექსიკონი.

I ტექსტი	
ლექსიკონი	
ხროვა	მგლების გუნდი
თვალთვალი	ჩუმად ყურება
გაჟღენთილი	სუნით ან სითხით ავსება (მაგ., ბამბა წყლით გაიჟღინთა; პალტო სუნამოს სუნით გაიჟღითა).
დარწმუნება	რაიმეს დაჯერება
ხვადი	მამალი მტაცებელი ცხოველი
თავს არ ვესხმი	თავდასხმა - ძალადობა ვინმეს წინააღმდეგ თავს არ ვესხმი - არ ვძალადობ მასზე.
ძუ	დედალი მტაცებელი ცხოველი
უძლური	ძალის/ შესაძლებლობის არმქონე
საყელური	თასმა, თოკი, რომელსაც კისერზე უკეთებენ ცხოველებს (მაგ., ძაღლის საყელური).

II ტექსტი	
ლექსიკონი	
დიალექტი	ამა თუ იმ ადგილისთვის დამახასიათებელი მეტყველება.
აბორიგენი	ამა თუ იმ ადგილის მცხოვრები. ადგილობრივი მოსახლე.
საბედისწერო	გადამწყვეტი, ძალიან მნიშვნელოვანი (მაგ., საბედისწერო შეცდომა).
მოგერიება	დარტყმის აცილება; თავიდან მოშორება.
სილის გაწვნა	გაშლილი ხელით სახეში გარტყმა.
სპიკერი	ვინც სიტყვით გამოდის აუდიტორიის წინაშე.

ტექსტი 1. მგელსა და ადამიანს შორის

იასონ ბადრიძე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საოცარი ადამიანია. მეცნიერი წლების მანძილზე აკვირდებოდა ცხოველებს. ასე აღმოჩნდა მგლებთან და ორი წელი გაატარა **ხროვაში**. იმისათვის, რომ ხროვაში მოხვედრილიყო, მეცნიერი მგლებს ჯერ შორიდან **უთვალთვალებდა**.



მგლებს რომ მისი არ შეშინებოდათ, ჯერ თავის სუნს აჩვევდა. ტანზე იფენდა ნაჭრებს, რომ ადამიანის სუნით **გაჟღენთილიყო**, შემდეგ კი ამ ნაჭრებს მგლების სასიარულო ბილიკებზე ყრიდა. მგლებს ეშინიათ ყველაფერი ახლის. როდესაც ადამიანის სუნს შეეჩვივნენ, იასონი მათ მაშინ მიუახლოვდა. მკვლევარი იხსენებს, რომ მგლებთან უიარაღოდ მივიდა, რადგან ისინი მაშინვე ცნობენ იარაღის სუნს. ძალიან რთული იყო მგლების წინ დგომა. იასონმა კარგად იცოდა, რომ შიშის გამოხატვა და გაქცევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მას მგლები თავის კეთილ მიზნებში უნდა **დაერწმუნებინა**.

„**ხვადი** პირდაპირ ჩემკენ დაიძრა, ხუთი მეტრის დაშორებაზე გაჩერდა და მიყურებს. ეს მდგომარეობა არ დამავიწყდება! ნახა, რომ **თავს არ ვესხმი**, არც გაქცევას ვაპირებ. იდგა, მიყურა, მიყურა, მერე დაიღრინა და წავიდა“.

ასე ნელ-ნელა დაიწყო იასონის მგლებთან ცხოვრება. სულ თან დაყვებოდა, მათთან ერთად ნადირობდა. ბოლოს მგლებმა ოჯახის წევრად ჩათვალეს. როცა ფეხი იტკინა და მათთან ერთად ვერ მიდიოდა სანადიროდ, საჭმელიც კი მოჰქონდათ.

„ერთხელ მგლებმა სიკვდილს გადამარჩინეს. ძალიან დაღლილები ნადირობიდან ვბრუნდებოდით. უცებ ვხედავ, უზარმაზარი დათვი მოდის ჩემკენ. არ მახსოვს, მე დავიყვირე თუ დათვმა დაიღრიალა, მაგრამ, ფაქტია, მგლებმა გაიგონეს და დათვს მიცვივდნენ. დათვს შეეძლო მგელი ერთი დარტყმით მოეკლა. **ძუმ** ქუსლში უკბინა. დათვმა ტკივილს ვეღარ გაუძლო და გაიქცა“.

მგლები ერიდებიან ძლიერ მტაცებლებთან შეხვედრას, თუმცა ყოველთვის იცავენ მათგან თავიანთ ნაშიერებს. ერთადერთი, ვისაც ერიდებიან, ადამიანია. იციან, რომ მისი იარაღის წინაშე **უძლურები** არიან.

უცნაურია, მაგრამ მგლებმა ადამიანი ხროვაში მიიღეს, როგორც ოჯახის წევრი და ზრუნავდნენ მასზე. იასონიც იცავდა მათ მეტყევეებისგან. მგელზე

მონადირე კი ბევრი იყო. იმ დროს ერთ მგელში 50 მანეთს იხდიდნენ. იასონი სამუდამოდ ვერ დარჩებოდა მგლებთან, ამიტომაც სახლში დაბრუნდა. ერთი წლის მერე ისევ მიაკითხა იმ ადგილს, თუმცა მგლების ოჯახი იქ აღარ დახვდა: „როგორც გაირკვა, ცოტა ხნით ადრე იმ ადგილებში 54 მგელი დახოცეს, მათ შორის, ჩემებიც, ეს საშინელება იყო.“ იასონმა გადაწყვიტა, მონადირეებისგან ეყიდა მგლის ლეკვები, გაეზარდა ისინი და კვლავ ბუნებაში დაებრუნებინა. თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჩაკეტილ ადგილას გაზრდილი მხეცი გაღიზიანებულია და ძალიან უჭირს ბუნებაში ცხოვრება. ამიტომ იასონი ცდილობდა ყველაფერი ესწავლებინა ლეკვებისთვის. ასწავლიდა მათ ნადირობას, ისე, როგორც ახალგაზრდა მგლებს ასწავლიან ხროვაში. აჩვენებდა ირმის ნაკვალევს, რომელსაც სპეციფიკური სუნი აქვს. თავად

აძლევდა მაგალითს, ფრთხილად შემოუვლიდა, დაყნოსავდა, იწყებდა ყმუილს, ლეკვებიც იმეორებდნენ ნანახს და სწავლობდნენ ნადირობას.

მგლებს იასონი ხროვის წინამძღოლად მიაჩნდათ. მასთან შეჩვეულები, არ უფრთხოდნენ ხალხს. იასონს უნდა ესწავლებინა მათთვის, რომ მორიდებოდნენ ადამიანებსა და ცხვრებს და ამით დაეცვა ისინი. ამისთვის მეცნიერმა დაამზადა სპეციალური **საყელურები**, რომლებსაც ელექტროშოკის ეფექტი ჰქონდა. ადამიანთან ან ცხვართან მიახლოებისას საყელური დენს ურტყამდა მგელს და ისიც შეშინებული გარბოდა. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ინტერესით ჩაერთო ექსპერიმენტში, ცხვრებიც კი მოჰყავდათ მგლებთან შესახვედრად, რადგან ყველას აინტერესებდა კაცისა და ცხვრის მოშიში მგლის ნახვა.

„მწყემსები სიამოვნებით გვეხმარებოდნენ, აინტერესებდათ, როგორ არ შეჭამდა მგელი ცხვარს. წარმოუდგენელი ამბავი იყო! უნდა გენახათ ცხვრის სახე, როდესაც მისგან მგელი გარბოდა.“

მოგვიანებით კი ადამიანისგან მიღებული ცოდნა და ნადირობის უნარი მგლებმა მომდევნო თაობას გადასცეს. ეს პროცესი უკვე ბუნებრივი იყო.

ცხრა წლის შემდეგ მეცნიერი ტყეში სეირნობისას თავის გამოზრდილ მგლებს შეხვდა. „ჩემივე გაკეთებული ნიშნით ვიცანი... ორნი მოვიდნენ, უკვე ცამეტ-ცამეტი წლისანი, ჭაღარები, კბილებგაცვეთილები... გამოვიდნენ, მიყურეს, მიყურეს, მერე კი უცებ ლეკვებივით დაიწყეს თამაში... ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ.“

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უამრავი საინტერესო კვლევისა და აღმოჩენისა, იასონ ბადრიძე თავს გამორჩეულ მეცნიერად არ თვლის და თავის მეცნიერულ მიღწევებზე საუბარიც კი ეუხერხულება.

გამოყენებული მასალა:
http://burtin.livejournal.com/24932.html

ტექსტი 2. ტიპპი დეგრე – აფრიკის ველურ ცხოველებთან ერთად გაზრდილი გოგონა

ტიპპი დეგრე (Tippi Degré) – ფრანგი ფოტოგრაფების, სილვია რობერტის და ალენ დეგრეს ქალიშვილი, 1990 წელს ნამიბიაში დაიბადა. ტიპპის გარდა გოგონას მეორე სახელიც აქვს – ოკანტი: ადგილობრივ **დიალექტზე** ასე უწოდებენ ლეოპარდებს.

ტიპის მშობლები ფოტოგრაფები და რეჟისორები იყვნენ და აფრიკაში ველურ ბუნებაზე იღებდნენ ფოტოებს, დოკუმენტურ ფილმებს. მათი სამუშაო რამდენიმე წელს გაგრძელდა, ამიტომ ტიპიმ ბავშვობის წლები აფრიკელ **აბორიგენებს** შორის გაატარა. გოგონა დაბადებიდანვე ველურ გარემოში იზრდებოდა. აფრიკული სოფლის მაცხოვრებლები აჩვევდნენ მას ადგილობრივი ცხოვრების წესს. ისინი ასწავლიდნენ ნადირობას, თევზაობას, სასარგებლო მცენარეების შეგროვებას. ტიპპიმ ისწავლა აბორიგენების ენაც და კარგად თამაშობდა ბავშვებთან. მაგრამ ტიპპის მთავარი მეგობრები მაინც ცხოველები იყვნენ.



,,ტიპპი ყოველთვის ამბობდა, რომ ყველას აქვს რაღაც ნიჭი და მისი ნიჭი სწორედ ეს იყო, ცხოველებთან ურთიერთობა“ — ყვება სილვია, გოგონას დედა — ,,ის ფიქრობდა, რომ ცხოველებიც მისი ზომის იყვნენ და თანაც მისი მეგობრები“. „მე ვესაუბრები მათ, — ამბობდა გოგონა, — და ცხოველებსაც ესმით ჩემი.“

პირველი ცხოველი, რომელსაც გოგონა დაუახლოვდა წლინახევრის ასაკში, 28 წლის სპილო აბუ იყო. სპილოს თუნდაც ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა შესაძლოა **საბედისწერო** გამხდარიყო ტიპპისათვის. თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა — სპილო ფრთხილად, ხორთუმით ისვამდა ბავშვს ზურგზე და როდესაც მას ეძინა, ხორთუმითვე უგერიებდა მწერებს. ენა რომ ამოიდგა, გოგონამ სპილოს ,,ჩემი ძმა“ შეარქვა, ხოლო მოზრდილ ასაკში უკვე თავად მიძვრებოდა გიგანტი ცხოველის ზურგზე და მიდიოდა სასეირნოდ.

ტიპპის მეგობრებს შორის იყვნენ სპილო და ლომის ბოკვერი, სირაქლემა და ქამელეონი, გიგანტური გომბეშოები და პითონები. თუმცა, ყველაზე ახლო მეგობრობა მაინც ლეოპარდთან აკავშირებდა, რომელსაც სახელად J&B შეარქვეს რატომღაც. ეს ლეოპარდი ჯერ კიდევ პატარა კნუტი იყო, როდესაც ადგილობრივმა ფერმერმა აიყვანა და, ფაქტობრივად, გოგონასთან ერთად იზრდებოდა. ტიპპის გვერდით ის პატარა ფისოსავით იქცეოდა, თუმცა მტაცებლური ინსტიქტები არსად გამქრალა და ერთხელაც სხვა ბავშვს დაესხა თავს. გოგონას ბევრი არ უფიქრია, მივიდა თავის ოთხფეხა მეგობართან და ცუდი საქციელისთვის **სილა გააწნა**. ლეოპარდი შერცხვენილი დაიმალა.

ტიპპი მოგვიანებით მშობლებთან ერთად გადავიდა მადაგასკარში და შემდეგ — საფრანგეთში. გოგონას თავიდან ძალიან გაუჭირდა ველურ ბუნებასთან განშორება და საფრანგეთში ცხოვრების პირველ ორ წელიწადს სკოლაშიც არ დადიოდა. სახლში მეცადინეობდა და ისე აბარებდა საგნებს. იგი ძალიან მალე გახდა პოპულარული. გამოიცა წიგნი მის

თავგადასავლებზე და ითარგმნა რამდენიმე ენაზე. მოგვიანებით კი **Discovery Channel**–მა გადაიღო 6 დოკუმენტური ფილმი მის არაჩვეულებრივ ცხოვრებაზე აფრიკაში. ის აირჩიეს ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საბავშვო ფონდის **სპიკერად**.

ახლა ტიპპი პარიზში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ის თავს აფრიკელად თვლის, ნამიბიის მოქალაქეობა სურს და ცხოვრების მთავარ მიზნად გარემოზე ზრუნვას ასახელებს.

ტექსტის ავტორი: ლელა ქისტაური

გამოყენებული მასალა: http://en.wikipedia.org; http://formingthethread.wordpress.com; http://www.buzzfeed.com; http://intermedia.ge

ვიდეოები ტიპპი დეგრეზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტმისამართებზე:; https://www.youtube.com/results?search_query=tippi+degr%C3%A9

აქტივობა 3 - ცხრილების შევსება

ტექსტების წაკითხვის შემდეგ წყვილებშივე შეავსეთ ცხრილები.

ტექსტი 1. - მგელსა და ადამიანს შორის	
შეკითხვა	**მთავარი გმირი**
რა კონკრეტული მიზნები ამოძრავებდათ ამ ადამიანს?	
რა ხერხებს მიმართავდა ცხოველებთან დასაახლოებლად?	
რა შედეგი გამოიღო ამ ადამიანის საქმიანობამ?	

ტექსტი 2. - ტიპპი დეგრე – აფრიკის ველურ ცხოველებთან ერთად გაზრდილი გოგონა	
შეკითხვა	**მთავარი გმირი**
როგორ მოხვდა ეს ადამიანი ველურ გარემოში?	

რა ხერხებს მიმართავდა ცხოველებთან დასაახლოებლად?	
როგორ ადამიანად ჩამოაყალიბა იგი ველურმა გარემომ?	

აქტივობა 4 - შთაბეჭდილებების გაზიარება ჯგუფებში.

ცხრილების შევსების შემდეგ გადანაწილდით ორ ჯგუფში. I ჯგუფში გაერთიანდით ისინი, ვინც წაიკითხა პირველი ტექსტი, II ჯგუფში - ისინი, ვინც წაიკითხა მეორე ტექსტი.
ჯგუფში ერთმანეთს გაუზიარეთ წაკითხულ ტექსტე გაკეთებული მონიშვნები. ისაუბრეთ თქვენთვის საინტერესო, ბუნდოვან, მნიშვნელოვან ეპიზოდებზე. ტექსტიდან ამა თუ იმ ინფორმაციის დასაზუსტებლად დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები.

აქტივობა 5 - პრეზენტაციის მომზადება ჯგუფებში.

მოამზადეთ პრეზენტაცია თქვენი ჯგუფის მიერ წაკითხული ტექსტის მიხედვით. გამოიყენეთ თქვენ მიერ შევსებული ცხრილები, შეაჯერეთ ჯგუფის წევრების ცოდნა, შთაბეჭდილებები და წარუდგინეთ თქვენი ნამუშევარი აუდიტორიას. შეგიძლიათ პრეზენტაციის გასაფორმებლად გამოიყენოთ ნახატები, სიმბოლოები და სხვ.

აქტივობა 6 - მინიდისკუსია

პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გმირების, მათი საქციელის, საცხოვრებელი გარემოსა და გადაწყვეტილებების შესახებ. იმსჯელეთ, რა მსგავსება ან განსხვავებაა ამ ორ ადამიანს შორის.

აქტივობა 7 - ცხრილის შევსება

	გმირი 1.	**გმირი 2.**
სახელი		
გარემო		

მოქმედებები		
ჩემი დამოკიდებულება		

წიგნიერების საერთაშორისო დღე

სექტემბერი

შინაარსი: *რას ნიშნავს წიგნიერება დღეს, თანამედროვე მსოფლიოში? რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ წიგნიერების დონის ამაღლებისთვის?*

გამოწვევის/პროვოცირების აქტივობები

აქტივობა 1. მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ რაც შეიძლება მეტი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის კითხვისა და წერის სწავლა მნიშვნელოვანი. რა მიზნების მიღწევაში გვეხმარება წიგნიერება?

აქტივობა 2. იცნობთ ზრდასრულ ადამიანს, რომელმაც არ იცის კითხვა და წერა? რამ გამოიწვია ეს ფაქტი? თქვენი აზრით, როგორ არის შესაძლებელი ზრდასრულთა უწიგნურობის აღმოფხვრა?

აქტივობა 3. წაიკითხეთ ცხრილში მოცემული წინადადებები. დაფიქრდით, ეთანხმებით თუ არა. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

წინადადება	**დიახ**	**არა**
მთელ მსოფლიოში ბიჭები უფრო ადვილად სწავლობენ კითხვას, ვიდრე გოგონები.		
საქართველოში 10 წლის ბავშვების 85% კარგად იაზრებს წაკითხულ ტექსტს.		
ქართველ მოსწავლეებს საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების გააზრება უკეთ გამოსდით, ვიდრე მხატვრულის.		
საქართველოში სოფლის სკოლების მოსწავლეები უკეთ კითხულობენ, ვიდრე ქალაქის.		

ქვემოთ მოცემული ორი ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდით ამ ცხრილს და გადაამოწმეთ თქვენი პასუხები.

საბაზისო ტექსტი 1. წიგნიერების საერთაშორისო დღე



1965 წელს იუნესკომ ოფიციალურად გამოაცხადა 8 სექტემბერი წიგნიერების საერთაშორისო დღედ. პირველად ეს დღე 1966 წელს აღნიშნეს. თანდათანობით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაიწყეს წიგნიერებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. მონაწილეები ხაზს უსვამდნენ წიგნიერების როლს ინდივიდის, თემის და მთელი საზოგადოების განვითარებაში.

წიგნიერების საერთაშორისო დღეს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ მთავრობები, საერთაშორისო კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასწავლებლები, მოსწავლეები და განათლების სპეციალისტები. სპეციალური ჯილდოები გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ წიგნიერების დონის ამაღლების საქმეში.

ერთი შეხედვით, წიგნიერების გავრცელება დაწყებითი განათლების საფეხურზე მთავრდება. ბევრ ქვეყანაში მართლაც ასეა, მოსწავლეები პირველ კლასში ეუფლებიან წერა-კითხვის საბაზისო უნარებს და მეოთხე კლასში უკვე გამართულად კითხულობენ. მიუხედავად ამისა, დედამიწის მოსახლეობის საკმაო ნაწილი, კერძოდ კი, 700 მილიონზე მეტი ადამიანი მარტივი ტექსტის წაკითხვას და საკუთარი სახელის დაწერასაც კი ვერ ახერხებს. მათი ორი მესამედი ქალები არიან. ეს ადამიანები ხშირად ხდებიან დაავადებების, ექსპლუატაციისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი. უმრავლესობა დაუსაქმებელია ან ძალიან მცირე ანაზღაურებას იღებს.

წიგნიერ საზოგადოებაში ახალგაზრდებს და ზრდასრულებს საშუალება აქვთ, მუდმივად გაიღრმავონ ცონდა და ახალ პროფესიებსაც დაეუფლონ. ეს ზრდის დასაქმების, პროფესიული ზრდის, სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებ-ლობებს. ამიტომ წიგნიერება შეიტანეს **მდგრადი განვითარების მიზნებში**. 2015 წელს 193-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი დოკუმენტს „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას, რომლებსაც მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, პარლამენტების წარმომადგენლები. მდგრადი განვითარების მიზნებს შორისაა შიმშილის აღმოფხვრა, ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნვლეყოფა, ინკლუზიური და სათანადო ხარისხის განათლების უზრუნველყოფა, უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის და ა. შ.

მიზანი 4.6: 2030 წლისათვის ყველა ახალგაზრდა და ზრდასრულთა დიდი ნაწილი (ქალებიც და კაცებიც) მიაღწევენ წიგნიერებისა და მათემატიკის ცოდნის სათანადო დონეს.

წიგნიერების დღეს საგანგებოდ აღნიშნავს წიგნიერების საერთაშორისო ასოციაცია (International Literacy Association). ამ ორგანიზაციას დიდი მისია აქვს: წიგნიერება ყველგან, წიგნიერება ყველასთვის. ასოციაცია აერთიანებს და მხარს უჭერს წიგნიერების გამავრცელებლებს, პედაგოგებს, მკვლევარებს და განათლების სფეროს ლიდერებს.

საბაზისო ტექსტი 2. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები

შედგენილია გაზეთ „ახალი განათლება"-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით (19/06/2013).
სტატიის ბმული: http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=192

შესავალი

*2006, 2011 და 2016 წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო **წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS)**. კვლევის მიზანი 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარის შესწავლაა. 2016 წლის კვლევის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამ სტატიაში გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, **ია კუტალაძე** საუბრობს 2011 წლის კვლევის შედეგების შესახებ.*

ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. კითხვის უნარის შემოწმებით ვარკვევთ, თუ რამდენად წარმატებული იქნება ბავშვი მო-მავალში, შეძლებს თუ არა მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას და, საბოლოო ჯამ-ში, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

მოსწავლეთა მიღწევები

კვლევა ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. მოსწავლეთა კითხვის უნარი ფასდება საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გამოყენებით. 2011 წელს კვლევაში 45 ქვეყანა მონაწილეობდა. როგორია, კვლევის მიხედვით, ქართველი ბავშვების წიგნიერების დონე?

ქართველი მოსწავლეების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელია 488, რაც სტატისტიკურად PIRLS-ის სკალის საშუალო მაჩვენებელზე (500) დაბალია. საქართველო მოხვდა იმ ქვეყებს შორის, რომელთაც თავიანთი შედეგი გააუმჯობესეს 2006 წლის შედეგებთან შედარებით.

მიღწევის საერთაშორისო დონეები და საქართველო

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმეტესობაში მოსწავლეთა 95% ფლობს საბაზო კითხვის უნარს. საქართველოში ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 86%-ია; ანუ საქართველოში მოსწავლეთა 14%-ს გაუჭირდა დაბალი საფეხურისთვის განსაზღვრული დავალებების შესრულებაც კი.

PIRLS 2011-ში, ისევე, როგორც PIRLS 2001-სა და 2006-ში, გოგონებს კითხვაში უკეთესი შედეგი აქვთ, ვიდრე ბიჭებს.

საქართველოში თბილისის სკოლების მოსწავლეებს ყველაზე მაღალი მიღწევები აქვთ: კითხვის (წაკითხულის გააზრების) საშუალო მაჩვენებელი 518-ია. თბილისში მცხოვრები მოსწავლეების საშუალო მაჩვენებელი აღემატება PIRLS-ის საშუალო მაჩვენებელს (500). თუ რეიტინგულ სიას დავაკვირდებით, თბილისელი მოსწავლეების შედეგი დაახლოებით ისეთია, როგორიც ზოგიერთი ევროპული ქვეყნის შედეგი (მაგალითად, საფრანგეთი — 520; ესპანეთი — 513; ნორვეგია — 507).

ისევე, როგორც 2006 წლის კვლევაში, PIRLS 2011-შიც სოფლის მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან ქალაქში მცხოვრებ თანატოლებს; სხვაობა 34 ქულას შეადგენს. მაღალი მიღწევების მოქნე ქვეყნებს თუ შევხედავთ, მაგალითად, ფინეთში სოფლისა და ქალაქის მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა 8 ქულას შეადგენს.

საქართველოში საჯარო სკოლის მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან კერძო სკოლების მოსწავლეებს; სხვაობა 60 ქულას შეადგენს.

ისევე, როგორც 2006 წელს, ქართველი მოსწავლეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ მხატვრული ტექსტის გააზრებაში.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე

- კეთილდღეობის მაღალი დონე ქვეყანაში. რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა ეკონომიურად ხელმოკლე ოჯახიდან, მით უფრო მაღალია წიგნიერების მაჩვენებელი. საქართველოში ბევრი მოსწავლე ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახებიდანაა. დაბალია მათი მშობლების დასაქმების მაჩვენებელი.
- წიგნიერების ხელშეწყობა ოჯახში. კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოზარდებს, რომელთა ოჯახებში წიგნს ხშირად კითხულობენ. ამ ოჯახებში მშობლები

ცდილობენ, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ჩააბან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში (მაგალითად, სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები ასოებისა და სიტყვების გამოყენებით, მცირე მოცულობის წიგნის კითხვა და წაკითხულზე საუბარი და ა.შ). ადრეულ ასაკში ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობას **მშობლის მიერ ხმამაღლა წაკითხვა** წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ერთობლივად კითხვა, ბიბლიოთეკაში სიარული, ბავშვების წახალისება, წაიკითხონ დამოუკიდებლად.

- სკოლამდელი განათლება. მოზარდებს, რომელთაც მიღებული აქვთ სკოლამდელი განათლება, აქვთ კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები. ქართველი ბავშვების დაახლოებით 83%-ს მიღებული აქვს სკოლამდელი განათლება. მათი მიღწევის საშუალო მაჩვენებელი 24 ქულით აღემატება იმ მოზარდების მიღწევებს, რომლებიც ბაღში არ დადიოდნენ.
- სკოლა და სასკოლო გარემო. წიგნიერების განვითარებაზე სკოლის მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. PIRLS 2011-ის მიხედვით, რაც უფრო მეტი რესურსი აქვს სკოლას, მით უფრო მაღალია მოსწავლეების მიღწევის დონე. სამუშაო სტაჟის მქონე კარგი მასწავლებლები, კომპიუტერული პროგრამები, წიგნები, აუდიო-ვიზუალური რესურსები, სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკები და სხვ. ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევებს კითხვაში. საკლასო ბიბლიოთეკების რაოდენობის მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში საქართველო ბოლო ათეულშია (45 ქვეყანაში 35-ე ადგილი).
- მოსწავლეთა მზაობა. მოსწავლეებს, რომელთაც სკოლაში შესვლისას განვითარებული აქვთ კითხვის ელემენტარული უნარები, აქვთ მიღწევის უფრო მაღალი მაჩვენებელი.
- დისციპლინისა და უსაფრთხოების პრობლემები ხელს უშლის კითხვაში მაღალი დონის მიღწევას. რაც უფრო მეტადაა სკოლაში უსაფრთხოება და დისციპლინა დაცული, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მიღწევები.
- თვითდაჯერებულობა. მოსწავლეთა მიღწევებზე პოზიტიურად აისახება მაღალი მოტივაცია და კითხვაში თვითდაჯერებულობა. კვლევები მიუთითებს, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვები უფრო კარგი მკითხველები არიან. თვითდაჯერებულობის დონის მიხედვით საქართველო 45 ქვეყანას შორის 36-ე ადგილზეა.
- საკვებისა და ძილის ნაკლებობა. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში (ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში), არაერთი ბავშვი შიმშილობს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევაზე. PIRLS 2011 ადასტურებს, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც ცუდად სძინავთ ან საკვების ნაკლებობას განიცდიან, მიღწევის შედარებით დაბალი დონე აქვთ. საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლები საკმაოდ შემაშფოთებელ შედეგებზე მიუთითებს: მოსწავლეთა 27% განიცდის საკვების, ხოლო 49% — ძილის ნაკლებობას. საქართველოს შედეგები ასეთია: მოსწავლეთა 54% განიცდის საკვების, ხოლო 35% —ძილის ნაკლებობას.

შეჯამება

მოზარდისათვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა. სწავლის საფუძველი კი — კითხვის უნარია. ამიტომ განათლების სისტემამ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსწავლეთა წიგნიერების ხელშესაწყობად. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ეფექტურად

გამოვიყენოთ საერთაშორისო კვლევის შედეგები და ხელი შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ამაში გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად, წიგნიერებას ენიჭება.

შემაჯამებელი აქტივობები და დავალებები

აქტივობა 1.

ა. დაათვალიერეთ წიგნიერების საერთაშორისო დღის ორი პოსტერი. რა ძირითად გზავნილებს შეიცავს ეს პოსტერები? რომელი პოსტერი მოგწონთ და რატომ? რა ცვლილებებს შეიტანდით ამ პოსტერების შინაარსსა და ფორმაში?



ბ. დაამზადეთ წიგნიერების საერთაშორისო დღის პოსტერი. შეაგროვეთ და გამოიყენეთ საინტერესო ინფორმაცია, მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები, სლოგანი-მოწოდება, გამოსახულებები და სხვ.

აქტივობა 2. მოაწყვეთ წიგნის/მკითხველთა კლუბი. წიგნის კლუბის ძირითადი საფეხურებია:

I. შეიკრიბეთ და შეთანხმდით შემდეგზე: რას წაიკითხავთ? რა დრო დაგჭირდებათ? მნიშვნელოვანია, რომ კლუბის ყველა წევრს ჰქონდეს შერჩეული წიგნის წაკითხვის სურვილი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ყველას ჰქონდეს საკმარისი დრო წასაკითხად.

II. წაიკითხეთ შერჩეული წიგნი დამოუკიდებლად. მონიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილები. მოამზადეთ შეკითხვები და აზრები განხილვისთვის.

III. შეიკრიბეთ და ისაუბრეთ წაკითხული წიგნის შესახებ. გაუზიარეთ კლუბის წევრებს თქვენი შთაბეჭდილებები, შეკითხვები, პოზიციები.

აქტივობა 3. შეაგროვეთ წიგნები და გადაეცით ისინი რომელიმე სკოლის/თემის ბიბლიოთეკას ან ისეთ ოჯახებს, რომლებიც წიგნების ნაკლებობას განიცდიან.

აქტივობა 4. როგორც წესი, წიგნიერების საერთაშორისო დღე წინასწარ შეთანხმებულ თემაზეა ხოლმე კონცენტრირებული. მაგალითად, 2007-2008 წლებში საკვანძო თემა იყო „წიგნიერება და ჯანმრთელობა"; 2011-2012 წლებში საკვანძო თემა იყო „წიგნიერება და მშვიდობა". წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა შესთავაზოთ ძირითადი თემა საორგანიზაციო კომისიას. რა თემას შეარჩევდით 2017-2018 წლებისთვის? რატომ?

აქტივობა 5. გაცვალეთ წიგნები, აჩუქეთ წიგნები, ათხოვეთ წიგნები. შეარჩიეთ წიგნი, რომლის თხოვება ან ჩუქებაც გსურთ. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რატომ შეარჩიეთ ეს წიგნი.

აქტივობა 6. რასაკვირველია, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში გვხვდება ინფორმაცია, რომელიც წიგნიერებას და წიგნიერების საერთაშორისო დღეს უკავშირდება. მაგალითად, თუ facebook-ის საძიებო ზოლში ჩაწერთ სიტყვებს „წიგნიერების საერთაშორისო დღე", ბევრ საინტერესო პოსტს ნახავთ. გაეცანით ამ ტიპის ინფორმაციას და გააკეთეთ მოკლე შეჯამება იმის შესახებ, თუ როგორ არის წარმოდგენილი წიგნიერება და წიგნიერების დღე ქართულ სოციალურ მედიაში.

ურთიერთპატივისცემის დღე

სექტემბერი

შინაარსი: პატივისცემა, დაფასება, ურთიერთპატივისცემა. ამ სიტყვებისა ძალა, რატომ უნდა დავაფასოთ, ყველაფერი ის, რაც გვაქვს? როდის ან როგორ გამოვხატავთ პატივისცემას?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს):

რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა პატივისცემა? ურთიერთპატივისცემა?

დაასახელეთ რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც პატივს სცემთ.

რით იმსახურებენ ეს ადამიანები პატივისცემას?

როგორ გამოხატავთ პატივისცემას:

ღვთის მიმართ

მშობლების მიმართ

უფროსების მიმართ

ნათესავების მიმართ

მასწავლებლების მიმართ

მეგობრების მიმართ

სამყაროსა და დედამიწის მიმართ

ჩვენი ნივთების მიმართ....

აქტივობა 2. განმარტებით/სინონიმთა ლექსიკონში ძიება:

ვნახოთ რას ნიშნავს სიტყვა **პატივისცემა** განმარტებით ლექსიკონში: პატივისცემა

სინონიმთა ლექსიკონში კი ამავე სიტყვის მსგავსი მნიშვნელობები:

აქტივობა 3. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე: **პატივისცემა**



აქტივობა 4. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმე ან უარყავი)

1. ყველა ადამიანს, მათ შორის უცნობსაც, პატივი უნდა ვცეთ (დიახ / არა)

2. პატივისცემის/დაფასების სწავლა შესაძლებელია (დიახ/არა)

ტექსტი N1

18 სექტემბერს ურთიერთპატივისცემის დღეს აღნიშნავენ. ყოველ წელს ამ დღის აღნიშვნით ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სხვების დაფასებისა და ურთიერთპატივისცემის აუცილებლობაზე. ამ დღის მიზანია, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ჩვენს დამოკიდებულებაზე ადამიანების მიმართ - სათანადოდ გამოვხატავთ, ან საერთოდ გამოვხატავთ თუ არა პატივისცემას სხვების მიმართ.

არ არსებობს ურთიერთპატივისცემის დღის აღნიშვნის ზუსტი, განსაზღვრული და დადგენილი წესები, მათი შექმნა და მოფიქრება ადამიანების სურვილებსა და ფანტაზიის უნარზეა დამოკიდებული. ბევრი ადამიანისთვის ეს დღე ალბათ ასოცირებული იქნება საყვარელ ადამიანებთან.

ნებისმიერი კეთილგანწყობის გამომხატველი ჟესტით შეიძლება ახლობლებსა და უცნობებს პოზიტიური განწყობა შეუქმნათ. მაგალითად, შეგიძლიათ დაპატიჟოთ მეუღლე/შეყვარებული რომანტიკულ ვახშამზე, მოინახულოთ მშობლები ან მოხუცი ნათესავები, მოკლედ, თქვენი მონდომებით შეგიძლიათ სტიმული მისცეთ ახლობლებსა და გარშემომყოფებს.

ცხადია, პატივისცემა არ არის ისეთი რამ, რაც მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეიძლება გამოვხატოთ, მაგრამ ეს იქნება მცდელობა, რათა ხალხი დააფიქროს იმაზე, თუ როგორ ექცეოდა სხვებს წლის განმავლობაში.

სამყაროში, სადაც არსებობს ეგოიზმი, ბულინგი და სხვა ბევრი უარყოფითი მოვლენა, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ურთიერთპატივისცემა და, საზოგადოდ, პატივისცემა თანდათან ქრება. ამიტომ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია, არ დავივიწყოთ ურთიერთპატივისცემის დღე, მოვნიშნოთ იგი ჩვენს კალენდარში და თავი არ დავზოგოთ მის ღირსეულად აღსანიშნავად. ამბობენ, რომ **პატივისცემა და დაფასება ჯადოსნურ გასაღებს ჰგავს**, ამიტომ ეს დღე მართლაც შესანიშნავი საშუალებაა საიმისოდ, რომ საზოგადოებას შევახსენოთ ურთიერთპატივისცემის აუცილებლობის შესახებ.

დავალებების ბლოკი:

5. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როდის და რატომ აღნიშნავენ ურთიერთპატივისცემის დღეს?
2. ტექსტის მიხედვით, არის პატივისცემის დეფიციტი XXI საუკუნეში?
3. თქვენ ეთანხმებით ტექსტში წარმოდგენილ მოსაზრებას? (დაასაბუთეთ)

6. დაასრულეთ წინადადება:

- პატივისცემა არ არის ისეთი რამ, ----------
- ურთიერთპატივისცემის დღის მიზანია, ----------
- ამბობენ, რომ პატივისცემა და დაფასება ჰგავს ----------
- ურთიერთპატივისცემის დღის აღნიშვნა დამოკიდებულია ----------

7. უყურეთ ანიმაციას და იმსჯელეთ: (https://www.youtube.com/watch?v=b1ug9VtE8Fw)

რა არის პატივისცემა და დაფასება, როგორაა ასახული ანიმაციაში პატივისცემის არსი?

რამდენად დამაჯერებელია?

რას შეცვლიდით?

აქტივობა 8. აღნიშნული ჩამონათვალიდან აირჩიე სასურველი ვარიანტი და მეწყვილესთან ერთად წარმოადგინე როლური თამაშის ან დიალოგის სახით.

პატივისცემის გამოხატვის სხვადასხვა გზა:

1. სუფრასთან პირველად სხვებს შესთავაზო საკვები (მაგ., ფურშეტის დროს ერთმანეთს დაუთმოთ);

2. თავაზიანად გასცე პასუხი შეკითხვაზე;

3. თავაზიანად მოიქცე საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ, მაღაზიის რიგში, ქუჩაში თუ შემთხვევით ვინმეს დაეჯახე...);
4. იზრუნო დედამიწაზე/სამყაროზე (მაგ, ექსკურსიაზე არ დააბინძურო გარემო, თუ ვხედავთ, ბავშვი ნაგავს ყრის, რას ვიზამთ?);
5. დაუთმო ადგილი მოხუცებულ ადამიანებს;
6. მხედველობითი კონტაქტი (მაგალითად, ბოდიშის მოხდისას, როცა შემთხვევით რაღაც გაგვიფუჭდა);
7. იყოთ გულწრფელი -ემპათიის გამოვლენა (მაგალითად, ჩემი მეგობარი საავადმყოფოშია, მანქანა კი გამიფუჭდა. რომელ სიტყვებს გამოიყენებთ გულწრფელი თანაგრძნობის გამოსახატავად);
8. დაუთმო გზა/გაუღო კარი და შესვლის საშუალება მისცე სხვას (ოთახში, დაწესებულებაში, ტრანსპორტში...);
9. როცა ვინმე ლაპარაკობს, მოუსმინეთ/ არ შეაწყვეტინო საუბარი; სხვებსაც მისცეთ აზრის გამოთქმის საშუალება (როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ყურადღების მიპყრობა გსურთ);
10. პატივი სცე განსხვავებებს /განსხვავებულებს (მაგალითად, პატივი სცეთ ერთმანეთის პიროვნულ, რასობრივ, მენტალურ, რელიგიურ თავისებურებებსა და სხვაობებს. აუცილებელი არაა, ყველაფერზე ერთნაირად ფიქრობდეთ, მაგრამ სხვებს უნდა მოეპყრათ პატივისცემით, ადამიანურად);
11. პატივი სცეთ უფროსებს, (მაგალითად, მასწავლებელს, რომელსაც აქვს გარკვეული მოთხოვნები საკლასო სივრცეში სასწავლო მიზნიდან გამომდინარე).

10. უყურეთ სიუჟეტს: https://www.youtube.com/watch?v=YNOnFsnjYhY

გადმოეცით შინაარსი ზეპირად.

შეურჩიეთ სახელწოდება ვიდეორგოლს ----------

რა შეცდომებს უშვებენ ადამიანები ურთიერთობისას?

11. მოიფიქრეთ მოცემული ფოტოების მოკლე ისტორია:

2.

3.

4.

5.

12. უყურეთ სიუჟეტს და იმსჯელეთ.

https://www.youtube.com/watch?v=Z7mxMx3kpCI

მოსმენილის შეჯამება

ტექსტი N2

როგორ მოვიპოვოთ პატივისცემა ოჯახში

მკვლევრები მიუთითებენ, რომ ჩვენს სახლებშიც კი, სადაც, წესით სრულყოფილი გარემო უნდა იყოს, თითქოს რაღაც ისე არ არის - ურთიერთპატივისცემა ქრება და ამას ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. ჩვენს სამყაროში ურთიერთპატივისცემა თითქოს აღარც ახსოვთ. ასეთ სიტუაციაში მასზე ყურადღების გამახვილება და შესაბამისად მოქმედება სერიოზული გამოწვევაა.

არსებობს **რჩევები,** რომლებიც ოჯახში პატივისცემის გამოსახატავად და ჰარმონიის დასამყარებლად გამოგვადგება:

ისწავლეთ მოსმენა. თუ გინდა, ოჯახში პატივს გცემდნენ, ხშირად მოუსმინეთ შვილებს და მათაც იგივე ასწავლეთ. როცა ადამიანს გულისყურით უსმენთ, ამ დროს თქვენ მის მიმართ პატივისცემას გამოხატავთ. ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი ასაკისა, აქვს რაღაც განსაკუთრებული, რისი თქმაც სურს. მათ მხოლოდ თავიანთი აზრის გაზიარება სურთ. გარდა ამისა, როცა თქვენ გულწრფელად უსმენთ მეუღლეს ან ბავშვებს, ჩვეულებრივ, ისინიც მსგავსად იქცევიან.

თავი სათანადოდ გეჭიროთ. პატივისცემის მოსაპოვებლად მნიშნელოვანია, თუ როგორ გვიჭირავს თავი სახლსა და სამსახურში. მაგალითად, თქვენი ჩაცმულობა კარგად მეტყველებს თქვენს პიროვნებასა და დამოკიდებულებაზე საკუთარი თავის მიმართ. კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა, ზომიერი დიეტა, ფიტნესი და ჰიგიენა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ პატივისცემის გრძნობას უჩენს. როცა შესაფერისად არ გაცვიათ, ამით სხვებს მიანიშნებთ, რომ საკუთარ თავსა და სხეულზე არ ზრუნავთ. ეს კი თქვენდამი პატივისცემის გრძნობას ამცირებს. მაგრამ მცდარია მოსაზრება, რომ პატივისცემის დამსახურება მხოლოდ კარგი და გემოვნებიანი ჩაცმით მიიღწევა, სათანადო ქცევაც საჭიროა. პატივისცემის მოსაპოვებლად აუცილებელია: კარგი მანერები, შესაბამისი მეტყველება, თავდაჯერებულობა და საკუთარი თავის რწმენა.

მიაჩვიეთ ბავშვები წესრიგს. წესრიგი ერთ-ერთი შესანიშნავი გზაა საიმისოდ, რომ თქვენს შვილებს დაფასება და პატივისცემა ასწავლოთ. ბევრ მშობელს შვილებთან მეგობრული ურთიერთობა უფრო აქვს, ვიდრე დედაშვილური, მაგრამ ასეთ ურთიერთობაშიც ზომიერებაა საჭირო - შვილებმა მშობლისადმი პატივისცემა არ უნდა დაკარგონ. დისციპლინა და წესები ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ უფროსებისა და ავტორიტეტების მნიშვნელობა, ასევე როგორ დააფასონ სხვები და მიიღონ საპასუხო პატივისცემა. ცხადია, დისციპლინა არ გულისხმობს უხეშად მოპყრობას. ასწავლეთ შვილებს პატივისცემის გამოხატვა და დაარწმუნეთ ამის აუცილებლობაში.

დააკვირდით საკუთარ საქციელს

დაფიქრდით და ობიექტურად შეაფასეთ საკუთარი თავი. ისეთი პატივისცემით ეპყრობით ოჯახის წევრებს, როგორსაც იმსახურებენ? ხშირად პასუხობთ უხეშად? იშვიათად იცლით მოსასმენად? შვილებისათვის პატივისცემის გამოხატვის სწავლება მშობლების მაგალითით იწყება. თუ მშობლები პატივს არ სცემენ ოჯახის სხვა წევრებს, არც მათი შვილები მოიქცევიან

თავაზიანად. ბავშვები დაფასებასა და პატივისცემას ხილული მაგალითით სწავლობენ. ასე რომ, დაიწყეთ საკუთარი თავით.

დავალების ბლოკი:

12. წინადადებებში გამუქებული სიტყვები ჩაანაცვლეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით:

არასწორი, იდეალური, საუბარი, ნანახი, ზრდილობიანი, ყურადღებით, სათანადოდ, დისციპლინა, ქცევა

ა) ჩვენს სახლებში, წესით **სრულყოფილი** გარემო უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა. ----------

ბ) როცა ადამიანს **გულისყურით** უსმენთ, მათ მიმართ პატივისცემას გამოხატავთ.----------

გ) როცა **შესაფერისად** გაცვიათ, ამით სხვებს მიანიშნებთ, რომ საკუთარ თავზე ზრუნავთ. ----------

დ) **მცდარია** მოსაზრება, რომ პატივისცემის დამსახურება მხოლოდ გემოვნებიანი ჩაცმით მიიღწევა ----------

ე) პატივისცემის მოსაპოვებლად აუცილებელია კარგი მანერები და შესაბამისი **მეტყველება**.----------

ვ) **წესრიგი** შესანიშნავი გზაა, რომ თქვენს შვილებს დაფასება და პატივისცემა ასწავლოთ. ----------

ზ) თუ მშობლები არ სცემენ ოჯახის სხვა წევრებს პატივს, არც მათი შვილები მოიქცევიან **თავაზიანად**. ----------

თ) ბავშვები დაფასებასა და პატივისცემას **ხილული** მაგალითით სწავლობენ. ----------

ი) ბავშებთან ურთიერთობისას დააკვირდით საკუთარ **საქციელს**. ----------

13. ტექსტის მიხედვით, რა მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის გარეგნულ მხარეს?

_____

_____

_____

14. ტექსტის მიხედვით, რა საფრთხეს ხედავენ მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში? ეთანხმებით თუ არა? (პასუხი დაასაბუთეთ!)

_____

_____

ტექსტი #3

წერილები რედაქციას

გაეცანით წერილებს, რომლებშიც პატივისცემისა და დაფასების მნიშვნელობაზე და ბავშვებისათვის მათ სწავლებაზეა საუბარი. წერილის ავტორები თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ.

1. ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის თემა იყო ,,დავაფასოთ ჩვენი სამყარო". ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორი მშვენიერი პლანეტა მოგვცა ღმერთმა, ჩვენ კი მასზე ზრუნვა გვევალება. როგორ შეგვიძლია სამყაროზე ზრუნვა, მისი დაფასება? ვისაუბრეთ ნარჩენების გადამუშავებაზე, წყლისა და ქაღალდის მოხმარების შემცირებაზე. შემდეგ გავისეირნეთ მიმდებარე პარკში, წავიღეთ ხელთათმანები და ჩანთები, დავასუფთავეთ და გავალამაზეთ სკვერი. ჩემი აზრით, ეს საუკეთესო საშუალებაა, ვაჩვენოთ ბავშვებს, თუ როგორ ვაფასებთ ღვთისგან ბოძებულ საჩუქარს - ჩვენს სამყაროს. ვფიქრობ, ეს არის მარტივი, მაგრამ ეფექტური გზა, რომ ვასწავლოთ ჩვენს შვილებს ყველაფრის დაფასება და ყველას პატივისცემა.

ნანა

2. დღევანდელი გაკვეთილი ცრემლებით დასრულდა, რაც მაფიქრებინებს, რომ ეს იყო კარგი, შედეგიანი გაკვეთილი. ცხადია, ამ სიტყვებში არის ხუმრობაც და სიმართლეც. როგორც წესი, ბავშვებს სხვადასხვა ნივთი თუ საგანი აინტერესებთ, მაგრამ როცა მიიღებენ, მალევე ბეზრდებათ და უყურადღებოდ ტოვებენ. ეს ეხება სათამაშოებსაც. მათ ყველა სათამაშო ერთად უნდათ და არასდროს ალაგებენ თავიანთ ადგილას. დიდხანს ვცდილობდი ჩემი შვილების გამოსწორებას, მაგრამ უშედეგოდ. დღევანდელი დილა დავიწყეთ საუბრით, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ ჩვენს საკუთრებას. ეს მნიშვნელოვანია, მამა ხომ ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ შვილებს ეს ნივთები უყიდოს. შვილებმა პატივი უნდა სცენ მამის (საზოგადოდ ადამიანების) შრომას, შესაბამისად, არ უნდა დაყარონ, გააფუჭონ და დააზიანონ სათამაშოები. მე შევთავაზე ჩემს შვილებს ახალი წესი - თუ სათამაშოები კვლავ უადგილოდ ეყრებოდა, მათ ჩავდებდით ურნაში და გარკვეული დროით აღარ მიიღებდნენ. დაძინებამდე ოთახი კვლავ მოფენილი იყო ათასნაირი სათამაშოთი. ბავშვებს 5 წუთი მივეცი მათ მოსაწესრიგებლად და ამ დროის გასვლის შემდეგ ის ნივთები, რომლებიც დარჩენილიყო, ურნაში ჩავდე. ჩემს უფროს გოგონას ეწყინა - რამდენიმე მისი საყვარელი ნივთიც მოხვდა ურნაში. დაე იტირონ! მე ვუთხარი: ,,ვწუხვარ, მაგრამ მომავალში ეგებ მხოლოდ იმ რაოდენობის სათამაშო აიღოთ, რამდენსაც დროულად მიუჩენთ ადგილს. საყვარელ სათამაშოებს გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად მიიღებთ! და კიდევ - თუ უამრავ ნივთს არ მოინდომებთ, დასალაგებელიც გაცილებით ნაკლები გექნებათ."
ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ჩემი გეგმა.

მერი

დავალებების ბლოკი:

15. წერილები დაასათაურეთ, რა სათაურებს შეირჩევდით წარმოდგენილ წერილებს?

წერილი 1 ----------

წერილი 2 ----------

თქვენი აზრით, რა პროფესიის ადამიანები წერენ რედაქციას? (პასუხი ახსენით)

თქვენი აზრით, რომელი სტრატეგია გაამართლებს და რატომ?

16. აირჩიეთ მართებული პასუხი:

1. ნანა თავის წერილში <u>არ</u> საუბრობს:
   - ა) სკვერის დასუფთავებაზე;
   - ბ) ნარჩენების გადამუშავებაზე;
   - გ) სათამაშოების დალაგებაზე;
   - დ) წყლისა და ქაღალდის მოხმარების შემცირებაზე.
2. მერი თავის წერილში საუბრობს;
   - ა) მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე;
   - ბ) შვილების მეცადინეობაზე;
   - გ) სათამაშოების სხვებისთვის ჩუქებაზე;
   - დ) სათამაშოების მოვლაზე.

17. უპასუხეთ შეკითხვებს:

ნიშნავს თუ არა პატივისცემა პასუხისმგებლობას?

აუცილებელია თუ არა პატივისცემის გამოხატვა არა მარტო ადამიანის, არამედ მისი საკუთრების მიმართ?

როგორ უნდა გამოვხატოთ პატივისცემა ადამიანის პერსონალური და საერთო საკუთრების მიმართ?

18. შეადგინეთ წინადადებები საკვანძო სიტყვების გამოყენებით: პატივისცემა, საკუთრება, პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი, სასჯელი, შედეგები.

19. აქტივობა: ინდივიდუალურად ან მეწყვილესთან ერთად აღწერეთ ადამიანი (რეალური ან წარმოსახვითი), რომელიც პატივისცემას იმსახურებს.

(აღწერის საფეხურები: დაასახელეთ ამ ადამიანის საუკეთესო, უნიკალური თვისებები, რომლებიც მას ყველასგან გამოარჩევს;

რატომ შეიძლება გახდეს ეს ადამიანი თქვენი საუკეთესო მეგობარი;

გამოიყენეთ სიტყვები: მეგობარი, უნიკალური, წერა, მეგობრობა, თავდაჯერებულობა, დაფასება/პატივისცემა, განსხვავებები).

ტექსტი #4

როგორ მოვიპოვოთ კოლეგების პატივისცემა

მცდარია მოსაზრება, რომ კოლეგების პატივისცემის მოპოვებაში შესაშური თანამდებობა ან მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება დაგვეხმარება. არსებობს წესები, რომლებიც სამსახურში თავის ღირსეულად დამკვიდრებაში დაგეხმარებათ:

იყავი საკუთარი თავი და არა პერსონაჟი, რომლის როლსაც თამაშობ

ხანდახან ადამიანებს ჰგონიათ, რომ საკუთარი თავისგან განსხვავებული პიროვნება უნდა შექმნან, გარშემომყოფების პატივისცემა რომ დაიმსახურონ: უფროსებს მიაჩნიათ, რომ ავტორიტეტულ ტიპაჟებს უნდა წარმოადგენდნენ, გაყიდვების განყოფილების თანამშრომლებს — სწრაფად მეტყველებდნენ და ა.შ. მაგრამ პატივისცემას იმით უფრო მოიხვეჭ, თუ იქნები ის, ვინც სინამდვილეში ხარ. ადამიანები სიყალბეს გრძნობენ და ხელოვნურ პიროვნებებს არასანდოდ მიიჩნევენ. ხალხი ისეთი პიროვნებებისკენ მიილტვის, რომლებიც „ნამდვილები“ არიან. ამიტომაც, პატივისცემის მოპოვების ფუნდამენტია, იყო საკუთარი თავი, თანაც შენი საუკეთესო თვისებებით.

გამოხატე ინტერესი სხვა ადამიანების მიმართ

თუ სხვების აზრი ნამდვილად გაინტერესებს, ადამიანების კარგად მოსმენა, ოღონდ — ნამდვილად მოსმენა უნდა შეძლო. როდესაც დაინახავენ, რომ მათ პრობლემებს გულით იზიარებ, რთულ სიტუაციაში აუცილებლად გაუჩდებათ სურვილი, გითხრან, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი სამსახურში, რაზე ოცნებობენ, რა მიზნები აქვთ და რისი ეშინიათ.

ადამიანების ამ თვისებების შესწავლა, არა მხოლოდ საკუთარი საქმის უკეთ კეთებაში დაგეხმარება, არამედ — დაინახავ, რა საუკეთესო გზების მოძიება შეგიძლია სხვების დასახმარებლად. ეს კი მნიშვნელოვანია: როდესაც ადამიანებს ეხმარები, მათი შენდამი პატივისცემა იზრდება.

შეაქე, როდესაც საჭიროა

არის მომენტები (მაგალითად, შენი CV-ს განახლება), როდესაც საკუთარი თავის შექებაც გიწევს. თუმცა, თუ თანამშრომლების მხრიდან პატივისცემა გსურს, ეს იშვიათად და თანაც დიდი ინტერვალებით უნდა ხდებოდეს.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ საჭირო დროს ადამიანები შეაქოთ. ეს მათდამი პატივისცემას გამოხატავს, რაც, თავის მხრივ, მათი მხრიდან შენდამი პატივისცემას განაპირობებს.

ჩაიცვი სამსახურის შესაბამისად

ვერ გეტყვით, კარგია ეს თუ არა, მაგრამ ადამიანები ხშირად ვიზუალური სიგნალების მიხედვით გაფასებენ. როდესაც ხალხს პირველად ხვდები, ისინი ყველაფერს ამჩნევენ — შენ სამოსს, საათს, სამკაულებს, სამუშაო ქეისს, მაკიაჟს, სახის კანის ფერს, გამომეტყველებას... ამიტომაც, შეგნებულად შექმენი ვიზუალური სიგნალები, რომლებიც ადამიანებს მიანიშნებს, რომ სწორედ შენ ხარ ის, ვისთანაც საქმე უნდა აკეთონ.

დაფიქრდი, სანამ რამეს იტყვი

მოლაყბე ადამიანებს პატივს არავინ სცემს. ამიტომაც, სანამ რამის თქმას გადაწყვეტ, რამდენიმე წამს დაფიქრდი და აზრი კარგად ჩამოაყალიბე. მოიფიქრე, კომუნიკაციისთვის რა გზა აჯობებს.

პაუზებით საუბარი სიტყვების არასრულად გამოთქმას და აზრების გაუგებრად გადმოცემას აგარიდებს და ჭკვიანი პიროვნების შთაბეჭდილებასაც დატოვებ. თუ ვინმეს კომენტარს ეხმაურები, პაუზა იმასაც გამოხატავს, რომ მისი მოსაზრება კარგად გააანალიზე და მომზადებული პასუხის გაცემას აპირებ.

ლაპარაკის წინ დაფიქრება ჭორების გავრცელებისგანაც დაგიცავს, რაც, გაუაზრებელი საუბრის გამო, შეიძლება მომავალში სანანებელი გაგიხდეს. როგორც აბრაამ ლინკოლნმა ერთხელ თქვა, „სჯობს, სიჩუმე შეინარჩუნო და სულელი ეგონო, ვიდრე ხმა ამოიღო და ეს ეჭვი დაამტკიცო“.

დავალების ბლოკი:

20. მართებული/მცდარი

ა) პატივისცემის მოსაპოვებლად საკუთარი თავი ხშირად, ინტენსიურად უნდა შეაქო

ბ) პატივისცემისათვის საკმარისია მდიდრული ტანსაცმელი და თანამდებობა

გ) ლაპარაკის დაწყებამდე დაფიქრება ჭორებს აგვაცილებს თავიდან

დ) ადამიანები ხშირად ვიზუალური სიგნალების მიხედვით აფასებენ სხვებს

ე) პატივისცემის მოსაპოვებლად საჭიროა ყურადღებით მოსმენა ვისწავლოთ

ვ) სხვა ადამიანების მიმართ ინტერესის გამოჩენა სამსახურში მომგებიანია

ზ) არ ცდებიან ისინი, ვინც კარგად მორგებულ როლს თამაშობენ

თ) ადამიანები ,,ხელოვნური“ ხალხის მიმართ უნდობლობას გამოხატავენ

21. აირჩიეთ ერთ-ერთი სიტყვა, რომლითაც შეიძლება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შეცვლა.

კოლეგების პატივისცემის მოპოვებაში <u>შესაშური</u> თანამდებობა ვერ დაგვეხმარება.

ა) შურიანი; ბ) სასურველი; გ) სასიამოვნო.

ადამიანები <u>სიყალბეს</u> გრძნობენ და ხელოვნურ პიროვნებებს არასანდოდ მიიჩნევენ.

ა) სიცრუე; ბ) ზედმეტი; გ) ჭარბი.

ადამიანები <u>შეგნებულად</u> ქმნიან ვიზუალურ სიგნალებს.

ა) გულით; ბ) სიხარულით; გ) გააზრებულად.

<u>მოლაყბე</u> ადამიანს პატივს არავინ სცემს.

ა) ყბედი; ბ) ყვირილი; გ) ბრაზიანი.

ლაპარაკის წინ დაფიქრება <u>ჭორებისგან</u> დაგიცავს.

ა) ჭირი; ბ) ტკივილი; გ) ტყუილი.

დისკუსია თემის შესახებ

22. **დამხმარე კითხვები დისკუსიისთვის:**

- როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა გავაკეთოთ და რა არა სასწავლო გარემოში?
- როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ყველას მიმართ თანაბრად გამოვავლინოთ პატივისცემა?
- რით განსხვავდება ერთმანეთისაგან კარგი და ცუდი გუნდი?
- როგორ მუშაობს კარგი გუნდი?
- გუნდური მუშაობისას რა არის აუცილებელი წარმატების მისაღწევად?

23. ვიდეორგოლი: კარგი/ცუდი გუნდი https://www.youtube.com/watch?v=fUXdrl9ch_Q
მსჯელობა/დისკუსია

24. დავალებები/იდეები:

1. მოძებნე/გაიხსენე სიტყვა ,,პატივისცემის“ დეფინიცია. აღწერე როდის და როგორ გამოხატეთ /არ გამოხატეთ პატივისცემა სხვების მიმართ;
2. შეადგინე პატივსაცემი ადამიანები სია და ახსენი მიზეზი;
4. ინტერვიუ - მოიფიქრე პატივისცემასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა და გამოკითხე ადამიანები;
5. ინდივიდუალურად ან მეწყვილესთან ერთად მოამზადე სარეკლამო პოსტერი პატივისცემის დღესთან დაკავშირებით;
6. მოიძიე ჟურნალში/წიგნში/ინტერნეტში ინფორმაცია ადამიანის შესახებ, რომელმაც პატივისცემა თავისი ქცევით გვიჩვენა. აღწერე რა მაგალითია ეს;
7. მოიფიქრეთ (მოიძიეთ ლექსიკონში) 5 სიტყვა, რომლებიც შეიძლება გამოდგეს სიტყვა ,,პატივისცემის“ ანტონიმად;
8. მოიძიეთ სულ მცირე 5 ფოტო, რომლებზეც ასახულია, თქვენი აზრით, ,,პატივისცემა“
9. შექმენი რეცეპტი (ისე, როგორც სხვადასხვა კერძისა თუ ნამცხვრის რეცეპტს ადგენენ ხოლმე) ,,პატივისცემისთვის,“ რა ინგრედიენტები იქნება, თქვენი აზრით, საჭირო?

10. რას მოიმოქმედებ, თუ უფროსი უპატივცემულოდ მოგეპყრო? წარმოიდგინე, რომ უფროსი/ზრდასრული ადამიანი გიყვირის რაღაცის გამო, შენ კი ეს არ დაგიმსახურებია. რას უპასუხებ? როგორ მოიქცევი? აღწერე შენი პასუხი დაახლოებით 50 სიტყვის მოცულობით.
11. წარმოიდგინე, რომ მეგობრის სახლში მიგიწვიეს საოჯახო სადილზე. როგორ/ რა საშუალებებით გამოხატავ პატივისცემას ამ ოჯახში პირველად სტუმრობისას? სუფრასთან/ დამშვიდობებისას? აღწერე ეს ყველაფერი დაახლოებით 50 სიტყვის მოცულობით;
12. წარმოიდგინე, როგორ შეიცვლება სამყარო, თუ უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს პატივისცემას ერთმანეთის მიმართ.

კარგი მეზობლის დღე

სექტემბერი

შინაარსი: რას ნიშნავს კარგი მეზობელი. როდის მივმართავთ მეზობელს. რა შემთხვევებში ჩნდება პრობლემები მეზობლებს შორის. მეზობლობის რა მაგალითებს ვხვდებით საქართველოში?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს)

ვის ვეძახით მეზობელს?
გავიხსენოთ, ჩვენი მეზობლები, როგორი მეზობლები გვყავს?
როდის, რა მიზეზით მივმართავთ მეზობელს?
რა შეიძლება იყოს მეზობლების დავის მიზეზი?
გაიხსენეთ შემთხვევა, როცა მეზობლისგან მივიღეთ დახმარება?

აქტივობა 2. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმეთ ან უარყავით)

მეზობლები ცნობისმოყვარეები არიან (დიახ / არა)
მეზობელი ოჯახის წევრივითაა (დიახ / არა)
ცუდი მეზობელი კარგი ნათესავს სჯობია (დიახ / არა)

აქტივობა 3. დააკვირდი ნახატებს აღწერე რას ხედავ თითოეულ მათგანზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ხედავთ?



მსგავსებები:----------

განსხვავებები: ----------

ტექსტი N 1

ამერიკის შეერთებულ შტატებში 28 სექტმბერს ყოველწლიურად აღინიშნება კარგი მეზობლის დღე. ამ დღის აღნიშვნა კარგი მეზობლის დაფასების აუცილებლობას ემსახურება. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, ადამიანთა თვალსაწიერი იზრდება, მეორე მხრივ, მეზობლებთან ურთიერთობების შესაძლებლობა მცირდება, კარგი მეზობლის დღე გაძლევთ მეზობლების მოკითხვის საშუალებას, რაც თქვენც თავისთავად კარგ მეზობლად გაგრძნობინებთ. ამ დღის აღნიშვნა 1970-იანი წლებიდან კერძო ინიციატივას უკავშირდებდა. 1978 წელს, პრეზიდეტმა ჯიმი კარტერმა ის 4601-ე დადგენილებით ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა და მოსახლეობას მისი აღნიშვნისკენ მოუწოდა.

საქართველოში კარგი მეზობლის დღე ტრადიციულად არ აღინიშნებოდა, თუმცა მეზობლის განსაკუთრებულ ადგილსა და როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაერთი ქართული ტრადიცია მიუთითებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, სადაც მეზობლობის გაგებას სათანადო ადგილი უჭირავს („მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“). განსაკუთრებულ ყურადღებას ძველი, დღემდე შემორჩენილი თბილისური ეზოები და აივნები იმსახურებს, სადაც მეზობლობის გამორჩეული ფორმები გვხვდება, მათ შორის განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.

დავალებათა ბლოკი:

უპასუხეთ შეკითხვებს:

5. **რომელ ქვეყანაში აღინიშნება კარგი მეზობლის დღე?**
   ა) საქართველოში
   ბ) საბერძნეთში
   გ) რუსეთში
   დ) ამერიკის შეერთებულ შტატებში

6. **რას ემსახურება კარგი მეზობლის დღე?**
   ა) ურთიერთობების შენარჩუნებას
   ბ) ურთიერთობების განახლებას
   გ) ურთიერთობების საჭიროებას
   დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას

7. **ქალაქური მეზობლობის დასტურად გამოდგება:**
   ა) თბილისური ქუჩები
   ბ) თბილისური ეზოები
   გ) თბილისური სადარბაზოები
   დ) თბილისური დუქნები

8. **თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მეზობლის დღის აღნიშვნა? იმსჯელეთ და შემდგომ დაწერეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლითაც მოიწვევთ მეზობელს თქვენთან!**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ტექსტი N 2

ამონარიდი თბილისის ფორუმიდან (ავთენტური ტექსტი)

მაინტერესებს სრული იურიდიული ინფორმაცია, რომელიც იმ შემთხვევისთვისაა დაწერილი, როცა მაგალითად მე ვუსმენ მუსიკას მაღალ ხმაზე და მეზობელი წუხდება, ან სულაც არაა მაღალი, მაგრამ ის მაინც წუხდება. თუ პრეტენზიებს გამოთქვამს იმის გამო, რომ სტუმრებს ფეხსაცმლით ნუ ვუშვებ სახლში, იმიტომ რომ თავში ურტყამს და ეგეთები რა. რომელი საათიდან რომელ საათამდე აქვს მცხოვრებს უფლება იხმაუროს, მუსიკას მოუსმინოს მეგობრები მიიღოს და იცეკვონ, და რომლის შემდეგ არის დარღვევა.

ასევე, რა ითვლება შეწუხებად და რა არა, და რა შეიძლება მოყვეს, თუ ნამდვილად აშავებს შემწუხებელი მეზობელი.

მხოლოდ კვალიფიციური განმარტებები და არანაირი ღადავი[1], რა.

* * *

ამ თემის გახსნა კი შემდეგმა გადამაწყვეტინა: სადაც ახლა ვცხოვრობ, ეს ბინა წელიწად-ნახევრის წინ ვიყიდე, მფლობელიც მე ვარ იურიდიული პირი. ვცხოვრობ მარტო. ბინის ყიდვიდან რამდენიმე დღეში გავიცანი კორპუსის თავმჯდომარე, უფრო სწორად გამეცნო, თვითონ შემოვიდა და წარმომიდგინა თავი, ისე, ყველაზე ძალიან კი იმან დამგრუზა, ჩემს "სამფლობელოში" უკითხავად რომ შემოვიდა, რადგან საკუთარი ახალი ბინით აღტაცებული ვიყავი, არც იკითხა, შეიძლებოდა თუ არა შემოსვლა, შემოაჭრა. მომილოცა და გამაფრთხილა, არ ჩამეშვა წყალი, არ გამეფუჭებინა რემონტი და არ შემეწუხებინა და რომ იმედს იტოვებდა, კარგი მეზობელი ვიქნებოდი. მოკლედ, გავიცანი.

წყარო: https://forum.ge/?f=77&showtopic=34600474&st=0

დავალებათა ბლოკი

9. **რა სახის ინფორმაცია აინტერესებს ტექსტის ავტორს:**
   ა) ოფიციალური
   ბ) არაოფიციალური
   გ) იურიდიული
   დ) არანაირი

[1] ღადავი - ხუმრობა არასახუმარო საკითხზე ან ვითარებაზე

10. **რა შემთხვევაში შეიძლება შევაწუხოთ მეზობელი?**

ა) მუსიკის ხმის

ბ) ხმაურის

გ) წყლის ჩაშვების

დ) ამ ყველაფერთან ერთად

11. **რის იმედს იტოვებდა მეზობელი?**

ა) მისი მეზობელი ქალებს არ მოიყვანდა სტუმრად

ბ) მუსიკას არ მოუსმენდა

გ) სიგარეტს არ მოწევდა

დ) კარგი მეზობელი იქნებოდა

12. **იმსჯელეთ შემთხვევაზე და მიეცით რჩევა მეზობლებს:**



13. უყურეთ ნაწყვეტებს ფილმიდან „ჩვენი ეზო“ და იმსჯელეთ „მეზობლის“ პერსონაჟებზე. შეადარეთ ისინი საკუთარ მეზობლებსა და შეეცადეთ, დაადგინოთ, თავად მეზობლის რომელ ტიპს განეკუთნებით.

ტექსტი N 3

კარგი მეზობელი ყოველთვის მზადაა დასახმარებლად

26.06.2015

ძველი ამბავი გამახსენდა, რომელიც ერთ ჩემს მეგობარსა და მის მეზობელზეა: მოკლედ, ერთ მზიან დილას ამ წესიერმა მეზობელმა კაცმა თავისი ახალი ჩამოყვანილი «ოპელი» ავტოფარეხიდან გამოაყენა, ჯერ გარეცხა, მერე საბურავის გამოცვლა დაიწყო და ამ დროს «დანგრატიდან» ჩამოუვარდა.

ეცა და ხელით უჭირავს მანქანა გამწარებულს. ამ დროს შემოდის ეზოში ჩემი მეგობარი, რბილად რომ ვთქვათ, არაფხიზელ მდგომარეობაში. ამან გახედა და გახარებული სახით დაუძახა: - შენი დანახვა თუ ოდესმე ასე გამიხარდებოდა, არ მეგონა, მოდი ჩქარა, მომეხმარეო...

მეგობარმა შეხედა და უპასუხა: - აბა, რას ვიზამ, მაგრამ ჯერწვერს გავიპარსავ და მერე ჩამოვალო. გაოცებულმა კაცმა ორივე მანქანას ხელი სიმწრის სიცილით გაუშვა.

წყარო: http://gza.ambebi.ge/life/gzavnilebi/2309-kargi-mezobeli-yovelthvis-mzadaa-dasakhmareblad.html

14. ტექსტში განვითარებული მოვლენები დაალაგეთ თანმიმდევრობით: მანქანის ხელით „დაჭერა“; მანქანის გარეცხვა; არაფხიზელი მეზობლის გამოჩენა; საბურავის გამოცვლის მცდელობა;

1.----------2. ----------3.----------
----------4.----------

15. ამოიწერეთ ტექსტიდან დიალოგი და განავრცეთ მათი საუბარი:

მანქანის მფლობელი: ----------

არაფხიზელი მეზობელი: ----------

მანქანის მფლობელი: ----------

არაფხიზელი მეზობელი: ----------
---

16. **გაიხსენთ მეზობელთან რაიმე სახალისო შემთხვევა:**

ტექსტი N 4

სამეცნიერო სტატიიდან ამონარიდი:

ლექსიკონი	
ენის ფლობა	ენის ცოდნა
შეზღუდული	ცოტა
თემები	საზოგადოება
კეთილგანწყობა	კარგი ურთიერთობა
ზნე-ჩვეულებები	ტრადიციები
ურთიერთნდობა	როცა ერთმანეთს ენდობიან

მეზობელ ხალხთა **ენის ცოდნა** დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის, რადგანაც **შეზღუდული** გარემო პირობების გამო, მეზობელი **თემები** მჭიდროდ იყვენენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. მათ შორის **კეთილგანწყობას** ყონაღობი[2] ტრადიცია განაპირობებდა. რიგ შემთხვევებში ნდობა იმდენად დიდი იყო, რომ ყონაღი ოჯახები აღსაზრდელად ერთმანეთში ბავშვებსაც ცვლიდნენ. რაჭაში ამ ტრადიციას „სხვის შვილად გაბარებას“ ეძახდნენ.

ასევე ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეებშიც. მათი შვილები აზერბაიჯანელ ყონაღთა ოჯახებში იზრდებოდნენ და მასპინძელი ოჯახის ენას ეუფლებოდნენ. ბავშვის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყონაღის ოჯახი პატივს სცემდა აღსაზრდელის რელიგიას. მას არ ავიწყებდნენ საკუთარ ენასა და **ზნე-ჩვეულებებს**, არ ასწავლიდნენ ყურანს და არც მეჩეთში დაჰყავდათ. ბავშვების გაშვება სხვის ოჯახში მნიშნელოვანი გადაწყვეტილება იყო და **ურთიერთნდობას** გულისხმობდა. თუში მეცხვარეებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ შვილებს სცოდნოდათ მეზობელ აზერბაიჯანელთა ენა და ცხოვრების წესი. თუში, „საზამთროდ შირვანში მიმავალი შვილს რომელიმე აზერბაიჯანელი „ყონაღის“ სახლში ტოვებდა, ენას ისწავლისო. მეცხვარისათვის მეზობელი ხალხის ენის ცოდნა დიდ სიკეთედ ითვლებოდა. ყონაღის ოჯახი მას, ცხადია, საშინაო საქმეებშიც იშველიებდა და პირუტყვსაც ამწყემსვინებდა“ (ცოცანიძე 1999: 170).

[2] ყონაღი თურქული წამოშობის სიტყვაა და მეგობარს, სტუმარს ნიშნავს.

17. **რატომ სწავლობდნენ მეზობელი ხალხის ენებს?**

---

18. **რას ეძახდნენ „შვილად გაბარებას“?**

---

19. **დააკაშირეთ ერთმანეთთან:**

თუში	ზნე-ჩვეულებები
პირუტყვი	მწყემსი
მეცხვარე	ცხვარი
ტრადიცია	მთიელი
საძოვარი	ზამთრის

20. **მოიძიეთ განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „მწყემსვა“ და ამოიწერეთ განმარტება:**

---

21. **იმსჯელეთ გამონათქვამების შინაარსა და მორალზე: რატომ არის ამდენი გამოთქმა მეზობლებზე?**

- ✓ ცუდი მეზობელიც კი – მეზობლისთვის ამომავალი მზეა და კარგი რაღა იქნებაო
- ✓ მეზობელთან ჭირიც კი ლხინიაო
- ✓ მე იმ მეზობლის ჭირიმე, ვინც კვერცხზე მარილს მომიყრის.
- ✓ თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად იქნებიო
- ✓ კარგ ნათესავს, ცუდი მეზობელი სჯობიაო
- ✓ მეზობელი მეზობლის სარკეაო
- ✓ ერთ მეზობელს მუცელი სტკიოდა, მეორე – ხელს ისვამდაო.
- ✓ მეზობელო კარისაო სინათლე ხარ თვალისა
- ✓ მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო

22. **ხალხური გამონათქვამების მიხედვით დაალაგეთ შესაბამის გრაფაში დადებითი და უარყოფითი სიტყვები:** *სარკე, ლხინი, მზე, ჭირი, მუცლის ტკივილი, მარილის მომყრელი, თვალის სინათლე, ნათესავი, ცუდი, კარგი, მტერი...*

23. **მოუსმინეთ გადაცემა სხვა შუადღეს, თემაზე: "ვინ არის კარგი მეზობელი?"**

წყარო: https://www.youtube.com/watch?v=p0NM3gA_nvU

24. **გადაცემიდან დაასახელეთ მეზობლობის ფორმები და ემოტიკებით გამოხატეთ დამოკიდებულება.**

სრულიად შეესაბამება ☺
ნაკლებად შეესაბამება😐
საერთოდ არ შეესაბამება ☹

მეზობლობის ფორმები	ადრე	ახლა	თქვენი დამოკიდებულება
მაგ. სადილზე მიპატიჟება	☺	☹	😐

25. **გამოყავით კარგი მეზობლის შესაფასებელი კრიტერიუმები:**
კარგი მეზობელი:



26. სადისკუსიო საკითხები:

რა როლი შეიძლება ჰქონდეს მეზობლებს ჩვენ ცხოვრებაში, სად გადის ზღვარი პირად სივრცესა და ახლო კეთილმეზობლობას შორის.

საშინაო დავალება:

- გამოკითხეთ ოჯახის უფროსი წევრები როგორი მოზობლობა ჰქონდათ ადრე.
- გამოაცხვეთ ნამცხვარი, დაპატიჟეთ თქვენი საყვარელი მეზობელი და იმსჯლეთ მასთან კარგი მეზობლის დღის აღნიშვის შესაძლებლობაზე.
- მოაგროვეთ ინფორმაცია სამეზობლო ამხანაგობაზე; იკითხეთ თუ ვინაა სამეზობლოს თავმჯდომარე და რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას.
- ჯგუფურად მოამზადეთ პროექტი, რომელიც სამეზობლო ამხანაგობის უკეთ მოწყობას მოემსახურება.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

ოქტომბერი

შინაარსი: რა არის ხანდაზმულობა. როგორია ხანში შესული ადამიანი. რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მათ. როგორია დამოკიდებულება ხანდაზმულებისადამი სხვადასხვა კულტურაში. რა არის ეიჯიზმი. რა სტერეოტიპული დამოკიდებულება გვხვდება ასაკოვანი ადამინების მიმართ იმისდა მიხედვით თუ რა სივრცეზეა საუბარი.

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს)

რას ნიშნავს ასაკოვანი?

რა ასაკის ადამიანი ითვლება ხანდაზმულად?

რა ემართება ადამიანს ასაკში?

გაიხსენე შენი ნაცნობი ყველაზე ასაკოვანი ადამიანი?

- რა აკეთებს ყოველდღიურად?
- რა არის მისი საყვარელი საქმიანობა?
- რა არის მისი უკმაყოფილების მიზეზი?
- რას საყვედურობენ?
- რით ამაყობს?
- რაზე საუბრობს სიამოვნებით?
- როგორია მისდამი დამოკიდებულება?

რა სტერეოტიპები არსებობს ხანდაზმულ ადამიანებზე?

- როგორ გამოიყურებიან?
- როგორ იქცევიან?
- რაზეა დამოკიდებული მათი ფიზიკური თუ მორალური მდგომარეობა?

გაიხსენეთ რამდენიმე ფრაზა, ლექსი, სიმღერა, ფილმი ან ანიმაციური სურათი, რომელიც ასაკოვანი ადამიანების შესახებ მოგვითხრობს

- ვის შესახებ მოგვითხობს ნაწარმოები?
- რატომ და როგორ წერენ სიბერეზე?
- რატომ იღებენ ფილმებს მოხუცი ადამიანების მონაწილეობით?
- რა ესთეტიკა აქვს სიბერეს?

აქტივობა 2. შექმენით მოკლე ტექსტური შეტყობინებები ხადაზმული მამკაცის სახელით გაუგზავნეთ ასაკოვან ქალბატონს და პირიქით:

აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმე ან უარყავი)

მოხუცებს ჭკუის დარიგება უყვართ (დიახ / არა)

მოხუცები ბავშვებივით არიან (დიახ / არა)

მოხუცებს განსაკუთრებით უყვართ ტკბილეული (დიახ / არა)

მოხუცები სხვაზე მეტად ბუზღუნებენ (დიახ / არა)

აქტივობა 4. დააკვირდით ფოტოებს. აღწერეთ რას ხედავთ თითოეულ ფოტოზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ხედავთ?

აქტივობა 5. უყურეთ ნაწყვეტებს ფილმიდან „ლეგენდა ნარაიამაზე“

ვინ არიან ფილმის მთავარი პერსონაჟები? რა ხდება ამ ფილმში? ისაუბრეთ პიროვნულ არჩევანსა და საზოგადოების მორალზე;

ტექსტი N 1

.....

ადამიანები ყველაზე ხშირად ერთმანეთს დღეგრძელობას უსურვებენ ხოლმე. სადღეგრძელოების, მილოცვებისა თუ დალოცვების ძირითადი ნაწილი სწორედ დიდხანს სიცოცხლის სურვილს გამოხატავს. თუმცა ასეთ საზეიმო თუ ემოციურ შემთხვევებში არავინ საუბრობს, დიდხანს სიცოცხლის შემთხვევაში რა ემართებათ ადამიანებს, თავს როგორ გრძნობენ ან როგორია მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულად დღეგრძელობა, ადამიანთა საზოგადოებაში ერთ-ერთ ძირეულ მისწრაფებასა თუ ღირებულებას წარმოადგენს. ამავდროულად, დავიწყება, უძლურება, მობეზრება, სისუტე, დაქვეითება, მარტოობა, ბუნდოვანება, მოწყენილობა, სხვაზე დამოკიდებულება ის სიტყვებია, რომლებიც ყველაზე ხშირად სტერეოტიპულად ასოცირდება ხანდაზმულ ადამიანებთან.

მეცნიერები ადამიანთა საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად არქეოლოგიურ ფენებში მოხუცებულთა და უმწეოთა ნამარხების გამოჩენას განიხილავენ. დღემდე ამ თუ იმ ხალხის მორალური სახე საზოგადოებაში ხანდაზმულთა მიმართ ადამიანების დამოკიდებულებით განისაზღვრება. მეცნიერების, კერძოდ მედიცინის განვითარებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა დაავადებათა პრევენციასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამის მიუხედავად, ხანდაზმული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება უკეთესობისაკენ არ შეცვლილა.

მე-20 საუკუნეში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, წინა საუკუნესთან შედარებით, 30 წლით გაიზარდა და 2000 წლისთვის საშუალო ასაკი 77 წელს შეადგენს. თუმცა, ამის პარალელურად იზრდება ადამიანების ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები. ასაკის გამო სხვა ადამიანების მიმართ დამაცირებელ დამოკიდებულებას რობერტ ბატლერმა ეიჯისმი უწოდა. ეიჯიზმი მოიცავს უარყოფით სტერეოტიპებსა და საზოგადოების არაჯანსაღ განწყობებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ. უფროსი თაობის ადამიანები, ასაკის მიუხედავად, ხშირად ფიზიკური თუ გონებრივი თვალსაზრისით ჯანსაღად გრძნობენ თავს და მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობებში. ამის მიუხედავად ისინი ხშირად მარტოსულად და საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობენ თავს. ეიჯიზმთან ბრძოლას ემსახურება 1990 წელს გაეროს მიერ **1 ოქტომბრის** ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ გამოცხადება.

ტრადიციული დამოკიდებულება ხანდაზმული ადმიანების მიმართ ცხადია განსხვავებულია. მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ასაკოვანი ადამიანი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია კავკასიაც და მათ შორის საქართველო. მაგალითად, ოდითგანვე ქართულ ტრადიციაში ოჯახის თავკაცად ასაკით უფროსი მამაკაცი მიიჩნეოდა. ოჯახის, თემისა თუ სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე გადაწყვეტილებებს როგორც წესი, საზოგადოების უხუცესი წევრები იღებდნენ. ყველა სვანურ ოჯახში დღესაც ინახება განსაკუთრებული სკამი (საკარცხული), რომელიც ოჯახის უფროსს, ყველაზე ასაკოვან ადამიანს (მახვშს) ეკუთნოდა, რომელიც მის განსაკუთრებულ როლსა და სტატუსზე მიუთითებდა. ყველაზე ასაკოვანი ადამიანები შედიოდნენ უხუცესთა საბჭოში. ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში ასაკის აღმნიშვნელი ტერმინებით: „ხუცესი“, „უხუცესი“ - აღინიშნებოდა თანამდებობები, რომლებსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი გააჩნდათ. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასაკოვანი ადამიანის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება გამოიხატებოდა, ეიჯიზმის პრობლემება თანამედროვე საქართველოში მაინც აქტუალურია.

დავალებების ბლოკი:

6. დაასათურეთ ტექსტი.

შემოხაზეთ სწორი პასუხი

7. რას უსურვებენ ხოლმე ადამიანები ყველაზე ხშირად ერთმანეთს?

ა) სიკეთეს

ბ) გამრავლებას

გ) დღეგრძელობას

დ) მრავალჟამიერს

8. რომელი სიტყვა არ ასოცირდება სტერეოტიპულად ხანდაზმულობასთან?

ა) სისუსტე

ბ) მხედველობის დაქვეითება

გ) აზრის ბუნდოვანება

დ) დამოუკიდებლობა

ე) მოწყენილება

9. მოძებნე ტექსტში ხანდაზმულის აღმნიშვნელი ტერმინები და ამოიწერე

1) ----------
2) ----------
3) ----------
4) ----------

10. რატომ დაწესდა ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე?

---

11. ეიჯიზმი არის ----------

---

12. როგორ შეიძლება გამოიხატოს ხანდაზმულისადმი პატივისცემა?

---

13. თქვენი აზრით, რატომ უნდა აღვნიშნოთ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე?

---

14. თქვენ რომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იყოთ, როგორ აღნიშნავდით ამ დღეს?

ტექსტი N 2

შოთა ნიშნიანიძის ლექსი

ამ ქუჩის ბოლოს

ამ ქუჩის ბოლოს,
ამ ქუჩის ბოლოს, ორი მოხუცი ცხოვრობს,
მათი სახლ-კარი მარტოობისგან დამსგავსებია სოროს.

ცაში ღრუბლებად გადაიშლება, ქვეყნის ოთხივე კიდეს,
რაც უფიქრიათ, რაც წაუკითხავთ, რაც სიზმრებიათ კიდევ.

გაიხსენებენ ახალგაზრდობას, როგორც შხაპუნა წვიმას,
მათი შვილების პატარაობას, ათას უბრალო წვრილმანს.

ფანჯრის რაფაზე ბეღურები და წამლის შუშები სხედან,
წიგნი... საქსოვი... ბანქოს ქაღალდი ანიავებენ სევდას.

ამ ქუჩის ბოლოს,
ამ ქუჩის ბოლოს,
ორი მოხუცი ცხოვრობს,
აქედან ვხედავ და უკვე მიყვარს ბევრი ჩვენგანის ბოლო.

მაგრამ ხანდახან შიში შემიპყრობს და იმ დღეებზე ვდარდობ,
ამ ქუჩის ბოლოს ერთი მათგანი როცა დარჩება მარტო...

დავალებების ბლოკი:

15. დააკავშირეთ ერთმანეთთან

სახლ-კარი	ორი მოხუცი
ქუჩის ბოლო	დარჩება მარტო
ახალგაზრდობა	ათასი წვრილმანი
გახსენება	წამლის შუშები
ფანჯრის რაფა	შხაპუნა წვიმა
შიში	სორო

16. რა სიტყვებით გამოხატავდით ავტორის განყობას ლექსში? ამოიწერეთ ლექსიდან

--- --- ---

--- --- ---

17. შეეცადეთ წარმოიდგინოთ სახლი, რომელშიც მოხუცები ცხოვრობენ და აღწერე

ტექსტი N 3

თარგმანი გიორგი ჯიჯიეშვილისა

ამ ადამიანმა მოხუცებულთა თავშესაფარში გაატარა ცხოვრების ბოლო წლები. გარდაცვალების შემდეგ ყველა თვლიდა, რომ ის წავიდა ამ ქვეყნიდან მნიშვნელოვანი კვალის დატოვების გარეშე.

ექთნები მისი ნივთების დაალაგებისას, ერთ საინტერესო ლექსს გადააწყდნენ, რომელმაც ყველა გააოცა მისი აზრით და შემცველობით.

ერთ-ერთმა თანამშრომელმა ლექსის ასლი მელბურნში წაიღო. მას შემდეგ, ლექსი გამოჩნდა საშობაო ჟურნალების ყველა გვერდზე, ასევე ფსიქოლოგების ჟურნალებში.

ეს მოხუცი, რომელიც ასე ღარიბი წავიდა ამ ქვეყნიდან, ინტერნეტს აფეთქებს თავისი სულიერი სიღმით. (ვეცადე სიტყვა სიტყვით გადამეთარგმნა ლექსი და მე მაპატიეთ. ორიგინალში ლექსი ძალიან პოეტურია და განცვიფრებს აზრის სიღრმით და რითმის სილამაზით).

ჭირვეული მოხუცი

შენ რას ხედავ ექთანო?… შენ რას ხედავ?
შენ რას ფიქრობ… როცა მე მიყურებ?
ჭირვეული მოხუცი, …..სულელი,
გაუგებარი ცხოვრებით…. გამქრალი მზერით?
რომელსაც საჭმელს აწვეთებ?
როცა ყვირი „მიდი სცადე!“
შენ კი გგონია, რომ ის ვერ ამჩნევს, შენ რას აკეთებ.
მუდმივად კარგავს…. წინდებს ან ფეხსაცმელს?
არაფერს გაძალებს, მაგრამ უფლებამოსილი ხარ გაუკეთო მას რასაც ისურვებ,
დღის შესავსებათ….მხოლოდ ბანაობა და ჭამა?
ესაა, შენ რასაც ფიქრობ? შენ რასაც ხედავ?
გაახილე თვალები, ექთანო. შენ მე არ მიყურებ.
გეტყვი, ვინ ვარ მე…ჯერ კიდევ აქ ვზივარ,
ვემორჩილები თქვენს განრიგს,….ვიკვებები თქვენი სურვილით.

მე ჯერ კიდევ ის პატარა 9 წლის ბიჭუნა ვარ, დედასთან და მამასთან რომ ცხოვრობს,
ძმებთან და დებთან ….. ვისაც ერთმანეთი გვიყვარს.
ახალგაზრდა 16 წლის ყმაწვილი, …ფეხებზე ფრთებით
მეოცნებე დღე-დღეზე შეხვდეს მთელი ცხოვრების სიყვარულს.
საქმრო, რომელსაც მალე 20 წელი შეუსრულდება და რომელსაც გული ამოვარდნაზე აქვს,
ახსოვს ფიცი, რომლის ასრულებასაც შეჰპირდა.
ახლა კი მე 25 წლის ვარ… მყავს ჩემი პატარა შვილი.
რომელიც საჭიროებს ჩემს დარიგებას,… დაცულ ბედნიერ სახლს.
30 წლის მამაკაცი ….. ჩემი შვილი სწრაფად გაიზარდა,
უწყვეტი კავშირით ვართ შეკრულნი.
40 წლისას ჩემი ბიჭები გაიზარდნენ და დატოვეს სახლი.
მაგრამ ჩემი მეუღლე ჩემს გვერდითაა …არ მაძლევს დამწუხრების უფლებას.
და უკვე 50 წლისას კვლავ პატარები თამაშობენ ჩემს ფეხებთან,
კვლავ ბავშვებთან ვართ,… მე და ჩემი სიყვარული.
სიბნელე დაეშვა … ჩემი მეუღლე გარდაიცვალა.
ვიყურები მომავალში და შიშით ვრთი.
ახლა ვცხოვრობ ჩემი შვილებისთვის და მათი შვილებისთვის.
მე ვფიქრობ წლებზე…სიყვარულზე, რომელიც მე მქონდა,
უკვე მოხუცი ვარ…ცხოვრება მწარეა.
სიბერე დაგვცინის, გვაიძულებს სულელურად გამოვიყურებოდეთ.
სხეული ნამცეცდება…მოხდენილობა და მხნეობა ქრება.
იქ, სადაც ერთ დროს გული მქონდა, ქვა არის.
მაგრამ ამ მოხუცი ჩონჩხის შიგნით ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცოცხლობს.
ჩემი გული ისევ და ისევ ფეთქავს
მახსოვს ჩემი სიხარული…მახსოვს ყველა ტკივილი.
მე ისევ მიყვარს და ისევ ვცოცხლობ…ამ ცხოვრებაში როგორც წინათ.
ვფიქრობ წლებზე, რომლებიც ასე ცოტა იყო და რომელიც ასე სწრაფად გაფრინდა.
ვეთანხმები ჯიუტ ფრაზას, არაფერია მუდმივი.
ადამიანებო გაახილეთ თვალები! გაახილეთ და შემომხედეთ.
ჭირვეული მოხუცი კი არა! შემომხედეთ ყურადღებით და დამინახავთ მე!

წყარო:http://jesus.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AD%

დავალებების ბლოკი:

18. ვის მიმართავს ჭირვეული მოხუცი ლექსში?

1) ექიმს
2) ექთანს
3) მკითხველს
4) არავის

19. რას კარგავს მოხუცი მუდმივად?

1) წერილს
2) წამალს
3) წინდებს
4) სათვალეს

20. რას აკეთებენ დღის შესავსებად მოხუცები?

---

21. ვინ არის ლექსის მთავარი გმირი?

1) ბიჭუნა
2) ყმაწვილი
3) საქმრო
4) მამა
5) ყველფერი ერთად

22. დაასრულე წინადადებები:

1) 9 წლისა ----------
2) 16 წლისა ----------
3) 25 წლისა ----------
4) 30 წლისა ----------
5) 40 წლისა ----------
6) 50 წლისა ----------

23. მოხუცის აზრით, რატომაა ცხოვრება მწარე?

1) ----------

2) ----------

3) ----------

4) ----------

24. რა ახსოვს მოხუცს?

---

25. როგორ გესმით ჯიუტი ფრაზა „არაფერია მუდმივი“

---

26. რა სურს მოხუცს, ამ ლექსით რომ უთხრას ადამიანებს?

---

27. ტექსტის გაცნობისას, რა დამოკიდებულება გაგიჩნდათ ავტორის მიმართ? თუ გაგახსენდა რომელიმე თქვენთვის ნაცნობი ადამიანი?

---

28. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტვების გამოყენებით:

კვალი დატოვა , სულიერი სიღრმე, არაფერია მუდმივი, ღარიბი, სწრაფად გაფრინდა, მე ვფიქრობა

1) ----------

2) ----------

3) ----------

4) ----------

5) ----------

6) ----------

ტექსტი N4

ხანდაზმულობის ასაკში მიღწეული წარმატებები:

ველთაოდ ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი და მწერალი ჯორჯ ბერნარდ შოუ 60 წლის ასაკში აქვეყნებს, თავის, ერთ-ერთ შედევრს, „გულისტკივილის სახლი“. მან 69 წლის ასაკში მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, ხოლო 82 წლის ასაკში ოსკარი დაიმსახურა საუკეთესო ადაპტირებული სცენარისათვის.

- ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრიტანელმა, ჯ.რ.რ ტოლკინმა 62 წლის ასაკში ეპიკური ფენტეზის ჟანრის რომანის „ბეჭდების მბრძანებლის“ პირველი ნაწილი გამოაქვეყნა.
- კაცუსუგი იანეგესავა, პენსიონერი, სკოლის მასწავლებელი, ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, რომელიც 71 წლის ასაკში ევერესტზე ადის.
- 73 წლის ასაკში ცნობილი ჟურნალისტი ლარი კინგი „სიენენის“ ეთერში გადაცემის 50 წლის იუბილეს აღნიშნავს.
- 70 წლის ასაკში მიქელანჯელო ბუენაროტი ვატიკანში წმინდა პეტრეს ბაზილიკის არქიტექტორად დაინიშნა. მან სანტა მარია დელე გრაციას ტაძრის არქიტექტურული ნახაზი 88 წლის ასაკში შეადგინა. იგი ამავე წელს გარდაიცვალა რომში.
- მარკ შაგალი აღმოჩნდა პირველი მხატვარი, რომლის ნამუშევრებიც მისსავე სიცოცხლეში ლუვრში გამოიფინა. ამ დროს ის 90 წელისა იყო.
- ალან სტიუარდი 91 წლის ასაკში ასრულებს ნიუ ინგლენდის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრიატს.
- მაილს დევისმა სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე, 65 წლის ასაკში, ბოლო ალბომის ცოცხალი კონცერტი შეასრულა.
- ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი, სახალხო არტისტი, სესილია თაყაიშვილი, თავის ყველაზე მნიშვნელოვან, საეტაპო როლებს სწორედ ხანდაზმულ ასაკში ასრულებს, 60 წლის შემდგომ შექმნა დაუვიწყარი ბებია ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“(1965). ბოლო როლი მან 78 წლის ასაკში შეასრულა ფილმში „ცისფერი მთები“ (1984)
- პირველი ქართული უნივერსიტეტის რექტორი, ქიმიის დოქტორი პეტრე მელიქიშვილი 68 წლის ასაკში იკავებს ამ თანამდებობას.
- ამერიკის პრეზიდენტი ბენჟამენ ფრანკლინი ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას 70 წლის ასაკში აწერს ხელს.

სესილია თაყაიშვილი, კადრი ფილმიდან „ნატვრის ხე“, მარიტას ბებია

დავალებების ბლოკი:

29. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

პიროვნება	ასაკი	მიღწევა
ჯორჯ ბერნარდ შოუ		
		ევერსტის დალაშქვრა
	90	
პეტრე მელიქიშვილი		
	91	
ბენჟამენ ფრანკლინი		
		რომანის „ბეჭდების მბრძანებლი“ პირველი ნაწილი გამოაქვეყნა.
	73	

		სანტა მარია დელე გრაციას ტაძრის არქიტექტურული ნახაზი
სესილია თაყაიშვილი		
მაილს დევისი		
		ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელი მოწერა

30. იმსჯელეთ გამონათქვამების შინაარსა და მორალზე: რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ გამონათვქამს შორის?

- ✓ „ბებერი ხარის რქაც ხნავსო“
- ✓ „როდესაც მოხუცი კვდება, მასთან ერთად ბიბლიოთეკა იწვება“

აქტივობა 31. „კუთხეები“

საკამათო თემა: თუ თქვენი გადასაწყვეტი იქნება აიყვანდით 50 წლის (ან კიდევ უფროსს) ქალბატონს ოფისში პიარმენეჯერის პოზიციაზე?

თქვენი აზრით, რა საქმიანობისა და პროფესიის ადამიანებს შეუძლიათ ძირითადად დასაქმება ხანდაზმულ ასაკში?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

საშინაო დავალება

- უყურეთ ფილმს „სამოთხის გვრიტები“. დაწერეთ რეზიუმე სამი წინადადებით. დაუსვით ფილმის მოქმედ გმირებს თითო-თითო შეკითხვა.
- მოიძიეთ ინფორმაცია ასაკოვანი ადამიანების წარმატებული გამოცდილების შესახებ.
- მოიფიქრეთ პიარკამპანია ეიჯიზმის წინააღმდეგ
- შეადგინეთ რთული წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: მარტოობა, თავშესაფარი, ასაკი, თაობა, წინაპარი, ტრადიცია, ხანდაზმული, პენსია, ღირსეული სიბერე, უხუცესი, სათნოება.

პურის დღე

ოქტომბერი

შინაარსი: რატომ აღნიშნავენ პურის დღეს, როდის გამოაცხვეს პირველი პური, რა ტრადიციებია დაკავშირებული პურთან, პურის სახეობები და ხორბლის ქართული ჯიშები, აღმოჩენები.

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს):

რომელ პროდუქტს/პროდუქტებს მივირთმევთ ყოველდღიურად?
რატომ მივირთმევთ პურს ყოველდღიურად?
რომელი სახეობის პურს მიირთმევთ?
თქვენი აზრით, რატომ უნდა აღინიშნებოდეს პურის დღე?
თქვენი აზრით, რა რაოდენობით უნდა მიიღოს ადამიანმა პური?
იცით ან გსმენიათ რაიმე თქმულება/მოთხრობა პურზე?

აქტივობა 2. განმარტებით /სინონიმთა ლექსიკონში ძიება:
რას ვუწოდებთ ადამიანს, რომლის პროფესიაც პურის გამოცხობაა: **მეპურე** ან **მცხობელი**
ამავე მნიშვნელობის გადმოსაცემად არსებობს სინონიმებიც: ხაბაზი, პურისმცხობელი, მეთორნე, მეფურნე.

დააკვირდით ამ სახელთა წარმოებას: მეპურე, მცხობელი...
გაიხსენეთ მსგავსი წარმოების ადამიანის საქმიანობის/პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები:
--- ---
--- ---
--- ---

აქტივობა 3. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე: „პური”



აქტივობა 4. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმე ან უარყავი)

პურს ასუქებს, ამიტომ უნდა შევზღუდოთ მისი მოხმარება (დიახ/არა)

ტექსტი N1

პურის დღე

16 ოქტომბერს მსოფლიოში პურის დღე აღინიშნება. ეს მოვლენა მიზნად ისახავს იმას, რომ ადამიანებს შეახსენოს საკვების მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე ეს დღე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ იდეები და ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია პურთან და მის ცხობის პროცესთან.

პურის დღეს აღნიშნავენ 2006 წლიდან, ხოლო 16 ოქტომბერი შეირჩა იმიტომ, რომ 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საკვების დღე სწორედ 16 ოქტომბერი დააწესა.

პური მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი საკვებია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანებმა პირველად იგი ჯერ კიდევ 15 000 წლის წინ დააგემოვნეს.

პური ბიოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი პროდუქტების რიცხვს მიეკუთვნება. პურის დღიური მოხმარება სხვადასხვა ქვეყანაში 150-დან 500 გრამამდე მერყეობს. პურის მეშვეობით ადამიანი იღებს ნახშირწყლებს (40-52%), ცილებს

(5-9%), მინერალურ ნივთიერებებს (კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, რკინას) და ვიტამინებს. განსაკუთრებით მდიდარია პური B ჯგუფის ვიტამინებით, რომლებიც აუცილებელია ნერვული სისტემის გამართული მუშაობისთვის, სწავლის უნარისა და მეხსიერებისთვის. აგრეთვე უზრუნველყოფს სტრესისგან დაცვას.

პური მზადდება ცომისგან, რომელსაც აცხობენ. ცომს უპირატესად ამზადებენ ხორბლის (იშვიათად ჭვავის, სიმინდისა და ქერის) ფქვილისაგან, რომელსაც ზელენ მარილწყალში. პური ყუათიანი, მაღალკალორიული პროდუქტია, 100 გრამი მაღალი ხარისხის ხორბლის პური 223 კალორიას შეიცავს, აქვს კარგი გემო, ორგანიზმი მას ადვილად ითვისებს. პურის ყუათიანობაზე ანდაზაცაა ნათქვამი:

მჭადი - ჭამამდე, ფაფა - კარამდე, პური - მთის გადაღმამდეო.

საქართველოში ძველად პურის ცომს ხაშზე, ანუ სპეციალურად დამჟავებულ ცომზე ამზადებდნენ, ახლა კი უმეტესწილად, ცომს მზა საფუარზე ზელენ. პირველი პური, რომელშიც არც ბუნებრივი და არც ხელოვნური საფუარი არ იყო გარეული, ბრტყელი და მაგარი იყო.

პურის დედოზე ცხობა, მეცნიერების ვარაუდით, დაახლოებით 5000 წლის წინათ დაიწყო. უცნობია, კონკრეტულად ვინ და როდის გამოიყენა პირველად ხელოვნური საფუარი, დღეს მას უკვე ფართოდ მოიხმარენ, რადგან პური ფუმფულა, სასიამოვნო საჭმელი ხდება, თუმცა პურში ბუნებრივი საფუარის გამოყენებას მეტი დადებითი თვისება აქვს როგორც პურის წარმოების, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პურის აცხობენ **თონეშიც** და **ფურნეშიც**, თუმცა თონის პური უფრო უყვართ. ფორმის მიხედვით პურები ცხვებოდა მრგვალი, გრძელი, ოთხკუთხედი, ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებით და გულიანი ნამცხვრები.

ქართული პური ძველებური მეთოდით თიხის თონეში ცხვებოდა, იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიწაში გარკვეული სიღრმით იდგმებოდა, გარშემო კი სიმხურვალის შენარჩუნების მიზნით წნელით მოწნავდნენ. თონეში გამომცხვარ პურს თავისი დამახასიათებელი გემო და ფორმა აქვს.

თანამედროვე დანადგარებში პური ცხვება მარმარილოს ხაზზე, რომელიც სპეციალურად ღუმელისთვისაა შექმნილი. "ქვაზე" პურის ცხობის მეთოდი შედარებით უფრო ეკონომიურია და ნაკლებ ენერგიას მოითხოვს.

დავალების ბლოკი:

5. განმარტეთ ტექსტში მოცემული ანდაზა.

---

6. **მცდარი/მართებული**

ა) გემრიელი პური მხოლოდ თონეში ცხვება;

ბ) თონეს გარშემო წნელს სიმხურვალის შესანარჩუნებლად უწნავენ;

გ) თანამედროვე დანადგარები და თონე თანაბრად ეკონომიურია;

დ) პური შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, B ჯგუფის ვიტამინებს;

ე) B ჯგუფის ვიტამინები აუცილებელია ნერვული სისტემის გამართული მუშაობისათვის;

ვ) პირველი პური საფუარს არ შეიცავდა, ამიტომ ის მაგარი და ბრტყელი იყო;

ზ) პურში ბუნებრივი საფუარის გამოყენება დაახლოებით 5000 წლის წინ დაიწყეს;

თ) პურს კარგი გემო აქვს, მაგრამ მას ორგანიზმი ძნელად ითვისებს.

7. წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად ჩასვით შესაბამისი სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები:

იყენებენ, უმთავრესად, ფუნქციონირებისათვის, მიიჩნევენ, საშუალებით, გასინჯეს

ა) მეცნიერები **<u>ვარაუდობენ</u>**, რომ ადამიანებმა პირველად პური ჯერ კიდევ 15 000 წლის წინ **<u>დააგემოვნეს</u>**.

ბ) პურის **<u>მეშვეობით</u>** ადამიანი იღებს ნახშირწყლებს, ცილებს და სხვ.

გ) B ჯგუფის ვიტამინები აუცილებელია ნერვული სისტემის გამართული **<u>მუშაობისათვის</u>**.

დ) დღეს ხელოვნურ საფუარს ფართოდ **<u>მოიხმარენ</u>**.

ე) ცომს **<u>უპირატესად</u>** ამზადებენ ხორბლისაგან.

---

8. უყურეთ კლიპს, რომელიც პურს ეხება: https://vimeo.com/187325524

დავალებების ბლოკი:

9. შეურჩიეთ სახელწოდება, რას დაარქმევდით.

---

10. დაალაგეთ მოვლენები შესაბამისი თანამიმდევრობით:

ფქვილი იყრება მაგიდაზე;

ცომი ფუვდება;

წყლის ჭურჭელი დგას მაგიდაზე;

ახალგამომცხვარ პურს საოცარი სუნი აქვს;

ხის ჭურჭელში ცომს ზელენ;

ცომს უმატებენ მწვანე ფერის სანელებელს;

გაფუებულ ცომს მაგიდაზე დებენ;

აკეთებენ ცომის გუნდებს;

მეპურე კმაყოფილი და ნასიამოვნებია;

ცომის გუნდებს იღებენ ფორმებიდან;

ცომის გუნდებს დანით გასერავენ;

ცომს ღუმელში დებენ;

გამომცხვარ პურს ჭრიან;

ცომის გუნდებისაგან ცხვება პური.

ტექსტი N2

პურისა და ხორბლის ისტორია

საქართველო პურეული კულტურების მოშინაურების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება. არსებობდა სხვადასხვა ხარისხისა და თვისებების ხორბალი, რომელთაგანაც ნაირ-ნაირი პური ცხვებოდა.

საქართველოში მარცვლეული კულტურები ოდითგანვე ხარობდა. უძველესი ხანიდან მიწათმოქმედება დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა და ხორბლეულის ისტორიაც უხსოვარი დროიდან იწყება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. საქართველო მდებარეობს ველური ხორბლის წარმოშობის არეალში. ეს უძველესი მცენარე ჩვენს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში იყო გავრცელებული.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს ხორბალი პირველად კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. შემდეგ შულავერში აღმოაჩინეს ჩვ. წ. აღ-მდე V-IV ათასწლეულის ნიმუშები. ქართული ხორბლის ცნობილი ჯიშებია - ზანდური, მახა, ასლი, დიკა, თავთუხი, იფქლი, დოლის პური, ხულუგო, ხოზო, ხოტორა და სხვა. ქართველი და

საზღვარგარეთელი მკვლევარების მიერ საქართველოში სხვადასხვა დროს აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, ძველად საქართველოში ხორბალს ხვარბალად მოიხსენიებდნენ – ეს იყო ზოგადად, მარცვლეულის აღმნიშვნელი სიტყვა. ქართული ენა მდიდარია პურეული მცენარეებისა და მათი სხვადასხვა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინებით. მაგალითად, რბილი ხორბლის ზოგად აღმნიშვნელ სიტყვად იფქლი, ხოლო მაგარი ხორბლის აღმნიშვნელად კი თავთუხი ითვლებოდა. საინტერესოა სიტყვა იფქლის წარმოშობა – იგი გვხვდება ჯერ კიდევ V-XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებსა და საბუთებში.

საქართველოში ხორბალსა და პურს საკულტო დატვირთვა გააჩნდა და დღემდე უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. ისე, როგორც არსად, ჩვენში პურის გარეშე არ არსებობს სუფრა, ხოლო ხორბალს კი ძირითადად რელიგიური და მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრისთვის ამზადებენ, ესენია კორკოტი, წანდილი და კოლიო. საერთოდ, პურის სახეობათა მრავალფეროვნებით საქართველოში მესხეთი გამოირჩევა.

კახეთში ყველაზე მეტად გავრცელებულია შოთი პური და ლავაში, რომელსაც მრგვალი ფორმა აქვს. როგორც წესი, ოჯახი პურს 1-2 კვირაში ერთხელ აცხობდა. პურის ცხობისას ერთი ტრადიცია არსებობდა – დიასახლისს გამოჰქონდა ღვინო, ყველი, მწნილი და ცხელ-ცხელ პურთან ერთად მიირთმევდნენ. ცნობილია მესხური პურიც, მესხეთში პურის სახეობათა მთელი ჩამონათვალი არსებობდა – კაკალა, სომინი, ბაზლამა, უხა, ფათირი და სხვა. მათი ცომი უმეტესად დოლის ან დიკის ფქვილისაგან იზილება, ზოგჯერ ქერსაც იყენებენ. მესხეთში პური ძირითადად ტრადიციულ ფურნეებში ცხვება. ფურნეში გამომცხვარი პური განსაკუთრებული არომატით გამოირჩევა.

დავალებების ბლოკი:

11. ლექსიკონის დახმარებით განმარტეთ სიტყვები:

კერა, მარცვლეული, ველური, მიწათმოქმედება, მრავალფეროვანება

---

12. ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული სიტყვა/სიტყვები

ა) ქართული ენა მდიდარია ---------- ---------- და მათი სხვადასხვა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინებით.

ბ) საქართველოში ხორბალსა და პურს ---------- ---------- გააჩნდა.

გ) პურის ცხობისას ერთი ტრადიცია არსებობდა – დიასახლისს გამოჰქონდა ღვინო, ყველი, მწნილი და ცხელ-ცხელ პურთან ერთად ---------- .

დ) საქართველო მდებარეობს ველური ხორბლის ---------- არეალში.

13. მართებული/მცდარი

ა) საქართველოში მარცვლეული კულტურები უძველესი დროიდან ხარობდა

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ხორბალი პირველად კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა

გ) საქართველოში ხორბლის თოთხმეტი სახეობა მხოლოდ ქართველმა მკვლევარებმა აღწერეს

დ) უცხოელი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ხორბალს ძველ საქართველოში ხვარბალს უწოდებდნენ

ე) კახეთში უპირატესად გავრცელებულია პურის ისეთი სახეობები, როგორებიცაა შოთი და ლავაში

ვ) მესხეთში პური უპირატესად თონეებში ცხვება

ზ) მესხურ პურში ხორბალთან ერთად ყოველთვის ურევენ ქატოს

თ) ხორბალს რელიგიური და მიცვალებულთა მოსახსენიებელი სუფრისთვის ამზადებენ

ტექსტი #3

უნიკალური აღმოჩენა

ყურადღებით მოუსმინეთ სიუჟეტს: https://www.youtube.com/watch?v=12hV2v4ymMk

მოსმენის შემდეგ:

დავალებების ბლოკი:

14. სად აღმოაჩნეს არქეოლოგებმა უნიკალური ნივთები?

ა) სოფელ ხოვლეში;

ბ) სოფელ ხურვალეთში;

გ) სოფელ ხაიშში.

15. სავარაუდოდ, ვის ეკუთვნოდა გორაზე არსებული ნასახლარი?

ა) ღარიბებს;

ბ) ქურუმებს;

გ) დიდებულებს.

16. ველზე გადაჭიმული ისტორიული ძეგლი მოიცავს:

ა) 2 ჰექტარს;

ბ) 4 ჰექტარს;

გ) 5 ჰექტარს.

17. ისტორიულ ძეგლს გარშემო აკრავს გალავანი, რომელიც გაფორმებულია:

ა) ცხენისა და ირმის ქანდაკებებით;

ბ) ცხენისა და ვერძის ქანდაკებებით;

გ) ცხენისა და ხარის ქანდაკებებით.

18. ისტორიული ველი მიწის 8 ფენას მოიცავს, რომლებიც განეკუთვნება:

ა) ძვ. წ. IV-XI საუკუნეებს;

ბ) ძვ.წ. VIII-XV საუკუნეებს;

გ) ძვ.წ. IV-XV საუკუნეებს.

19. უპასუხეთ შეკითხვებს:

- რითია უნიკალური ეს აღმოჩენა?
- რა უნიკალურ ნივთებს მიაკვლიეს არქეოლოგებმა გათხრებისას?
- რა არის სამეთუნეო ჩარხი და რომელი საყოფაცხოვრებო ნივთის გასაკეთებლად იყენებდნენ?
- რომელი ქვეყნიდან არიან სპეციალისტები, რომლებიც სამუშაოებში ჩაერთვებიან?

20. დააჯგუფეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

ველი	აღმოაჩინეს
დიდგვაროვანი	ბორცვი
მიაკვლიეს	მინდორი
გორა	დიდებული

ტექსტი #4

პურის სახეობები და მისი შერჩევა

გარდა ხორბლისა, პური ჭვავის ფქვილისგანაც ცხვება. გემრიელ პურს აცხობენ აგრეთვე ხორბლისა და ჭვავის ფქვილის ნარევისგან. ჭვავის პური ნაკლებად კალორიულია (100 გრამი ჭვავის პურის საშუალო ენერგეტიკული ღირებულებაა 190 კკალ, ხორბლის პურისა კი 233 კკალ) და დიეტურ კვებაში გამოიყენება. გარდა ამისა, სხვადასხვა **დაავადების** დროს დიეტოლოგები გვირჩევენ, მივირთვათ ისეთი დანამატებით გამომცხვარი პური, როგორიც არის, მაგალითად:

- ქატო - სიმსუქნისა და ჭარბი წონის დროს;
- ცილები - რეკომენდებულია დიაბეტიანებისთვის;
- ლეციტინი - რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, ანემიის, ღვიძლის დაავადებების დროს და სტრესის შედეგების შესამცირებლად;
- კვლიავი - კარგია შებერილობისა და მუცელში სიმძიმის დროს;
- იოდი - გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს;
- უმარილო და მცირემარილიანი პური - რეკომენდებულია თირკმელების, ჰიპერტონიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.

ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა **ცეხვილი** ხორბლის პური, რომელსაც ხორბლის ჩამოფქვის სპეციფიკიდან გამომდინარე, შენარჩუნებული აქვს სასარგებლო თვისებები და ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ახდენს. ცეხვილი ხორბლის პური ძირითადად განკუთვნილია დიეტური კვებისთვის.

საქართველოში შედარებით უფრო ნაკლებად პოპულარულია ჭვავის პური, რაც ალბათ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში ოდითგანვე პური ხორბლის ფქვილისგან ცხვებოდა, ხორბლეული კულტურის განვითარების ერთ-ერთ ცენტრად წოდებულ ქვეყანაში ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული გემოვნება ნაკლებად არის მიჩვეული ჭვავის გემოს, რომელიც ხორბალზე არანაკლებ სასარგებლოა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს. შეიძლება ითქვას, ეს ტრადიცია ჩვენთან სწორედ ახლა **იკიდებს ფეხს**.

პურის არჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- კარგად გამომცხვარი პური ელასტიკურია, თითის მსუბუქი დაჭერისას ჩაიზნიქება და მალევე იბრუნებს **საწყის** ფორმას;
- პურის კანი უნდა იყოს ხრაკუნა, პრიალა, ოდნავ ამობურცული, თანაბარი;
- პურს უნდა ჰქონდეს სახეობისათვის დამახასიათებელი გემო და სუნი;

- სახეობისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს პურის ფერიც. მაგალითად, ჭვავისა და ჭვავ-ხორბლის პურს ყავისფერი პრიალა კანი აქვს.
- ჯობს აირჩიოთ შეფუთული პური - ნაკლებია მისი **დაბინძურების** ალბათობა;
- მიაქციეთ ყურადღება, რომ პური არ იყოს **დასვრილი**, დამწვარი ან ზედმეტად თეთრი, გამოუმცხვარი. განსაკუთრებით არასასურველია დამწვარი ზედაპირი, რადგან იგი შესაძლოა **კანცეროგენულ** ნივთიერებებს შეიცავდეს.
- დაიმახსოვრეთ: **საღი** პური დაძველებისას წებოვანი არ ხდება! მას შეიძლება ობი მოეკიდოს, მაგრამ რბილობი წებოვანი არ უნდა გახდეს!

შენახვის ვადა და პირობები

პურის შენახვა ორნაირად შეიძლება: ოთახის ტემპერატურაზე ან გაყინვით. ოთახის ტემპერატურაზე (15-250C, ტენიანობა - არა უმეტეს 75%-ისა) შეუფუთავი პურის შენახვის ვადაა 36 საათი, ხოლო პოლიმერულ აპკში შეფუთულისა - 72 საათი. გაყინვის შემთხვევაში პური აუცილებლად პოლიმერულ აპკში უნდა იყოს შეფუთული. გაყინული პურის შენახვა რამდენიმე თვე შეიძლება. გალღობის შემდეგ იგი სასარგებლო თვისებებს აღიდგენს, თუმცა გემოთი და სუნით, რა თქმა უნდა, ახალგამომცხვარს ვერ შეედრება. არ შეინახოთ პური პოლიეთილენის პარკში, პური შეინახეთ ხის, მომინანქრებულ ან სპეციალურ საპურე კონტეინერში. არ შეინახოთ ერთად ხორბლისა და ჭვავის პური. ჭვავის პურის ტენიანობა უფრო მაღალია, შესაბამისად, იგი უფრო სწრაფად ობდება.

- მაცივარში პური უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე გარეთ. თუ პურს მაცივარში ინახავთ, ჯობს შეინახოთ საყინულეში. გალღობის შემდეგ პური აღიდგენს ახლის თვისებებს.

დავალებების ბლოკი:

21. დაასრულეთ წინადადებები:

1. ცეხვილ პურს მოიხმარენ ----------
2. ჭვავის პურს საქართველოში ნაკლებად ჭამენ, რადგან ----------
3. ნაკლებმარილიანი პური უნდა მიირთვან ----------
4. ქატო უნდა გამოიყენონ ადამიანებმა ----------
5. იოდიზებული პური უნდა მიიღონ ----------
6. ლეციტინიანი პური სასარგებლოა ადამიანებისათვის, რომლებსაც ----------

22. დააკავშირეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

ჭარბი	მკვიდრდება
საღი	ავადმყოფობა
საწყისი/დასაწყისი	ახალი
კანცეროგენული	ზედმეტი

კვება	დაღერღილი/მსხვილად დაფქული
დაბინძურება	ზემოქმედება
ელასტიკური	ჭამა
გავლენა	მომწამლავი
დაავადება	გასვრა/გაჭუჭყიანება
ცეხვილი	თავდაპირველი
ფეხს იკიდებს	მოქნილი

23. ფოტოებს მიუწერეთ შესაბამისი სახელწოდებები:

ლავაში, თონის პური, შოთი, კახური შოთი თონეში, ბატონი, მესხური პური

--- --- ---

--- --- ---

ტექსტი #5

პურის ცხობასთან დაკავშირებული ტრადიციები

პური სხვადასხვა სახით მსოფლიოს ყველა ერის კულინარულ ტრადიციებშია წარმოდგენილი.

პურის ცხობის განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტები სხვადასხვა ხალხის კულტურულ ღირებულებებად იქცა. ანტიკური ხანის ეგვიპტელებმა პირველებმა აღმოაჩინეს პურის კვებითი ღირებულება. **ამ დროს ეგვიპტელებმა უკვე იცოდნენ პურის აფუების ტექნოლოგია.** მოგვიანებით ბერძნებმა ეს მეთოდი ეგვიპტელებისაგან ისწავლეს და

დელიკატესად ქცეული თეთრი, ფუმფულა პურით პირველი ოლიმპიური თამაშების მონაწილეებსა და სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ.

ქართველები, როგორც მიწათმოქმედებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხალხი, პურის ერთ-ერთი პირველი მომხმარებლები არიან მთელ მსოფლიოში. **პურისადმი დამოკიდებულება** ჩვენში ყოველთვის სარიტუალო რანგში იყო აყვანილი. მას მოწიწებით ეპყრობოდნენ და უფრთხილდებოდნენ. სუფრაზე პირველად ღვინო და პური მიჰქონდათ, რომელსაც კი არ ჭრიდნენ, არამედ ხელით ტეხდნენ, ხოლო თუ ძირს დაუვარდებოდათ, აიღებდნენ და აკოცებდნენ. პურის ცხობა ტრადიციულად საოჯახო რიტუალს წარმოადგენდა, ხოლო თონე წმინდა ადგილად იყო მიჩნეული.

აღმოსავლეთ საქართველოშიც ახალი წლის წინ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სარიტუალო პურების გამოცხობას ოჯახის ყველა წევრისთვის. მათ ბედის კვერებს ეძახდნენ, რადგან რიტუალური იყო - თუ კვერი კარგად ამოფუვდებოდა, იმ ოჯახის წევრს კარგი წელი ელოდებოდა, თუ ჩავარდებოდა – არცთუ კარგი.

მთაშიც, მაგალითად, ხევსურეთში, აცხობდნენ სამეკვლეო პურს, მეკვლე მას სახლში შეაგორებდა, თუ წაღმა დავარდებოდა, კარგის ნიშანი იყო…

რაჭაში არსებობდა პურის ლოცვის ტრადიცია, რაც უკავშირდებოდა ბარაქიანი, ხვავიანი მოსავლის მოსვლას. ზოგიერთი ოჯახი დღემდე ასრულებს ამ ლოცვას.

ქართლსა და კახეთში, **ალოობისას** ხშირად მოისმენდით სიმღერას, რომელიც მიწისა და მოსავლის წარმართულ ღვთაებას, **ოროველას** კულტს უკავშირდება. მას მღეროდნენ გუთნით მიწის ხვნის, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს. შესაბამისად, სიმღერას სხვადასხვაგვარადაც მოიხსენიებენ - გუთნური, კალოური.

პური და მარილი (<u>რუს.</u>: хлеб-соль, <u>ბულგ.</u>: хляб и сол) — სლავური სტუმართმოყვარეობის, დახვედრის ცერემონიაა, რომელსაც იყენებენ რუსები, უკრაინელები, ბელარუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები და სერბები). როდესაც ძვირფასი, მნიშვნელოვანი სტუმარი მობრძანდება, მას ხვდებიან ახლადგამომხცვარი პურით რუშნიკზე (დაქარგული ხელსახოცი). სამარილე პურის თავზე იდება ან მაგრდება. თანამედროვე რუსეთში, ოფიციალურ შეხვედრებზე, პურ-მარილს სტუმარს ეროვნულ ტანისამოსში (სარაფანი და კოკოშნიკი) გამოწყობილი ახალგაზრდა გოგონები მიართმევენ.

მსგავსი ტრადიცია არსებობს ლიტვაში, რომლის კულტურა ისტორიულად უკავშირდება ჩრდილო სლავურს. იგივე ტრადიცია შეიძლება ინახოს რუმინეთშიც.

როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა იყოს **ებრაელთა პურობა**, მას ყოველთვის ახლავს სამი საკრალური ელემენტი: მარილი, პური, ღვინო. ეს პურობის ეტიკეტის სავალდებულო წესია.

დავალებების ბლოკი:

24. გაეცანით სიტყვების მნიშვნელობებს და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

საკრალური- წმინდა, რელიგიურ კულტთან დაკავშირებული, ჩვეულებითი;

ალოობა - სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო;

დელიკატესი - განსაკუთრებით გემრიელი, სანუკვარი საჭმელი;

ოროველა - მიწისა და მოსავლის ღვთაება.

25. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა აღმოაჩინეს პირველად ეგვიპტელებმა?
2. როგორ იყენებდნენ ბერძნები თეთრ პურს?
3. რატომ ეპყრობოდნენ საქართველოში პურს უძველესი დროიდან განსაკუთრებულად?
4. როდის აცხობენ სარიტუალო პურებს?
5. ვინ არის მეკვლე?
6. როდის ასრულებენ და რა ეწოდება სიმღერას, რომელიც ოროველას ეძღვნება?
7. რომელ კუთხეში ასრულებენ პურის ლოცვას?
8. რომელი ძირითადი ელემენტებია წარმოდგენილი სლავურ და ებრაულ ტრადიციებში?

დავალება/იდეები:

1. სიუჟეტი პურის შესახებ -,,ქართული პური“ (https://www.youtube.com/watch?v=6hge88TbKZg), მოკლე შინაარსის გადმოცემა, რეზიუმე;
2. სიუეტი პურის წარმოების შესახებ http://palitranews.ge/video/es-nivtierebebi-gamoiqeneba-saretskh-fkhvnilebshi-3-ingredienti-purshi-romelits-janmtelobistvis-sazianoa, მოკლე შინაარსის გადმოცემა, რეზიუმე;
3. სლოგანის/პლაკატის შექმნა ან ინტერნეტში მოძიება, რომელიც შეიძლება მიეძღვნას პურის დღეს. საკუთარი არჩევანის ახსნა;
4. პურისგან გაკეთებული რომელიმე კერძი (რეცეპტი);
5. უცნობი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა.

ხეების დარგვის დღე

ოქტომბერი

გამოწვევის აქტივობა

საუბარი PowerPoint-ის პრეზენტაციის „მსოფლიოს გამორჩეული ხეები“ გაცნობით

- ხეების რომელი ჯიშები იცით?
- რით არის გამორჩეული ამა თუ იმ კონკრეტული ხის ჯიში?
- დაგირგავთ ხე?

ტექსტი N1

ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
უდიერად	უხეშად, უპასუხისმგებლოდ
გაუდაბნოება	მიწის დეგრადაცია. ნაყოფიერი მიწების გამოფიტვა, უნაყოფოდ გადაქცევა.
გადაშენება	განადგურება, გაქრობა
გაღივება	აღმოცენება, თესლის ამოსვლა
შეფერხება	შეყოვნება, შეჩერება
ყლორტი	მცენარის ახლად ამოსული ტოტი

მასწავლებლის მიერ ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა.

მწვანე საფარის მნიშვნელობა

22 ოქტომბერს ხის დარგვის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ეს დღე 1874 წელს დაარსდა. მისი დამაარსებელი ამერიკელი ბოტანიკოსი და შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრი, სტერლინგ მორტონი გახლდათ.

რისთვის არის საჭირო ხეები, ტყე?

დედამიწის მწვანე საფარის მნიშვნელობის გადამეტება შეუძლებელია. ტყე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, დაწყებული ჟანგბადით, რომელსაც ვსუნთქავთ და დასრულებული ხის მასალით, რომელსაც ასე უდიერად მოვიხმართ. ტყე აუცილებელი საარსებო გარემოა ცხოველებისთვის. მწვანე საფარი იცავს მიწას გაუდაბნოებისა და მეწყრებისაგან, ინარჩუნებს მიწისქვეშა წყლებს. მიუხედავად იმისა, რომ ასე ვართ დამოკიდებული ტყეზე, მაინც ვანადგურებთ მას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად **2½** მილიარდი ხე ირგვება. მათ უმეტესობას სატყეო საზოგადოების წევრები რგავენ. მილიონზე მეტი ხე ბუნებრივად მრავლდება თესლით. სამწუხაროდ, რიგ ქვეყნებში ტყის საფარი მკვეთრად მცირდება. ხის ბევრი ჯიში გადაშენების პირასაა. ტყეებს მოფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. ტყეების გაშენების პროცესი ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ხეების გამრავლების საინტერესო ფაქტები

1973 წელს მავრიკიის კუნძულზე აღმოაჩინეს უცნაური ჯიშის ხეები. საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ ყველაზე ახალგაზრდა ხე 300 წლის აღმოჩნდა. ხეები ჯერ კიდევ ისხამდნენ კაკლისებრ ნაყოფს, მაგრამ მცენარე აღარ მრავლდებოდა. ეკოლოგებმა სცადეს ხის გამრავლება თესლით, მაგრამ ყველა ცდა უშედეგო გამოდგა. მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ხეების გამრავლება დრონტების გადაშენებას უკავშირდებოდა. ეს მოზრდილი ფრინველი დაახლოებით 300 წლის წინ გადაშენდა. აღმოჩნდა, რომ ამ უცნაურის ხის ნაყოფს ძალიან მაგარი გარსი ჰქონდა და თესლი მხოლოდ მას შემდეგ ახერხებდა გაღვივებას, რაც დრონტის კუჭში გაივლიდა. ეკოლოგებმა დრონტთან ყველაზე ახლოს მდგომ ფრინველს, ინდაურს გადააყლაპეს ხის ნაყოფი და ამ გზით შეძლეს გადაშენების პირას მისული ხის ჯიშის გამრავლება.



დრონტი

პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ტყის დასაცავად 1890 წელს კალიფორნიაში სეკვოიას ეროვნული პარკი დაარსდა. ცალკეული ხეების ასაკი აქ 3 000 წელს უახლოვდება. პარკში 2 700 წლის ხე იზრდება, რომლის სიმაღლე 85 მეტრს და დიამეტრი 8 მეტრს აღწევს. ხის სავარაუდო წონა 1500 ტონაა. სეკვოიას ნაკრძალის დაარსების შემდეგ ეკოლოგებმა

უცნაური რამ შენიშნეს - აღმოჩნდა, რომ ხეები აღარ მრავლდებოდა. მეცნიერები დიდხანს იკვლევდნენ მიზეზებს და საბოლოოდ აღმოაჩინეს, რომ სეკვოიას თესლის გაღივებისთვის მაღალი ტემპერატურა იყო საჭირო. დაცულ ტერიტორიაზე ხანძრების არარსებობის გამო ხის გამრავლება შეფერხდა. ახლა ეროვნული პარკის თანამშრომლები დროდადრო თავად აჩაღებენ მცირე ხანძრებს ნაკრძალში, რომ სეკვოიას გამრავლებას ხელი შეუწყონ. რა თქმა უნდა, ხელოვნურად ხანძრის გაჩენისას დაცულია უსაფრთხოების ყველა წესი და არ ზიანდება პარკის არც ერთი მცენარე.

აქტივობა პირველი ტექსტის წაკითხვის შემდეგ

მოცემული კითხვითი სიტყვების გამოყენებით დასვით კითხვები წაკითხული ტექსტის მიხედვით

რომელი	ფრინველის არსებობა უწყობდა ხელს ხეების გამრავლებას მავრიკიაში?
ვინ	
რა	
სად	
როგორ	
რატომ	
რისგან	
როდის	

კითხვები ფილმის ნახვამდე

დღესდღეობით მსოფლიოში მძიმე ვითარებაა ეკოლოგიური თვალსაზრისით.

- რამდენად შედეგიანი იქნება, თუკი ერთი ადამიანი დაუპირისპირება არსებულ სიტუაციას?
- შესაძლებელია ერთმა ადამიანმა მნიშვნელოვნად შეცვალოს გარემო?

ფილმის ნახვა: „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ (ჟან ჯიონოს მოთხრობის მიხედვით)

ფილმის ბმული: https://www.youtube.com/watch?v=4tu1iSlUwek

კითხვები დისკუსიისთვის

- რა განწყობა შეგიქმნათ ფილმმა?
- შეგეცვალათ თუ არა აზრი ფილმის ნახვის შემდეგ?
- სად ხდება მოქმედება?
- რამდენად მოქმედებს ბუნება/გარემო ადამიანებზე?
- რამ გამოიწვია ადამიანების დამოკიდებულების შეიცვალა ერთმანეთის მიმართ?
- რამდენად რეალურია ფილმში აღწერილი სიტუაცია?

ტექსტი N2

ტექსტის კითხვა წყვილებში

მონაწილეები წყვილდებიან. ერთ-ერთი მეწყვილე ხმამაღლა კითხულობს ტექსტის პირველ ნაწილს. მეორე უსმენს და რამდენიმე წინადადებით აჯამებს მოსმენილს. ყოველი მომდევნო მონაკვეთის წაკითხვისას მეწყვილეები ცვლიან როლებს.

ჩვენი დროის გმირები

ტყის კაცი

ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს მდინარე ბრაჰმაპუტრაში კუნძული მანჯული მდებარეობს. ყოველ გაზაფხულზე ადიდებული ბრაჰმაპუტრა მანჯულის მიწებს იტაცებს. კუნძული წლიდან წლამდე მცირდება. ჯადა პანგი მანჯულის მცხოვრებია. ის ყოველდღე რგავს ხეებს. ჯადამ ხეების დარგვა 1979 წელს დაიწყო და ამ დროისთვის 550 ჰექტარის ფართობის ტყე გააშენა (შედარებისთვის, ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის ფართობი 341 ჰექტარია). პანგის მიერ გაშენებულ ტყეში ცხოველები დასახლდნენ. იქ ვეფხვი, ირემი და მარტორქაც კი ბინადრობს, ასევე, მიგრაციის პერიოდში ჯადას ტყეში სპილოც კი ატარებს 3 თვეს. ჯადა პანგი ამბობს, რომ ტყეში არ არის არც ერთი ურჩხული, ადამიანის გარდა. მას ძალიან უჭირს გაზრდილი ხეების დაცვა მოსახლეობისგან. ჯადას თქმით, ადამიანი მანამ მოიხმარს უდიერად ბუნების ყველა რესურსს, სანამ ის საბოლოოდ არ ამოიწურება და არ გაქრება. ჯადა პანგი დღესაც აგრძელებს ხეების დარგვას, რომ მანჯული გადაარჩინოს.

დევიდ მილარჩი

1991 წელს დევიდ მილარჩმა, მიჩიგანელმა მეტყევემ, გადაწყვიტა სეკვოიას უძველესი ხეების გადარჩენა. სეკვოია ძალიან ძვირფასი ხეა. მას არანაირი ჭია და სოკო არ აზიანებს. ის თითქმის მარადიულია. ზუსტად ამით აიხსნება ამ ხეების ასაკი და გამძლეობა. დევიდის თქმით, საუკუნეების მანძილზე მოსახლეობამ სეკვოას ხეების 95% გაანადგურა. ამ მასალას ტონობით მოიხმარდნენ. დევიდმა გადაწყვიტა გადაშენების პირას მყოფი ხეებისთვის ყლორტები აეჭრა და დაეფესვიანებინა. ამ საკითხზე დევიდის მთელი ოჯახი მუშაობდა. მათ შეძლეს ყლორტების დაფესვიანება და სეკვოიას გამრავლება. მილარჩებმა შეარჩიეს საუკეთესო

კლიმატური პირობები და ორიგონის შტატში დარგეს სეკვოიას ნერგები. დევიდი იმედოვნებს, რომ შეძლებს შემოუნახოს მსოფლიოს სეკვოიას უნიკალური ხეები.

კაცი, რომელმაც უდაბნო შეაჩერა

XX საუკუნის 70-80-იან წლეში ბურკინა ფასოს ტერიტორიაზე, უდაბნო საჰილის მიდამოებში, გვალვიანი პერიოდი დაემთხვა. ამან მიწის გაუდაბნოება გამოიწვია. სოფლებში საკვები აღარ იყო და მოსახლეობა ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად. წერა-კითხვის უცოდინარმა ფერმერმა, იაკუბა სავადოგამ, უდაბნოს შეჩერება გადაწყვიტა. მან მიწის დამუშავების ახალი ტექნიკა მოიგონა. წინაპრების ტრადიციას ახალი ელემენტები დაუმატა და ტყის გაშენებას შეუდგა. ის გამომშრალ მიწაში დიდ ორმოებს თხრიდა, პატარა კენჭებით ჯებირებს აშენებდა, რომლებიც წვიმის წყალს აგროვებდა. იაკუბამ მიწაში მწერების გარკვეული ჯიში მოაშენა, რომლებიც მიწას აფხვიერებდნენ. დაუღალავი შრომით მან მცენარეების აღმოცენება შეძლო. ფერმერს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ადგი-ლობრივები. მათ არ მოსწონდათ წინაპრების ტრადიციების შეცვლა. იაკუბა გიჟად შერაცხეს, არ ელაპარაკებოდნენ, ახლად აღმოცენებულ ტყეს ცეცხლიც კი მოუკიდეს. მაგრამ იაკუბა არ შეშინებულა. თუ კაცს მტერი გყავს, ეტყობა, კარგ საქმეს აკეთებო, თქვა და მუშაობა კიდევ უფრო მეტი მონდომებით გააგრძელა - დასამუშავებელი მიწის ფართობი გაზარდა, ტყე და ყანები გააშენა. გარკვეული დროის შემდეგ მას ბევრმა მიბაძა. მოსახლეობა დაუბრუნდა სოფელს და 10 წლის მანძილზე გაორმაგდა კიდეც.



დავალებათა ბლოკი:

კითხვები ტექსტის წაკითხვის შემდეგ

- რა განწყობა დაგეუფლათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
- იცოდით რაიმე ამ ადამიანების შესახებ?
- ხომ არ იცით რაიმე მსგავსი ისტორია?

შემაჯამებელი აქტივობა: 5 კითხვა

ვინ?	როდის?	სად?	რა ქნა?	რატომ?

პრაქტიკული აქტივობა

სტუდენტები რგავენ ხეებს. ხეების დასარგავად შეარჩევენ საგანგებო ადგილს, ეს შეიძლება იყოს მათი სახლის ეზო, სააგარაკო ადგილი, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ან, სულაც, ქოთანი აივანზე.

რამდენიმე რჩევა ხის დარგვისთვის:

1) როდის სჯობს ხეების დარგვა?

ხეების დასარგავად საუკეთესო დროა გვიანი შემოდგომა და ადრე გაზაფხული. მნიშვნელოვანია, რომ ხეს „ეძინოს“, ანუ ხის წვენი არ მოძრაობდეს. მაშინ მცენარეს გაუადვილდება ახალ გარემოსთან შეგუება.

2) რომელი ჯიშების დარგვაა უმჯობესი?

ყოველთვის სჯობს დასარგავად ავარჩიოთ ენდემური ჯიშები, ანუ კონკრეტული გეოგრაფიული არეალისათვის დამახასიათებელი ჯიშები. დარგვისას გასათვალისწინებელია ადგილი. მზიან ადგილას მზისმოყვარული მცენარეები დავრგათ, რომლებიც ადვილად იტანენ სიცხეს. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ ნიადაგს. ხის სხვადასხვა ჯიში განსხვავებულ ნიადაგზე ხარობს.

3) როგორ მოვუაროთ და დავიცვათ ნარგავები?

ხეს აუცილებლად სჭირდება მოვლა, უხვი მორწყვა, განსაკუთრებით, დარგვის პირველ წელს. ახალგაზრდა ხეს თითო მორწყვაზე 20-30 ლიტრი სჭირდება. ზაფხულში ხე უფრო ხშირად უნდა მოირწყას, ვიდრე შემოდგომასა და გაზაფხულზე. მორწყვასაც თავისი წესი აქვს. მცენარეები ან დილით ადრე უნდა მოირწყას, ან საღამოს. შუადღისას ხის მორწყვა არასასურველია, რადგან მცხუნვარე მზის ქვეშ აორთქლებულმა წყალმა შეიძლება ხის ფესვები გადაახუროს და დააზიანოს. საჭიროა ნიადაგი კომპოსტითა და ბუნებრივი სასუქით გავამდიდროთ. შეიძლება ნერგს გვერდით სარი დავურჭოთ, რომ ძლიერმა ქარმა არ გადატეხოს.

4) სად შევიძინოთ ნერგები?

ხარისხიანი ნერგების შესაძენად უმჯობესია სანერგეებს მივმართოთ. იქ კონკრეტული ადგილისა და ნიადაგისთვის ნერგებსაც შეგვირჩევენ და რჩევასაც მოგვცემენ, როგორ მოვუაროთ მათ. ასეთი სანერგეები მრავლადაა თბილისსა და მის შემოგარენში: სანერგეები ლისის ტბაზე, თბილისის ზღვაზე, ასევე „გარდენია შევარდნაძე“, „greengarden“, „საქართველოს ნერგები“ და სხვა.

<u>გამოყენებული ბმულები:</u>

<u>https://infos.ge/gardeniashevardnadze</u>

<u>https://ka-ge.facebook.com/SaqartvelosNergebi/</u>

<u>http://greengarden.ge/index.php?run=cart/home</u>

საშინაო დავალება

- **უყურეთ შემოთავაზებულ ფილმსა და ვიდეოს:**

  https://www.youtube.com/watch?v=vNCH6uhB_Bs

  „HOME“ - https://www.youtube.com/watch?v=DwFg93Qycrs

- **მოიძიეთ ინფორმაცია**
  - რას უწოდებენ დედამიწის ფილტვებს?
  - დედამიწის რომელ ნაწილში გვხვდება ყველაზე მეტი ტყე?
  - ხმელეთის რა პროცენტი უკავია ტყეებს? უდაბნოს? დასახლებულ ტერიტორიებს? (პროცენტები გამოსახეთ გრაფიკით)

მეცნიერების დღე

ოქტომბერი

შინაარსი: ვინ არის მეცნიერი და რას აკეთებს იგი? რა კავშირია ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის? რატომ უნდა დავაფასოთ მეცნიერთა შრომა?

გამოწვევის/პროვოცირების აქტივობები

აქტივობა 1. ფრონტალური შეკითხვები (სწრაფი პასუხები ან მოკლე საუბრები)

რას აკეთებენ მეცნიერები? შესაძლო პასუხები: აკვირდებიან; იყენებენ შეგრძნების ორგანოებს და სპეციალურ ხელსაწყოებს; სვამენ შეკითხვებს; ბევრს ფიქრობენ; ზომავენ; ატარებენ ცდებს და ექსპერიმენტებს; გამოაქვთ დასკვნები და ავრცელებენ ინფორმაციას.

დაახასიათეთ ტიპური მეცნიერი, როგორია იგი? როგორ გამოიყურება? სად მუშაობს? სად ატარებს დროის დიდ ნაწილს? რა ნივთებით სარგებლობს? რა მიზნები აქვს და რა სარგებელი მოაქვს მის მუშაობას? რა მოხდება, ყველა მეცნიერმა თავი რომ დაანებოს სამეცნიერო საქმიანობას?

გაიხსენეთ და აღწერეთ რომელიმე ცნობილი მეცნიერი. რა გააკეთა? რა შეისწავლა ან გამოიგონა? რაში ვიყენებთ მის კვლევებს და აღმოჩენებს? რა სირთულეები გადალახა? რა მოხდა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ან უჩვეულო?

გაიხსენეთ და დაახასიათეთ რამდენიმე ნივთი/გამოგონება, რომლებსაც აქტიურად ვიყენებთ ყოფა-ცხოვრებაში. როგორ ვიყენებთ ამ ნივთს? რომელ მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა გამოიყენეს შენი აზრით ამ ნივთის შექმნისას?

აქტივობა 2. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე „მეცნიერება“ („მეცნიერი“).



აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადება და დაფიქრდით, ეთანხმებით თუ არა მასში გადმოცემულ აზრს. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ყველა მეცნიერი უცნაური ადამიანია. (დიახ / არა)

აქტივობა 4. საუბარი ფოტოების მიხედვით. დააკვირდით ფოტოებს. აღწერეთ, რას ხედავთ თითოეულ ფოტოზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ხედავთ?
აარჩიეთ მეცნიერების ორი დარგი/სფერო. ისაუბრეთ ამ დარგების მეცნიერთა შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე.
თქვენ რომ მეცნიერი ყოფილიყავით, რომელს აირჩევდით? რატომ?

აქტივობა 5. ფილმის განხილვა. უყურეთ
ფილმის „უკან მომავალში IV“ თრეილერს. https://www.youtube.com/watch?v=dA6Jsr7MWw4

‘ვინ არიან ფილმის მთავარი პერსონაჟები? რა ხდება ამ ფილმში? როგორია ფილმის მეცნიერი პერსონაჟი? როგორ ფიქრობ, რა მიზანი აქვს? რატომ შექმნა დროის მანქანა? თქვენ რომ შეხვედროდით ამ მეცნიერს, რას ჰკითხავდით? რას სთხოვდით? რაზე დაელაპარაკებოდით? დაწერეთ რამდენიმე შეკითხვა თრეილერის მიხედვით.

საბაზისო შესავალი ტექსტი. მეცნიერთა ტიპები

შესაძლო აქტივობები:

- ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით (ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს ან სტუდენტები კითხულობენ წყვილებში)
- ლექსიკური ერთეულების წინასწარ განხილვა
- „ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს“

ტექსტი 1

მეცნიერები

ნაწილი პირველი: შესავალი

ბევრს ისე წარმოუდგენია, რომ მეცნიერს თეთრი ხალათი უნდა ეცვას, სათვალე უნდა ეკეთოს და მუდამ ერთი და იგივე, მოსაწყენი საქმით იყოს დაკავებული. სინამდვილეში ასე არ არის. მეცნიერთა ცხოვრება და საქმიანობა მეტად აქტიური და საინტერესოა. ზოგიერთი მეცნიერი მართლაც ლაბორატორიაში მუშაობს, მაგრამ ბევრი მათგანი სხვა სახის კვლევებშია ჩართული.

ვინ არის მეცნიერი? ეს არის ადამიანი, რომელიც კონკრეტულ **დარგშია** განსწავლული და ატარებს კვლევებს ამ დარგში დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. მისი საქმიანობის მთავარი მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება. მეცნიერები ძალიან ცნობისმოყვარეები არიან. ისინი რომელიმე კონკრეტულ სფეროს ირჩევენ და ამ სფეროში არსებულ ინფორმაციაზე არიან **ფოკუსირებულნი**. ზოგი მეცნიერი ადამიანის ორგანიზმს იკვლევს, ზოგი ვეშაპების კომუნიკაციას, ზოგიერთი კი - კოსმოსური სხეულების შემადგენლობას.

მეცნიერების უამრავი დარგი არსებობს და მათი რაოდენობა თანდათან მატულობს. მაგალითად, **ხელოვნური ინტელექტის** შემსწავლელი მეცნიერება საუკუნეების წინ საერთოდ არ არსებობდა, დღეს კი - კვლევის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენებიდან ხშირად ასახელებენ გრავიტაციას, ელექტრობას, რენტგენის სხივებს, ანტიბიოტიკებს; შედარებით ახალი აღმოჩენებიდან კი - კლონირებას, წყალს მარსზე, ეგზოპლანეტებს და სხვ.



მეცნიერული კვლევები და აღმოჩენები მეტად სასარგებლოა კაცობრიობისათვის. ფაქტია, რომ მეცნიერთა მუშაობის გარეშე ბევრი საჭირო რამ არ იარსებებდა. თუმცა ზოგიერთმა აღმოჩენამ შეიძლება გარკვეული პრობლემებიც მოგვიტანოს. მაგალითად, ატომის სტრუქტურის შესწავლას მოჰყვა დაგროვილი ცოდნის გამოყენება იარაღის შექმნაში. ატომური **განიარაღება** დღესაც რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ დააფასოს მეცნიერები და მათი კვლევები. ამ მიზნით **იუნესკომ** (UNESCO) სპეციალური დღეც გამოყო კალენდარში და 10 ნოემბერი მეცნიერთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღეს კიდევ ერთხელ ვიხსენებთ ცნობილ მეცნიერებს და აღვნიშნავთ მათ **დამსახურებებს** საზოგადოების წინაშე; მსოფლიოს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეცნიერებასთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო, სახალისო აქტივობა ტარდება.

ნაწილი მეორე: რა არის მეცნიერული მეთოდი

მეცნიერები მუშაობისას კვლევის **მეცნიერულ მეთოდს** იყენებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი სწორად გააკეთეს. მაგრამ რა მეთოდია ეს? როგორ მუშაობს იგი? გავიხსენოთ მეცნიერული მეთოდის ნაბიჯები და **პროცედურები**.

ყველა მეცნიერის მიზანია ისეთი შეკითხვების დასმა და ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ამისათვის საჭიროა სამეცნიერო კვლევის საფეხურების სწორად გამოყენება. თუ მეთოდის შემადგენელ, ქვემოთ აღწერილ კონკრეტულ ნაბიჯებს თანმიმდევრულად გადავდგამთ, მეცნიერული კვლევის ჩატარებას შევძლებთ.

საფეხური	**მაგალითი**
1. მეცნიერი აკვირდება მოვლენებს.	მოვლენა: წელს ჟოლო ცუდად გაიზარდა.
2. მეცნიერი სვამს შეკითხვას. საკვლევი შეკითხვის დასმა და პრობლემის განსაზღვრა აუცილებელია.	შეკითხვა (პრობლემის განსაზღვრა): რატომ არ გაიზარდა ჟოლო წელს კარგად?

3. მეცნიერი სწავლობს და ეცნობა დაგროვილ ინფორმაციას შეკითხვის/პრობლემის გარშემო. სხვა მეცნიერებმა რა შეისწავლეს უკვე? ხომ არ არსებობს პასუხები დასმულ შეკითხვაზე? რამდენად დამაკმაყოფილებელია არსებული პასუხები?	წიგნები, სტატიები, კვლევის ანგარიშები კენკრეულის ზრდის, ჟოლოს მოსავლის, წვიმის გავლენის შესახებ.
4. მეცნიერი აყალიბებს **ჰიპოთეზას**. ის გამოთქვამს ვარაუდს და წინასწარ გამოიცნობს პასუხს დასმულ შეკითხვაზე. მნიშვნელოვანია, რომ ჰიპოთეზის შემოწმება შესაძლებელი იყოს.	ვარაუდი/ჰიპოთეზა: ჟოლო იმიტომ არ გაიზარდა კარგად, რომ წელს საკმარისი წვიმა არ გვქონდა.
5. მეცნიერი ატარებს ექსპერიმენტს და ამოწმებს ჰიპოთეზას. ის იწყებს ცდების ჩატარებას, ცდილობს დაადგინოს, სწორია თუ არა მის მიერ გამოთქმული ვარაუდი. ექსპერიმენტის ჩატარება ბევრ რამეს შეიძლება გულისხმობდეს. ის შეიძლება ჩატარდეს ბუნებაში ან სპეციალურად მოწყობილ ლაბორატორიაში. ასე გროვდება მონაცემები, რომლებიც ეხმარება მეცნიერს დასაბუთებული პასუხების ჩამოყალიბებაში.	ექსპერიმენტი: დათესილი ჟოლო მოთავსებულია ზომიერად განათებულ ადგილას. ყველა ნათესი ყოველდღიურად თანაბარი რაოდენობის სინათლეს იღებს. თითეული ნათესი განსხვავებული რაოდენბის წყლით მოირწყვება. მას შემდეგ, რაც ნათესი ნაყოფს გამოიღებს, თითოეული ჟოლო ყოველდღიურად გაიზომება და ზომები ჩაიწერება სპეციალურ დღიურში.
6. მეცნიერი აგროვებს და აანალიზებს **მონაცემებს**. მონაცემების შეგროვების შემდეგ მეცნიერი იყენებს მათ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, გამოაქვს დასკვნები და გამართულად აყალიბებს კვლევის შედეგებს.	მონაცემების შეგროვება და აღრიცხვა: ის ნათესი, რომელსაც 1 ჭიქა წყალს უსხამდნენ ყოველდღიურად, საშუალოდ 1,5 სმ. დიამეტრის ნაყოფი მოგვცა, ხოლო იმ ნათესმა, რომელსაც 2 ჭიქა წყალს უსხამდნენ, საშუალოდ 2,5 სმ. ის ჟოლო, რომელიც მეტ წყალს იღებდა, უფრო დიდი ზომის ნაყოფს გვაძლევდა. ამიტომ თავდაპირველი ვარაუდი გამართლდა, ჰიპოთეზა დადასტურდა. წვიმის ნაკლებობამ ცუდი მოსავალი გამოიწვია.
7. მეცნიერი წერს ანგარიშს და ავრცელებს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის შესახებ.	სტატია ჟოლოს მოსავალზე წვიმის გავლენის შესახებ.
8. თუ ჰიპოთეზა არ დადასტურდა, მეცნიერი ხელახლა ატარებს ექსპერიმენტს. თუმცა, ზოგჯერ მეცნიერმა შეიძლება აღმოაჩინოს,	შედეგების გადასამოწმებლად შესაძლებელია ექსპერიმენტის ხელახლა გამეორება.

რომ გარკვეული ცვლილებების შემთხვევაში ექსპერიმენტი სხვა შედეგს მოიტანდა. თუ ექსპერიმენტმა არ დაადასტურა ჰიპოთეზა, ეს არ ნიშნავს, რომ ცუდი კვლევა ჩატარდა. ასეთ დროს ის ხელახლა იყენებს მეცნიერულ მეთოდს და ცდილობს, უკეთესად უპასუხოს შეკითხვას.	

რამდენიმე დავალება

შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ, ან გ)

1. *ძირითადად რას აკეთებს მეცნიერი?*

ა) ასუფთავებს ლაბორატორიებს. ბ) ატარებს კვლევებს. გ) წერს რეპორტაჟებს.

2. *რომელი ორგანიზაციის ინიციატივით დაიწყო მეცნიერთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა?*

ა) იუნესკოს. ბ) მსოფლიო ბანკის. გ) WWF-ის.

3. *რა მიზნით აღინიშნება მეცნიერთა საერთაშორისო დღე?*

ა) დავაფასოთ მეცნიერთა დამსახურებები.

ბ) გავიხსენოთ ცნობილი მეცნიერები.

გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.

4. *რომელია მეცნიერული მეთოდის გამოყენების მეორე საფეხური?*

ა) კონკრეტულ მოვლენაზე დაკვირვება.

ბ) კვლევის ანგარიშის დაწერა.

გ) საკვლევი შეკითხვის ჩამოყალიბება.

5. *რას აკეთებს მკვლევარი მონაცემების გაანალიზების შემდეგ, ანგარიშის დაწერამდე?*

ა) გამოაქვს დასკვნები. ბ) იწყებს ახალ ექსპერიმენტს. გ) წერს სტატიას.

6. *რა სახის პრობლემები შეიძლება მოიტანოს ზოგიერთმა მეცნიერულმა კვლევამ?*

_____

_____

_____

_____

7. *რატომ არის მნიშვნელოვანი მონაცემების შეგროვება კვლევის ჩატარებისას?*

_____

_____

_____

გახაზეთ ერთ-ერთი სიტყვა, რომლითაც შეიძლება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შეცვლა.

8. ***მეცნიერების უამრავი დარგი არსებობს და მათი რაოდენობა თანდათან მატულობს.***

ა) მხარე. ბ) უჯრედი. გ) სფერო.

9. ***ატომის სტრუქტურის შესწავლას მოჰყვა დაგროვილი ცოდნის გამოყენება იარაღის შექმნაში.***

ა) მდებარედობის. ბ) აგებულების. გ) გარეგნობის.

10. **თავდაპირველი ვარაუდი გამართლდა და მკვლევარის ჰიპოთეზა დადასტურდა.**

ა) ძველი. ბ) საწყისი. გ) უახლესი.

წაიკითხეთ ტექსტი, მოიფიქრეთ და ჩაწერეთ გამოტოვებული სიტყვები.

ტექსტი 2

ალფრედ ნობელი და მისი პრემია

ცნობილი ქიმიკოსი და ინჟინერ-გამომგონებელი ალფრედ ნობელი _____ 1833 წლის 21 ოქტომბერს შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში. იგი მრავალი _____ კვლევის ავტორი და 355 პატენტის მფლობელი იყო, თუმცა სახელი გაითქვა როგორც დინამიტის _____ . ერთმა უზუსტობამ კი მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა. კერძოდ, 1888 წელს ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში შეცდომით _____ ცნობა ალფრედ ნობელის _____ შესახებ. ნეკროლოგში მას დინამიტის გამოგონებისთვის ცუდად მოიხსენიებდნენ. მეცნიერმა გადაწყვიტა ხალხისთვის სხვაგვარად დაემახსოვრებინა თავი. 1895 წლის 27 ნოემბერს მან ხელი მოაწერა ანდერძს, რომელიც ნობელის პრემიის დაარსებას ითვალისწინებდა. ალფრედ ნობელი გარდაიცვალა 1896 წლის 10 დეკემბერს. ნობელის ფონდი 1900 წელს შეიქმნა.

მისი საწყისი კაპიტალი 31 მილიონ შვედურ კრონს შეადგენდა. გამარჯვებულები პირველად 1901 წლის 10 დეკემბერს _____ . ანდერძის თანახმად, პრემია გადაეცათ ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგია-მედიცინის და კულტურის _____ ღირსეულ წარმომადგენლებს, ასევე მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლებს. 1969 წლიდან ნობელის პრემია ეკონომიკაშიც დაწესდა.

1946 წლიდან ნობელის _____ გადასახადებისგან გათავისუფლდა. ის ინვესტიციებისა და საქველმოქმედო შემოსავლების ხარჯზე ივსება. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზეც _____ ნობელი, ასევე დიპლომისა და ფულადი თანხის ჩეკისაგან; თანხის _____ განისაზღვრება ნობელის პრემიის ფონდის შემოსავლით (როგორც წესი, 30-70 ათასი აშშ დოლარი). ნობელის პრემიას ცალკეულ პირს მხოლოდ ერთხელ ანიჭებენ. გამონაკლისი იყო მარია სკლოდოვსკაია-კიური. მან ფიზიკაშიც მიიღო ნობელის პრემია და ქიმიაშიც.

ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ყოველი წლის 10 დეკემბერს, ნობელის გარდაცვალების დღეს იმართება. ეს დღე ნობელის დღედაა გამოცხადებული. 1901 წელს პირველი პრემიის გადაცემასთან ერთად გაიმართა ნობელის პირველი ბანკეტი. დღეისათვის ბანკეტს სტოკჰოლმის მერიის ლურჯ დარბაზში აწყობენ. ბანკეტზე იწვევენ 1300-1400-მდე სტუმარს. ფრაკი და საღამოს კაბა აუცილებელია. მენიუს შერჩევაში მონაწილეობენ _____ , რომლებსაც ამა თუ იმ წელს მიენიჭათ „წლის კულინარის“ წოდება. სექტემბერში მენიუს სამ ვარიანტს ნობელის კომიტეტის წევრები აგემოვნებენ. საბოლოოდ სწორედ ისინი წყვეტენ, რა _____ იქნება “ნობელის სუფრაზე”. ნობელის მენიუდან წინასწარ _____ მხოლოდ ერთი უცვლელი დესერტი - ნაყინი. თუმცა 10 დეკემბრის საღამომდე არავინ იცის, რომელი სახეობის ნაყინი იქნება ბანკეტზე. საბანკეტო სერვისი 1991 წელს ნობელის პრემიის 90 წლისთავთან დაკავშირებით საგანგებო შეკვეთით დაამზადებინეს (შეკვეთის ღირებულება 1 მილიონ დოლარს აღემატებოდა). დარბაზში მაგიდები გეომეტრიული სიზუსტითაა განლაგებული. მას იტალიიდან გამოგზავნილი 23 ათასი ყვავილით რთავენ. ოფიციანტების თითოეული მოძრაობა მკაცრადაა გათვლილი. ნაყინის საზეიმო შემოტანას სამ წუთს ანდომებენ, სხვა კერძების შემოტანას ორი წუთი ეთმობა.

ყოველი წლის 10 დეკემბერს ზუსტად 19:00 საათზე საპატიო სტუმრები მეფისა და დედოფლის თაოსნობით კიბეებით ეშვებიან ლურჯ დარბაზში, სადაც სხვა სტუმრები უკვე მაგიდებს უსხედან. შვედეთის მეფე ხელკავით მიაცილებს ნობელის პრემიის ლაურეატ ქალბატონს ან ნობელის პრემიის ფიზიკის ლაურეატის მეუღლეს. ვახშმის განმავლობაში სახელოვანი მუსიკოსები უკრავენ. ბანკეტი სრულდება ნაყინით. ნაყინს გვირგვინივით ადგას შოკოლადით გამოძერწილი ლათინური “N”. 22:15-ზე შვედეთის მეფის ნიშანზე ყველანი საცეკვაოდ ინაცვლებენ ოქროს დარბაზში. 01:30-ზე სტუმრები შინ ბრუნდებიან.

პრაქტიკული აქტივობა: რა მოუვა წყალში ჩაგდებულ გოგრას?

შესასწავლი ცნებები და უნარები: ჩაძირვა და ტივტივი; ვარაუდის გამოთქმა შედეგების შესახებ; ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

მასალა და რესურსები

რამდენიმე მცირე ზომის გოგრა ან ჩვეულებრივი ზომის ლიმონი. წყლით სავსე ვაზა. სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული.

უპასუხე შეკითხვებს:

- გამოიცანი, თუ გოგრას ან ლიმონს წყლით სავსე ვაზაში მოვათავსებთ, ჩაიძირება თუ იტივიტივებს? ჩაწერეთ თქვენი ვარაუდი სქემაში (იხილეთ ქვემოთ).
- ჩაუშვით გოგრები/ლიმონი წყალში. აღწერეთ, რას ხედავთ. ჩაიძირა თუ ტივტივებს? რომელი ნაწილი არის ზემოთ, როცა გოგრა ტივტივებს, ყუნწი, გვერდი თუ ქვედა ნაწილი? ყველა გოგრა ერთნაირად ტივტივებს?
- ჩაწერეთ შედეგები რვეულში.
- ახლა სხვა ხილი და ბოსტნეულიც ჩაუშვით წყალში. დააკვირდით, რა ხდება. იძირება თუ ტივტივებს?
- დააკვირდით და მოიფიქრეთ, რა აქვთ საერთო იმ ხილსა და ბოსტნეულს, რომელიც ტივტივებს. აღწერეთ მოვლენა, რომელსაც ხედავთ. ისაუბრეთ სხვადასხვა საგნის „ქცევის“ შესახებ.
- ახლა კი შეგიძლიათ მიირთვათ ექსპერიმენტში გამოყენებული ხილი და ბოსტნეული ☺.

ექსპერიმენტის აღწერის ფორმა:

რა ვარაუდი გაქვთ? როგორ ფიქრობთ, ჩაიძირება თუ ამოტივტივდება გოგრა/ლიმონი წყალში? გახაზეთ ერთ-ერთი.	- ჩაიძირება - იტივტივებს
დახატე შენი ვარაუდი.	

რა მოხდა? ჩაიძირა თუ ამოტივტივდა გოგრა? რომელ მხარეს გაჩერდა ყუნწი? (ზემოთ, ქვემოთ, თუ გვერდით) აღწერეთ წერილობით და დახატეთ სურათი.	....
როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე? დაფიქრდი და გააკეთე ანალიზი.	....
გამოიტანე საბოლოო დასკვნა და დაწერე.	....

ტექსტი 3

მეცნიერება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში

დღეს ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ტელეფონს, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს, ვმგზავრობთ მატარებლითა და თვითმფრინავით, ვიუმჯობესებთ ჯანმრთელობას სხვადასხვა პრეპარატით, ვიღებთ ინფორმაციას საკუთარი ადგილმდებარეობისა და დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი საუკეთესო მარშრუტის შესახებ. მეცნიერული მიღწევების გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. დაასახელეთ და აღწერეთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც

მეცნიერებასთან ჩვენს ყოველდღიურ კავშირს ადასტურებს. რაში ვიყენებთ დადებითად მეცნიერთა მიღწევებს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ყველაზე სასარგებლო შემთხვევითი აღმოჩენები

მოიძიეთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: რა არის პენიცილინი და როგორ იყენებენ მას? რა შედეგი მოიტანა პენიცილინის გამოგონებამ? როგორ გამოიგონეს პენიცილინი?
წაიკითხეთ ტექსტის „მედიცინის „100 უდიდესი აღმოჩენა“ მონაკვეთი ინტენრნეტ-ჟურნალის „ოჯახის მკურნალი“ გვერდზე: http://www.mkurnali.ge/skhvadaskhva/medicinis-istoria/4438-medicinis-100-udidesi-aghmochena.html

ისაუბრეთ და გაუზიარეთ ერთმანეთს მოძიებული ინფორმაცია. გადმოეცით ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამი შემაჯამებელი წინადადებით.
კიდევ რომელი შემთხვევითი აღმოჩენები იცით? რომელი აღმოჩნდა კაცობრიობისთვის განსაკუთრებულად სასიკეთო?

შემაჯამებელი აქტივობა: „კუთხეები“

საკამათო თემა: *ცხოველების გამოყენება მეცნიერულ ცდებში უნდა აიკრძალოს.*

განიხილეთ თემა. ჩამოაყალიბეთ არგუმენტები და მოემზადეთ დებატებისთვის.

საშინაო დავალება

- უყურეთ ფილმს „უკან მომავალში“. დაწერეთ რეზიუმე სამი წინადადებით. დაუსვით მეცნიერს სამი შეკითხვა.
- მოიძიეთ ინფორმაცია რომელიმე ცნობილი მეცნიერის ცხოვრების ან მეცნიერული მიღწევის შესახებ და მოემზადეთ აუდიტორიაში მოსათხრობად.
- შეადგინეთ რთული წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ტივტივი, ჩაძირვა, ყუნწი, ვარაუდი, დასკვნა, ექსპერიმენტი.

სიკეთის დღე

ნოემბერი

შინაარსი: *საჭიროებს თუ არა სიკეთე განმარტებას. როგორია კეთილი ადამიანი და რას აკეთებს იგი. რატომ უნდა ვაკეთოთ სიკეთე. როდის აქვს სიკეთეს ფასი. რა შინაარსი შეიძლება შეიძინოს სიკეთემ. რა უნდა გვახსოვდეს სიკეთის კეთების დროს.*

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს)

რა შეიძლება იყოს სიკეთე?

გაიხსენე სიკეთის მაგალითები?

- ვისი გაკეთებული სიკეთე დაგამახსოვრდა?
- სიკეთედ შეიძლება ჩაითვალოს თუ არა ოჯახის წევრის/მეგობრის დახმარება?
- რატომ იყო დასამახსოვრებელი გაკეთებული სიკეთე?
- როდის აკეთებენ სიკეთეს ადამიანები?
- რა არის საჭირო სიკეთის საკეთებლად?
- რატომ უნდა ვაკეთოთ სიკეთე?
- აუცილებელია თუ არა მადლობა სიკეთის გადასახდელად?
- აუცილებელია თუ არა სიკეთისთვის სამაგიეროს გადახდა?

გაიხსენეთ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრის მიერ გაკეთებული სიკეთე.

გაიხსენეთ ყველაზე კეთილი ადამიანი

- ვინ არის?
- რა გააკეთა?
- რითაა გამორჩელი?
- რა პროფესიისაა?
- როგორ გამოიყურება?
- როგორ შეცვალა შენი ან სხვისი ცხოვრება მისმა საქციელმა?

რა სტერეოტიპები არსებობს კეთილ ადამიანებზე?

- როგორ გამოიყურებიან?
- როგორ იქცევიან?
- რამდენად დამოკიდებულია ასაკზე/სქესზე/ რელიგიურ თუ ეთნიკურ კუთნილებაზე
- რადენად წარმატებულები არიან?

გაიხსენეთ რამდენიმე ლექსი, სიმღერა, ფილმი ან ანიმიციური სურათი, რომელიც ადამინების სიკეთის შესახებ მოგვითხობს.

- ვის შესახებ მოგვითხობს ნაწარმოები?
- რატომ წერენ სიკეთეზე?
- რატომ იღებნ ფილმებს?

აქტივობა 2. შექმენი ასოციაციური რუკა სიტყვა „სიკეთის“გამოყენებით:



აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმეთ ან უარყავით)

ყველა ადამიანი ზოგადად კეთილია (დიახ / არა)

სიკეთის კეთება ადვილია (დიახ / არა)

სიკეთის კეთება გადამდებია (დიახ / არა)

მსუქანი ადამიანები კეთილები არიანი (დიახ / არა)

„ბოროტსა სძლია კეთილმა არსება მისი გრძელია“ (დიახ / არა)

აქტივობა 4. დააკვირდით ფოტოებს. აღწერეთ რას ხედავთ თითოეულ ფოტოზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ხედავთ?

მსგავსებები და განსხვავებები სხვადასხვა ქცევას შორის.

აქტივობა 5. უყურეთ ფილმს „არასერიოზული კაცი“

ვინ არიან ფილმის მთავარი პერსონაჟები?
რა ხდება ამ ფილმში? როგორია ფილმის მთავარი პერსონაჟი?
როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს?

ტექსტი N 1

ძნელია ნახო ადამიანი, რომელსაც სიკეთის განმარტრება სჭირდებოდეს, ყველამ იცის რა არის სიკეთე. ასევე ყველა მოქალაქე თანხმდება მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ცხოვრებაში. თუმცა სიკეთის კეთება ადამიანებს განსხვავებულად ესმით. ამ განსხვავებულობის მიზეზი შესაძლოა იყოს აღზრდა, ტრადიციები, რელიგიური, ეთნიკური თუ პროფესიული კუთვნილება. უფრო მეტიც შესაძლოა ცალკეული ქცევა ერთი შემთხვევისათვის სიკეთედ, ხოლო მეორისთვის არასასუველ ქმედებად განიხილებოდეს. მაგ. საჩუქარ სიკეთეა, პატივისცემა, მაგრამ შესაძლებლია იგი იყოს ქრთამი, ან სულაც შეურაცხყოფელი აღმოჩნდეს ადამიანისთვის, იმის და მიხედვით, სად, ვინ და ვის სთავაზობს საჩუქარს. ამის მიუხედავად სიკეთის გაგება ყველა დროსა და ყველა საზოგადოებაში გვხვდება, როგორც ყველაზე სასურველი ქცევა.

მიუხედავად იმისა, რომ სიკეთის კეთების აუცილებლობაზე არავინ დაობს და პირიქით იგი ნებისმიერი საზოგადოების ძირეულ ღირებულებას წარმოადგენს, მოთხოვნა მეტი სიკეთის კეთებაზე მუდამ არსებობდა. სიკეთის კეთების ორგანიზების უამრავი ფორმა არსებობს, იქმნებოდა და იქმნება სხვადასხვა ჯგუფი, მოძრაობა, რომლებიც ქველმოქმედებას კოლექტიური ფორმით ეწევიან. ასევე ცნობილია სიკეთის კეთების უამრავი კერძო მაგალითები.

კეთილი გმირების ბრძოლა სხვა ადამიანებისა თუ სამყაროს გადასარჩენად მთავარ ადგილს იკავებს ზღაპრებში, თქმულებებში, ლიტერატურასა თუ შემოქმედების ნებისმიერ სფეროში. შეიძლება იქვას, რომ ყველა ნაწარმოები, იგავებით დაწყებული და კომპიუტერული თამაშებით დამთავრებული, პირადპირ თუ ირიბად, სიკეთის კეთებისკენ მოგვიწოდებს და გვიბიძგებს. კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება როგორც წესი, უმრავლეს შეთხვევაში სწორედ სიკეთის გამარჯვებით სრულდება.

სიკეთის, როგორც ღირებულების, მნიშვნელობაზე მიუთითებს ყველა ენაში დაფიქსირებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე და მათი ფართო გამოყენება. ქართულის მაგალითზე, სიკეთის კეთება იგივეა, რაც სიქველე, ქველმოქმედება, მადლის ქმნა, გულითადობა, გულისხმიერბა, სიალალე, დახმარება, ხელის გამართვა, მხარში დადგომა, ზრუნვა, სიკეთის თესვა, სიკეთის ქმნა. ასევე ვხვდებით გამოთქმებს, კეთილი თვალები, კეთილი აზრები, კეთილი გული, კეთილი ღიმილი, კეთილი მზერა, სიკეთით გევლოს, კეთილი გზა, კეთილად მენახე და ა.შ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წელიწადში არის კიდევ ერთი, გამორჩეული დღე **13 ნოემბერი**, როდესაც საგანგებოდ უნდა დავფიქრდეთ, თუ რა არის სიკეთე და რა ძალისხმევითაა შესაძლებელი სიკეთის კეთება. ამ დღეს მსოფლიო მოძრაობები შეახსენებენ ადამიანებს, რომ მცირედი ძალისხმევითაც არის შესაძლებელი სიკეთის კეთება და ამის შესაძლებლობა ყოველთვის და ყველასთვის არსებობს.

დავალებების ბლოკი:

6. დაასათურეთ ტექსტი ----------

შემოხაზეთ სწორი პასუხი

7. როგორ ესმით ადამიანებს სიკეთე?

1) ერთნაირად
2) თავისებურად
3) განსხვავებულად
4) არაფერიც არ ესმით

8. **როგორ შეიძლება სიკეთის გაგება კონტექსტის მიხედვით?**



9. **რაზე არ დაობენ ადამიანები სიკეთის კეთების .....**
   1) მნიშვნელობაზე
   2) გარდაუვალობაზე
   3) მოთხოვნილებაზე
   4) აუცილებლობაზე

10. **რა და როგორი სახითაა სიკეთის კეთება შესაძლებელი**
    1) ----------
    2) ----------

11. **სად ვერ ვხვდებით კეთილი გმირების ბრძოლას ადამიანებისა თუ ზოგადად სამყაროს გადასარჩენად?**
    1) ზღაპრებში
    2) მითებში
    3) კომპიუტერულ თამაშებში
    4) ყველგან გვხვდება

12. **ქართულ ენაში დაფიქსირებული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სიკეთეს უკავშირდება:**



13. ადამიანის რომელ ორგანოებს უკავშირდება სიკეთის გამოხატვა მონიშნეთ და მიუთითეთ:

14. ორგანიზაციების აზრით როგორი ძალისხმევა კმარა სიკეთის საკეთებლად?

1) არანაირი
2) მცირედი
3) უდიდესი
4) საშუალო

ტექსტი N 2

ამონარიდი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან

„ოთარაანთ ქვრივი“ (პილპილ-მოყრილი მადლი)

მართლა ასე იყო თუ არა, — ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილ-შვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილ-შვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

— აჰა, ხეთქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, — დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი. შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

— მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია — მუქთაა თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე..

დავალებების ბლოკი:

15. დაასრულე წინადადებები:

წვრილ-შვილიანი დედაკაცი ცხოვრობდა ----------

წვრილ-შვილიანი დედაკაცი ცოტა ----------

ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ----------

ოთარაანთ ქვრივი ეტყოდა ხოლმე ----------

წვრილ-შვილიანი დედაკაცი მაინც ეტყოდა ხოლმე ----------

რა აზრის იყოს ოთარაანთ ქვრივი მადლობაზე ----------

16. შეკითხვები დისკუსიისათვის:

1. რატომ მიჰქონდა ყოველ კვირა დღეს საკვები ოთარაანთ ქვრივს წვრილშვილიან დედაკაცთან?
2. რას ემსახურებოდა ოთარაანთ ქვრივის სათქმელი დედაკაცისადმი?
3. აუცილებელია თუ არა მადლობა და იზიარებთ თუ არა ოთარაანთ ქვრივის მოსაზრებას მადლობის თქმასთან დაკავშირებით?
4. სიკეთის როგორ ფორმას ვხვდებით ოთარაანთ ქვრივის მაგალითზე?
5. არის თუ არა ეს საქციელი „მადლი მადლითვის და არა მადლობისთვის!“

17. გააფერადეთ და აღწერეთ ნახატები (იმსჯელე სიკეთის ფორმებზე):

ტექსტი N 3

ბებიის ხსოვნის პატივსაცემად 8 წლის ბავშვმა 600 კეთილი საქმე გააკეთა ერთ წელიწადში

გასულ კვირას ლეიკვუდის მკვიდრმა, 8 წლის ალექს მაკკელვიმ, სიკეთის კეთების ერთწლიანი მისია 600 კეთილი საქმით დაასრულა. გოგონას ოჯახმა საქველმოქმედო საქმიანობა 2013 წლის სექტემბერში დაიწყო, როცა ალექსის ბებია გარდაიცვალა, ოჯახმა ფიცი დადო, რომ 2014 წლის 22 მარტამდე ქალის ხსოვნის პატივსაცემად 60 კეთილ საქმეს ჩაიდენდა, რადგან ამ დღეს ბებია 60 წლის უნდა გამხდარიყო. მისიის შესრულების შემდეგ ალექსმა გადაწყვიტა, ამას არ დასჯერებოდა და მიზნად დაისახა 2015 წლამდე 600 კეთილი საქმის შესრულება.

„600 იმიტომ ავირჩიე, რომ 60–ზე ათჯერ მეტია," ამბობს ალექსი. „ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინდა, ჯერ ათასი, შემდეგ კი მილიონი კეთილი საქმე გავაკეთოთ."

ალექსის უკანასკნელი ქველმოქმედება (ამ დროისთვის) ლეიკვუდის ახალგაზრდული ცენტრის რემონტის დასრულებაა. ალექსის ოჯახმა მოხალისეებთან ერთად შენობის შეკეთებაში

რამდენიმე კვირა დახარჯა. მათ შემოწირულობა შეაგროვეს და ცენტრს ახალი თამაშები უყიდეს.

ალექსის კეთილი საქმეები მეტად მრავალფეროვანია: კანფეტების აპარატში ხურდების დატოვება, ტაკომაში სამაშველო სამუშაოებში მოხალისეობა, მომსახურე პერსონალისთვის 100 - დოლარიანი ჩაის დატოვება და ა.შ.

„ამას პოპულარობისთვის არ ვაკეთებ," ამბობს ალექსი. „ეს არ მჭირდება, უბრალოდ მინდა კარგი პატარა გოგონა ვიყო."

წყარო: http://goodnews.on.ge/news/213-bebiis-xsovnis-pativsacemad-8-clis-bavshvma-600-ketili-sakme-gaaketa-ert-celicadshi

დავალებების ბლოკი:

18. ამოიწერეთ ციფრები ტექსტიდან და დაალაგეთ თანმიმდევრობით უდიდესიდან უმცირესამდე:

ალექსის ასაკი ---

ჩაის ოდენობა ---

ბებიის ასაკი ---

სიკეთის რაოდენობა წელიტადში ---

წელი, როდესაც ბებია გარდაიცვალა -----

წელი, როდესაც ალექსმა ახალი მიზანი დაისახა ----

19. წარმოიდგინეთ და ჩამოთვალეთ ალექსის მიერ გაკეთბელი, სიკეთეები რა შეეძლო მას გაკეთებინა ბებიის :

ტექსტის მიხედვით:	საკუთარი წამოდგენით:

ტექსტი N 4

ფრანგი სოციოლოგი და ანთროპოლოგი, მარსელ მოსი, საჩუქრის შესახებ

მარსელ მოსმა 1925 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "საჩუქარი: გაცვლის ფორმები და საფუძველი არქაულ საზოგადოებაში". ის დღემდე აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

რისი თქმა სურდა მოსს ამ ნაშრომით? რომ საჩუქრის ჩუქება ყველა საზოგადოებაში იძულებითი ხასიათისაა და მოვალეობებს აღძრავს. მისი აზრით საჩუქარი არქაულ საზოგადოებაში არის მთელის ნაწილი, რომელიც მოძრაობს და მთლიანობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული, ამიტომ არის საჩუქრის ჩუქება სავალდებულო.

მოსის კვლევის თანახმად, არ არსებობს ე. წ. "თავისუფალი" საჩუქარი. ადამიანთა საზოგადოებაში საჩუქრის მთავარი მახასიათებელი სწორედ ვალდებულებაა. მოსმა შემდეგი ვალდებულებები გამოყო: საჩუქრის გაცემა (გაღება), მიღება და უკან დაბრუნება. ამ ვალდებულებათაგან უმთავრესია საჩუქრის უკან დაბრუნება.

საჩუქრების "გაცვლის" შედეგად იქმნება და ძლიერდება ადამიანებს შორის კავშირები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჩუქრებს ადამიანებს შორის შუამავლის ფუნქცია აქვთ და მათ შორის კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

დავალებების ბლოკი:

20. რატომ არ კარგავს აქტუალობას მარსელ მოსის ნაშრომი დღესაც?

-

21. მოსის კვლევის თანახმად, როგორი საჩუქარი არ არსებობს?

---

22. რა სახის ვალდებულებები გამოყო საჩუქართან დაკავშირებით მარსელ მოსმა, ამოირჩიეთ გრაფიკა და ჩაწერეთ, რომელიც ამ ვალდებულებების მიმართებას გამოხატავს მართებულად :



23. რა ფუნქციას ანიჭებს მარსელ მოსი საჩუქარს საზოგადეობაში?

ა) შუამავლის

ბ) მომრიგებლის

დ) მოსამართლის

გ) მომწესრიგებლის

24. იმსჯელეთ გამონათქვამების შინაარსა და მორალზე: რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ გამონათქვამს შორის?

- ✓ მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება!
- ✓ მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო

აქტივობა 24. „კუთხეები“

სადისკუსიო თემა: როდესაც უცნობი გთავაზობს ძვირადღირებულ საჩუქარს, თუ გამოართმევდით ? რა შემთხვევაში და რა მიზეზით?

იმსჯელეთ საკითხზე: არსებობს თუ არა უანგარო სამსახური ან საჩუქარი?

საშინაო დავალება

- უყურეთ ფილმს „ვერის უბნის მელოდიები“. დაწერეთ რეზიუმე სამი წინადადებით. დაუსვით ვარდოს შეკითხვა.
- მოიძიეთ ინფორმაცია ცნობილი ქველმოქმედის შესახებ.
- შეადგინეთ რთული წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: საჩუქარი, გაღება, ფული, მადლი, მხარდაჭერა, ქველმოქმედება.
- მოიფიქრეთ პიარკამპანია მეზობელი პატარა გოგონას ოპერაციისათვის ფულის მოსაგროვებლად და მის გასამხნევებლად.

მისალმების საერთაშორისო დღე

ნოემბერი

კითხვები გამოწვევისთვის:

როგორ ესალმებიან ადამიანები ერთმანეთს? რომელ სიტყვებს ან ჟესტებს იყენებენ?
თქვენ როგორ ესალმებით ადამიანებს? უფროსსა და თანატოლს? უცნობს? გოგონას/ბიჭს?
პირადად/სოციალურ ქსელში?
თქვენი აზით, რატომ ესალმებიან ადამიანები ერთმანეთს?
ვის არ მიესალმებით?
რას იგრძნობ/იფიქრებ, თუ ნაცნობი არ მოგესალმება?
რას იგრძნობ/იფიქრებ, თუ უცნობი მოგესალმება?
სალამი თავისი არსით, პოზიტიურია. არსებობს ნეგატიური სალამი? როგორია იგი?
რატომ არ ესალმებით ყველას?
თქვენი აზრით, რატომ შეიძლება არსებობდეს და აღინიშნებოდეს მისალმების მსოფლიო დღე?

ანდაზები

სალამი ღვთისაა

სალამი მტერსაც არ დაეჭირება

რას გვასწავლის ეს ანდაზები?

ერთი შეხედვით ისეთ უბრალო, მარტივ და ყოველდღიურ სიტყვას როგორიც გამარჯობაა, შეუძლია შეცვალოს ადამიანების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. 21 ნოემბერი მისალმების მსოფლიო დღეა, როცა შეგიძლიათ მიესალმოთ სრულიად უცხო ადამიანს და სასიამოვნო დღე

უსურვოთ. ნებისმიერი ურთიერთობა მისალმებით იწყება. მისალმების მსოფლიო დღე კი სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ადამიანები კომუნიკაციის მნიშვნელობაზე დააფიქროს.

1. **რატომ და როგორ დაარსდა მისალმების მსოფლიო დღე? (ძირითადი ტექსტი)**

მისალმების მსოფლიო დღე პირველად 1973 წელს აღნიშნეს, რადგან უნდოდათ, ადამიანებისთვის (განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთის ხალხისთვის) ეჩვენებინათ, რომ კონფლიქტები უნდა მოგვარდეს კომუნიკაციით და არა ძალადობით. გულღია სალამი და გულწრფელი კომუნიკაცია მშვიდობის შენარჩუნებაში გვეხმარება. ეგვიპტესა და ისრაელს შორის 1973 წლის ოქტომბერში დასრულდა ომი, რომელმაც ათასობით სამხედრო პირი და უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. მსოფლიო მისალმების დღე ამ ომის პირდაპირი პასუხი იყო. მისალმების იდეა გაუჩნდათ ამერიკელ ძმებს - ბრაიან და მაიკლ მაკკორმაკებს. ამ თარიღის დაარსებიდან დიდი დრო, მსოფლიო მშვიდობის დღე უკვე 180-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. ადამიანები 21 ნოემბერს გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებასა და შეხედულებებს მსოფლიო მშვიდობის შესახებ. ნობელის მშვიდობის პრემიის 31-მა მფლობელმა განაცხადა, რომ მისალმების მსოფლიო დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის წარმოადგენს მსოფლიო მშვიდობის სიმბოლოს. მისალმების დღეს მსოფლიოში ყველა ადამიანს, ორგანიზაციას, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ეძლევა შესაძლებლობა, რომ იზრუნონ მსოფლიოს სიმშვიდეზე.

დავალებათა ბლოკი:

კითხვები:

13.როდის აღნიშნავენ მსოფლიო მისალმების დღეს?
14.როდის და ვინ დააარსა მისალმების დღე?
15.რატომ გაჩნდა ამ დღის დაარსების იდეა?
16.რა იცით ალფრედ ნობელისა და ნობელის მშვიდობის პრემიის შესახებ?

დააწყვილე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (ტექსტში სიტყვები გამუქებულია) :

1. სიმშვიდე	ა) შეხედულება
2. დასრულდა	ბ) გულღია
3. განაცხადა	გ) მართალი
4. სიმბოლო	დ) დამთავრება
5. გულწრფელი	ე) სტაბილურობა,
6. უდანაშაულო	ვ) თქვა
7. მისალმება	ზ) ნიშანი
8. დამოკიდებულება	თ) გამარჯობა

როგორ აღვნიშნოთ მისალმების დღე, რა შეიძლება გავაკეთოთ?

ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ადვილია: 21 ნოემბერს საკმარისია 10 უცნობ ადამიანს მიესალმო და დღესასწაულიც აღნიშნულია. შეგიძლიათ გულთბილი მისალმების ბარათები ან მესიჯებიც გაგზავნოთ. ამ იდეის ავტორები ხომ სწორედ იმას იმედოვნებდნენ, რომ ეს მცირედი ჟესტიც ხელს უწყობს კომუნიკაციას, პრობლემების მოგვარებასა და კონფლიქტების თავიდან არიდებას. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ საკუთარ შეცდომაზე დაფიქრება და მისი აღიარება სუსტი მხარის ჩვენებაა, მაგრამ ისინი ცდებიან. მხოლოდ ძლიერს შეუძლია მშვიდობის ნიშნად პირველმა გაუწოდოს ხელი მოწინააღმდეგეს.

დავალებათა ბლოკი:

კითხვები

თქვენი აზრით, საჭიროა ამ დღის აღნიშვნა? (ახსენით თქვენი პასუხი)

თქვენ როგორ აღნიშნავდით ამ დღეს?

2. როგორ ესალმებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყანაში?

საქართველოში ურთიერთმისალმებისას სიტყვა ,,გამარჯობას" ამბობენ. ამ სიტყვის ძირი გამარჯვებას უკავშირდება. სიტყვები ,,გამარჯვება" და ,,მშვიდობა" ქართულ ენაში მისალმება-გამოთხოვებისას ხშირად გამოიყენება (დილა მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა...). ხშირად მისალმებისას ხელს ართმევენ ერთმანეთს და კოცნიან. ურთიერთგადაკოცნა ქართულ რეალობაში გვიანდელია. ძველად პატივისცემის ნიშნად მხარზე ეამბორებოდნენ უფროს მამაკაცს.

ფრანგები მისალმებისას წარმოთქვამენ "Comment ca va", - რაც შეიძლება ასე ითარგმნოს: "ეს ვინ მოდის (ეს როგორ მოდის?)"

იტალიელები წარმოთქვამენ: "Come sta", - "როგორ დგახარ?".

არაბები იტყოდნენ "Salaam alei-kum!" - "მშვიდობა თქვენდა!"

ინგლისელი იკითხავდა: "How do you do?", - პირდაპირი თარგმანით ნიშნავს: "როგორ აკეთებთ თქვენ?"

ინდოეთში დილით შეიძლება ასეც კი მოგმართონ: "ძალიან ხომ არ შეუწუხებიხართ ღამით კოღოებს?"

ევროპის და ამერიკის უმეტეს ქვეყნებში უბრალოდ კითხულობენ "როგორაა საქმე?", პასუხად უბრუნებენ "კარგად" ან "არა უშავს". პასუხი "ცუდად" არ ითვლება კარგ ტონად.

მალაიზიაშია - კითხულობენ "სად მიდიხარ?", პასუხობენ "სასეირნოდ".

ებრაელები - ერთმანეთს" უსურვებენ "მშვიდობა შენ"

სპარსელები (ირანელები) - ”მხიარული იყავ”

გრენლანდიელები - ”კარგი ამინდია”

ძველ ეგვიპტეში, მონღოლეთში, ჩინეთში შემხვედრს მისალმების ნიშნად ეკითხებოდნენ ”ხომ ჯანმრთელადაა შენი საქონელი.”

მისალმებაში თვალნათლივ ჩანს, რას ანიჭებს ესა თუ ის ერი უპირატესობას. მაგალითად: ქართველები - გამარჯვებას და მშვიდობას, ინგლისელები და ამერიკელები - შრომას, იტალიელები - სტაბილურობას, ფრანგები - ცვლილებებს, მრავალფეროვნებას, რუსები - ჯანმრთელობას ("Здравствуй!", ჯანმრთელად იცოცხლე - იყავი), არაბები - მშვიდობას. ყოველივე ეს ამ ხალხების ისტორიიდან მომდინარეობს.

დავალებათა ბლოკი:

კითხვები:

1. რომელ ქვეყანაშია დაკავშირებული მისალმება სეირნობასთან? მშვიდობასთან? დგომასთან? ამინდთან?
2. რატომ არის დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის მისალმება სხვადასხვა მოვლენასთან?

სავარჯიშო: ჩასვით გამოტოვებულ ადგილას სიტყვები შესაბამისი ფორმით:

დაკავშირება, კითხვა, მიმართვა, უპირატესობის მინიჭება

1. მისალმებაში თვალნათლივ ჩანს, რას ---------- ---------- ესა თუ ის ერი.
2. ძველ ეგვიპტეში, მონღოლეთში, ჩინეთში შემხვედრს მისალმების ნიშნად ----------: ”ხომ ჯანმრთელადაა შენი საქონელი?”
3. ინდოეთში დილით შეიძლება ასე ----------: ”ძალიან ხომ არ შეუწუხებიხართ ღამით კოღოებს?”
4. საქართველოში ,,გამარჯობას“ ამბობენ და ამ სიტყვის ძირი ,,გამარჯვებას“ ----------.

დავალება: მოცემულ სიტყვებს მიუწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ტექსტიდან (სიტყვები გამუქებულია)

ცხადად ---------- მიიჩნევა ----------

ამბორი ---------- ამბობენ ----------

დამშვიდობება ---------- მოგება ----------

3. ჟესტები და სხეულის ენა

სიტყვების და გამოთქმების გარდა მისალმებისას ჟესტებსაც იყენებენ. ადამიანები მისალმების ნიშნად ერთმანეთს მარჯვენა ხელს უწვდიან ანუ ხელს ართმევენ. ეს ყველაზე გავრცელებული ჟესტია და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება. იგი ძველი დროიდან მოდის და ფიქრობენ, ამით თითქოს აჩვენებენ, რომ იარაღი არ აქვთ და შემხვედრის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან.

რა ჟესტებს იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში?

საფრანგეთში - არაოფიციალურ სიტუაციაში უცნობი ადამიანებიც კი ერთმანეთს ლოყებს ადებენ და ჰაერში კოცნას უშვებენ.

ემოციური ლათინოამერიკელები - შეხვედრისას ერთმანეთს გადაეხვევიან.

ლაპლანდიელები - ერთმანეთს ცხვირებს უხახუნებენ.

იაპონელები - ერთმანეთს წელში მოხრით ესალმებიან, ხელები შეიძლება დაშვებული ჰქონდეთ.

კორეელები -ერთმანეთს წელში მოხრით ესალმებიან, ხელები ერთმანეთზე აქვთ დადებული.

ჩინელებიც წელში მოხრით ესალმებიან ერთმანეთს, ოღონდ საკუთარ ხელებს ერთმანეთს ჩასჭიდებდნენ და მოხრილ მდგომარეობაში მკერდის წინ აღმართავდნენ.

ინდოეთში - მისალმებისა და პატივისცემის ნიშნად ხელებს ერთმანეთს შეახებენ და მკერდზე მიიდებენ.

არაბები - მკერდზე ხელებს გადაიჯვარედინებენ.

ტიბეტელები - ენას გამოყოფენ.

ახალი გვინეის ტომები შეხვედრისას ერთმანეთს ნიკაპებით უღიტინებენ.

სამოელები გაგინაწყენდებიან თუ შეხვედრისას კარგად არ დაყნოსეთ.

ახალ ზელანდიაში მისალმებისას ერთმანეთს ცხვირსა ადებენ.

მოზამბიკში მისალმებამდე სამჯერ ადებენ ერთმანეთს გაშლილ ხელისგულებს.

ფილიპინების კუნძულებზე მისალმების დროს უფროსი მარჯვენა ხელის შუბლზე ადებს, რაც გულისხმობს -"მე პატივს ვცემ თქვენს ხელს".

ძველად წარჩინებული ბატონები მისალმებისას **ფრთებით** შემკულ ქუდს მოიხდიდნენ და ერთმანეთს ფეხებთან უფრიალებდნენ. მოგვიანებით ასეთი მისალმება გამარტივდა, მამაკაცები **ქუდს ოდნავ წამოსწევდნენ თავიდან** და ამით ამთავრებდნენ მისალმებასაც. ქუდის მოხდის ტრადიცია მებრძოლი **რაინდების** ეპოქიდან მოდის, როდესაც შემხვედრისთვის კეთილგანწყობის საჩვენებლად **მუზარადს** იხდიდნენ და ერთმანეთს სახეს აჩვენებდნენ. ამით ამტკიცებდნენ, რომ საომრად არ იყვნენ განწყობილნი.

შეარჩიე სწორი პასუხი:

1. მისალმებისას ნიკაპს ერთმანეთს ადებენ:

ა) ახალ ზელანდაიში;

ბ) მოზამბიკში;

გ) ახალ გვინეაში;

დ) ფილიპინების კუნძულებზე;

2. ცხვირის მიდებით ესალმებიან:

ა) ახალ გვინეასა და სამოაში;

ბ) ტიბეტსა და ლაპლანდიაში;

გ) ახალ გვინეასა და ახალ ზელანდიაში;

დ) ლაპლანდიასა და ახალ ზელანდიაში.

3. მისალმებისას ერთმანეთს ყნოსავენ:

ა) ჩინეთში;

ბ) იაპონიაში;

გ) ახალ გვინეაში;

დ) სამოაში.

დავალება: ტექსტში გამუქებული სიტყვები მიუწერეთ შესაბამის ფოტოებს:

--- --- --- ---

კითხვები

1. რომელ ქვეყანაში ისურვებდით/არ ისურვებდით წასვლას?
2. რომელ ქვეყანას აქვს ყველაზე უცნაური ტრადიცია?
3. თქვენ თუ მოგსალმებიათ ვინმე ძალიან უცნაურად?

4. ყველაზე ხშირად ვინ (რომელი პროფესიის ადამიანი) შეიძლება აღმოჩნდეს უცნაურ სიტუაციაში მისალმებისას?

პოლიტიკოსები და უცნაური მისალმებები ☺)))

https://www.youtube.com/watch?v=kUkVqi254D4 ; https://www.youtube.com/watch?v=SSeRi4SmtcI

https://www.youtube.com/watch?v=aFaCO8y4Zo0

ვიდეორგოლებთან დაკავშირებული კითხვები და მოსაზრებები

ფოტოების მიხედვით გამოიცანი რომელი ქვეყნის წარმომადგენლები ესალმებიან ერთმანეთს და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

(მსჯელობა დაიწყეთ ასე: ***ჩემი აზრით***, ერთმანეთს ესალმებიან....., **რადგან...,** ან ***ვფიქრობ/მიმაჩნია, რომ*** ერთმანეთს ესალმებიან ....., **რადგან**....)



--- ---

--- ---

---------- ----------

4. სიტუაციის შესახებ მსჯელობა/დასათაურება

სამარშრუტო ტაქსიში მამაკაცი ამოვიდა და საერთო გამარჯობა თქვა. მისალმების დაბრუნებას ვინ ჩივის, ყველამ ისე შეხედა, როგორც უცხოპლანეტელს, რომელიც ახლახანს ჩამოფრინდა შორეული პლანეტიდან და ბაიბურში არ არის დედამიწაზე რა ხდება.

არადა, ისეთი განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ მოგვესალმა.

კითხვები:

1. რატომ არ უპასუხეს სალამითვე სამარშრუტო ტაქსიში ამოსულ მამაკაცს?
2. რატომ შეხედეს მას უცხოპლანეტელივით?
3. რას ნიშნავს გამოთქმა ,,ბაიბურში არ არის“?
4. როგორ შეიძლება დავასათაუროთ ეს ამბავი?

აქტივობა ,,უცხოპლანეტელი“

წარმოიდგინეთ, რომ უცხოპლანეტელი დედამიწაზე ჩამოვიდა და საზოგადოების ქცევას სწავლობს. აუხსენით მას, როდის იყენებენ და რა ფუნქციას აქვს მისალმებას.

5. ერთი ჯადოსნური სიტყვის შესახებ (სალომეს მოგონება)

როცა ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ დღეებზე ვფიქრობ, პირველ რიგში, მისაღები გამოცდები მახსენდება - უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის კიბეები, უამრავი აბიტურიენტი და მათი მშობლები, გაშლილი ქოლგებით, ნერვიულობა... განსაკუთრებულად მახსენდება ფირუზისფერი თავსაფარი, რომელიც უაღრესად მოდური გახლდათ ორიათასიანი წლების დასაწყისში. მისი პატრონი, ძალიან ლამაზი გოგო, რატომღაც არ მომეწონა და პირველი, რაც

მისი დანახვისას გავიფიქრე, ის იყო, რომ თუ ორივე ჩავაბარებდით, მასთან არასოდეს ვიმეგობრებდი.

კარგია, რომ ზოგჯერ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვგონია. მე და ის გოგო, ფირუზისფერი ბენდენით, ერთად აღმოვჩნდით ქართული ლიტერატურის ზეპირი გამოცდის მომლოდინეთა გრძელ რიგში. აღარ მახსოვს, რომელს მოგვერია მოწყენილობა პირველად, მაგრამ საბოლოოდ, ერთმანეთს მივუბრუნდით და მივესალმეთ. დღეს ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

უნივერსიტეტში ჩაბარებისას, გამოცდების გარდა, სხვა რამეც მადარდებდა _ როგორ შევეგუებოდი ახალ ადამიანებს. მხიარული და მომღიმარი ბავშვი არასოდეს ვყოფილვარ - ადამიანებთან ურთიერთობის დაწყება ისე მიჭირდა, გამარჯობის თქმას, მერჩივნა, ალგებრისა და გეომეტრიის ამოცანებით სავსე მთელი რვეული ამომეხსნა. არადა, ქუთაისში გავიზარდე, ქალაქში, სადაც „უსალმო“ ერთ-ერთ ყველაზე ცუდ შეფასებად ითვლება, სადაც ხშირად უცნობი ადამიანებიც კი ესალმებიან ერთმანეთს.

გავიდა დრო, ბავშვობა დამთავრდა და მე მივხვდი, რომ პირველი ნაბიჯი მნიშვნელოვანია _ მისალმებით იწყება მეგობრობა, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება, მეზობლობა, რომელიც გაჭირვების ჟამს ყველა ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს და უფრო მეტიც, ზოგჯერ გამარჯობით იწყება სიყვარულიც, რომლის პოვნაც, ხანდახან არც ისე რთულია, თუ საჭირო დროს საჭირო სიტყვას იტყვი.

როცა კიდევ უფრო გავიზარდე, ბევრ ენაზე ვისწავლე მისალმება, ვისწავლე, როგორ უნდა გაუღიმო ადამიანებს, რომლებიც მოგწონს, მაშინაც კი, როცა მათ არ იცნობ, ვისწავლე, როგორ უნდა გაუწოდო სხვებს ხელი პირველი შეხვედრისას. ეს ყველაფერი ჩემს მეგობრებთან ერთად ვისწავლე, ჩემს ქართველ, გერმანელ, ლიტველ, პოლონელ, ჩეხ, იტალიელ, ისლანდიელ, ბერძენ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების მეგობრებთან ერთად.

სანამ ჩემს დოკუმენტებში გაჩნდებოდა წარწერა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ვარ, როგორღაც მოვახერხე, თავი პირად ურთიერთობებში ვამეცადინე, გავზარდე და ვაქციე ადამიანად, რომელიც კომუნიკაციის საფუძვლებს უკვე სხვებს უხსნის. დამიჯერეთ, ეს შესაძლებელია.

ნუ დაიზარებთ გამარჯობის თქმას. ნუ იფიქრებთ, რომ ვიღაცისთვის თქვენი მისალმება ზედმეტია, ნუ იდარდებთ, თუ არ გიპასუხებენ, თქვით გამარჯობა ყველგან - ეზოში, სამსახურში, უბნის მაღაზიაში, ბაზარში, ყველგან, სადაც შესაძლებელია. ყველაფერი გამარჯობით იწყება.

დავალება: მონიშნეთ მართებული და მცდარი წინადადებები ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით (მართებული პასუხი მონიშნეთ √, ხოლო მცდარი X ნიშნით)

1. სალომეს ზეპირი გამოცდა აქვს ქართულ ლიტერატურაში ----
2. სალომე გამოცდაზე გულშემატკივრობს მეგობარი ----
3. გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ---
4. ამბავი მოთხრობილია პირველ პირში ---
5. ლიტერატურის გამოცდის რიგში ბევრი სტუდენტი დგას ---
6. სალომეს პირველივე დანახვისას მოეწონა ფირუზისფერთავსაფრიანი გოგონა --
7. სალომე მხიარული და მომღიმარი ბავშვი იყო ---
8. სალომეს მშობლიური ქალაქია ქუთაისი ---
9. სალომეს ძალიან უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობის დაწყება ---
10. სალომემ დღეს ბევრი ენა იცის ---
11. სალომე თვლის, რომ გამარჯობის თქმა, ყოველთვის აუცილებელია ----
12. მეზობელი გაჭირვების დროს ყოველთვის დაგეხმარება ----
13. არ უნდა გვეწყინოს, თუ სალამზე არ გვიპასუხებენ ---
14. სალომე და ფირუზისფერთავსაფრიანი გოგონა დღეს აღარ მეგობრობენ ----
15. ამბის გმირი დღეს კომუნიკაციის სფეროში წარმატებული ადამიანია ----

ლექსიკაზე მუშაობა:

გაიხსენეთ ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები, მაგ.: მოდა-მოდური-მოდელიერი, დარდი-ადარდებს-დარდიანი- უდარდელი...

მეგობარი----------

ბავშვი----------

გაჭირვება----------

ღიმილი----------

ადამიანი ----------

დავალება: ტექსტის გათვალისწინებით პირად გამოცდილებაზე საუბარი.

6. ვიცით თუ არა, ვინ ვის როგორ ესალმება, სათანადოდ ვიცავთ მისალმების წესებს?

ოდესღაც ადამიანებს შეხვედრისას თითქმის მთელი რიტუალური ცეკვის შესრულება უწევდათ. ახლა ამას თავის მსუბუქად დაკვრა ცვლის. რაც ყველა ქვეყანაში უცვლელია, ეს არის შეხვედრის დროს ჯანმრთელობის, მშვიდობიანი დილის, დღის ან საღამოს სურვება. ეს

წესები უნდა დავიცვათ არა ფორმალობის მიზნით, არამედ ადამიანების მიმართ პატივისცემისათვის.

მისალმების მთელი ეტიკეტი არსებობს:

1. პირველად მამაკაცი ესალმება ქალს, უმცროსი – უფროსს, დაქვემდებარებული – ხელმძღვანელს.
2. უცნობ ადამიანს (განსაკუთრებით თუ ასაკით უფროსია) ბატონობით ან ქალბატონობით მიმართავენ.
3. დაგვიანებული უკვე შეკრებილ სტუმრებს პირველი ესალმება.
4. მისალმების დროს თანამოსაუბრეს თვალებში უნდა შეხედოთ.
5. თუ გგონიათ, რომ შემხვედრი ნაცნობია, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული, უმჯობესია მიესალმოთ.
6. როდესაც თქვენთვის უცნობი პიროვნება გესალმებათ, თქვენც სალმით უპასუხეთ.
7. სოფლად დამკვიდრებულია ნებისმიერ უცნობთან მისალმების წესი, ამიტომ ნუ გაიკვირვებთ და ნურც პასუხს დააყოვნებთ. არაფერი არ გიშლით ხელს თქვენც ყველა შემხვედრს მიესალმოთ.
8. როდესაც რესტორანში ყველა მაგიდა დაკავებულია და თავისუფალია მხოლოდ ცალკეული ადგილები, სანამ ადგილს დაიჭერენ - ჯერ მიესალმებიან, შემდეგ ნებართვას აიღებენ და ამის შემდეგ შეიძლება დავიკავოთ თავისუფალი ადგილი საერთო მაგიდასთან.
9. თუ მაგიდასთან მსხდომთ შეუერთდებით, არ არის საჭირო სათითაოდ მისალმება, საკმარისია ყველას გასაგონად წარმოთქვათ საერთო სალამი.
10. ქალბატონი, რომელიც მოგვიანებით შეუერთდება სუფრას, პირველ რიგში ესალმება მანდილოსნებს, შემდეგ მამაკაცებს. თუ სტუმართა შორის იმყოფება მისი ქმარი, მას ბოლოს ესალმება.
11. მამაკაცი იმავე სიტუაციაში თავდაპირველად მიესალმება მანდილოსნებს, შემდეგ მეუღლეს, ბოლოს კი მამაკაცებს.
12. როდესაც სუფრას ესწრება რომელიმე ღრმადპატივსაცემი პიროვნება, პირველ რიგში მას ესალმებიან.
13. თეატრის ლოჟაში ან საკონცერტო დარბაზში დაჯდომამდე მისალმება უნდა გამოვხატოთ მეზობლებისადმი თავის მსუბუქი დაქნევით.
14. არაეთიკურია გამომწვევად ან სხვა რაიმე დემონსტრაციული ფორმით დაველოდოთ, როდის მოგვესალმებიან.
15. თუ ადამიანი, რომელთან ერთადაც თქვენ მიდიხართ, ვინმეს მიესალმება, მიუხედავად ნაცნობობისა, მას თქვენც ესალმებით.
16. მეუღლეები ერთდროულად ესალმებიან შემხვედრ წყვილს.
17. სტუმრად მისული ჯერ დიასახლისს ვესალმებით, შემდეგ მასპინძელ მამაკაცს.
18. საზოგადო მოღვაწეს ან ცნობილ პიროვნებას შეუძლია მიესალმოს ისიც კი, ვინც მისთვის არ წარუდგენიათ (არ გაუცვნიათ). ეს მისალმება პატივისცემას გამოხატავს.

დავალებები:

კითხვარის შედგენა - ვინ როგორ იცნობს ეტიკეტს, რა ვიცოდი/რა გავიგე;

მოცემული წესებიდან 8-10 ყველაზე მნიშვნელოვანი წესის შერჩევა და პოზიციათა შეჯერება არგუმენტების საფუძველზე (ჯგუფებში).

საშინაო დავალება:

ინტერნეტში მოიძიეთ ვიდეორგოლი ,,გამარჯობა“ : (http://www.marketer.ge/tbc-gamarjoba/) და იმსჯელეთ:

1. რა იყოს კლიპის შემქმნელების მიზანი? მიაღწიეს მათ დასახულ მიზანს?
2. თქვენ როგორ კლიპს გადაიღებდით? რაზე გაამახვილებდით ყურადღებას?

ფოტოს მიხედვით მსჯელობა, ამბის შეთხზვა;

ფოტოკოლაჟის/ვიდეორგოლის შექმნა.

სამაგიდო თამაშების დღე

დეკემბერი

შინაარსი:

რომელია შენი საყვარელი თამაში? როგორი თამაშები გიზიდავს? დაფის თამაშები უფრო მოგწონს თუ ვიდეოთამაშები, ჭადრაკი თუ მაინკრაფტი? როგორ ფიქრობ, როდის და რატომ დაიწყო ადამიანმა თამაშების შექმნა? რა დროს უთმობენ დღესდღეობით ადამიანები საშუალოდ თამაშებს?

კალენდარში არის ერთი დღე, რომელიც თამაშებს ეძღვნება. შენც შეგიძლია, ეს დღე სწორედ მათ დაუთმო. ზოგჯერ ხომ მართლაც გვჭირდება, რომ შევისვენოთ სწავლისგან და ყოველდღიური რუტინული საქმეებისგან. ჰოდა, 20 დეკემბერი სწორედ ის დღეა, როცა შეგვიძლია, განსაკუთრებულად გავიხსნოთ საყვარელი თამაშები. ყველა თაობის ადამიანი დაგვეთანხმება, რომ თამაში კარგია თავშექცევისთვის, ურთიერთობისთვის, სტრესის მოხსნისთვის. ზოგი იმასაც გვეტყვის, რომ თამაში სწავლისა და განვითარების საშუალებაა. თამაშების დღის არსებობა სწორედ თამაშების როლსა მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

თამაშების დღის ისტორია

თამაშების დღის აღნიშვნა დიდ ბრიტანეთში დაიწყეს. ჯერ ერთ-ერთი უძველესი თამაშით - ნარდით დაიწყეს. თანდათანობით კი ისეთ კომპიუტერულ თამაშამდეც მივიდნენ, როგორიცაა Warhammer. ღონისძიება, რომელიც მომავალში მეტად პოპულარული გახდა, ლონდონში გაიმართა 1975 წლის 20 დეკემბერს. შემდეგ ის სწრაფად გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებშიც გადავიდა. თამაშების

დღე საშუალებას აძლევს ადამიანებს, ჩაატარონ შეჯიბრებები და უახლესი თამაშების პრეზენტაციები, გაავრცელონ ინფორმაცია მათი საყვარელი თამაშების შესახებ და, რაც მთავარია, უბრალოდ ითამაშონ. შესაბამისად, თამაშების ინდუსტრიისთვის ეს მნიშვნელოვანი თარიღია.

როგორ აღვნიშნოთ თამაშების დღე

როდის ითამაშე ბოლოს ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად? თუ ვერ იხსენებ, დროა გაიხსენო, რომ თამაში მნიშვნელოვანი აქტივობაა. ამიტომ სცადე, დროებით დაივიწყო სხვა საქმეები და რამდენიმე საათი მაინც დაუთმო საყვარელ თამაშებს. მოგაწვდით რამდენიმე რჩევას თამაშების დღის აღნიშვნისათვის:

- დაპატიჟეთ მეგობრები და ისაუბრეთ თამაშების შესახებ: რომელი თამაშები მოსწონთ და რატომ? ზოგადად, რას აძლევს ადამიანს თამაშები?
- მოაწყვეთ გამოკითხვები. გაარკვიეთ, რომელია ყველაზე პოპულარული თამაშები, რა დროს უთმობენ ადამიანები თამაშს, რამდენ განსხვავებულ თამაშს თამაშობენ კვირის განმავლობაში და ა. შ.
- თუ საკმარისი დრო გაქვთ, სასურველია ღონისძიება რამდენიმე ნაწილად დაყოთ. დაუთმეთ ყოველი ნაწილი თითო ტიპის თამაშებს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველას თავისებური თამაშები მოსწონს. შეიძლება ვინმე ვიდეოთამაშებს კარგად ვერ თამაშობდეს, მაგრამ ნარდში საუკეთესო იყოს. მოკლედ, ისე გათვალეთ, რომ ყველამ მიიღოს სიამოვნება.

ინტერვიუ სანდრო ავალიშვილთან

ეს სანდროა. ის ცამეტი წლისაა და თბილისში ცხოვრობს. სკოლაში კარგად სწავლობს, საგნებიდან ყველაზე მეტად ფიზიკა და გეოგრაფია მოსწონს. რა თქმა უნდა, თამაში ძალიან უყვარს, ისევე, როგორც მისი ასაკის ყველა მოზარდს. საინტერესოა, რომელი თამაშები უყვარს. ქვემოთ ის რამდენიმე შეკითხვაზე გვცემს პასუხს.

- სანდრო, რომელი თამაში გიყვარს ყველაზე მეტად?

- GTA 5. ამ თამაშს ორი ფორმატი აქვს: Story Mode და ონლაინი. სთორი მოუდში მიუყვები კონკრეტულ ისტორიას და ის დახურვადია. ონლაინი შეგიძლია მეგობრებთან ერთად ითამაშო და სხვადასხვა მინითამაშებს მოიცავს. მისი მიზანია, გახდე ყველაზე მაგარი მოთამაშე.

- რატომ მოგწონს ეს თამაში?

- იმიტომ რომ გაშლილი სამყაროა და სადაც გინდა, იქ წახვალ. კიდევ, როცა მეგობრებთან თამაშობ, გიწევს განსხვავებული მისიების შესრულება. მომწონს რბოლები.
- არაკომპიუტერული თამაშებიდან რომელი გიყვარს?
- მონოპოლია. სტრატეგიული თამაშია. უნდა შეეცადო, რომ დაზოგო ფული და გააკეთო სწორი არჩევანი. უნდა აჯობო სხვა მოთამაშეებს, გააკოტრო ისინი და გახდე მოგებული.
- შენ რომ შეგექმნა თამაში, როგორი იქნებოდა?
- დავაფუძნებდი რომელიმე წიგნზე. ფენტეზის ან ისტორიული ჟანრის წიგნს ავიღებდი. მაგალითად, ნატო დავითაშვილის წიგნის მიხედვით გავაკეთებდი თამაშს, რომელშიც სხვადასხვა სიტუაციაში გექნებოდა გადაწყვეტილების მიღების საშუალება და თითოეული არჩევანი სრულიად შეცვლიდა თამაშის ისტორიას. ანდა გავაკეთებდი ჩვენი რეალური სამყაროს ადაპტაციას. მაგალითად, ეს იქნებოდა თამაში რომელიმე ძლიერ სახელმწიფოზე, სადაც შენი მიზანი იქნებოდა, რაც შეიძლება დიდი ხნით შეგენარჩუნებინა საკუთარი სახელმწიფო და დაგეპყრო სხვადასხვა მიწები.
- რომელია ყველაზე პოპულარული თამაშები დღეს შენს თანატოლებს შორის?
- Dota 2 და League of Legends. ამ ორ თამაშში ერთმანეთს უპირისპირდება ორი გუნდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ერთ-ერთი ანადგურებს მეორის ბაზას.

აქტივობა 1. *თქვენ რომ გაგეგრძელებინათ ამ ინტერვიუს აღება, კიდევ რა შეკითხვებს დაუსვამდით სანდროს?*

აქტივობა 2. *გაითამაშეთ მსგავსი ინტერვიუ წყვილებში.*

აქტივობა 3. *წაიკითხეთ ამონარიდი სტატიიდან „აზარტული თამაშების ორი მხარე“.*

„აზარტული თამაშები ის სფეროა, რომელზეც არასდროს არსებობს ერთიანი აზრი. ერთი მხრივ, ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემოსავლის, მათ შორის, ბიუჯეტის წყაროა. სხვისთვის კი ის არის დაკანონებული დამოკიდებულება თამაშზე, რომელიც ძალიან მძიმედ აისახება ადამიანთა ბედზე.“ (ნინო ევგენიძე, რადიო თავისუფლება)

თქვენ რა აზრის ხართ აზარტული თამაშების შესახებ?

გამართეთ დებატები აზარტული თამაშების შესახებ. თეზისი: *აზარტული თამშები უნდა აიკრძალოს.*

აქტივობები ტექსტისთვის „უძველესი დაფის თამაში“

წაიკითხეთ სტატია და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული აქტივობები. სტატიის წასაკითხად ან ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებ-გვერდს: http://kargiskola.ge/teachers/gazeti/gazeti_III-IV_klasi_N7_2016.pdf

აქტივობა 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები. რომელია სწორი და რომელია მცდარი სტატიის მიხედვით? შეასწორეთ მცდარი წინადადებები სტატიაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით.

- ჩინეთში აღმოჩენილი ძველი დაფის თამაში დაახლოებით 2300 წლის წინანდელია.
- კამათელს ჰქონდა 12-წახნაგი, რომლებზეც ორ-ორჯერ იყო გამოსახული ციფრები 1-დან 6-მდე.
- აღდგენილი დაფის დეკორაციაზე გამოსახული იყო ელვისა და ოკეანის ტალღების სურათები.

აქტივობა 2. აღწერეთ მსგავსებები და განსხვავებები ბოს კამათელსა და ნარდის კამათელს შორის.

აქტივობა 3. სტატიაში აღწერილი თამაშებიდან რომელი ორი თამაში ჰგავს ყველაზე მეტად ერთმანეთს? დაასაბუთეთ საკუთარი მოსაზრება. თუ შეგიძლიათ, მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია თამაშების შესახებ.

აქტივობა 4. რომელია სამი უძველესი თამაში, რომელსაც დღესაც თამაშობენ?

ა) პატოლი, ბო, მანკალა *ბ) გო, ჯრაქვაობა, ბო* *გ) გო, სენეტი, ჯრაქვაობა*

აქტივობა. დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე მის შესახებ. რა ხდება? სად ხდება? როდის ხდება? ვინ არიან? რატომ თამაშობენ? უნდათ თამაშის გაგრძელება? რამდენ ხანში დაამთავრებენ თამაშს? შემდეგ რას გააკეთებენ? კიდევ როდის ითამაშებენ? რატომ?

აქტივობა 6. ჩაატარეთ გამოკითხვა და მოაგროვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელია თქვენი მეგობრების საყვარელი დაფის, იქსბოქსის და ონლაინ თამაშები. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ონლაინ გამოკითხვის ინსტრუმენტები, მაგალითად, Facebook-ის სპეციალური ინსტრუმენტი.



ახალი წელი

დეკემბერი

კითხვები გამოწვევისთვის:

რა აკავშირებს ამ სურათებს?



- როგორ ხვდებით ახალ წელს?
- რა საახალწლო ტრადიციაა თქვენს ოჯახში?
- ამზადებთ რამე განსაკუთრებულ კერძს საახალწლოდ?
- რა იცით სხვა ქვეყნების საახალწლო ტრადიციის შესახებ?
- მთელი მსოფლიო ერთდროულად აღნიშნავს ახალი წლის დადგომას?
- რა იცით ქვეყნებზე, რომლებიც ახალ წელს სხვა დროს აღნიშნავენ?

ასოციაციური რუკა



მოზაიკა (Jigsaw) ტექსტის დამუშავების აქტივობა

სტუდენტები ნაწილდებიან 4-კაციან ჯგუფებად. ტექსტიც იყოფა 4 ნაწილად. ყველა ჯგუფი კითხულობს, ამუშავებს ტექსტის კონკრეტულ ნაწილს. წაკითხვისა და ტექსტის ბოლოს მოცემული დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები ქმნიან ახალ ჯგუფებს და გადანაწილდებიან იმგვარად, რომ თითოეულ ჯგუფში აღმოჩნდეს ტექსტის ყველა ნაწილის წამკითხველი. ახალ ჯგუფებში მოსწავლეები შეაჯერებენ ინფორმაციას, ამთლიანებენ ტექსტს.

ტექსტი N1.

ახალი წელი საქართველოში

ახალი წელი ინტერნაციონალური დღესასწაულია, რომელიც დგება წლის ბოლო დღიდან მომავალი წლის პირველ დღეზე გადასვლის მომენტში. ახალი წელი ჯერ წყნარი ოკეანის კუნძულებზე დგება. პირველები მას კარიბატის კუნძულის მცხოვრებლები ზეიმობენ და ბოლოებიც წყნარი ოკეანის კუნძულ მიდუეის მცხოვრებლები ხვდებიან ახალ წელს.

ძველ რომში ეს დღე ეძღვნებოდა იანუსს - არჩევნის ღმერთს. მას ორი სახით გამოხატავდნენ, ერთი წინ იყურებოდა, მეორე კი - უკან. იანვრის სახელწოდებაც იანუსის სახელიდან მოდის.

დღესასწაულს განსხვავებულად აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში, ისევე, როგორც უმეტეს ქვეყნებში, 31დეკემბერს, ღამის 12 საათზე, ძველ წელს აცილებენ და ახალი წლის დადგომას ზეიმობენ. ტრადიციის მიხედვით, საახალწლოდ თოვლის პაპას ელოდებიან, რომელიც ბავშვებს საჩუქრებსა და ტკბილეულს ურიგებს. თოვლის პაპა თეთრ ჩოხაში

გამოწყობილი თეთრწვერა კეთილი მოხუცია. მას მხარზე ხურჯინი აქვს გადაკიდებული და საჩუქრები სწორედ ამ ხურჯინში უწყვია. ახალ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს მეკვლეს. იგი პირველია, ვინც ახალი წლის ღამეს შედის ოჯახში და ხვავსა და ბარაქას უსურვებს ოჯახის წევრებს. მეკვლეს აუცილებლად „ბედნიერი“ ფეხი უნდა ჰქონდეს, მაშინ ოჯახს წარმატებული და ბედნიერი წელი ელოდება.

ძველად საქართველოში საახალწლოდ სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა: ახალ წელიწადს ყურძნის უხვი მოსავლი რომ ჰქონოდათ, საგანგებო პურებს აცხობდნენ, რომელსაც ყურძნის მტევნის ფორმა ჰქონდა. ახალ წელს ოჯახის უფროსი და სხვა წევრები ანთებული თაფლის სანთლებით შედიოდნენ მარანში და რიტუალურ სიმღერებს მღეროდნენ, რასაც მომავალ წელიწადს ყურძნის დიდი მოსავალი უნდა მოეტანა მათთვის.

გურია-სამეგრელოში ახალ წელს „კალანდა“ ეწოდებოდა და მას თოფების სროლით ეგებებოდნენ. აქ მეკვლე ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო, რომელიც სახლში ჩიჩილაკითა და ღომიანი ჯამით შემოდიოდა. სუფრაზე დაჯდომის წინ მეკვლე ყველა ოჯახის წევრს ტკბილეულს უდებდა პირში და ამით ტკბილ და ბედნიერ სიბერეს უსურვებდა.

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში ძველ ტრადიციებს ებრძოდნენ. ეს საახალწლო ნაძვის ხესაც ეხებოდა, ამიტომ ხანდახან ადამიანები ნაძვის ხეს კონტრაბასის ფუტლარში მალავდნენ და ასე შეუმჩნევლად მიჰქონდათ სახლში.

დღესდღეობით საქართველოში ნაკლებად მისდევენ ძველ ტრადიციებს. სახლში აუცილებლად რთავენ ნაძვის ხეს, ოჯახის წევრები ერთმანეთს ჩუქნიან საჩუქრებს, ყველაზე მეტად ტრადიციები საახალწლო სუფრაზეა შენარჩუნებული. სხვა კერძებთან ერთად სუფრის აუცილებელ ატრიბუტად რჩება გოზინაყი, ჩურჩხელა, საცივი და ღვინო.

3 რამ, რაც ვიცოდი…

---

2 რამ, რაც ახალი იყო ჩემთვის…

---

1 კითხვა, რომელიც გამიჩნდა…

ტექსტი N2.

სახალისო საახალწლო ტრადიციები

იტალიელები თვლიან, რომ ახალი წლის დადგომამდე ყველაფერი ძველისგან უნდა გათავისუფლდნენ. ამიტომ ახალი წლის ღამეს ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან. ყველაზე ხშირად ისინი ფანჯრებიდან ძველ უთოებსა და სკამებს აგდებენ. იტალიელებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის შეხვდებიან ახალ წელს პირველად. არასასურველად ითვლება ბავშვიანი ქალის ან სასულიერო პირის შეხვედრა, კუზიანი მოხუცის დანახვა კი კარგის ნიშანია.

უნგრელები ახალი წლის დადგომას სტვენით ხვდებიან, უსტვენენ თითებით, სასტვენებით და ყველა საშუალებით. ამით ისინი საკუთარი სახლებიდან ბოროტ სულებს დევნიან.

მიკრონეზიის ერთ-ერთი კუნძულის კუნძულის მოსახლეობა ყოველ ახალ წელს სახელს იცვლის. ამით ისინი ბოროტ სულებს თავგზას უბნევენ. პირველი იანვრის დილას ოჯახის წევრები თავიანთ ახალ სახელს პირზე ხელმიფარებულები წარმოთქვამენ. ამ დროს ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაირას ახმაურებს, რომ ბოროტმა სულმა სახელი ვერ გაიგონოს. სახელს ყველა ინდივიდუალურად ირჩევს, რის გამოც ერთ წელს კუნძულელების ნახევარზე მეტს მაიკლ ჯექსონი ერქვა.

იაპონელი ბავშვები ახალ წელს ახალ ტანსაცმელში გამოწყობილები ხვდებიან. იაპონელებს ახალი წლის დადგომას გონგის 108-ჯერ დარტყმა ატყობინებს. ადგილობრივთა რწმენით, თითოეული დარტყმა ადამიანის თითო უარყოფით თვისებას კლავს. ახალი წლის პირველ წუთებში იაპონელები ხმამაღლა იცინიან, რომ წელიწადი ბედნიერების მომტანი გამოდგეს. ქვეყანაში ყველაზე პოპულარული საახალწლო აქსესუარი ფოცხებია, რადგან მათი საშუალებით იაპონელები ბედნიერებას „აგროვებენ“.

ბრიტანეთის კუნძულებზე არსებობს ერთი ძველი ტრადიცია - როდესაც საათის ზარი 12-ჯერ ჩამორეკვას იწყებს, ადგილობრივები სახლის უკანა კარს აღებენ, რათა ძველი წელი გააცილონ, ბოლო ზარის ჩამოკვრისას კი ისინი წინა კარს აღებენ, რომ სახლში ახალი წელი შეუშვან.

ბედნიერი იქნება თუ არა დამდეგ წელს ოჯახი, ამ ქვეყანაში იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ შეაბიჯებს პირველად სახლში. ადგილობრივთა რწმენით, თუ სახლში პირველად მუქთმიანი მამაკაცი შევა, ის ოჯახს ბედნიერებას მოუტანს.

გერმანელი სანტა-კლაუსი ირმების მაგივრად ვირით დადის. დაძინებამდე ბავშვები მაგიდაზე ცარიელ თეფშებს ტოვებენ, რომლებზეც დილით საჩუქრები ხვდებათ. თოვლის ბაბუას ვირს კი პატარები ფეხსაცმელებში თივას უტოვებენ.

საბერძნეთში ახალი წელი წმინდა ბასილის დღეს ემთხვევა. ის ცნობილი იყო თავისი სიკეთით. ბავშვები კართან ფეხსაცმელებს ტოვებენ იმ იმედით, რომ წმინდა ბასილი მათ ფეხსაცმელებში საჩუქრებს ჩაუწყობს. ბერძნული ტრადიციის თანახმად, ზუსტად ღამის 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და კედელს ბროწეულს ესვრის. თუ ბროწეულის მარცვლები მთელ ეზოში მიმოიფანტა, მაშინ ახალ წელს ეს ოჯახი ბედნიერად გაატარებს.

სტუმრად მისვლისას ბერძნებს თან დახავსებული ქვა მიაქვთ და მასპინძელს უსურვებენ : „დაე, ჩემი მასპინძლის ქისა ამ ქვასავით მძიმე იყოს!“.

ეკვადორული ტრადიციით, მათ, ვისაც მთელი წელი მოგზაურობა სურს, ჩემოდნებით ან დიდი ჩანთებით სახლს რამდენჯერმე უნდა შემოურბინონ, სანამ საათი თორმეტს ჩამოჰკრავს. ვისაც პირადი ცხოვრების შეცვლა, გათხოვება ან ცოლის მოყვანა სურს, ახალ წელს წითელი თეთრეულით უნდა შეხვდეს. ძველი წლის უსიამოვნებების დასავიწყებლად კი ეკვადორელები ფანჯრიდან წყლიან ჭიქას ისვრიან.

ახალი წლის წინა დღეს **ბულგარელები** შინდის ჯოხს იძენენ, რაც ახალი წლისთვის აუცილებელი ატრიბუტია. პირველ იანვარს ბავშვები მშობლებთან მიდიან და ჯოხის მსუბუქი დარტყმით ახალი წლის დადგომას ულოცავენ. იმ დროს, როდესაც საათი ბოლოჯერ ჩამოჰკრავს და მოსახლეობას ძველი წლის წაბრძანებას ამცნობს, სახლში სინათლე სამი წუთით ქრება. ეს დრო საახალწლო კოცნას ეთმობა. ბულგარელებს უხარიათ, თუ საახალწლო სუფრის დროს ვინმე დააცემინებს, რადგან, მათი აზრით, ეს ბედნიერების მომტანია.

3.2.1

3 ტრადიცია, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცოდი

---

2 კითხვა, რომლებიც გამიჩნდა

---

1 ამბავი, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა

ტექსტი N3. საახალწლო სუფრა

ყველა ქვეყანას თავისი კულინარიული ტრადიციები აქვს. **საქართველოში** ყოველი კუთხის საახალწლო სუფრაზე განსხვავებული კერძი იყო. მთაში ძირითადად ხორცეულისგან ამზადებდნენ კერძებს, ქართლ-კახეთში საახალწლო სუფრის მშვენებად ითვლებოდა და დღესაც ითვლება ნაზუქები. სამეზობლოში რომელი ქალიც ყველაზე გემრიელ ნაზუქებს

გამოაცხობდა, მომავალი წლის მანძილზე ყველა სუფრის მთავარ მზარეულად და სხვა ქალების ხელმძღვანელად ინიშნებოდა. ბევრ ოჯახში საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო საცივი. ტკბილეულიდან სუფრაზე იყო გოზინაყი, რომელიც თაფლისა და ნიგვზისგან მზადდებოდა, ასევე, სხვადასხვა ჩირი და ჩურჩხელა.

ძველ ქართულ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღვინო. ცნობილია, რომ სვანები, ხევსურები, ფშავლები და მთაში მცხოვრები სხვა ქართველები, ახალი წლის წინა დღეებში ბარში ჩადიოდნენ ღვინის საყიდლად. მთაში, რა თქმა უნდა, სუფრაზე ლუდიც იყო და არაყიც, მაგრამ ახალი წელი ღვინის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

იტალიაში საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი თხილი და ყურძენია, რაც ხანგრძლივი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოა.

ავსტრიასა და უნგრეთში საახალწლო სუფრისთვის ფრინველის ხორცის მომზადება ცუდ ნიშნად ითვლება. იქ მაცხოვრებლები ფიქრობენ, რომ თუ სუფრაზე ფრინველისგან დამზადებულ კერძს მიიტან, ბედნიერება მასთან ერთად გაფრინდება. ავსტრიაში საახალწლოდ ამზადებენ თევზის სალათს, შნიცელსა და შტრუდელს. უნგრეთში აცხობენ ბეიგელს ყაყაჩოს თესლით და თხილის რულეტს.

გერმანიაში საახალწლო სუფრაზე ყველანაირ ძეხვეულს, სოსისს, ღორის კანჭსა და კომბოსტოს მარინადს ნახავთ. სუფრის აუცილებელი ატრიბუტი ქაშაყია. აქ დარწმუნებულები არიან, რომ ქაშაყი მოუტანთ ბედნიერებასა და წარმატებას.

პოლონური საახალწლო სუფრა, ტრადიციულად, უნდა შედგებოდეს 12 კერძისგან. ძველი პოლონური ტრადიციის მიხედვით, საათის 12-ჯერ ჩამორეკვის დროს აუცილებლად უნდა შეჭამო ქაშაყის ნაჭერი, ამასთანავე ითვლება, რომ რაც უფრო ცხარეა ქაშაყი, მით უფრო იღბლიანი იქნება ახალი წელი.

დიდ ბრიტანეთში არც ერთი ტრადიციული საახალწლო სუფრა არ ჩაივლის პუდინგის გარეშე, რომელიც მზადდება ღორის ქონის, ფქვილის, ქიშმიშის, სანელებლებისა და კვერცხისაგან. სუფრაზე მიტანის წინ პუდინგს ასხამენ რომს და უკიდებენ ცეცხლს, რაც სადღესასწაულო განწყობას ჰმატებს სუფრას.

ამერიკული სუფრის მთავარი მშვენება შემწვარი ინდაურია. მას ყველა იმ პროდუქტით ამოავსებენ, რომელიც კი მოეპოვებათ მაცივარში: ყველი, სოკო, ნიორი, ლობიო, ხახვი, შავი ქლიავი და, რა თქმა უნდა, სანელებლები.

იაპონიაში სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს მოტი - მოხარშული ბრინჯისგან დამზადებული პატარა ღვეზელები. სუფრაზე მოაქვთ ასევე გრძელი ატრია. ამბობენ, რომ რაც უფრო გრძელია ის, მით უფრო დიდხანს იცოცხლებენ სუფრის წევრები. მაგრამ ყველაზე მთავარი კერძი ოსეჩია, სხვადასხვაგვარად მომზადებული ნუგბარი და კერძები ხის კოლოფებში. ოსეჩის მრავალი ვარიანტი არსებობს: ზღვის პროდუქტების, ბოსტნეულის და მხოლოდ ტკბილეულის ოსეჩი.

ისრაელში ახალ წელს სექტემბერში აღნიშნავენ. საახალწლო სუფრას იქ თავისი წესები აქვს. მაგიდაზე მწარე, ცხარე, მჟავე და მარილიან საკვებს ვერ ნახავთ. სუფრა მხოლოდ ტკბილი კერძებით იშლება. აქ აუცილებელია იყოს თაფლი, ბროწეული, ფინიკი, ვაშლი. ხალას -

ტრადიციულ ებრაულ ტკბილ პურს - თაფლს ასხამენ, რაც ნიშნავს, რომ სუფრის წევრები ახალ წელს ტკბილად ეგებებიან.

3.2.1

3 საახალწლო კერძი, რომლებიც გამისინჯავს

---

2 კერძი, რომელთაც ტექსტში დავამატებდი

---

1 კერძი, რომლის მომზადებაც ვიცი /ვისწავლიდი

ტექსტი N4. ქვეყნები, რომლებიც სხვა დროს აღნიშნავენ ახალ წელს

ზოგიერთი ქვეყანა ახალ წელს მთვარის კალენდრის მიხედვით აღნიშნავს. ამიტომ **ჩინეთში** ახალი წელი "იუან-დანი" იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში დგება.

ჩინელებს ჰგონიათ, რომ ახალი წლის ღამეს ბოროტი სულები აქტიურდებიან და ამიტომ მათ განდევნას ფოიერვერკებით ცდილობენ. ჩინეთში ბუდას განბანვის უძველესი ტრადიცია შემორჩა. ახალ წელს ჩინეთის ყველა მონასტერში ბუდას ქანდაკებებს წყაროს წყლით რეცხავენ, ადამიანები კი მილოცვისას ერთმანეთს წუწავენ. უცნაური ტრადიციის გამო, ახალ წელს ნახევარი ჩინეთი სველი ტანსაცმლით დადის.

ბირმაში ახალი წელი აპრილში დგება. ზუსტ თარიღს კულტურის სამინისტრო აცხადებს. დღესასწაული 3 დღეს გრძელდება. იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში ახალი წელი ყველაზე ცხელ სეზონს ემთხვევა, მას წყლის ფესტივალით აღნიშნავენ. ნებისმიერი ასაკის ადამიანები შეხვედრისას ერთმანეთს წყლით წუწავენ. ამ დროს არავინ ბრაზდება, რადგან წყლის მისხმა ტრადიციაა და კეთილგანწყობას გამოხატავს.

დეკემბრის ბოლო დღეებში **საუდის არაბეთის** რელიგიური პოლიცია Al Mutawa მკაცრად აკონტროლებს მაღაზიებს, რათა რაიმე ისეთი არ იყიდებოდეს, რაც ასოციებული იქნება ახალი წლის დღესასწაულთან. უცხოელ ტურისტებსაც და იქ მაცხოვრებელ უცხოელებსაც აკრძალული აქვთ ახალი წლის აღნიშვნა. ოფიციალურად ეს ქვეყანა ახალ წელს 21 მარტს აღნიშნავს.

ისრაელში 1 იანვარი ჩვეულებრივი სამუშაო დღეა, თუ, რა თქმა უნდა, შაბათს არ დაემთხვა. ებრაულ ახალ წელს „როშ ხა შანა“ ჰქვია და მას სექტემბრის პირველ რიცხვებში ზეიმობენ. „როშ ხა შანა“ სამყაროს შექმნის დღედ ითვლება. ახალი წლის პირველ დღეს ებრაელები წყალთან მიდიან და ლოცვა „ტაშლიხს“ კითხულობენ.

1 იანვარს **ირანში** არ აღნიშნავენ. მათ საკუთარი კალენდარი აქვთ - სოლარ ჰიჯრი - ასტრონომიული მზის კალენდარი. ახლა იქ 1392 წელია. ახალ წელს გაზაფხულზე, 22 მარტს აღნიშნავენ (ირანული კალენდრის მიხედვით, გაზაფხულის პირველი დღე), რომელსაც ნოვრუზი ჰქვია. ამ დღეს ირანელები ჰაერში იარაღის სროლით ხვდებიან. კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნდა, ძველი ჭურჭლის დამტვრევა და ახლის შეძენაა.

ავღანეთში ახალი წელი 21 მარტს იწყება. ამ დღეს ქუჩები ჯამბაზებით, თოკზე მოსიარულეებით, მუსიკოსებითა და მოვაჭრეებით ივსება. ახალი წლის დადგომა ავღანეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას ემთხვევა.

ვიეტნამში ახალი წელი გაზაფხულის დღესასწაულად ითვლება და ადგილობრივ ენაზე მას „ტეტი“ ჰქვია. ახალი წლის სიმბოლო ატმის აყვავებული ტოტებია, რომელიც ამ დღეს ყველა ოჯახში უნდა იყოს. სადღესასწაულო სუფრას ყვავილების თაიგული ამშვენებს. ახალ წელს მიღებულია ატმის აყვავებული ტოტების ჩუქება. ახალი წლის ღამეს პარკებსა და სკვერებში კოცონს ანთებენ, რომლის გარშემოც ოჯახებით იკრიბებიან. ნაკვერჩხალზე ბრინჯისგან საახალწლო კერძს ამზადებენ. ამ დღეს ადამიანები ყველა წყენას ივიწყებენ.

ინდოეთში 1 იანვარი დასვენების დღე არ არის, თუმცა ვინმეს თუ უნდა აღნიშვნა, შეუძლია არ გამოცხადდეს სამსახურში. ოფიციალურად ინდოეთი ერთიანი ნაციონალური კალენდრის მიხედვით 22 მარტს აღნიშნავს ახალ წელს, თუმცა ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში ახალ წელს სხვადასხვა დროს აღნიშნავენ.

3.2.1

3 რამ, რაც ვიცოდი…

---

2 რამ, რაც ახალი იყო ჩემთვის…

---

1 კითხვა, რომელიც გამიჩნდა…

ცხრილის შევსება

ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ჯგუფებში ავსებენ ცხრილს.

ქვეყანა	ახალ წელს აღნიშნავენ 31დეკემბერს / 1 იანვარს	ახალ წელს აღნიშნავენ სხვა დროს	საახალწლო კერძი	საახალწლო ტრადიცია	საინტერესო დეტალი
იტალია					
დიდი ბრიტანეთი					
გერმანია					
იაპონია					
ისრაელი					

დასკვნითი აქტივობა

მოსწავლეები ნაწილდებიან 4-5-კაციან ჯგუფებში. თითოეული ჯგუფი გეგმავს საახალწლო საღამოს. მოსწავლეები თავისუფლები არიან თემატიკისა და აქტივობების არჩევაში. თითოეული ჯგუფი აწყობს გეგმის პრეზენტაციას.

საშინაო დავალება

დაწერეთ თქვენს ოჯახში გავრცელებული საახალწლო ტრადიციის შესახებ.

ლექსიკონი

დაირა – დასარტყამი საკრავი, ტყავგადაკრული ხის რგოლი, რომელსაც გარშემო მიმაგრებული აქვს ეჟვნები და მონეტები.

კერძი - სხვადასხვა პროდუქტის შეწვით ან მოხარშვით დამზადებული საჭმელი.

ფოცხი - გრძელტარიანი სამუშაო იარაღი, რომელსაც ხის ან რკინის კბილები აქვს, იყენებენ ბალახის, თივის მოსაგროვებლად.



ქაშაყი - ზღვის პატარა თევზი.

ჩირი - მზეზე გამომშრალი ხილი

ჩოხა - წელში გამოყვანილი შემოსაცმელი კაცის ტანსაცმელი. ჩოხის სიგრძე მუხლს ქვემოთაა და ხშირად მკერდი მოქარგული აქვს. მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე კაცის მთავარი სამოსი იყო საქართველოში.

ხურჯინი - ხალიჩასავით ნაქსოვი მხარზე გადასაკიდებელი ორგანყოფილებიანი ჩანთა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბმულები:

http://news.gtu.ge/index.php?newsid=2168

http://news.gtu.ge/index.php?newsid=1545

http://sazogadoeba.ge/index.php?post_id=1239#

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98

http://fortuna.ge/rogor-aghnishnaven-dghesaswauls-msoflios-skhvadaskhva-qveyanashi/

https://iaponia.wordpress.com/2009/12/22/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98/

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/44700/19/search:21%20%C3%A1:loop:true

ჩახუტების საერთაშორისო დღე

იანვარი

შინაარსი:

რატომ არის საჭირო ჩახუტება? რა ძალა აქვს ჩახუტებას? რატომ უნდა ჩავეხუტოთ ხშირად ერთმანეთს? რატომ უნდა გავცეთ მეტი სითბო?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში:

რა იცით ჩახუტების დღესთან დაკავშირებით?

თქვენი აზრით რატომ აღინიშნება ეს დღე?

რა დატვირთვა აქვს ამ დღის აღნიშვნას?

სჭირდება თუ არა ადამიანს ჩახუტება?

რატომ სჭირდება ჩახუტება? რატომ ვეხუტებით ერთმანეთს?

აქტივობა 2. განმარტებით ლექსიკონში ძიება:

მოდით ვნახოთ რას ნიშნავს სიტყვა ჩახუტება განმარტებით ლექსიკონში: **ჩახუტება**

აქტივობა 3. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე „ჩახუტება“.



აქტივობა 4. მოლოდინების გზამკვლევი. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადება და დაფიქრდით, ეთანხმებით თუ არა მასში გადმოცემულ აზრს. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

უცხო ადამიანს არ ეხუტებიან (დიახ / არა)

ტექსტიN1

ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
დეფიციტი	რაიმეს დაკლება, არასაკმარისი რაოდენობა
მძაფრი	ძლიერი
ჰორმონი	ეწოდება მოლეკულებს, რომლებსაც უჯრედებს შორის ინფორმაცია გადააქვთ
ენდორფინი	ერთ-ერთი ჰორმონი/ბედნიერების ჰორმონი
ვირტუალური	არახელშესახები, არამატერიალური?
ვერბალური	სიტყვიერი

ინფორმაციული ტექსტი:

21 იანვარს მსოფლიო ჩახუტების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, ჩახუტების დღე დააარსა კევინ ზაბორნმა, მას ჩახუტების ელჩს უწოდებენ. ეს დღე პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1986 წელს აღინიშნა. მოგვიანებით მას მრავალი ქვეყანა შეუერთდა და ჩახუტების საერთაშორისო დღე ეწოდა.

ფსიქოლოგები ხშირად ამბობენ, რომ თანამედროვე ადამიანებს ფიზიკური სიახლოვის დეფიციტი აქვთ, ისინი ძირითადად შემოიფარგლებიან ვირტუალური და ვერბალური კონტაქტით, გრძნობებისა და საქციელის სიტყვიერი გამოხატვა კი მსოფლიოში გადაცემული ინფორმაციის მხოლოდ 10%-ს შეადგენს. დანარჩენს კი მოქმედებით გამოვხატავთ - სხეულის მდგომარეობით, თავის დაკვრით, ღიმილით, ხელის ჩამორთმევით, სიყვარულის ნიშნებით: ჩახუტებით, შეხებით, კოცნით...

ჩახუტებას იმაზე მეტი დატვირთვა, იმაზე მეტი ძალა აქვს, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია, ან აქამდე წარმოგედგინათ, სულიერი კომფორტისთვის, ბედნიერებისთვის, აუცილებელია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. XXI საუკუნეში ეს პრობლემა უფრო მძაფრად დგას; ამ ეპოქის გამოწვევა გახლავთ დროის დეფიციტი, მეტია ვირტუალური ურთიერთობები და ნაკლები ფიზიკური, მედიცინაში დაზუსტებული ფაქტია, როცა ძვირფას ადამიანებს ვეხუტებით, ორგანიზმში გამომუშავდება ბედნიერების და კმაყოფილების ჰორმონი - ენდორფინი. ასევე, სიმშვიდის ჰორმონი - ოქსიტოცინი. ჩახუტება ადამიანს აგრძნობინებს, რომ ის მარტო არ არის, რომ მას იცავენ.

დავალებათა ბლოკი:

5. უპასუხეთ კითხვები:

17. როდის აღნიშნავენ მსოფლიო ჩახუტების დღეს?
18. როდის და ვინ დააარსა ჩახუტების დღე?
19. ფსიქოლოგების აზრით რისი დეფიციტი აქვს XI საუკუნის ადამიანს?
20. რა ჰორმონი გამომუშავდება ორგანიზმში ჩახუტებისას?

6. დააწყვილე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (ტექსტში სიტყვები გამუქებულია) :

დეფიციტი	ა) ენერგია
ვერბალური	ბ) თქვა
მძაფრი	გ) გახარებული
ძალა	დ) ძლიერი
ბედნიერი	ე) ნაკლებობა
გამოხატა	ვ) სიტყვიერი

7. დაასრულეთ წინადადება:

- კევინ ზაბორნს ჩახუტების ელჩს უწოდებენ, იმიტომ რომ----------
- ფსიქოლოგები ხშირად ამბობენ,რომ----------
- ჩახუტებით ადამიანები თავს გრძნობენ ----------
- XI საკუნეში, მეტია ვირტულაური ურთიერთობები, რადგან----------

ჩახუტება გვასწავლის სიყვარულს

ჩახუტება ძალიან დიდ გავლენას ახდენს ბავშვებზე, ბავშვი, რომელსაც გულში არ იკრავენ, არ ეხებიან- ჩამორჩება განვითარებაში, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ვერ გამოხატავს ემოციებს. რაც გახლავთ პირდაპირი გზა ფობიების (შიშის), ამიტომ ჩახუტება, გულში ჩაკვრა გამოხატავს არამარტო ურთიერთობას, არამედ გვასწავლის სიყვარულს. დეპრესიაში მყოფი ადამიანის ორგანიზმში ჩახუტების შემდეგ იკლებს სტრესის ჰორმონის კორტიზოლის დონე, რის გამოც ადამიანი შვებას გრძნობს.

8. მოუფიქრეთ მოცემულ ფოტოებს ისტორია:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

21. ----------

9. მოისმინეთ ფოტოების რეალური ისტორიები (ჩანაწერი).

დავალება: მოსმენილი ისტორიებიდან დაწერეთ, რომელი იყო თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი (დაწერეთ მოსმენილი ისტორა)? რატომ ფიქრობ ასე?

ტექსტი N2

ჩახუტების ძალა....

ხშირ შემთხვევაში ჩვენ სათანადოდ არ ვაფასებთ, შეხების ჩახუტების ძალას, ჩახუტება აკავშირებს ერთმანეთთან სხეულსა და გონებას და ამ კავშირით ინარჩუნებს ჯანმრთელობას. ის აახლოებს ადამიანს, ანგრევს ბარიერს, აგვარებს და თავიდან გვაცილებს კონფლიქტებს.

იმ ენერგიის შესწავლა, რომელიც ყველას გვაქვს, გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ უბრალოდ შეხება, ხელის ჩამორთმევა, ჩახუტება არის გამოჯანმრთელების ერთ-ერთი საშუალება. ვინაიდან სიყვარული – ეს არის ძლიერი გამაჯანსაღებელი ენერგია სამყაროში, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია ნებისმიერ წამალზე. შეხება დადებით გავლენას ახდენს ადამიანებზე.

მედიცინაში საინტერესო ფაქტია, რომ იმ პაციენტების გამოჯანმრთელების პროცესი, რომლებსაც ეხებოდნენ ექთნები, **გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე იმათი, ვინც მოკლებული იყვნენ ასეთ შესაძლებლობას.**

სოციოლოგიური გამოკვლევებით, იმ ადამიანებში, რომლებსაც აქვთ ბედნიერი ოჯახური ურთიერთობები, ავადმყოფობები ბევრად უფრო ნაკლებია; ასევე პაციენტებში, რომლებიც გრძნობენ, რომ ისინი უყვართ, უფრო სწრაფად ხდებიან კარგად.

მეცნიერებმა ჩაატარეს შემდეგი ექსპერიმენტი ლონდონის ერთ–ერთ კლინიკაში:

მთავარი ქირურგი საღამოს, ოპერაციის წინ მიდიოდა თითოეულ პაციენტთან პალატაში, რათა ეპასუხა მათი შეკითხვებისთვის. ქირურგს ექსპერიმენტის დროს, საუბრისას თითოეულ პაციენტს ჰკიდებდა ხელს, რამოდენიმე წუთის განმავლობაში.

ანალიზის შედეგებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთ პირობებში პაციენტების გამოჯანმრთელების პროცესი მიმდინარეობდა **სამჯერ უფრო სწრაფად.**

ზუსტად არ არის ცნობილი თუ რა არის ამის მიზეზი!

შეიძლება ეს პირდაპირ კავშირშია მოდუნებასთან, ტკივილის მოხსნასთან. შეიძლება შეხებისგან გადაეცემა სინაზე და მზრუნველობა, რომელიც პაციენტს უქმნის განაწყობს გამოჯანმრთელებისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ, როცა ჩვენ მზრუნველად ვეხებით ადამიანს, იცვლება როგორც მისი, ასევე ჩვენი ფიზიოლოგია, მცირდება სტრესის ჰორმონების დონე, ხდება ნერვული სისტემის მოდუნება, უმჯობესდება იმუნური სისტემის მდგომარეობა და ეს ახდენს გავლენას ჩვენს ემოციებსა და ხასიათზე.

ახლა მგონი გასაგებია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი შეხება, ჩახუტება და კონტაქტი ხელებით, რომ გავცეთ და მივიღოთ სიყვარული. ეს გვცვლის ჩვენ ფიზიკურად, გონებრივად და ემოციონალურად. ეს არის მშვენიერი საშუალება დავრჩეთ ძლიერი და ჯანმრთელი.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ფიზიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ადამიანისთვის აუცილებელია მინიმუმ 12 ჩახუტება დღეში.

დავალებათა ბლოკი:

10. **შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ, ან გ)**

ჩახუტების ძალა ერთმანეთთან აკავშირებს:

ა) სხეულსა და გონებას.

ბ) გამოჯანმრთელებაში გვეხმარება.

გ) პაციენტსა და ექიმს.

ექსპერიმენტის თანახმად, პაციენტები სწრაფად გამოჯანმრთელდნენ იმიტომ რომ:

ა) ოჯახის წევრები კარგად ზრუნავდნენ მათზე.

ბ) ფსიქოლოგები ზრუნავდნენ მათზე.

გ) ექიმი საუბრისას პაციენტებს ჰკიდებდა ხელს.

რატომ არის მნიშვნელოვანი შეხება, ჩახუტება?

ა) იმიტომ, რომ მივიღოთ და გავცვალოთ სიყვარული.

ბ) იმიტომ, ორმ გამოვჯანმრთელდეთ.

გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.

11. რა ექსპერიმენტი ჩაატარეს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში?

_____

_____

_____

12. რა შედეგით დასრულდა ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებული ექსპერიმენტი?

_____

_____

13. გახაზეთ ერთ-ერთი სიტყვა, რომლითაც შეიძლება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შეცვლა.

პაციენტები, რომლებიც გრძნობენ, რომ ისინი უყვართ, უფროს <u>სწრაფად</u> ხდებიან კარგად.

ა) სასწრაფოდ. ბ) უცაბედად. გ) მალე.

მეცნიერებმა ჩაატარეს <u>ექსპერიმენტი</u> ლონდონის ერთ–ერთ კლინიკაში.

ა) გამოძიება. ბ) კვლევა. გ) გამოკვლევა.

14. მოცემული წინადადება გადაიყვანეთ ახლანდელ დროში:

გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეოდა გამოკეთების პროცესი ვიდრე იმათი, ვინც მოკლებული იყვნენ ასეთ შესაძლებლობას.----------

---

15. მოცემული სიტყვებისაგან ააწყვეთ წინადადება:

აუცილებელია, ფსიქოლოგები, მინიმუმ, დღეში, რომ, შესანარჩუნებლად, ჩახუტება, ადამიანისთვის ფიზიკური თორმეტი, თვლიან, ჯანმრთელობის.

_____

_____

16. წაკითხულის/მოსმენილის შეჯამება 3 წინადადებით

1)----------

2)----------

3)----------

ტექსტი #3

17. მოისმინეთ და დაასათაურეთ ჯეკ კენფილდის ტექსტი:

დავალებათა ბლოკი:

18. წერა ქარგის მიხედვით

ამ ტექსტიდან მე გავიგე, რომ ჩახუტება----------.

ჯეკ კენფილდი ამბობს, რომ ჩახუტება თავისუფალია ხელოვნურობისგან, რომელიც არ ----------

----------ის ამობს რომ სასიამოვნოა ჩახუტების----------. ჩახუტება გამოხატავს ----------

ჩახუტება – იდეალური ----------. ჩახუტება, არასაკმარისად----------. მას ჰყავს----------

------ შესაძლოა----------

19. ***ლი შაპიროს ისტორია....***

,, ნუ მომჩერებიხართ! ჯობია გადამეხვიოთ!''

ასეთი წარწერა ამშვენებს ამერიკელი პენსიონერის ლი შაპიროს ავტომობილს.

ის ყოფილი მოსამართლეა, რომელსაც კოლეგებმა ზედმეტსახელად ,, ჩამხუტებელი მოსამართლე'' უწოდეს.

ლი შაპირო თავისი კარიერის გარკვეულ ეტაპზე მიხვდა, რომ სიყვარული ყველაზე დიადი ძალაა სამყაროში და დაიწყო ჩახუტების ,, გაცემა'' ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია.

მას თან დააქვს ჩანთა წარწერით ,, გული ჩახუტების სანაცვლოდ'', რომელშიც მოთავსებულია წითელი ნაჭრისგან დამზადებული მცირე ფორმის ოცდაათი გული. ყოველ შემხვედრ ადამიანს ის სთავაზობს ერთ ასეთ გულს ჩახუტების სანაცვლოდ.

ამ ჩვევის დამსახურებით ლიმ მოიპოვა ისეთი პოპულარობა და სიყვარული, რომ მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა სახის გრანდიოზულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სადაც ის პროპაგანდას უწევს <u>სიყვარულს საზღვრების გარეშე</u>.».

20. ქეისები: რა ძალა აქვს ჩახუტებას?

21. აქტივობა ღირებულებების ხაზი თემაზე: „ჩავეხუტები თუ არა უცხოს გამვლელს“?

უცნაური გატაცებების დღე

იანვარი

შინაარსი: გატაცება; უცნაური გატაცებები (პირადი გამოცდილება); ცნობილი ადამიანების გატაცებები; უცნაური კოლექციები.

გონებრივი იერიში;

1. **რას ნიშნავს გატაცება? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „გატაცება“...**

(სტუდენტები სწავლობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობას. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

3. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

გატაცება (გატაცებისა) - 2.გადატ. დიდად დაინტერესება, მთელი ყურადღების მიპყრობა, ძლიერ მოხიბვლა. [ზურაბმა] შვილსაც დაუშალა ნადირობით მეტის მეტი გატაცება **(ვაჟა).** ეს იყო მისი მოლოდინი და გატაცება, ეს იყო მისი სიხარული **(ი. აბაშ.).**ახმეტელის გატაცება რიტმის

პრობლემებით ურთულესი, დიდი საკითხია **(«ლიტ. საქ.»).** ცნობილია აგრეთვე... [ვახტანგ მეექვსის] გატაცება საბუნებისმეტყველო დარგებით **(ს. ცაიშვ.).**

4. **რა გატაცება გაქვთ თქვენ? აგროვებთ რამეს? თითოეულმა თქვენგანმა ჩამოაყალიბოს საკუთარი გატაცება.**

5. **თქვენ უკვე იცით, რა არის სინონიმი. მოიფიქრეთ და ჩამოაყალიბეთ განმარტება. დაიყავით 3 ჯგუფად და თითოეულმა მოიყვანეთ სინონიმების 3-3 მაგალითი.**

ნიმუში:

ლამაზი - მშვენიერი;

პაპა - ბაბუა;

მეკარე - გოლკიპერი

ახირება (ახირებისა) სახელი აიხირებს, ახირდება ზმნათა მოქმედებისა, – რისამე დაჟინება, აჩემება.ჩვენის მხრით მეტისმეტი ახირება იქნება ამაში გავუჭირვეულდეთ ვისმე **(ილია).** ნუ ჯიუტობ, შვილო, ახირება კარგად არ თავდება ხოლმე! **(თ. რაზიკ.).** ზოგჯერ საშინელი ახირება იცოდა ჩვენმა რედაქტორმა **(ნ. ლორთქ.).**

6. **თქვენ თუ გყავთ ახირებული მეგობარი? ნაცნობი? რა ახირება აქვს?**

7. **გატაცების სინონიმია ჰობიც, თუმცა, მას ცოტა განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:**

რა არის ჰობი?

ჰობი ეს არის, ის რისი გაკეთებაც უყვარს ადამიანს, როდესაც ის არ არის დაკავებული თავისი ძირითადი საქმიანობით. ადამიანის ცხოვრებას ჰობი უფრო საინტერესოს ხდის.ასევე ჰობი ეხმარება ადამიანს თავისი მომავალი პროფესიის არჩევაში.მაგალითად თუ თქვენ ბავშვობიდან გიტაცებთ ცეკვა, შეხვალთ ცეკვის წრეზე, შემდეგ თქვენ ჩააბარებთ ქორეოგრაფიულზე ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გახდეთ პროფესიონალი მოცეკვავე.

8. **მოისმინეთ, რა დღესასწაული აღინიშნება 10 იანვარს:**

10 იანვარი უცნაური გატაცებების მქონე ადამიანთა დღეა.

კაცობრიობა წინ ვერ წავიდოდა, პროგრესი არ იქნებოდა, რომ არა ადამიანები, რომლებიც, საზოგადოების შეფასებით, „უცნაურად“ იუქცევიან... არადა, სწორედ ეს უცნაური ადამიანები ახდენენ რადიკალურ გარდაქმნებს. ისინი გამოწვევას უგზავნიან დაკანონებულ იდეებს და გლეჯენ ჩარჩოებს, რათა მოუტანონ ადამიანებს ბედნიერება, სიხარული, სხვანაირად დაგვანახონ სამყარო...

სწორედ ამითია საინტერესო „უცნაური გატაცებების“ კარგად გააზრება: რაც დღესაა უცნაური, ხვალ შეიძლება წინსვლის და განვითარების საფუძველი გახდეს!

ამ დღის აღნიშვნა გადაწყდა იმიტომ, რომ ხაზი გაესვათ იმ ადამიანთა უფლებებისთვის, რომლებიც, უბრალოდ, ისეთები არ არიან, როგორიც ყველა...

9. **მოსმენილი ტექსტის მიხედვით დაწერეთ მცირე ესე: „უნდა ვცემდეთ თუ არა პატივს განსხვავებულ მოსაზრებებს“?**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

10. **უცნაური გატაცებები შეიძლება ჰქონდეს ყველა ჩვენგანს. თუმცა, განსაკუთრებით აინტერესებთ ადამიანებს გამოჩენული მასახიობების, სპორტსმენების, მწერლების (ე.წ. ვარსკვლავების“) გატაცებები.**

ღამით ყველას უნახავს ვარსკვლავებით მოჭერილი ცა. რა არის ვარსკვლავი?

(სტუდენტები გამოთქვამენ მოსაზრებებს. საბოლოოდ ერთ-ერთი მათგანი იძლევა განმარტებას.

11. **გამოჩენილ ადამიანებს „ვარსკვლავებს“ უწოდებენ. რატომ? დაიყავით 3 ჯგუფად და თითოეულმა თქვენგანმა მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია, თუ რატომ დაარქვეს ადამიანებს „ვარსკვლავები“?**

12. **წაიკითხეთ ტექსტი, რომელშიც ცნობილი პიროვნებების უცნაური გატაცებების შესახებაა მოთხრობილი:**

   შესაძლო აქტივობები:

   1. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
   2. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
   3. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

   (ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

„ვარსკვლავების“ უცნაური გატაცებები

ჩვენ გვიყვარს ფილმების ყურება. ალბათ ყველას გვყავს უსაყვარლესი მსახიობი, რომლის შესრულებულ როლებსაც ხშირად ვუყურებთ.

რაზე ხარჯავენ ფულს ჰოლივუდის ვარსკვლავები და იწვევს თუ არა მათი გატაცებები გაკვირვებას?

დემი მურს აქვს თოჯინების დიდი კოლექცია, ***იზაბელა როსელინის*** კი შენახული აქვს მისი ყოფილი შეყვარებულების ნივთები... ***მადონა*** დიდი გატაცებით აგროვებს პიკასოს ნახატებს.

ლეონარდო დიკაპრიოს გატაცება არის პოკერი. ის ყოველთვის პოულობს დროს პოკერის სათამაშოდ. ლეოს ჰობია აგრეთვე სიმაღლიდან თოკით დაშვება. არავითარი პარაშუტი! ის თვითონ პოულობს ასეთ ადგილებს და სიამოვნებით ეშვება დიდი სიმაღლიდან. მიუხედავად პოლიციის არაერთი გაფრთხილებისა, მსახიობი მაინც ახერხებს ამ შენობებზე აძრომას და მერე იქიდან ქვემოთ ჩამოცოცებას.

ჯონი დეპს აქვს უზარმაზარი ღამურების და ხოჭოების კოლექცია.მას აქვს საყვარელი ხოჭოების მაღაზია პარიზში.ასევე მას აქვს ცხოველების ფიტულები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოაქვს.

ნიკოლ კიდმანი გიჟდება თვითმფრინავიდან გადმოხტომაზე. ამიტომ, როდესაც მას უწევს ფრენა ინსტრუქტორი ცდილობს, ზედმეტი ყურადღება მიაქციოს და მარტო არ დატოვოს მსახიობი. ასევე, ნიკოლს უყვარს პატარა ისტორიების წერა და ამბობს, რომ ოდესმე გამოსცემს თავის თხზულებებს წიგნად...



ტომ ჰენკსს აქვს ძველი საბეჭდი მანქანების (200 მანქანა)დიდი კოლექცია მისი გატაცება ისეთი ძლიერია, რომ სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას აუცილებლად მიაქვს ხოლმე ერთი საბეჭდი მანქანა მაინც...

ელტონ ჯონი აგროვებს სათვალეებს უცნაური ჩარჩოებით. მისი სათვალეების კოლექცია ძალიან დიდია და მომღერალი ძალიან დიდ თანხას იხდის ორიგინალურ სათვალეებში.

ანჯელინა ჯოლი ძალიან დაინტერესებულია იშვიათი ძველებური დანებით. მისი კოლექციის ეგზემპლარები ძირითადად შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის დროინდელ ექსპონატებს მოიცავს, თუმცა მის შემადგენლობაში სხვა პერიოდის უიშვიათესი ხმლები და დანებიც შედის. ერთხელ ინტერვიუში ჯოლიმ განაცხდა, რომ თავის საშიშ კოლექციას საიმედოდ ჩაკეტილს ინახავს შვილებისგან შორს, რომ მათ შემთხვევით დანებით არაფერი დაიშავონ.

დავალებათა ბლოკი:

13. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

14. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

15. დაასრულეთ წინადადებები:

ნივთები ჩარჩოებით ნახატებს გადმოხტომაზე მაღაზია პოკერი კოლექცია

დემი მურს აქვს თოჯინების დიდი .....

იზაბელა როსელინის შენახული აქვს მისი ყოფილი შეყვარებულების .....

მადონა დიდი გატაცებით აგროვებს პიკასოს .....

ლეონარდო დიკაპრიოს გატაცება არის .....

ჯონი დეპს პარიზში გახსნილი აქვს საყვარელი ხოჭოების .....

ნიკოლ კიდმანი გიჟდება თვითმფრინავიდან .....

ელტონ ჯონი აგროვებს სათვალეებს უცნაური .....

16. შეარჩიეთ ჩამოთვლილთააგან და მიუწერეთ სწორი სინონიმი:

ცნობილი ადამიანი ცალი აძრომა კინოსურათი გატაცება სანდო

ვარსკვლავი - _____

საიმედო - _____

ახირება - _____

ეცზემპლარი - _____

აცოცება - _____

ფილმი - _____

17. წაკითხულის გააზრება:

ცხრილში მიუწერეთ ვარსკვლავებს, რა გატაცება აქვს თითოეულ მათგანს:

შეავსეთ ცხრილი:

იზაბელა როსელინი	
დემი მური	
ლეონარდო დიკაპრიო	
ჯონი დეპი	
ნიკოლ კიდმანი	
ტომ ჰენკსი	
ელტონ ჯონი	
ანჟელინა ჯოლი	

18. თქვენ რომელი ვარსკვლავის გატაცება მოგეწონათ? რატომ?

(განხილვაში მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

19. მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებსაც აქვთ გატაცებები. წავიკითხოთ ტექსტი და ვიმსჯელოთ:

შესაძლო აქტივობები:

4. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
5. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
6. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

უმდიდრესი ადამიანების ახირებები

გამოჩენილ, ცნობილ ადამიანებს, ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, ახასიათებთ ადამიანური სისუსტეები, აქვთ ჰობი და გატაცებები. ეს გატაცებები ხშირად ძალიან უცნაური და გაუგებარია; უფრო მეტიც: ახირებაც შეიძლება დავარქვათ...

განსაკუთრებით საინტერესოა იმ ადამიანების ახირებები, რომლებსაც უამრავი ფული აქვთ და მილიარდერებს ვუწოდებთ...

ბევრი მილიარდერი ცნობილია სხვადასხვა ძვირად ღირებული, მათ შორის ხელოვნების ნიმუშებისა და ავტომანქანების იშვიათი კოლექციით. თუმცა, ბევრ მათგანს უცნაური გატაცებებიც აქვს...

მარკ ცუკერბერგის ნაცრისფერი მაისურები

ალბათ თქვენ ყველანი ხართ ცნობილი სოციალური ქსელის - ფეისბუკის (Facebook) მომხმარებლები; ალბათ ისიც იცით, რომ ფეისბუკის შემქმნელი მარკ ცუკერბერგია. ცუკერბერგი პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია: მარკ ცუკერბერგის ქონება 49,3 მილიარდი დოლარია. როგორც მილიარდერთა უმრავლესობა, ისიც გამოირჩევა უცნაური ქცევებით...

2015 წლის იანვარში „ფეისბუქის“ გვერდზე მარკ ცუკერბერგმა საკუთარი გარდერობის ფოტოები გამოაქვეყნა, წარწერით - რა ჩავიცვა? ამერიკელი მილიარდერის გარდერობში მხოლოდ ნაცრისფერი მაისურები ეკიდა.

ამ სურათზეც ცუკერბერგი ნაცრისფერ მაისურში გამოწყობილი გვიღიმის...

დევიდ როკფელერის უცნაური კოლექცია

მილიარდერი დევიდ როკფელერი ბრილიანტებისა და მწერების კოლექციით არის ცნობილი. 102 წლის ამერიკელი, რომლის ქონებაც, „ფორბსის“ მონაცემებით, 3 მილიარდი დოლარია, ძველი და იშვიათი ბრილიანტების შეგროვებითაა გატაცებული.

ეს სულაც არ არის უცნაური ახირება; თუმცა, როკფელერი ასევე დაინტერესებულია მწერების შეგროვებით. როკფელერის მწერების კოლექცია დაახლოებით 40 ათას სხვადასხვა სახეობის მწერს ითვლის.

რიჩარდ ბრენსონის ჰობი - სტიუარდესობა

მილიარდერი რიჩარდ ბრენსონი ყოველთვის გამოირჩეოდა უცნაური ქცევით. 2013 წელს ბრენსონმა რამდენიმე ხნით ავიაკომპანია AirAsia-ს სტიუარდესად იმუშავა და წითელ ქვედაბოლოსა და პიჯაკში გამოწყობილი ემსახურებოდა თვითმფრინავის მგზავრებს...

ინგვარ კამპრადის მეორადი ტანსაცმელი

კორპორაცია „იკეას“ (ეს კომპანია მსოფლიოში ცნობილ ავეჯს აწარმოებს და სახლის მოწყობილობაზე ზრუნავს) დამფუძნებელი, 90 წლის ინგვარ კამპრადი ამბობს, რომ მის ასაკში ფულის ხარჯვა სისულელეა. მილიარდერი მხოლოდ ეკონომკლასით დაფრინავს, ხმელეთზე კი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს. ერთ-ერთ ინტერვიუში კამპარდი გამოტყდა, რომ ტანსაცმელს ე.წ. სექანდ ჰენდში ან ძველმანების ბაზრობაზე ყიდულობს.

ერლ სტაფორდი და ობამას ინაუგურაცია გაჭირვებულთათვის

ამერიკელმა ბიზნესმენმა ერლ სტაფორდმა მილიონი დოლარი დახარჯა იმისთვის, რათა ობამას ინაუგურაციაზე გაჭირვებულები, ვეტერანები და მძიმე დაავადებების მქონე ადამიანები დაეპატიჟებინა. ყველა მათგანი სტაფორმა ვაშინგტონში, სასტუმრო „მარიოტში“ მოათავსა. სასტუმროს ფულის გარდა, მილიარდერმა ასევე დააფინანსდა მათი სტუმრობა საზეიმო ღონისძიებებსა და სადილებზე. ბიზნესმენმა ინაუგურაციაზე დაპატიჟებულ ღარიბებს თავად უქირავა სმოკინგები და საღამოს კაბებიც.

დავალებების ბლოკი

20. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

21. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

22. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

შემქმნელი იშვიათი ნაცრისფერი მონაცემებით პლანეტის უმრავლესობა მწერების საკუთარი სოციალური

ალბათ თქვენ ყველანი ხართ ცნობილი ..... ქსელის - ფეისბუკის (Facebook) მომხმარებლები; ალბათ ისიც იცით, რომ ფეისბუკის ..... მარკ ცუკერბერგია. ცუკერბერგი ..... ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია: მარკ ცუკერბერგის ქონება 49,3 მილიარდი დოლარია. როგორც მილიარდერთა ....., ისიც გამოირჩევა უცნაური ქცევებით...

2015 წლის იანვარში „ფეისბუქის“ გვერდზე მარკ ცუკერბერგმა ..... გარდერობის ფოტოები გამოაქვეყნა, წარწერით - რა ჩავიცვა? ამერიკელი მილიარდერის გარდერობში მხოლოდ ..... მაისურები ეკიდა.

მილიარდერი დევიდ როკფელერი ბრილიანტებისა და ..... კოლექციით არის ცნობილი. 102 წლის ამერიკელი, რომლის ქონებაც, „ფორბსის“ ....., 3 მილიარდი დოლარია, ძველი და ..... ბრილიანტების შეგროვებითაა გატაცებული.

23. მიუწერეთ ანტონიმები:

სტუმარი - _____

ღარიბი - _____

საღამო - _____

საზოგადოებრივი - _____

ყოველთვის - _____

უმრავლესობა - _____

არაჩვეულებრივი - _____

იშვიათი - _____

საზეიმო - _____

24. წაკითხულის გააზრება:

ცხრილში მიუწერეთ ვარსკვლავებს, რა გატაცება აქვს თითოეულ მათგანს:

შეავსეთ ცხრილი:

მარკ ცუკერბერგი	
დევიდ როკფელერი	
რიჩარდ ბრენსონი	

ინგვარ კამპრადი	
ერლ სტაფორდი	

25. თქვენ რომელი ვარსკვლავის გატაცება მოგეწონათ? რატომ?

(განხილვაში მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

26. როლური თამაში:

დაიყავით 4 ჯგუფად .თითოეულმა ჯგუფმა შეარჩიოს მილიარდერის თითო გატაცება და მოამზადოს მინისპექტაკლი. ჯგუფის წევრტაგან ერთი „ახირებული“ მილიარდერია და ჯგუფის სხვა წევრებს პასუხობს კითხვებზე, უსაბუთებს მათ, თუ რატომ აქვს მას ეს გატაცება.

27. გატაცების, ჰობის ერთ-ერთი სახეა კოლექციის შეგროვება. რა არის კოლექცია? განმარტეთ.

28. მოიძიეთ განმარტებით ლექსიკონში „კოლექციის“ ზუსტი განსაზღვრება და ამოიწერეთ.

29. წავიკითხოთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

7. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
8. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
9. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

უცნაური კოლექციები

ცნობილი ადამიანების გატაცებას და მათ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. რის კოლექციას აღარ აგროვებენ ისინი: მარკებსა და მონეტებს, გერბებს და დროშებს, პლასტმასის სამკაულებს და სათამაშო მატარებლებს, თოჯინებსა და მაისის ხოჭოებს..... ამ პოსტში მინდა

წარმოგიდგინოთ ცნობილი ადამიანების მეტად უცნაური კოლექციები, რომლებსაც ისინი დიდი სიამაყით წარუდგნენ ხოლმე გაოცებისაგან თვალებგაფართოებულ სტუმრებს.

ტანსაცმლის საკიდები-პენელოპა კრუსის გატაცება უცნაურ კოლექციონერებს შორის ალბათ ერთ-ერთი პირველი ადგილი პენელოპა კრუსს ეკუთვნის: ლამაზმანი მსახიობი უკვე წლებია ტანსაცმლის საკიდებს აგროვებს. ამბობენ, რომ ეს კოლექცია 500-ზე მეტ ეგზემპლარს მოიცავს, თუმცა მსახიობის გატაცება ორიგინალური სულაც არ მოგვეჩვენებათ, თუ გავიხსენებთ, რომ პენელოპა და მისი და ერთად ამუშავებენ ტანსაცმლის დიზაინს ფირმისათვის MANGO, აგრეთვე ცნობილი ბრიტანული ქვედა თეთრეულის მწარმოებელი ფირმისათვის AgentProvocateur.

ვუპი გოლდბერგის ბაკელიტის სამკაულები თუ თქვენ არაფერი გსმენიათ ბაკელიტის ბუმის შესახებ, მაშინ შეგახსენებთ, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში პლასტმასის ამ სახეობისაგან დამზადებული ნივთები ძალიან პოპულარული იყო. მისგან ამზადებდნენ სათამაშოებს, ღილებს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებს და სამკაულებსაც კი. სწორედ ამ სახის ბიჟუტერიას აგროვებს ვუპი გოლდბერგი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის განძს ის იკეთებს საღამოებზე და ენბისის ყოველდღიურ ტელეშოუზე «Today». ერთხელ ვუპი გოლდბერგი ამ სამკაულებით "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზეც კი გამოცხადდა. ამ სათამაშოების მოყვარულები არიან აგრეთვე ბარბრა სტრეიზანდი, დაიანა კიტონი და ლილი ტომლინი.

როდ სტიუარტის სათამაშო მატარებლების კოლექცია სათამაშო მატარებლების ფანატ-კოლექციონერებს შორის როდ სტიუარტი ყველაზე "მდიდრად" ითვლება. ის იმდენადაა ამით გატაცებული, რომ ბევერლი ჰილზზე მდებარე უზარმაზარი სახლის მესამე სართული გადაკეთებული აქვს ჩიკაგოს სარკინიგზო ქსელის მოდელად მატარებლებით, ტერმინალებით, დეპოებით და სხვა წვრილმანებით. ამბობენ, რომ სტიუარტი ხანდახან თავად ახდენს სხვადასხვა ელემენტების კონსტრიურებას და ზოგიერთი მატარებელი მოგზაურობაშიც კი მიაქვს ხოლმე.

კომედიური ტელევარსკვლავის როზი ოდონელეს გატაცება-სათამაშოები "მაკდონალდსიდან" როცა მდიდარი და ცნობილი ხარ, სულაც არაა აუცილებელი ძვირფასი ნივთების შეგროვებით იყო გატაცებული. როზი ოდონელმა ეს დაამტკიცა, როცა "მაკდონალდსის" სათამაშოების შეგროვება დაიწყო და თავისი ოფისი ნელ-ნელა გადააქცია საგამოფენო პავილიონად. როზი თავის კოლექციას ძველებური მეთოდით აგროვებდა:ის უბრალოდ მიდიოდა რესტორანში, ყიდულობდა იქ საჭმელს და საჩუქრად ღებულობდა სათამაშოს, ისევე როგორც ყველა მიმსვლელი. წარმოიდგინეთ, იმისათვის რომ 101 დალმატინელი შეეგროვებინა, ის ყოველდღე დადიოდა "მაკდონალდსში". რა თქმა უნდა, რესტორანში ბოლოს და ბოლოს ის იცნეს და დაიწყეს მისთვის სათამაშოების სრული კომპლექტის ჩუქება. როზის კოლექცია ამჟამად 2500-ზე მეტ სათამაშოს ითვლის და ის გამუდმებით იზრდება.

ფლორიდის შტატში მცხოვრები, 57 წლის ჰარი სპერლი ჰამბურგერების კოლექციას დაახლოებით 23 წლის განმავლობაში აგროვებდა. მის სახლში ჰამბურგერების მუზეუმია, სადაც თითქმის ყველა ნივთს ბურგერის ფორმა აქვს, მაგალითად, ტელეფონს, საწოლს, ბალიშებს. მან ასევე შექმნა თავისი ოცნების სამბორბლიანი ბურგერის ფორმის ველოსიპედი – "ჰამბურგერ ჰარლი", რომელიც ხახვით და კიტრით არის გაფორმებული. იმის მიუხედავად, რომ ჰარი გერმანელია, მას ამერიკის ყველაფერი უყვარს. „მე მიყვარს ამინდი, მზე, პლაჟები, ოკეანე და ამერიკული ოცნება. ამერიკა ადგილია, სადაც ყველას თვითრეალიზების საშუალება აქვს", – ამბობს ჰარი.

30. თქვენ თუ აგროვებთ კოლექციას? გაქვთ თუ არა სურვილი, შეაგროვოთ რამე?

(დისკუსიაში მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

31. შემაჯამებელი აქტივობა: „კუთხეები"

საკამათო თემა: გამართლებულია თუ არა უცანაური (არაორდინალური) გატაცებები? საერთოდ, რას ნიშნავს, თქვენი აზრით, უცნაური?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

საშინაო დავალება

- **3-2-1**

  უყურეთ ფილმს „ისევ ის მიუნჰაუზენი" დაწერეთ მოკლე შინაარსი სამი წინადადებით. დაუსვით ბარონს 2 შეკითხვა და მიეცით მას 1კონკრეტული რჩევა.
- **დაწერეთ მიუნჰაუზენის დახასიათება.**
- **მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია უცნაური გატაცებების მქონე ადამიენბის შესახებ და დაწერეთ სახ;ლში.**
- **შეადგინეთ რთული წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ახირება, ჰობი, უცნაური, თავისებური, გამორჩეული, ჩვეულებრივი, სხვანაირი, .**

საათის წიკწიკის დღე

დეკემბერი

შინაარსი: *დროის გაზომვა, დროის აჩქარება, დროის შენელება, საათების ისტორია, რა როლი აქვს საათებს ჩვენს ცხოვრებაში? ჩვენ და დრო.*

გამოწვევის კითხვები:

რაში გვჭირდება საათი?

რა სახის საათები შეგიძლიათ გაიხსენოთ?

გაიხსენეთ ყველაზე დასამახსოვრებელი საათი?

რამდენად ხშირად ინტერესდებით რომელი საათია?

თუ დაფიქრებულხართ, რამდენი საათია თქვენ გარემოში?

როგორ საათს ანიჭებთ უპირატესობას?

დროის გაზომვის გარდა სხვა რა დანიშნულებით შეიძლება ჰქონდეს საათს?

რა ემოციას იწვევს თქვენში საათის წიკწიკი?

როდის ითვლით დროს განსაკუთრებით და როდის არა?

რა ადგილი აქვს საათს თქვენს ცხოვრებაში?

აქტივობა 4. დააკვირდით ფოტოებს. აღწერეთ რას ხედავთ თითოეულ ფოტოზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ამჩნევთ?



აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმეთ ან უარყავით)

სხვისი შვილები მალე იზრდებიან (კი/არა)

როცა ვინმეს ელი, დრო იწელება (კი/არა)

როცა შეყვარებული ხარ, დრო ჩერდება (კი/არა)

დრო ყველაფრის მკურნალია (კი/არა)

ტექსტი N 1

ლექსიკონი	
მიღწევა	წარმატება მაგ. წარმატების მიღწევა
ენიგმა	კოდირების ელექტრონული მანქანა/ გადატანითი მნიშვნელობით რაიმე მნიშვნელოვანი/არსებითი
სისხარტე	სისწრაფე
წარმოუდგენელი	დაუჯერებელი
მაჯა	ხელი
სტატუსი	მდგომარეობა
მიგნება	აღმოჩენა
მექანიკური	მოძრავის მაგ. მექანიკური მანქანა

დედამიწის კალენდარში მოიძებნება დღე, რომელიც ყველაზე მეტად დაგაფიქრებს დროზე, მის წარმავალობასა და საკუთარი შესაძლებლობების გაზომვაზე. 29 დეკემბერს საათის წიკწიკის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე დგება დრო, დავფიქრდეთ, რა და როგორ მოავასწარით. წელს რისი გაკეთება შევძელით და რისი - ვერა, შევაჯამოთ და შევაფასოთ ჩვენი მიღწევები განსაზღვრულ დროში.

საათის ისრების მოძრაობა გამოსცემს ხმას, რომელიც სხვადასხვაგვარად ესმის ადამიანებს. საათის წიკ-წიკი ზოგისათვის რაიმე მნიშვნელოვანის მოახლოების მაჩვენებელია, ზოგს კი იგი ვიღაცას ან რაღაცას აშორებს. ხშირად საათის წიკწიკი გულის ძგერის ხმასაც მოგვაგონებს, თუ მნიშვნელოვანი რაღაცის გაგებას ველოდებით. საათი ჩვენი თანამედროვეობის სიმბოლოდ, ნამდვილ ენიგმად იქცა. **ყოველდღიურობა** წარმოუდგნელი გახდა საათის გარეშე, საათებით არამხოლოდ დრო, არამედ ჩვენი შესაძლებლობები, სისხარტე, **წარმატება** თუ წარუმატებლობა იზომება. მხოლოდ განსაზღვრულ საათებში შეგიძლია **ეწვიო** მეგობარს სტუმრად, განსაზღვრულ დროს მიაკითხო ექიმს, განსაზღვრულ საათებში შეგიძლია მიიღო კითხვებზე პასუხი შესაბამისი სამსახურის წარმოამადგენელთაგან. ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მისასვლელად **განსაზღვრული** დროა საჭირო, რომელიც უნდა **გაითვალიწინო**, რომ არ დააგვიანო ან ადრე არ მიხვიდე. ამდენად, თურმე დროსა და საათზე იმაზე მეტი ფიქრი გვიწევს, ვიდრე რაიმეზე ან ვინმეზე. საათს ვხვდებით ტელეფონში, კომპიუტერში, ტრანსპორტში, მაჯაზე, კედელსა და ყველაგან, სადაც ჩვენი თვალი მისწვდება. საათები ყველა მასალისაგან კეთდება, რომლებიც კი ადამიანმა შეიძლება წამოიდგინოს. საათი ხელმისაწვდომია ყველა სოციალური ფენისათვის. ამავდორულად, საათი შეიძლება პიროვნების სოციალური სტატუსის საზომიც გახდეს.

დაზუსტებით თქმა იმისა, თუ ვინ და როდის დაიწყო დროის გაზომვა, შეუძლებლია. თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ პირველი საათი მზის მოძრაობას დაუკავშირდა. თუ მზის გულზე

მიწაში ჩავასობთ ჯოხს, დავინახავთ, რომ ჯოხის ჩრდილი მოძრაობას დაიწყებს გარკვეულ დროში. მსგავსი ტიპის მზის საათებს ვხვდებით საქართველოშიც ქრიტიანულ ტაძრებსზე.

დროის საზომ საშუალებად ისტორიაში სხვადასხვა მიგნებას ვხვდებით მაგალითად, სანთლის გამოყენება, რომელიც განსაზღვრულ დროში იწვის, წყალის ჭურჭელი, რომელიც გარკვეული დროის შემდგომ იცლება და ა.შ. სწრაფვა დროის მოხერხებულად გასაზომად XI საუკუნეში ქრისტიანი ბერების მიერ მექანიკური საათის შექმნით დასრულდა. პირველი მექანიკური საათები სწორედ ეკლესიის კედლებზე გამოჩნდა.

დავალებების ბლოკი:

4. დაასათაურეთ ტექსტი.

5. ჩასვით სიტყვა „საათი“ სხვადასხვა კონტექსტში.

ა) მხოლოდ განსაზღვრულ ---------- შეგიძლია ეწვიო ექიმს?

ბ) რომელ ---------- იწყება საინფორმაციო გამოშვება.

გ) ამ ----------გარეშე ვერ წამომიდგენია ჩემი თავი.

დ) ზუსტად ერთი ---------- დაგვიანებით მივედით დანიშნულ ადგილას

ე) მოულოდნელად ---------- წიკწიკი შეწყვიტა.

ვ) ხვალ, პირველ ---------- შენთან ვიქნება.

ზ) დრომ ერთი ---------- გადაიწია.

6. ჩაანაცლეთ ხაზგასმული სიტყვები შესაბამისი სინონიმებით:

ა) <u>ჩვენი ყოფა</u> წარმოუდგენელი გახდა საათის გარეშე

ბ) ჩვენი <u>მიღწევები</u> დროში იზომება

გ) მხოლოდ საღამოობით შეგიძლია <u>ესტუმრო</u> მეგობარს სახლში.

დ) ჩემი სახლიდან უნივერსიტეტამდე მისასვლელად <u>გარკვეული</u> დროა საჭირო.

ე) იმისთვის, რომ არ დაიგვიანო, <u>წინასწარ უნდა დაგეგმო</u> მარშრუტი.

7. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოჩნდა პირველი მექანიკური საათი ეკლესიების კედლებზე (იმსჯელეთ ჯერ ზეპირად, შემდგომ დაწერეთ).

---

8. ფოტოების მიხედვით რომელი საათია/ დღის რომელი მონაკვეთია? აღწერეთ მოცემული ნახატები:

1. ---

2. ---

3. ---

4. ---

5. ----------

6. ----------

7.  ----------

ტექსტი N 2

თბილისის მთავარი მესაათე: საათი რომ გაჩერდეს, გულიც გამიჩერდება

დედაქალაქში, საკრებულოს შენობის კოშკზე განთავსებულ მთავარ საათს არტურ პეტროვი მართავს, რომელსაც საათის მოვლა რამდენიმე წლის წინ მამამისმა **გადაულოცა**.

თბილისის მთავარი საათი რუსი გენერლის, გრაფ ივან პასკევიჩ-ერევნელის მოედანზე 1884 წელს **დამონტაჟდა**, მას შემდეგ კი ეს საათი ერთგულად ითვლის თბილისის დროს.

როგორც არტურ პეტროვი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში აცხადებს, ქვეყნის მთავარ საათს **მომართვა** 25 საათში ერთხელ სჭირდება.

„მაშინდელი მექანიზმებით საათის ისრები ამ დროის განმავლობაში მოძრაობდა და მერე ჩერდებოდა. მეც, ყოველ საღამოს, 8 საათის შემდეგ ჩამოვდივარ სოლოლაკიდან, ვძვრები საათზე, **ვზეთავ** და **ვქოქავ**.

რომც არ მინდოდეს, სულ საათებისაკენ გამირბის თვალი. მიკვირს, - ელექტროსაათები, წესით, ზუსტად უნდა მუშაობდნენ, მაგათი მომართვა ხომ მაინც ადვილია... ტრადიციას არ ვუღალატებთ და პაპის საქმეს ღირსეულად გააგრძელებს ჩემი შვილი“,-განაცხადა პეტროვმა.

„მამაჩემისგან გამიგია, თურმე მაშინდელ თბილისში დიდი დავა იყო, თუ რომელი ქვეყნიდან ჩამოეტანათ საათი. ბოლოს გერმანიიდან ჩამოუტანიათ. მამა ავადაც რომ ყოფილიყო, საღამოს მაინც მიდიოდა მის მოსამართად, - საათი რომ გაჩერდეს, გულიც გამიჩერდებაო. როცა აღარ შეეძლო, მაშინაც საათზე წუხდა. მიბარებდა, ისე უნდა მოუარო, როგორც საკუთარ ოჯახსო. **ვუვლი** კიდეც.

მეც მიყვარს ეს საქმე, 12 წლიდან დავყვებოდი მამას და ვუყურებდი, საათს რა ფრთხილად ქოქავდა. როგორც ძვირფას ბრილიანტს, ისე უყურებდა. მეგონა - მის მექანიზმს ხელს თუ მოვკიდებდი, რაიმეს დავუშავებდი. ამიტომ არ მავიწყდება, როგორ ვღელავდი, როცა საათს პირველად შევეხე. ისე, ახლაც ასე ვღელავ, - შარშან, არსებობის დღიდან საათი პირველად შევაკეთე და პირველად გაჩერდა. ხალხი გაკვირვებული კითხულობდა, რა ხდებაო... ამ საათის ნაწილებს გამოცვლა არ სჭირდება, ევროპაში, საუკეთესო საათების ქარხანაშია დამზადებული. ეკრანიც გერმანული აქვს... თბილისის ომის დროს **გაიბზარა**, მაგრამ ისევ გერმანული დავაყენე“,-აცხადებს დედაქალაქის მთავარი მესაათე.

წყარო: http://www.newspress.ge/presis-mimokhilva/58725-thbilisis-mthavari-mesaathe-saathi-rom-gacherdes-gulic-gamicherdeba.html

დავალებების ბლოკი:

9. დააკავშირეთ ერთმანეთს:

ა) გადაულოცა	მომართვა
ბ) დამონტაჟება	დაზიანდა
გ) გაფრთხილება	გადასცა
დ) გაიბზარა	დადგმა
ე) დაქოქვა	მოვლა
ვ) შეკეთება	გარემონტება

10. მიუწერეთ რიცხვებს მნიშვნელობები კონტექსტის მიხედვით:

ა) 25 ----------

ბ) 1884 ----------

გ) 8 ----------

დ) 12 ----------

11. გადაიყვანეთ მესამე პირში:

ა) მეც, ყოველ საღამოს, 8 საათის შემდეგ ჩამოვდივარ სოლოლაკიდან, ვძვრები საათზე, ვზეთავ და ვქოქავ

ბ) მეც მიყვარს ეს საქმე, 12 წლიდან დავყვებოდი მამას და ვუყურებდი, საათს რა ფრთხილად მართავდა

გ) არ მავიწყდება, როგორ ვღელავდი, როცა საათს პირველად შევეხე

---

12. უყურეთ ჯიდიპედიას ვიდეოს დროის შესახებ და დაასრულეთ წინადადებები:

https://www.youtube.com/watch?v=bU95zcD3_yY

დავალებების ბლოკი:

ა) ყოველი ჩვენგანი წარსულიდან მოდის და მოგონებებით ----------

ბ) წარსული არის დრო, რომელსაც ვერაფრით ----------

გ) მისი დამორჩილების ერთადერთი ინსტრუმენტი ----------

დ) მუსიკოსის ერთმა ბგერამ შეიძლება გრძნობები ----------

ე) მხატვარი ცდილობს წარმოიდგინოს სივრცე დროის ----------

ვ) ჩემს საათებში ასახულია ყველაზე კარგი ----------

ზ) მინდა ჩემმა საათებმა თქვან ის, რაც მე ვერ ----------

თ) აჩვენონ გზა, რომელიც გავიარე ან მინდოდა ----------

ი) შეიძლება ერთი საათი გამოხატავდეს ერთ ----------

კ) იმაზე, რომ ვიფიქროთ, დრო რა სწრაფად გადის ვერაფერსაც ვერ ----------

ლ) პიკასომ თქვა: ძალიან დიდი დრო უნდა დაუთმო იმას, რომ ისევ ახალგაზრდა ----------

მ) დროში მოგზაურობა რომ შეიძლებოდეს, მე წავიდოდი ---------- მაგრამ ისევ ----------

ნ) დრო ბეწვის ხიდს ----------

ო) დრო კიდევ მაგონებს ----------

პ) დრო იმისთვის გვაქვს მოცემული, რომ მოვასწროთ ბევრი ----------

რ) ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ ჩვენი ----------

ლექსიკონი	
კონსტრუქცია	მოწყობილობა
პუნქტუალობა	სიზუსტის მოყვარულობა
ციფერბლატი	საათის ისრები
მექანიზმი	მოწყობილობა
რეგულატორი	მომწესრიგებელი
მასიური	დიდი/ფართო
ატრიბუტი	რისამე დამახასიათებელი ნიშანი

ტექსტი N 3

პირველი საათი

მიუხედავად იმისა, რომ დრო არამატერიალურია და სწრაფად მიედინება, ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა მისი გაზომვა. წელიწადის დროები, მთვარის ფაზები, დღისა და ღამის მონაცვლეობა — ყოველივე ეს დროს გარკვეულ ბუნებრივ მონაკვეთებად ყოფს. მაგრამ ადამიანები დიდი ხანია ცდილობენ, მაქსიმალური სიზუსტით გაზომონ დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთები.

პირველი საათი, რომელიც ადამიანმა გამოიგონა, მზის იყო. გენიალურად მარტივი კონსტრუქციით- მიწაში ჩარჭობილი ჯოხითა და მის გარშემო დახატული დროის ასათვლელი **ციფერბლატით**. მაგრამ მზის საათის ლოგიკური ნაკლი ის იყო, რომ ავდარსა და დახურულ სივრცეში სრულიად **გამოუსადეგარი** გახლდათ. ამის გამო.**პუნქტუალობის** მოყვარულმა ადამიანმა,ოთხი ათასი წლის წინ, წყლის საათი ანუ კლეპსიდრი გამოიგონა. პირველი მაღვიძარაც სწორედ წყლის საათს უკავშირდება და მის გამომგონებლად პლატონი ითვლება.

კლეპსიდრა



შემდეგ, დაახლოებით ათასი წლის წინ, ქვიშის საათი შექმნეს. მცდელობების მიუხედავად ეს მოწყობილობა დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთის-მაქსიმუმ ნახევარი საათის, გაზომვას ახერხებდა. ქვიშის საათს,ძირითადად ექიმები და მეზღვაურები იყენებდნენ.

ადამიანები დროის გასაზომად სხვადასხვაგვარ **მექანიზმს** იგონებდნენ და იყენებდნენ. ამ მექანიზმების „გული“ საათის **რეგულატორია**, ანუ მოწყობილობა, რომელიც მექანიზმის მოძრაობაში მომყვანი ენერგიის მიწოდებას არეგულირებს. მკაცრად დადგენილი პერიოდების განმავლობაში მცირე რაოდენობით ენერგიის გამოთავისუფლება დროის მონაკვეთების გაზომვის საშუალებას იძლევა. ზუსტად არავინ იცის, როდის გამოიგონეს პირველი მექანიკური საათი. მაგრამ

ცნობილია, რომ პირველი საათები, რომელთა გადატანაც შესაძლებელი იყო, 1500 წელს გაჩნდა, რაც მესაათეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა.

ევროპაში პირველი მექანიკური საათი მონასტრის კოშკურებზე XI საუკუნეში გამოჩნდა, მხოლოდ ერთი ისრით და **მასიური** გირებით, რომლებიც ზარს რეკავდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ საათების მასიურ წარმოებას შეუწყო ხელი.

ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი მაჯის საათები თავიდან მხოლოდ ქალებისთვის იყო განკუთვნილი. ძვირფასი ქვებით მორთულმა მაჯის საათებმა დროის განმსაზღვრელი აპარატის დანიშნულება თითქმის დაკარგა და სამკაულად გადაიქცა. ისტორია გვამცნობს, რომ არც ერთი თავმოყვარე მამაკაცი საათს ხელზე არ იკეთებდა, ჯაჭვზე დაბმული საათი ჟილეტის ჯიბიდან თავმომწონედ წიკწიკებდა, ანუ გაჩნდა ჯიბის საათი- ამ ეპოქაში მამაკაცის ჩაცმულობის განუყოფელი **ატრიბუტი**

წყარო: http://pirvelii.blogspot.com/2013/01/blog-post_3314.html

დავალების ბლოკი:

14. დაალაგეთ თანამიმდევრობით საათები:

ქვიშის საათი
მექანიკური საათი
ჯიბის საათი
მზის საათი
კლეფსიდრი
მაჯის საათი

1.----------2. ----------3----------

4.----------5----------6----------

15. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:
სიზუსტე, გამოგონება, გენიალური, მარტივი, მესაათე, გაზომვა

ა) ----------

ბ) ----------

გ) ----------

დ) ----------

ე) ----------

ვ) ----------

16. იმსჯელეთ გამონათქვამების შინაარსა და მორალზე: რა მსგავსება და განსხვავება ამ ორ გამონათქვამს შორის?

- ✓ ყველაფერი დროს ელის, დრო კი - არაფერსო
- ✓ მოჩქარეს მოუგვიანდეს
- ✓ ყველაფერს ეშინია დროის, დროს ეშინია პირამიდების
- ✓ ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე

17. წაიკითხეთ ხმამაღლა ნოდარ დუმბაძის ლექსი:

საათი

- ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, -იძახის
და კედელზე ჰკიდია,
დღე და ღამე ისრები
მიდიან და მიდიან.....
მოვა დედა, შეხედავს:
- აბა, ჩემო ოთარი,
ცხრა საათი გამხდარა,
შენი ძილის დრო არის!
და ყველანი მტოვებენ,
ჩემთვის არა სცალიათ.
მე რომ დედა მაძინებს,
სულ საათის ბრალია.

18. გადმოეცით ლექსის შინაარსი თხრობით:

საშინაო დავალება:

- გამოჰკითხეთ ოჯახის წევრებს სახლში არსებული საათების ისტორია.
- დაწერეთ დღიურის ფორმით თქვენი ერთი დღე და შეაფასეთ თქვენ მიერ დახარჯული ძალისხმევა და მიღწეული შედეგი.
- გააკეთეთ ჯგუფურად კალენდარი და მონიშნეთ მასზე თქვენთვის მნიშვნელოვანი თარიღები

კომპლიმენტის საერთაშორისო დღე

მარტი

შინაარსი: კომპლიმენტი; კომპლიმენტი და ემოციები; კომპლიმენტის ეფექტი; როგორ უნდა ვთქვათ და მივიღოთ კომპლიმენტები.

კომპლიმენტი [compliment] ფრანგული სიტყვაა და საქებარ სიტყვას ან ფრაზას, ქათინაურს ნიშნავს.

გონებრივი იერიში:

13. **წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

    რატომ ეუბნებიან ადამიანები ერთმანეთს კომპლიმენტს?

    ხშირად ეუბნებით ადამიანებს სასიამოვნო სიტყვებს?

    გაიხსენეთ ყველაზე სასიამოვნო ან უჩვეულო კომპლიმენტი.

    გაიხსენეთ, ბოლოს ვინ გითხრათ კომპლიმენტი?

    თქვენი ვის უთხარით? როგორი კომპლიმენტი გაგიხარდებათ ყველაზე მეტად?

    რა კომპლიმენტი გახსენდებათ (მაგალითად, ყველაზე ხშირად რომელიც გვსმენია)?

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

14. უყურეთ კომპანია „ბაკურიანის“ რეკლამა-აქციას

(https://www.youtube.com/watch?v=aD5zyeVINVs)

- რა არის კლიპის შექმნის მიზანი;
- ვინ არიან პერსონაჟები, რას, სად და რატომ აკეთებენ;
- შთაბეჭდილება კლიპისა და იდეის შესახებ, რა მოგეწონათ, რას შეცვლიდით და როგორ, იდეები, შეხედულებები....

15. **„კომპლიმენტი მზის სხივს ჰგავს” (რობერტ ორბენი).** ამერიკელმა მწერალმა რობერტ ორბენმა, რომელიც თავისი კომედიური ჟანრის ნაწარმოებებით გახდა ცნობილი, კომპლიმენტი ვერბალურ/სიტყვიერ მზის სხივს შეადარა (A compliment is verbal sunshine” – Robert Orben).

რას შეიძლება შევადაროთ კომპლიმენტი, რა ასოციაციებს იწვევს ეს სიტყვა?



16. მოისმინეთ, რა დღესასწაული აღინიშნება 1 მარტს:

კეთილგანწყობასა და სასიამოვნო სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ადამიანს ახალისებს და ცხოვრებას ულამაზებს. თუ მაღაზიის გამყიდველს თავისი საქმისთვის

შეაქებთ, ის, სავარაუდოდ, მეტი ხალისით შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ აღვნიშნავთ ამ დღეზ, ან რა სიტყვებს გამოვიყენებთ, მთავარია, რომ არსებობს კომპლიმენტის საერთაშორისო დღე, 1-ლი მარტი. ამ დღის იდეა ჰოლანდიაში გაჩნდა, მაგრამ ახლა ევროპის ბევრ ქვეყანაში აღინიშნება. ეს არაოფიციალური დღესასწაულია, რომელიც ბედნიერების გაზიარებასა და პროდუქტიულობის ზრდას ემსახურება. იდეის ავტორთა აზრით, თუკი არსებობს ვალენტინის, დედის, მამის დღეები, რატომ არ უნდა იყოს კომპლიმენტის დღე? ამ დროს საჩუქრების ნაცვლად სიტყვები უნდა გამოვიყენოთ, რათა ერთობლივად შევქმნათ მსოფლიოს ყველაზე პოზიტიური დღე.

როგორ აღვნიშნოთ? ვისაც შევხვდებით, ყველას ვეუბნებით კომპლიმენტს, ვაქებთ მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებს ბეჯითი და თავდაუზოგავი საქმიანობისათვის, აგრეთვე იმ განსაკუთრებული როლისთვის, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ასრულებენ. 1 მარტს კომპლიმენტის დავიწყება მიუტევებელ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან დღეს ადამიანს კეთილი სიტყვა იმაზე მეტად სჭირდება, ვიდრე საუკუნეებისა და ეპოქების წინ. ეს დღე იმას ემსახურება, რომ ადამიანებმა ერთმანეთი გაახარონ. ყველას სიამოვნებს, როცა კომპლიმენტს ეუბნებიან.

17. მოსმენილი ტექსტის მიხედვით დაწერეთ მცირე ესე: „უნდა აღვნიშნოთ თუ არა კომპლიმენტის დღე?“

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

18. წაიკითხეთ ტექსტი, კომპლიმენტის შესახებ:

შესაძლო აქტივობები:

ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).

ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.

სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

მაინც, რა არის კომპლიმენტი? ესაა სასიამოვნო სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც სხვას სიხარულს ანიჭებს. კომპლიმენტი გულიდან უნდა მოდიოდეს, რადგან იგი **ურთიერთობის დაწყებისა** და გაღრმავების მნიშვნელოვანი ნაწილია. დღეს ადამიანები ისე არიან დაკავებული თავიანთი საქმით, რომ თითქოს აღარც კი სცალიათ სხვებისთვის, პირისპირ ურთიერთობებიც უფრო იშვიათი გახდა ინტერნეტის გამო. ასე რომ, ეს მარტივი და თითქოს უმნიშვნელო ქცევა ჩვენი ბუნებრივი ყოფის ნაწილი უნდა გახდეს, რადგან იგი **ხელს უწყობს** ახალ ურთიერთობებს.

კომპლიმენტს, ანუ ქათინაურს ჯადოსნური ძალა აქვს. მას ადამიანის გაბედნიერება შეუძლია. მცირეა მათი რაოდენობა, ვინც იცის, როგორ თქვას კომპლიმენტი და ასევე ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელსაც **დამსახურებულად** შეუძლია მისი მიღება. ზოგჯერ სხვისგან მიღებული კომპლიმენტი **უარყოფით** ემოციებს და ადამიანთა შორის ურთიერთობის **გაცივებას** იწვევს.

რატომ უნდა ვთქვათ კომპლიმენტები

გაიხსენეთ, როგორი სიამოვნება იგრძენით, როცა თქვენი ღირსება და **წარმატებები** შეამჩნიეს, როგორ იცვლებოდა თქვენი დამოკიდებულება იმ ადამიანის მიმართ, რომელიც **გაქებდათ**. კომპლიმენტი ადამიანს საშუალებას აძლევს, გაიგოს, რომ ის შეამჩნიეს და შეაფასეს. ეს კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ნიუანსია. კომპლიმენტის საშუალებით ნებისმიერი ინდივიდი უფრო **თავდაჯერებული**, წარმატებული, **დაცული** ხდება. კომპლიმენტი ბედნიერების ერთ-ერთი დიდი წინაპირობაა.

რატომ უჭირთ კომპლიმენტების თქმა

ზოგიერთი ადამიანი **ადვილად** და **ხშირად** ამბობს კომპლიმენტს, ზოგი კი პირიქით - იტანჯება, სანამ რამე საქებარ სიტყვას იტყვის. რატომ ხდება ასე? იქნებ ეს შურია, ან შიში იმისა, რომ მოსაუბრე მეტად **გაკადნიერდება**, ან იქნებ სხვისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება არ სურთ?

ჩვენმა კომპლიმენტმა ადამიანებში სასიამოვნო ემოციები რომ გამოიწვიოს, საჭიროა, მათი სწორად გამოყენება ვიცოდეთ.

უნდა შევაქოთ არა მარტო ჩვენი ახლობლები, არამედ ყველა ის ადამიანი, რომელიც თავის საქმეს კარგად აკეთებს, მაგალითად, მაღაზიის გამყიდველი, **დალაქი** და ა.შ.

რა კომპლიმენტებს ვამბობთ? რასთანაა იგი დაკავშირებული?

ალბათ ყველაზე ხშირად ამბობენ კომპლიმენტებს, რომელებიც ადამიანის გარეგნობას (ვიზუალურ მხარეს) უკავშირდება, აქცენტი კეთდება, იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ადამიანი, ასეთებია: მაგალითად, რა ლამაზი თმა/თვალები გაქვს, როგორ გიხდება ეს კაბა/ვარცხნილობა/ღიმილი/ფერი, ვგიჟდები შენს ღიმილზე.... ხშირად ადამიანები კომპლიმენტს იმსახურებენ

თავიანთი ხასიათისა და განწყობის გამოც, მაგალითად: რა მხიარული/ ერთგული/ გულისხმიერი/მზრუნველი ხარ, ყოველთვის თავაზიანი ხარ, ყოველთვის მზად ხარ დასახმარებლად.... ადამიანები ხშირად საქებარ სიტყვებს თავიანთი უნარების გამოც იღებენ, მაგალითად: რა კარგად თამაშობ ფეხბურთს, დიდებული

მომღერალი/მოცეკვავე/მსმენელი ხარ....

დავალებების ბლოკი:

8. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

9. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

10. დააკავშირეთ ერთმანეთთან სინონიმები:

თავდაჯერებული	უსაფრთხო
ხელის შეწყობა	სიამაყე
ადვილად	პარიკმახერი
კომპლიმენტი	დახმარება
დაცული	დარწმუნებული
კადნიერება	ქათინაური
დალაქი	იოლად

11. დააკავშირეთ ერთმანეთთან ანტონიმები:

დამსახურებულად	დაუცველი
უარყოფითი	ძნელად
წარმატება	ურთიერთობის შეწყვეტა
ხელის შეშლა	დაუმსახურებლად
ურთიერთობის გაღრმავება	იშვიათად
ურთიერთობის დაწყება	წარუმატებლობა
დაცული	ხელის შეწყობა
ადვილად	ძაგება
ხშირად	ურთიერთობის გაცივება
ქება	დადებითი

12. ჩასვით შესაბამისი სიტყვა/სიტყვები (გამოიყენეთ ანტონიმები):

1. კომპლიმენტი ურთიერთობის შეწყვეტის კი არა, ურთიერთობის ---------- საშუალებაა.

2. ადამიანებში დადებითი თვისებები უნდა დავინახოთ და არა ---------- .

3. მოხუც მეცნიერს დაუმსახურებლად არავინ მოქცევია, იგი პენსიაზე ---------- გავიდა.

4. მშობლები ხელს უწყობენ შვილს, რათა კარგი განათლება მიიღოს, კომპიუტერთან თამაში კი ამაში ---------- .

5. ყოველთვის უნდა გვიხაროდეს სხვების წარმატება, რადგან მათი ---------- არ გაგვაბედნიერებს.

6. მასწავლებელი არ აძაგებს ბავშვებს, იგი მათ ---------- .

13. შეიძლება თუ არა, კომპლიმენტმა გამოიწვიოს უარყოფით ემოცია? რატომ? რა შემთხვევაში? როდის? (განხილვაში მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

14. წავიკითხოთ ტექსტი და ვიმსჯელოთ:

შესაძლო აქტივობები:

1. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
2. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
3. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

როცა კომპლიმენტი უარყოფით ემოციებს იწვევს

მოდით, გავარკვიოთ, რა **შეცდომებს უშვებენ** ადამიანები კომპლიმენტების თქმის დროს:

პირფერობა. დიდი სხვაობაა პირფერობასა და კომპლიმენტს შორის. ადამიანთა ურავლესობა ამ განსხვავებას გრძნობს. ფაქტობრივად, პირფერობა ტყუილს უტოლდება. **ზოგადი სიტყვები, არაკონკრეტულობა.** მაგალითად, ,,კარგად გამოიყურები".

არაგულწრფელობა. მაგალითად, მეგობარს მოუწონო ვარცხნილობა, რომელიც საერთოდ არ მოგწონს.

გაზვიადება. როცა კომპლიმენტი სიტყვით გამოსვლას ემსგავსება.

ხანმოკლე პერიოდულობა. მოსაბეზრებელია, როცა ადამიანი ხშირად ამბობს კომპლიმენტს.

უადგილოდ ნათქვამი კომპლიმენტი. მაგალითად, როცა ადამიანი ჩქარობს, აჩერებ და ელაპარაკები მის უჩვეულო თმის ვარცხნილობაზე.

ბანალურობა. ტიპური მაგალითი: ,,რა არაჩვეულებრივად გამოიყურებით."

როგორ უნდა ვთქვათ კომპლიმენტი:

ყველაზე კარგი კომპლიმენტიც კი, შეიძლება, არასასურველად იქცეს, თუ მას შუბლშეკრული და მკაცრი ტონით ვიტყვით.

კომპლიმენტი უნდა დააკონკრეტოთ, უნდა განმარტოთ, რა მოგწონთ **და** რატომ.

გაუკეთეთ კომპლიმენტი მოსაუბრეს ინდივიდუალურად, მიმართეთ მას სახელით და მოუწონეთ ის, რაც მასში მოგწონთ.

არ უთხრათ ზედმეტი კომპლიმენტი ადამიანს, ვისგანაც რამე სარგებელს ელით - ეს პირფერობა იქნება.

თქვენი მისამართით გაკეთებულ კომპლიმენტს იმავე სიტყვებით არ უპასუხოთ. მაგალითად, თუ თქვენ მოგიწონეს სუნამო, თქვენც მის სუნამოზე ნუ გააკეთებთ აქცენტს.

გამოიყენეთ კონტრასტი. მაგალითად, თქვით, რომ არასდროს ხართ ისეთი პუნქტუალური, როგორიც თქვენი კოლეგა.

მოერიდეთ გადაჭარბებულ შედარებებს.

თქვით ის, რასაც თქვენგან ელიან. როცა ადამიანები მოქმედებენ, ისინი გარშემომყოფთაგან შექებას ელოდებიან. მიეცით მათ საშუალება, საკუთარი წარმატებებით დატკბნენ.

დაეხმარეთ ადამიანს, მიიღოს კომპლიმენტი

ალბათ, შეხვედრიხართ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, როგორ მიიღონ თუნდაც უბრალო გულწრფელი კომპლიმენტი. ეს მათ მორიდებულობაზე მიუთითებს. არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომლითაც ასეთი ტიპის ადამიანებს კომპლიმენტის მიღებას გაუადვილებთ:

როცა კომპლიმენტს ეტყვით, მეორე კითხვაც მიაყოლეთ მაშინვე. მაგალითად, რა ლამაზი კაბა გაცვია, სად შეიკერე?

ჰკითხეთ რჩევა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. როცა ვინმეს რჩევას ეკითხებით, ამ გზით თქვენ აჩვენებთ, რომ ამ ადამიანის აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია.

როგორ მივიღოთ კომპლიმენტი

მათთვის, ვინც კომპლიმენტს გვეუბნება, მნიშვნელოვანია, როგორ მივიღებთ მას. აუცილებელია, ვიცოდეთ ქათინაურების სწორად აღქმა. ამ შემთხვევაში მოსაუბრეს ხშირად მოუნდება ჩვენთვის სასიამოვნო ფრაზების გამეორება.

თუ თქვენ მიღებულ კომპლიმენტს უარყოფთ და თავის დამცირებას დაიწყებთ, ეს კარგად არ იმოქმედებს შემდგომ ურთიერთობებზე. თუ მოსაუბრეს თვალებში უყურებთ და კომპლიმენტზეც დადებითად რეაგირებთ, ის თქვენ გვერდით თავს კომფორტულად იგრძნობს.

დავალებათა ბლოკი:

15. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

16. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

17. მართებული/მცდარი:

ა) როცა ადამიანი ჩქარობს, არ უნდა გავაჩეროთ კომპლიმენტის გამო

ბ) კომპლიმენტის მიღებისას სწორი საქციელია თავის დამცირება

გ) თუ ადამიანს რჩევას ვეკითხებით, ამით ვაჩვენებთ, რომ მისი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

დ) შეიძლება, რომ კომპლიმენტზე იმავე სიტყვებით ვუპასუხოთ

ე) ზედმეტი კომპლიმენტის თქმა იმ ადამიანისათვის, რომლისგანაც რამე სარგებელს ველით, მიუღებელია

ვ) მოსაბეზრებელია, როცა ადამიანი ხშირად ამბობს კომპლიმენტს

18. დააკავშირე ფრაზები:

უთხარი სასიამოვნო სიტყვები	ურთიერთობის დაწყებისთვის
კომპლიმენტზე უნდა დაუბრუნო	მზის სხივს
გაახალისე	სტრესულ მდგომარეობაში
კომპლიმენტი მნიშნელოვანია	მეგობრებსა და ოჯახის წევრებს
კომპლიმენტი ჰგავს	საპასუხო ქათინაური
ადამიანები ხშირად არიან	ადამიანები

19. შეარჩიეთ მართებული ფორმა:

ა) ხშირად *ეუბნებით/ამბობთ* კომპლიმენტს ადამიანებს?

ბ) არსებობს დღე, როცა კომპლიმენტის დავიწყება *მიუტევებელი/საპატიო* შეცდომაა.

გ) როცა ვინმე კომპლიმენტს *გეუბნება/ამბობს*, თავს კარგად გრძნობთ, ამიტომ თქვენც საპასუხო კომპლიმენტი უნდა *დაუბრუნოთ/მისცეთ*.

დ) უთხარით მაღაზიის გამყიდველს, რომ ის *ყოველთვის /იშვიათად* კარგად აკეთებს თავის საქმეს.

ე) კეთილი სიტყვები ადამიანებს *აბედნიერებს/აუბედურებს*.

ვ) კომპლიმენტის დღე ყველას *სასიამოვნო/ჯანმრთელ* განწყობაზე აყენებს.

ზ) კომპლიმენტი არის *თავაზიანი/ზრდილობიანი* გამონათქვამი ან სიტყვა, რომელიც გულიდან მოდის.

თ)კომპლიმენტი *ურთიერთმომგებიანი/ურთიერთდამოკიდებული* მდგომარეობაა.

ი) როცა კომპლიმენტს ამბობთ, თქვენც და კომპლიმენტის *ადრესატიც/ადრესანტიც* თავს კარგად გრძნობთ.

კ) დღეს უშუალო *კონტაქტი/კონტრაქტი* შემცირებულია ინტერნეტის მოხმარების გამო.

20. არეული სიტყვები:

1. ვიცოდეთ ქათინაურების აღქმა აუცილებელია სწორად.

   ---

2. ლამაზი სად კაბა რა შეიკერე გაცვია?

   ---

3. საშუალება ადამიანებს დატკბნენ მიეცით წარმატებებით საკუთარი.

   ---

4. ადამიანი როცა ამბობს მოსაბეზრებელია, კომპლიმენტს ხშირად.

   ---

5. დააკონკრეტოთ კომპლიმენტი უნდა, განმარტოთ უნდა, რა რატომ და მოგწონთ.

---

21. სიტყვები და ფრაზები, სიტყვა <u>*შეცდომა*</u> სხვადასხვა კონტექსტში:

დაშვებული შეცდომა ***შეცდომა*** ***შეცდომის გამოსწორება***

შეცდომის დაშვება (2)

ა) ასეთი ---------- სხვა დროს აღარ დაუშვა.

ბ) ქვეყნისთვის საზიანო ---------- არავის ეპატიება.

გ) ნიკომ სცადა ---------- და, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

დ) მეზობლებმა კაცს ---------- არ აპატიეს და სოფლიდან გააგდეს/გააძევეს.

ე) ადამიანები ზოგჯერ ---------- კომპლიმენტის თქმის დროს.

22. დააკავშირე ერთმანეთთან სინონიმები:

უდროო	გულღია
მოსაბეზრებელი	მორცხვი
გადაჭარბებული	სასტიკი
გულწრფელი	სავალდებულო
მკაცრი	გამარტივება
მორიდებული	მოსაწყენი
გაადვილება	ზედმეტი/გაზვიადებული
აუცილებელი	უადგილო

23. ჩაანაცვლეთ ხაზგასმული სიტყვები შესაბამისი სინონიმებით:

1. <u>მოსაბეზრებელია</u>, როცა ადამიანი ძალიან ხშირად ამბობს კომპლიმენტს.

---

2. <u>აუცილებელია</u>, ვიცოდეთ ქათინაურების სწორად აღქმა.

---

3. ნუ იტყვით <u>უადგილოდ</u> კომპლიმენტს.

---

4. მორცხვ ადამიანებს უნდა <u>გავუადვილოთ</u> კომპლიმენტის თქმისა და მიღების პროცესი.

---

5. <u>გადაჭარბებული</u> ყურადღება ბევრ ადამიანს არ სიამოვნებს.

---

24. დააკავშირეთ ერთმანეთთან ანტონიმები:

პირფერი	გართულება
ვირტუალური	ლმობიერი
მკაცრი	დადასტურება
გაადვილება	გულწრფელი
მნიშვნელოვანი	არასასურველი
უარყოფა	რეალური
სასურველი	უმნიშვნელო

25. უყურეთ გადაცემას Gd პედიაზე, ანა ხოსიტაშვილი - **კომპლიმენტის ეფექტი**
(https://www.youtube.com/watch?v=VVpNmEkp-Ao)

ნახვის შემდეგ:

26. სიუჟეტის მიხედვით მართებული /მცდარი

ა) მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ადამიანი კომპლიმენტის მოსმენისას გრძნობს სითბოს.

ბ) კომპლიმენტის მოსმენისას ჩვენ ვიღიმებით, მნიშვნელობა არ აქვს, ვიცნობთ თუ არა ადამიანს, რომელიც ქათინაურს გვეუბნება.

გ) ადამიანებს, რომლებსაც დაბალი თვითშეფასება აქვთ, უყვართ კომპლიმენტების მიღება.

დ) ადამიანებს უყვართ კომპლიმენტები, უბრალოდ ეუხერხულებათ მათი მიღება.

ე) სიუჟეტის გმირი გოგონა თვლის, რომ მას ჯინსები უხდება და არ ასუქებს.

ვ) კომპლიმენტის მიღება მხოლოდ ეგოისტ ადამინებს უყვართ.

ზ) კომპლიმენტი მნიშნელოვანი თქვენთვისაც და სხვებთან ურთიერთობისთვისაც.

27. უპასუხეთ:

ა) რა კომპლიმენტებს ეუბნება სიუჟეტში ჟურნალისტი ქუჩაში შემხვედრ ადამიანებს?

ბ) რა ექსპერიმენტი ჩაატარეს სიუჟეტში, რას ითვალისწინებდა? მოკლედ აღწერეთ.

გ) რომელი კომპლიმენტი იყოს შენთვის მნიშვნელოვანი და რატომ?

დ) რას ნიშნავს სიტყვა **ვიბადრებით**, წინადადებაში: *მნიშვნელობა არ აქვს, ვიცნობთ თუ არა ადამიანს, კომპლიმენტის მოსმენისას ჩვენ ვიბადრებით.*

ე) როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა კომპლიმენტს გვეუბნებიან?

---

28. დაეხმარე კომპლიმენტის თქმაში:





29. აქტივობა:

ინდივიდუალურად ან მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე, როგორ პოსტერს შექმენი მსოფლიო კომპლიმენტის დღის შესახებ. ისაუბრეთ თქვენი არჩევანის შესახებ.

30. შემაჯამებელი აქტივობა: „კუთხეები“

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა მსგავსი დღეების აღნიშვნა?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

საშინაო დავალება

- **3-2-1**
- ინტერნეტში ინდივიდუალურად ან მეწყვილესთან ერთად მოიძიე ინფორმაცია კომპლიმენტის დღის შესახებ. ისაუბრე ლექციაზე იმის შესახებ, რაც შენთვის/თქვენთვის სიახლეს წარმოადგენდა;



- წარმოიდგინე, რომ ჟურნალისტი ხარ, დაწერე ჟურნალისათვის მოკლე სტატია მსოფლიო კომპლიმენტის დღის შესახებ. დაურთე გამოგონილი ინტერვიუ იმ ადამიანებთან, რომლებმაც ამ დღეს რაღაც განსაკუთრებული გააკეთეს (ამ დღის აღნიშვნა გადაწყვიტეს).

ლექციაზე წაუკითხე ჯგუფელებს, ერთმანეთს გაუზიარეთ მოსაზრებები სტატიის შესახებ;

- მოუსმინე რადიოგადაცემას ,,კომპლიმენტის ფსიქოლოგია“ (სტუმარი ირინა ტაბუცაძე), შეადგინე რეზიუმე; (წუთები ...)
- საკუთარი დიზაინით დაამზადე კომპლიმენტის დღისადმი მიძღვნილი სიგელი/დიპლომი, რომელსაც მეგობარს/კურსელს/ახლობელს/ოჯახის წევრს ... გადასცემ. აუცილებლად აღნიშნე მისი განსაკუთრებული თვისება რამდენიმე სიტყვით.

ყვავილის დარგვის დღე

მარტი

შინაარსი: *როდის და რა მიზნით იყენებენ ადამიანები ყვავილებს; რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ყვავილს ჩვენს ყოველდღიურობასა და რელიგიაში; როგორ აისახა ყვავილი სხვადასხვა კულტურაში; როგორია ადამიანების დამოკიდებულება ყვავილებისადმი.*

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს).

რა ყვავილები ვიცით? გაიხსენეთ ყვავილები ფერის/ფორმის/სურნელების მიხედვით

დაასახელეთ თქვენი საყვარელი ყვავილი. რატომაა ის გამორჩეული თქვენთვის?

როდის და რა მიზმით ჩუქნიან ადამიანები ერთმანეთს ყვავილებს?

გაიხსენეთ, როდის აჩუქეთ ან გაჩუქეს ყვავილი? რა ყვავილი იყო?

დაგირგავთ თუ არა ყვავილი ? სად? რა მიზნით?

რა უნდა ვიცოდეთ ქოთნის ყვავილების შესახებ?

რის მიხედვით აარჩევდით ქოთნის ყვავილებს?

გაიხსენეთ ლექსი, სიმღერა, ფილმი, ნახატი ან ნაწარმოები, რომელიც ყვავილების შესახებ მოგვითხრობს?

აქტივობა 2. აირჩიეთ ყვავილის ფორმა და შექმენით ასოციაციური რუკა სიტყვა „ყვავილის“გამოყენებით:







აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმე ან უარყავი)

ყველა ყვავილი ლამაზია (კი/არა)

ყვავილი გოგონების საქმეა (კი/არა)

ყვავილი არ უნდა მოწყვიტო (კი/არა)

თუ წითელ ვარდს გაჩუქებს ე.ი. უყვარხარ (კი/არა)

არ ღირს ყვავილებში ფულის დახარჯვა (კი/არა)

ყვავილების ხატვა ყველაზე მარტივია (კი/არა)

ცხოვრება ყვავილსა ჰგავს (კი/არა)

აქტივობა 4. დააკვირდით ნახატებს, დაასათაურეთ ისინი და გადმოეცით თქვენი ემოცია.

რა აქვს საერთო ამ ორ ნახატს და რა განმასხვავებელი?

აქტივობა 5. უყურეთ ფრაგმენტებს ქართული მხატვრული ფილმიდან „ნატვრის ხე“ 2:00-5:30 ; 45:00-46:00

რა ყვავილებს ვხდებით? იმსჯელე ყვავილების სიმბოლურ დატვირთვაზე; დედამიწა, ადამიანი და ყვავილი

ტექსტი N 1

.....

დედამიწის კალენდარში არის დღე **18 მარტი,** როცა ყვავილები უნდა გავახაროთ ან ქოთნის ყვავილი მოვუკითხოთ ჩვენს ახლობლებს. ამ დროს ჩვენ ვიფიქრებთ ყვავილებზე, რომლებიც გვილამაზებენ გარემოს და გვიადვილებენ ადამიანებისადმი ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვას.

ყვავილებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ბუნებასა და ადამიანის გულში. ის არამხოლოდ ალამაზებს გარემოს, არამედ ადამიანთა არსებობასაც განაპირობებს. ჩვენი საკვების უდიდესი ნაწილი სწორედ მისგან მომდინარეობს (სიმინდი, ხორბალი, ლობიო და ა.შ). ტრადიციულად, წამლების უმრავლესობა სწორედ სხვადასხვა ყვავილისგან მზადდებოდა და დღესაც მზადდება.

საუკუნეების განმავლობაში ყვავილები სილამაზის, კეთილსურნელებისა და არომატის გამო იძენდა აღიარებას. ადამიანი ცხოვრების ყველა ეტაპზე ყვავილების საშუალებით ქმნის, გამოხატავს და უზიარებს საკუთარ ემოციებს სხვა ადამიანებს. ყვავილები ხელოვანთა შთაგონების წყაროცაა.

იყო დრო, როცა ადამიანები ყვავილებს ბუნების ჯადოქრობად მიიჩნევდნენ. ყვავილებს მიაწერდნენ გარკვეულ ზებუნებრივ თვისებებსაც. ყვავილი მიიჩნევა რეკლამის ერთ-ერთ უძველეს ფორმად, რომლის მიზანიც მწერების მოზიდვაა, რაც განაყოფიერების პროცესისათვის აუცილებელია. ამ თვისებების გამო ყვავილები სხვადასხვა შინაარსსა და დატვირთვას იძენდნენ სხვადასხვა კულტურაში.

ყვავილები რელიგიური თუ სხვა ტრადიციული დღესასწაულების მნიშვნელოვანი ნაწილია. ისინი გამოიყენება როგორც სიმბოლური, ასევე დეკორატიული დატვირთვითაც.

ყვავილები **ისლამში,** სხვა რელიგიებთან შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი, თუმცა მათი ვერ შემჩნევა შეუძლებელია, განსაკუთრებით მეჩეთებსა და სალოცავებში. მეჩეთების უმრავლესობა მორთულია ყვავილების ორნამენტებით ამისი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია აბუდაბის ახლადაშენებული მეჩეთი. ისლამში ცალკეული ყვავილის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება გვხვდება. მაგ. ვარდი ხშირად გამოიყენება როგორც საქორწინო, ისე დაკრძალვის რიტუალებში. ვარდის წყალს აპკურებდნენ ხოლმე საფლავს დაკრძალვის რიტუალში. თეთრი ვარდი ისლამში გამოხატავდა ღვთაებრივ ძალას.

ისლამურ ბაღებში, სადაც ლოცულობდნენ ძირითადად გვხვდება ციტრუსი. ფორთოხლის ყავივლის სასიამოვნო სურნელი ქმნიდა ლოცვისა და განმარტოებისათვის.

ისლამში თავისი მუქი ფერის გამო ფართოდ გამოიყენება ხნის ყვავილი და ფოთლები,. ხნით იხატავენ ხელებსა და ფეხებს საქორწინო რიტუალის დროს. ყვავილებით მოხატული ხელები არამხოლოდ ლამაზია, არამედ მათი რწმენით, ნაყოფიერებასა და იღბლიანობას გამოხატავს.

ქრისტიანულ სამყაროში ყველა ყვავილს თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს. მაგ. თეთრი ვარდი და ლილია უბიწობის გამომხატველია. წითელი ვარდი კი სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევა. ქრისტიანული ეკლესიის საკურთხეველი დღესასწაულებზე (შობა, აღდგომა) განსაკუთრებულად ირთვება ყვავილებით. ქრისტიანული დაკრძალვის რიტუალი წარმოუდგენელია ყვავილების გარეშე.

ჯვრისწერისას პატარძალი საკურთ-ხეველთან თაიგულით ხელში მიდის, რაც ნაყოფიერებას გამოხატავს. უწინ პატარძლებს ყვავილების გვირგვინი ედგათ. (დღესაც ბევრ ქვეყანაში იცავენ ამ წესს).

ინდუიზმში ყვავილებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ინდუიზმის მთავარი სალოცავი რიტუალი „ფუჯი“ ქართულად „ყვავილების საქმედ“ შეიძლება ითარგმნოს. ერთ-ერთი გამორჩეული ყვავილია ლოტოსი.

იგი ზოგადი გაგებით, ნაყოფიერებას, სიმხნევესა და სილამაზეს გამოხატავს. ვიწრო გაგება კი ღვთაებრივთან ზიარებას ემსახურება. ინდუიზის წმინდა წიგნში - „ფჰაგავატ გიტა“ არის მოწოდება, მივემსგავსოთ ლოტოსს.

საერთოდ ბევრი ყვავილის დასახელებაა ინდუიზმში, ზოგიერთი მათგანი რომელიმე კონკრეტული ღმერთის ატრიბუტად მიიჩნევა და განსაზღვრულ დღეებში გამოიყენება. მრავლად გვხვდება ყვავილები ქორწილსა და დაკრძალვის რიტუალებში. ყვავილის ფურცლებს ესვრიან პატარძალს, ამით ნაყოფიერებას უსურვებენ.

დავალებების ბლოკი:

6. დაასათაურეთ ტექსტი ----------

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

7. რა მიზნით იყენებენ ადამიანები ყვავილებს?

ა) გასალამაზებლად

ბ) წამლების დასამზადებლად

გ) საკვებად

დ) ყველაფრისთვის ერთად.

8. ვინ რა ფორმით სარგებლობს ყვავილებით:



9. რა საერთო აქვს ყვავილსა და რეკლამას



10. მოიყვანეთ ყვავილების დეკორატიული და სიმბოლური გამოყენების მაგალითები:

დეკორატიული	სიმბოლური

11. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

ისლამი	ლოტოსი
ხნა	ჯვრისწერა
ვარდის წყალი	ფჰაგავატ გიტა
მეჩეთი	დაკრძალვა
ინდუიზმი	ციტრუსის ბაღები
თაიგული	ორნამენტი

12. თქვენ როგორ ფიქრობთ რატომ არის ბევრი ყვავილი დაკრძალვისა და ქორწინების რიტუალში?

---

13. რომელი ხალხის შესახებ წერდა ასე რევაზ ინანიშვილი, ჩასვით გამოტოვებული სიტყვა და დაასაბუთეთ არჩევანი:

„....., დიდი ცივილიზაციის და კულტურის ხალხი, დღესაც აღტაცებული მოკრძალებით ხრიან თავს აყვავებული ალუბლების წინაშე, როგორც ათასზე მეტი წლის წინათ. მათ ეს არ „მობეზრდათ“ და არც ალუბლებისგან მოითხოვენ სხვა რამეს, გარდა ჩვეულებრივი ნაზი ყვავილებისა, არც თავაინთი თავისგან - უბრალო ადამიანურ მგრძნობელობაზე მეტს!“



ტექსტი N 2

ამონარიდი ანი შაიშმელაშვილის სტატიიდან:

„მილიონი, მილიონი წითელი ვარდი“

ამბობენ, ერთ დილას სასტუმროს წინ, სადაც მსახიობი მარგარიტა დე სევრი იმყოფებოდა, ურმების გრძელი ქარავანი გამოჩნდა. ისინი უთვალავი ახლად მოჭრილი წითელი ვარდით იყო დატვირთული. უცნაურ მსვლელობას გვერდით ფიროსმანი მიჰყვებოდა _ ნიკო ფიროსმანაშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ თავისი პატარა დუქანი ჰქონდა. ახლა კი თავისი ქონების სანაცვლოდ “ყვავილების მთელი ზღვა” ეყიდა…

1909 წლის მარტში ორთაჭალაში აფიშები გამოჩნდა: “ყურადღება, სიახლე! თეატრი “ბელ ვიუ”. მარგარიტა დე სევრის მხოლოდ 7 გასტროლი თბილისში! შანსონების უბადლო შემსრულებელი, რომელიც ამავე დროს კეკ-უოკსაც შეუდარებლად ცეკვავს!” როგორც ამბობენ, ნიკო ფიროსმანიშვილმა მარგარიტა სცენაზე იხილა თუ არა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოიძახა: “საოცრებაა! ქალი კი არა, ნამდვილი მარგალიტია!”

ამ ამბის გაგრძელება კი რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი: მარგარიტამ სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან დაინახა ყვავილების უგრძესი ხალიჩა და ფიროსმანს გაოგნებულმა მიმართა: "შენ დუქანი იმიტომ გაყიდე, რომ ეს მშვენიერი ვარდები ჩემთვის მოგერთმია? ამას ჩემს ცხოვრებაში არ დავივიწყებ, ჩემო რაინდო!" რამდენიმე დღის შემდეგ კი ვიღაც მდიდარ ჩინოვნიკთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა. მეორე ვარიანტი ამ ლეგენდისა ასეთია: როდესაც მსახიობ ქალს "მილიონი წითელი ვარდი" გაუგზავნა, ნიკალა უკანასკნელი გროშებით დუქანში დასალევად წავიდა. გულაჩუყებულმა მარგარიტამ მას სხვისი ხელით გაუგზავნა ბარათი, რომელშიც მისვლას სთხოვდა. ფიროსმანი იპოვეს, თუმცა უგონოდ მთვრალს ვერ გააგებინეს, მისგან რა უნდოდათ. ხოლო, როცა მან სასტუმროში მისვლა შეძლო, უკვე გვიანღა იყო. მსახიობი იქ აღარ დაუხვდა. გასტროლები დასრულდა და მარგარიტა თბილისიდან გაემგზავრა.

იმასაც ამბობენ, რომ 1969 წელს, როცა ლუვრში ფიროსმანის 85 "პრიმიტიული" შედევრი გამოფინეს, ნახატთან "აქტრისა მარგარიტა" ყოველდღე მიდიოდა ხანში შესული ქალი და კარგა ხანს ჩერდებოდა. ბოლოს ვიღაც დამთვალიერებელმა მათ შორის მსგავსება შეამჩნია. დიახ, ეს დაბერებული მარგარიტა დე სევრი გახლდათ!

იმასაც ამბობენ, რომ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ლეგენდაა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ფიროსმანის შემოქმედების მკვლევართა აზრით, ფრანგი მსახიობი ქალის მიმართ მხატვრის გაუზიარებელი სიყვარულის ამბავი ლამაზი ზღაპარია და მეტი არაფერი. სინამდვილეში არც ქონება გაუყიდია ვინმეს, არც ვარდების ზღვა ყოფილა და უფრო მეტიც, ფიროსმანი მარგარიტა დე სევრს პირადად არა თუ იცნობდა, ნანახიც არ ჰყავდა! სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პორტრეტი ნატურიდან კი არა, თეატრალური აფიშიდანაა დახატული. მის შემოქმედებას კი ისეთივე "უბრალო" შეფასება მიეცა, როგორიც თვითონ მხატვარი იყო: ეს იყო და არის გენიალური სიმარტივე.

წყარო: https://burusi.wordpress.com/2009/03/17

დავალებების ბლოკი:

14. ამოიწერეთ ტექსტიდან რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები

1) ----------
2) ----------
3) ----------

15. მოძებნეთ ტექსტში და დაასრულეთ ფრაზები:

1) ურმების გრძელი ----------
2) წითელი ----------
3) უცნაური ----------
4) პატარა ----------
5) ყვავილების ----------

16. რა პროფესიის იყო მარგარიტა?

---

17. გადმოეცით თქვენივე სიყვებით მარგარიტას რეაქცია ნიკო ფიროსმანის საქციალზე:

ვერსიები	განვითარება	თქვენი აზრი
ერთი ვერსია		
მეორე ვერსია		
მესამე ვერსია		

18. როგორ გესმით ფრაზა: „გენიალური სიმარტივე“ .

---

19. მოსმინეთ სიმღერები: „ყვავილების მიწა“ და „ყვავილების ქვეყანა“:

გადმოეცით საკუთარი სიტყვებით ლექსის შინაარსი.

---

20. ტექსტის წაკითხვა ემოტიკონებით.

მონაწილეები წყვილდებიან და ინდივიდუალურად, ჩუმად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში ისინი აკვირდებიან საკუთარ ემოციებს და ტექსტის გასწვრივ, მინდორზე ხატავენ შესაბამისი ემოციის გამომხატველ ფიგურას (მაგ.: გაოცება, სიხარული, სევდა და სხვ.). კითხვის დასრულების შემდეგ წყვილები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ემოციებს.

ემოტიკონები

							
უკმაყოფილო	კმაყოფილი	სევდიანი	ბედნიერი	გაბრაზებული	გაოცებული	ირონიული	სხვა

ტექსტი N 3

ვახტან კობაიძის სტატია საქართველოსში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი სიმღერის შესახებ:

ბევრმა არც იცის, რომ ქალაქური, პოპულარული სიმღერის „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტის ავტორი ბიძინა ფერაძეა. ეს სიმღერა ბევრ ოჯახში, ტელევიზიასა და სცენაზეც ხშირად სრულდება. ამ სიმღერის შექმნის ისტორია კი, მე მგონი, ყველას დააინტერესებს, მით უმეტეს, რომ ამ დღეებში შესრულდა სიმღერის 70 და ბიძინა ფერაძის გარდაცვალებიდან 50 წელი. ეს თარიღი 20 დეკემბერს აღვნიშნეთ და მინდა **სიტყვა-სიტყვით გადმოქცეთ** ჩემი ოჯახის მეგობრის, ილიკო ფერაძის, ნაამბობი ანუ „ყვავილების ქვეყნის“ შექმნის ისტორია.

ილიკო ფერაძე: „მამა ცნობილი პედაგოგი იყო და მან ანდერძად, მთელ საქართველოს, დაუტოვა **უკვდავი სიმღერის** ტექსტი, რომელიც 1946 წლის აგვისტოში დაწერა, და რომელსაც დღესაც 70 წლის მერეც, მის სიტყვებზე მღერიან. 1946 წელს, ზაფხულში მამას წყნეთელმა მეგობარმა მამა თავისთან დაპატიჟა ოჯახთან ერთად დასასვენებლად. გავცივდი და დედამ- თინა ჟორჟოლიანმა, მამას დავალება მისცა: ქალაქში ჩასულიყო, ფული ესესხა და ჩემთვის სტრეპტოციდი და კარაქი ამოეტანა. წყნეთში მაშინ ერთი ავტობუსი დადიოდა დილას და ერთიც საღამოს.

მამა ჩამოვიდა თბილისში დავალების შესასრულებლად! პირველი და მთავარი იყო ფულის სესხება. **ბედმა** ვერაზე **შეახვედრა** მისი მეგობარი, ჯანო ბაგრატიონი (უფროსი), რომელიც ცნობილი ქორეოგრაფი და ანსამბლის ხელმძღვანელი იყო. როდესაც ბიძინამ მეგობარს გაანდო გასაჭირი, ჯანომ უთხრა: გოგი ვასაძემ (მსახიობ აკაკი ვასაძის შვილი), ქუთაისიდან

არაჩვეულებრივი მელოდია ჩამოიტანა, კომპოზიტორი ჩირინაშვილი ამზადებს ამ სიმღერას ორკესტრისთვის, მაგრამ სიტყვები არ გვაქვსო. წამოდი გოფილექტში (ფილარმონიის ბაღი, პლეხანოვზე) მოისმინე მუსიკა, დაწერე ტექსტი და თუ მოგვეწონება დღესვე **ავანსს მოგცემთ** და მიხედავ შენს ილიკოს.

მამამ მოისმინა მუსიკა, ოჯახის დავალებამ მუზები გაუძლიერა და დაწერა სიტყვები… "ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე"… ასე, რომ, ამ სიმღერის შექმნაში **გადამწყვეტი როლი** მე მიმიძღვის. ავად რომ არ გავმხდარიყავი… ეს სიმღერაც არ იარსებებდა!!! (ყოველ შემთხვევაში, ამ სახით). მას მერე ეს სიმღერა გავრცელდა ყველგან… სუფრებზე, რესტორნებში, სცენაზე, ესტრადაზე, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. **გასული საუკუნის** 60-იან წლებში, მამას გარდაცვალების შემდეგ, ფირმა „მელოდიამ" გამოუშვა „ორერას" ფირფიტა, სადაც ეწერა „ყვავილების ქვეყანა" სიმღერა (ხალხური). დედაჩემმა-თინა ჟორჟოლიანმა ერთი ამბავი ატეხა და მაშინ საავტორო უფლებების სააგენტოში „მთავლიტში" მიიტანა მამას ხელით დაწერილი ხელნაწერი ტექსტი, ამასთან ამ სიმღერის პირველი და **განუმეორებელი შემსრულებელი** დიდი ჯანო ბაგრატიონი ცოცხალი იყო და მანაც დაადასტურა მამას საავტორო უფლება და **მთავლიტმა** გასცა ცნობა სიმღერის ავტორის შესახებ, რომელიც დღეს დიდი **სასოებით** ჩემთან ინახება. ბიძინა ფერაძის ტექსტი ასეთი იყო:

„ყვავილების მეუფევ, თვალნი დამიზიანე,
რომ მითხარ მალე მოვალ, რატომ დაიგვიანე.
შენთვის დაკრეფილი მაქვს, ნარნარი ყვავილები
მინდა გულზე დაგაკრა, ვით ლამაზი ღილები.
აი რისთვის დაგეძებ, რატომ დავიარები
და რატომ მელანდება, შენი გიშრის თვალები.
შენი თვალების ეშხი, ნეტავ რად დაინანე,
ნეტავ ახლა ვის უმზერ, მითხარი გენაცვალე.
მე მიყურე მხოლოდ მე, მაკმარე რაც მაწამე,
ჩემი გულის საუნჯევ, შენს თვალებს ვენაცვალე.
შენს ლოდინში წალკოტი ჩოქვით შემოვიარე
გიცდი და არ მოხვედი, რატომ დაიგვიანე.
ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე….

რომ მითხარ მალე მოვალ, ჭირიმე რატომ დაიგვიანე." მერე და მერე სხვადასხვა შემსრულებლებმა თავისი კუპლეტები დაამატეს, მაგრამ ძირითადი მაინც ბიძინა ფერაძისეული ტექსტი დარჩა: „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე…"

წყარო https://sputnik-georgia.com/columnists/20151222/229554140.html

დავალებების ბლოკი:

შემოხაზეთ სწორი პასუხი

21. რამდენი წლისაა სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“?

ა) 70

ბ) 20

გ) 50

დ) 90

22. ამოიწერეთ ტექსტიდან:

1 დასკვნითი წინადადება ----------

2 პროფესია ----------

3 დროის აღმნიშვნელი სიტყვა ----------

4 ადგილის დასახელება ----------

5 საკუთარი სახელი ----------

6 მუსიკასთან დაკავშირებული სიტყვები ----------

7 ზედსართავი ----------

1 შეკითხვა ----------

2 სინონიმური წყვილი ----------

3 ფრაზა ----------

23. ტექსტში გამუქებული სიტყვები შეუსაბამეთ:

ა) ზუსტად, უცვლელად გადმოგცეთ ----------

ბ) პოპულარული სიმღერა ----------

გ) შემთხვევით, დაუგეგმავი შეახვედრა ----------

დ) თანხის ნაწილის წინასწარ გადახდა ----------

ე) იმედით ----------

ვ) განსაკუთრებული როლი მიმიძღვის ----------

ზ) XX საუკუნის ----------

თ) გამორჩეული შემსრულებელი ----------

24. შექმენით დიალოგის ფორმა ტექსტის მიხედვით

ა) ----------

ბ) ----------

25. რა იყო თქვენთვის დასამახსოვრებელი ამ ისტორიიდან:

---

26. იმსჯელეთ გამოთქმებზე:

- ✓ ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანს
- ✓ **ყვავილი** ყვავილთან ყვავის
- ✓ ველ-მინდორს **ყვავილი** ქარგავს, ოჯახს - კარგი დიასახლისიო
- ✓ დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო!..

ტექსტი N 4

ამონარიდი ნათია ფანჯიკიძის ინტერვიუდან
"როცა ვახარებ ფერად ყვავილებს, ეს ჩემი ლოცვაა"

- განცდა მაქვს, რომ ყვავილები, მცენარეები და პატარა ჩიტები სამოთხის ბაღის ნარჩენებია დედამიწაზე, ალბათ იქიდან გამოვიყოლეთ სამახსოვროდ და სულ მგონია, რომ მცენარეები ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დასტურია ღვთის არსებობის. როცა ვახარებ ფერად ყვავილებს, ეს ჩემი ლოცვაა, ღვთის სადიდებელი. ყვავილები ჩემს საუკეთესო ფიქრებს ჰგვანან და მათსავით სურნელოვანი არიან. მათ აღვიქვამ, როგორც ჩემთან მთლიანებს. სილამაზე ცხადია, ანტიდეპრესანტია. ფერებს კი თავისი ენერგია აქვს, რომელიც ადამიანის არაცნობიერში ტვირთავს განწყობას, ასტიმულირებს ფსიქიკას. ამ ფერადოვნებას მოაქვს სიხარულის, ყველაზე ფაქიზი გრძნობების დაცულობის გრძნობა.

- ბევრი მოყვარული მეყვავილე ამბობს, რომ მცენარეებს ადამიანის ესმით. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

- ეს უბრალოდ, მარტივად ასეა: ყვავილი ხომ ცოცხალია? ის სუნთქავს, ის გხედავს და გისმენს. ყვავილებს უყვართ კარგი მუსიკის მოსმენა, ამიტომ ხშირად მათ ბრაზილიური ბოსანოვას ფონზე ვრწყავ ხოლმე. ბოსანოვასი იმიტომ, რომ კომფორტული, საცეკვაო მუსიკაა, არც გადაჭარბებული გრძნობა და არც აგრესიული ნოტებია ამ მუსიკაში. მეც ცეკვა-ცეკვით დავატარებ ექვსლიტრიან სარწყავს წინ და უკან.

- როდის დაიწყეთ ყვავილების გახარება?

- პირველი ყვავილი ბავშვობაში მქონდა. მომთაბარე ცხოვრების გამო სხვადასხვა ადგილას მიწევდა მცენარეების დატოვება. ნიუ-იორკიდან ჩამოვსახლდი 2010 წელს, ამდენად, ჩემი ამჟამინდელი სახლის ბაღი დაიბადა ამავე წელიწადს.

- სახლის თითქმის ყველა ნაწილში ყვავილები გაქვთ...

- კი, ყველგან. აივანზე, ფანჯრის რაფებზე, ოთახში, სამზარეულოში. აბაზანის გარდა, ცხადია. თუმცა, ცოტა დიდი და ფანჯრიანი აბაზანა რომ მქონდეს, ან ულტრაიისფერნათურიანი, იქაც შეიძლებოდა ორქიდეები მყოლოდა.

- რომელია თქვენი ფავორიტი ყვავილი?

- ასეთი ლაპარაკი როგორ შეიძლება მეგობრებზე? ყველას თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს.

- თქვენ თვითონაც ახარებთ თუ უკვე გახარებულ მცენარეებს ყიდულობთ?

- ხან ვთესავ, ხან ფოთლიდან ვამრავლებ, ხან ვახარებ, ხან ვყიდულობ, ხანაც მჩუქნიან. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ "კამარაში" პაციენტებმა

არაჩვეულებრივი სიურპრიზი დამახვედრეს. კედელზე დახატეს ჩემი პორტრეტი სუროს თმებით (*ოღიმის*). ეს იყო ფანტასტიური საჩუქარი.

წყარო: http://www.reitingi.ge/interviu/9415-qroca-vakhareb-ferad-yvavilebs-es-chemi-locvaaq-nathia-fanjikidzis-

დავალებების ბლოკი:

27. იზიარებთ თუ არა ნათია ფანჯიკიძის დამოკიდებულებას ყვავილებისადმი ?

---

28. თქვენი აზრით ყვავილის ჩუქებით რა შეიძლება გამოხატო?

---

29. თქვენ რა შეკითხვას დაუსვამდი ნათია ფანჯიკიძეს ?

საშინაო დავალება:

- უყურეთ ფილმს „მზე შემოდგომისა“ და დაუსვით შეკითხვები ფილმის პერსონაჟებს. რატომ ხატავენ ყავილებს?
- მოიძიეთ ინფორმაცია ყველაზე ცნობილი ყვავილების ნახატების შესახებ. დამატებით გაეცანით დიეგო რივერას და მის შემოქმედებაში ყვავილებს.
- გადაუღეთ ფოტოები ქოთნის ყვავილებს და გამოიკითხეთ მათ შესახებ.
- ჯგუფურად დაგეგმეთ აუდიტორიის ყვევილებით მორთვის შესაძლებლობები.
- დაგეგმეთ ყვავილების დარგვის კამპანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

მარტი

შინაარსი: რა არის დაუნის სინდრომი? ვინ გამოიკვლია დაუნის სინდრომი? არის თუ არა დაუნის სინდრომი დაავადება? რატომ ჭრელი წინდები?

მოკლე აღწერა:

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს, ადამიანები, რომლებსაც აქვთ დაუნის სინდრომი, ასევე ისინი ვინც მუშაობენ და ცხოვრობენ მათთან ერთად, ერთიანდებიან და მართავენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა უფლებების დაცვა, ამიტომაც ამ დღეს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებები იმართება, რომელიც ძირითადად დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლებისაკენ არის მიმართული. https://youtu.be/AGYRuHFzXMQ

1. კითხვები გამოწვევისთვის:

აღწერეთ და გადმოეცით, რა აკავშირებს ამ სურათებს?

1.

2.

---

3. 

4.

გამოწვევის / პროვოცირების აქტივობები:

აქტივობა 2. ფრონტალური შეკითხვები (სწრაფი პასუხები ან მოკლე საუბრები)

- **რა იცით დაუნის სინდრომის შესახებ?**
- **როგორია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, აქვს თუ არა რამე განსხვავებული ფიზიკური მახასიათებელი?**
- **იცნობთ თუ არა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს?**
- **გსმენიათ თუ არა დაუნის სინდრომის მქონე წარმატებული ადამიანების შესახებ?**

- **სჭირდებათ თუ არა ხელშეწყობა დაუნის სინდრომის მქონე პირებს გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან ადაპტაციასა და ინტერგრირებაშაქტივობა 4. მოლოდინების გზამკვლევი.** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადება და დაფიქრდით, ეთანხმებით თუ არა მასში გადმოცემულ აზრს. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- *დაუნის სინდრომი მდგომარეობაა და არა ავადმყოფობა. (დიახ / არა)*
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის უნდა არსებობდეს ცალკე სკოლა, რომელიც უშუალოდ მათ შესაძლებლობებზე იქნება ორიენტირებული.*(დიახ / არა)*

ტექსტიN1

ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
ადაპტაცია	
ინტეგრაცია	
ქრომოსომა	
მუცლადყოფნა	

რა არის დაუნის სინდრომი? რა დამოკიდებულებაა ამ მდგომარეობის მიმართ, თავად მშობლების, საზოგადოებისა თუ სხვადასხვა დაწესებულებების მხრიდან? აქვთ თუ არა ამ ადამიანებს საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრირების საშუალება? რამდენად ადეკვატურია ჩვენი დამოკიდებულება? საჭიროა თუ არა გვქონდეს ინფორმაცია ამ ტიპის ადამიანებზე, რომლებიც შეიძლება ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, მუშაობდნენ ჩვენთან ერთად? ალბათ მეთანხმებით, რომ არა თუ საჭირო არამედ აუცილებელიცაა.

ალბათ გაგიგიათ ფრაზა: "მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს"- იცით ეს ფარაზა ვისზეა ნათქვამი? დიახ! დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებზე!

დაუნის სინდრომი ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული მდგომარეობაა, რომლის დროსაც ნაცვლად 46 ქრომოსმისა გვხვდება დამატებით ერთი ქრომოსომა, 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება.

დაუნის სინდრომი პირველად აღწერა ჯონ დაუნმა. 1959 წელს კი ფრანგმა გენეტიკოსმა ჯერემი ლეჟერმა დაუნის სინდრომი აღწერა, როგორც ქრომოსომული ანომალია, ჯონ დაუნის შემოღებულია ტერმინი "მონღოლიზმი", რომლითაც ის აღწერდა ამ სინდრომის მქონე ადამიანებს ფიზიკური ნიშნით, ასეთი რასისტული მიდგომა გაგრძელდა 1965 წლამდე. მონღოლმა დეპუტატმა თხოვნით მიმართა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ტერმინი ამოეღოთ ხმარებიდან, 1972 წლიდან ამ მოვლენას დაუნის სინდრომი შეარქვეს.

2006 წლის 21 მარტს პირველად აღინიშნა დაუნის სინდრომის მქონე პირთა დღე, დღე და თვე შმთხვევით არ აურჩევიათ: 21-ე ქრომოსამას აღნიშნავს, ხოლო თვე-3 მარტი, როგორც წელიწადის მესამე თვე ტრისომიულ მოვლენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუნის სინდრომი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს ზედმეტი ქრომოსომა აქვს. სწორედ ქრომოსომები განაპირობებენ ბავშვის ორგანიზმის ჩამოყალიბების პროცესს ორსულობის დროს და მის განვითარებას, როგორც მუცლადყოფნის, ასევე დაბადების შემდგომ პერიოდში. ჩვეულებისამებრ, ბავშვი იბადება 46 ქრომოსომით. ბავშვებს დაუნის სინდრომით აქვთ ზედმეტი 21-ე ქრომოსომა. სამედიცინო ენაზე მას „21-ე ტრისომია“-ს უწოდებენ. სწორედ ზედმეტი ქრომოსომა ხდება ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარების ცვლილების მიზეზი.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებისათვის დამახასიათებელია ბევრი მსგავსი გარეგნული ნიშან-თვისებები და ქცევები, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს სხვადასხვა შესაძლებლობა გააჩნია.

დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელი რამდენიმე საერთო ფიზიკური ნიშანია:
სახის ბრტყელი პროფილი, განსაკუთრებით ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი;

თვალების ნუშისებური (ირიბი) ჭრილი;

მოკლე კისერი;

პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა;

პაწაწინა თეთრი „ლაქები“ თვალის ფერად გარსზე ;

ერთი ღრმა ხაზი ხელისგულზე;

ყურის ნიჟარა;

ფეხის თითები;

სუსტი სახსრები;

დაბალი სიმაღლე.

დაუნის სინდრომით საკმაოდ ბევრი ბავშვი იბადება, ყოველწიურად, ყოველი 700-დან 1 ბავშვს აქვს დაუნის სინდრომი, თქვენ ალბათ კარგად მიხვდით: დაუნის სინდრომი დაავადება კი არა, არამედ გენეტიკური ცვლილებაა.

დავალებების ბლოკი:

აქტივობა 5. პირველი ტექსტის წაკითხვის შემდეგ
მოცემული კითხვითი სიტყვების გამოყენებით დასვით კითხვები წაკითხული ტექსტის მიხედვით.

რა	**რა იწვევს დაუნის სინდრომს?**
რომელი	
ვინ	
რა	
სად	
როგორ	
რატომ	
რისგან	
როდის	
სანამდე	
რის გამო	

აქტივობა 6.

ფოტოზე გამოსახულ ნიშნებს შეუსაბამე ქვემოთ მოცემული აღწერა (ერთმანეთთან დააკავშირეთ ისრით):

ა) თვალების ნუშისებრი (ირიბი) ჭრილი;

ბ) სახის ბრტყელი პროფილი, განსაკუთრებით ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი;

გ) მოკლე კისერი;

დ) პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა;

ე) პაწაწინა თეთრი „ლაქები“ თვალის ფერად გარსზე ;

ვ) ერთი ღრმა ხაზი ხელისგულზე

ზ) ყურის ნიჟარა;

თ) ფეხის თითები;

ი) სუსტი სახსრები;

კ) დაბალი სიმაღლე;

აქტივობა 7.

დავალება 3.2.1

3 რამ, რაც ვიცოდი

---

2 რამ, რაც ახალი იყო ჩემთვის

---

1 კითხვა, რომელიც გამიჩნდა

კითხვები ვიდეო რგოლის ჩვენებამდე:

1. თქვენი აზრით, რა როლი შეიძლება შეასრულოთ მათი ცხოვრების უკეთესად მოწყობაში?
2. თქვენი აზრით, ადამიანები უფრო განვსხვავდებით თუ ვგავართ ერთმანეთს?
3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შეუძლიათ: წერა, კითხვა, სწავლა, თამაში?
4. რა პრობლემები ექმნებათ მათ ცხოვრებაში?
5. თქვენი აზრით, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უნდა მოვექცეთ განსხვავებულად?

აქტივობა 8.

ვიდეოს ნახვა:

1) https://youtu.be/sszIG23USQk

დავალებების ბლოკი:

1. რა შინაარსის იმეილი მიიღეს ვიდეო რგოლის მიხედვით?----------

---

2. ვინ არის იმეილის ავტორი?----------

3. შეავსეთ გრაფა, რა პასუხები გასცეს ამ იმეილს?

1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	

4. ამოიწერთ თქვენთვის ყველაზე ემოციური ფრაზა ვიდეო რგოლიდან და გაუზიარეთ თქვენს თანაჯგუფელებს.

2) უყურეთ ვიდეორგოლს: HTTPS://YOUTU.BE/NCKZYNCOLUW

დავალებების ბლოკი:

- ***ხელახლა უპასუხეთ ვიდეო რგოლის ყურებამდე დასმულ შეკითხვებს და მონიშნეთ თუ შეგეცვალათ აზრი/დამოკიდებულება წინა პასუხთან შედარებით:***

1. თქვნი აზრით რა როლი შეიძლება შეასრულოთ მათი ცხოვრების უკეთესად მოწყობაში?-------
---

---

2. თქვენი აზრით ადამიანები უფრო განვსხვავდებით თუ ვგავართ ერთმანეთს?----------
---
---

3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შეუძლიათ: წერა, კითხვა, სწავლა, თამაში?----------
---
---

4. რა პრობლემები ექმნებათ მათ ცხოვრებაში?----------
---

5. თქვენი აზრით, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს განსხვავებულად უნდა მოვექცეთ?---------
---

მინიდისკუსია

ორივე ვიდეო რგოლის ყურების შემდეგ გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გმირების, მათი საქციელის, მათი გამონათქვამების, გადაწყვეტილებების შესახებ. იმსჯელეთ, რა მსგავსება ან განსხვავებაა ამ ორ ვიდეოს შორის.

ტექსტიN2

მოუსმინეთ: http://www.radiotavisupleba.ge/a/24524928.html

დავალებების ბლოკი:

წერა ქარგის მიხედვით

ამ ინტერვიუდან მე გავიგე ----------. მეცნიერების დასკვნით ---------- ----------, მას იწვევს---------- ----------. ჯერჯერობით არ არ რსებობს ---------- ----------

მე გავიგე რომ ასოციაციისს წევრები ამბობენ, რომ---------- ----------. უფრო მეტიც, იყო პერიოდი---------- ---------- გვახარია მბობს, რომ მსოფლიოში უამრავ ადამიანს ბოდიში აქვს მოსახდელი იმიტომ, ---------- ----------

----------დაუნის ისნდრომის მქონე ბავშვები---------- ----------ლია ასანიშვილის თქმით---------- ----------მიუხედავად ამისა საქართველოში და მსოფლიოში---------- ----------

მეცნიერება წინ მიდის მაგრამ----------ლია ასანიშილს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვმა სოფომ ჰკითხა:----------ლიამ უპასუხა, დაუნი არის----------რომელსაც---------- ----------ამ პასუხის შემდეგ სოფო დადიოდა ძალიან----------. 21 მარტს მსოფლიოს გაახსენეს რომ---------- ----------

უპასუხეთ შეკითხვებს?

1. რომელი წლიდან აღინიშნება დაუნის სინდრომის დღე?

---

2. რატომ აირჩეს 21 მარტი?

---

3. რა სტერეო ტიპები გაჩნდა საზოგადოებაში დაუნის სინდრომის შესახებ?

---

4. როგორები არიან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები?

---

5. რატომ ამბობენ უარს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე?

მოსმენილის შეჯამება 3 წინადადებით

1)----------2)----------3)----------

ტექსტი N3

ტექსტის კითხვა წყვილებში

მონაწილეები წყვილდებიან. ერთ-ერთი მეწყვილე ხმამაღლა კითხულობს ტექსტის პირველ ნაწილს. მეორე უსმენს და რამდენიმე წინადადებით აჯამებს მოსმენილს(ტექსტი გაყავს მესამე პირში). ყოველი მომდევნო მონაკვეთის წაკითხვისას მეწყვილეები ცვლიან როლებს

რეალობისათვის თვალის გასწორება(დაუნის სინდრომის მქონე მშობლების გრძნობები):

დაუნის სინდრომი: „კალების ისტორია“

„ჩვენი შვილი, კალები რამდენიმე თვის წინ დაიბადა დაუნის სინდრომით. არ მინდოდა დამემალა მისი დიაგნოზი, თუმცა რთული იყო ზეიმი დაუმთავრებელი გამოკვლევებისა და შედეგების ლოდინის ფონზე.... ყოველ ჯერზე, როდესაც ჩემს ვაჟს ვუყურებდი, ვხედავდი მხოლოდ სასწაულ ქმნილებას. ის არ გავდა სხვა ბავშვებს - ის თავის თავს გავდა მხოლოდ და იყო მთლიანად ჩემი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შეძენით იწყებ ახლებურად ყველაფრის გაზომვას. უბრალო ღიმილი არ არის ჩვეულებრივი ღიმილი - ეს გამარჯვებაა. ჩვენ არ ვიცით რამდენად შორს წავლენ ჩვენი შვილები, მაგრამ ჩვენ ვიცით რამდენად ღრმაა ჩვენი სიყვარული. მე სათუთად ვუვლი ჩემს შვილს ყოველ დღე და არ ვდარდობ!

დაუნის სინდრომი: "ჟასმინი"

ადვილი არ არის, რეალობას თვალი გაუსწორო. ერთი დედა, ლიზა იხსენებს: „ძალიან დიდი შოკი იყო ჩემთვის ამის გაგება. როდესაც პედიატრმა აგვიხსნა ჩვენი ქალიშვილის მდგომარეობა, მე და ჩემმა მეუღლემ ტირილი დავიწყეთ. ვერ გაგვეგო, ჩვენს თავს დავტიროდით თუ ჟასმინს — ალბათ, ორივეს. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა. მეშინოდა, რომ უარგვყოფდნენ. ვფიქრობდით, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება შეიცვლებოდა და სხვები აღარ მოინდომებდნენ ჩვენთან ურთიერთობას. გულწრფელად რომ გითხრათ, ეს ეგოისტური ფიქრები იმიტომ გვიჩნდებოდა, რომ არ ვიცოდით, რა მოხდებოდა ხვალ, მაგრამ ერთი სული მქონდა, ჩემი გოგონა ხელში ამეყვანა და მეთქვა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ყოველთვის მეყვარებოდა“.

დაუნის სინდრომი: "სუსანა"

დარდი და გაურკვევლობის გრძნობა, როგორც წესი, რაღაც პერიოდი გრძელდება ან მოულოდნელად შეიძლება გაგახსენოთ თავი. ელენა გვიყვება: «ჩვენი ქალიშვილის, სუსანას გამო ხშირად ვტიროდი. ოთხი წლის იყო, რომ მითხრა: „დედიკო, ნუ ტირი. ყველაფერი კარგად იქნება!“ მას არ ესმოდა, რატომ ვტიროდი და მეც იმ მომენტში გადავწყვიტე, აღარ შემცოდებოდა საკუთარი თავი და უარყოფითი ფიქრები მომეშორებინა. მას შემდეგ ვცდილობ, მთელი ყურადღება ბავშვზე გადავიტანო და დავეხმარო, შეძლებისდაგვარად განვითარდეს».

რა არის მთავარი, ასეთ ბავშვებს დახმარება რომ გაეწიოს?

„მთავარია, სიყვარული არ მოაკლოთ და შემდეგ სხვა დანარჩენი“, — გვირჩევენ დაუნის სინდრომის ასოციაციის წევრები. „ამ სინდრომით დაავადებულები, პირველ რიგში, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, — ამბობს პროფესორი სიუ ბაკლი. — ბავშვების განვითარება . . . დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ მათზე, როგორ განათლებას აძლევენ და რამდენად ეძლევათ მათ სხვებთან ურთიერთობის საშუალება, როგორც ყველა სხვა ადამიანს“.

დავალებების ბლოკი:

კითხვები ტექსტის წაკითხვის შემდეგ

- რა განწყობა დაგეუფლათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
- რომელი ისტორია იყო თქვენთვის გამორჩეული, რატომ?
- ხომ არ იცით რაიმე მსგავსი ისტორია?
- რას ეტყოდით ამ მშობლებს, მათ გვერდით რომ ყოფილიყავით?

შემაჯამებელი აქტივობა: 5 კითხვა

ვინ	რა რექცია ჰქონდათ	რას ფიქრობდა	რა სურდა	რა გადაწყვიტა/ რატომ?

ტექსტის წაკითხვა ემოტიკონებით

მონაწილეები წყვილდებიან და ინდივიდუალურად, ჩუმად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში ისინი აკვირდებიან საკუთარ ემოციებს და ტექსტის გასწვრივ, მინდორზე ხატავენ შესაბამისი ემოციის გამომხატველ ფიგურას (მაგ.: გაოცება, სიხარული, სევდა და სხვ.). კითხვის დასრულების შემდეგ წყვილები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ემოციებს.

ემოტიკონები

							
უკმაყოფილო	კმაყოფილი	სევდიანი	ბედნიერი	გაბრაზებული	გაოცებული	ირონიული	სხვა

ტესტი N3

ამონარიდი სტატიიდან:

ბავშვის გაჩენის უდიდესი სიხარული ჩემთვის სევდანარევი გამოდგა, თუმცა, დღეს მიჭირს დავაკონკრეტო რატომ ვიდარდე ასე, ალბათ გამოუცდელობის, ინფორმაციის ნაკლებობის და მომავლის შიშის გამო. ყველაზე მეტად განვიცდიდი იმას, რომ უფროს შვილებს-ნიკალას და თინათინს დიდ „პრობლემას“ ვუტოვებდი, არადა ყველაზე ჯანსაღად და საღად ისინი შეხვდნენ ამ სიახლეს, ალბათ იმიტომ, რომ თავისუფლები იყვნენ სტერეოტიპებისგან. მაშინ ნიკალა ილიას უნივერსიტეტის პირველკურსელი იყო და აკადემიურ წერაში დავალებად თავისუფალი თემა მისცეს, რომელსაც გიგზავნით უცვლელად, რადგან ვფიქრობ, გამიჭირდება უფრო გულწრფელი ვიყო.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები არ უნდა გამოეყონ საზოგადოებას!

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირება არც თუ ისე აქტუალური პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში. რთულია ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც იტყვის, რომ არ აინტერესებს ასეთი ბავშვების ბედი, მათი თქმით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ბავშვების დასახმარებლად. ხალხის უმეტესობისთვის ეს მხოლოდ სალაპარაკო თემაა, საზოგადოებას ნამდვილად რომ უნდოდეს ასეთი ადამიანების დახმარება, ის აუცილებლად მოიმოქმედებდა რამეს. როცა საქმე – საქმეზე მიდგება, ყველას ურჩევნია, რომ გააგრძელოს ცხოვრება შესაძლებლობაშეზღუდულ ბავშვებთან ურთიერთობის გარეშე. დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეში, მშობლები დაუნის სინდრომიან შვილებს სამშობიაროში ტოვებენ.

შევეცდები გავარჩიო საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად, ხოლო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა. ალბათ, ყველას გაგვიგია სიტყვა დაუნი, რომელსაც მთელი თბილისი იყენებს ყოველდღიურ ურთიერთობაში. მათთვის ეს დამამცირებელი სიტყვაა, და იშვიათად თუ ვინმე დაინტერესდება საიდან მოდის ეს ტერმინი.ახალგაზრდა მშობლებში 1250-დან 1-ს და 35 – 40 წელს გადაცილებულ მშობლებში 100-დან 1-ს დაუნის სინდრომიანი შვილი უჩნდება. პატარა კიდურები, მოკლე თითები, თავისებური ხაზები ხელის გულზე, წვეტიანი ბალიშები ხელის ცერებზე, ზომაზე დიდი ენა, ტანისა და კიდურების დისპროპორცია და „მონღოლოიდური“ აპრეხილი თვალები: ამ ნიშნებს რომ ვხედავ, მაშინვე ვხვდები, რომ ბავშვს დაუნის სინდრომი აქვს. ჩემს მიერ წაკითხული მასალის მიხედვით, დაუნის სინდრომი არც ისე იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ რატომ არ ვიცოდი ამის შესახებ ადრე? რატომ არ ვიცნობდი დაუნის სინდრომიან ბავშვს? ალბათ, იმიტომ, რომ ქართველ ხალხს კომპლექსები აქვს, არ აჩენენ მათ საზოგადოებაში; შეიძლება ეშინიათ კიდეც, და ჩვენდა საუბედუროდ, ეს უმიზეზოდ არ ხდება: ცოტა ხნის წინ ტელევიზორში შევესწარი შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი ტელეწამყვანი სიტყვა „დაუნს“ მეორე ადამიანის დასამცირებლად იყენებდა. ვერასდროს აღმოვფხვრით ამ პრობლემას საზოგადოებიდან, ეს ყველაფერი ოჯახიდან მოდის და ჩვენ ერთმანეთის აღმზრდელები ვერ გავხდებით. მე ვიცი რა არის დაუნის სინდრომი, სხვამ კი – არა. მე ვიცი რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ეს განსხვავებულობა და ამავდროულად რამდენად თბილები არიან ასეთი ბავშვები. სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ მე ეს სინდრომი საშინელება მეგონა, დაავადება,

რომელიც არ იკურნება, მაგრამ საბედნიეროდ, მერგო იმის ბედნიერება, რომ განვასხვავო დაავადება სინდრომისგან. ჩემი და დაუნის სინდრომით დაიბადა. ეს რომ გავიგე, შემეშინდა, ვიფიქრე, ლელე ვიღაცაზე ნაკლები იქნებოდა, რომ რაღაც აკლდა და გამოუსწორებელი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ მალევე გავიგე, რომ ეს ნაკლი კი არა – ბედნიერებაა, რთული ბედნიერება. მას ფიზიკურ განვითარებაში დახმარება სჭირდება, მასწავლებლები და ექიმის რჩევები, მაგრამ ვერცერთი სირთულე ვერ გადაფარავს იმ სითბოს რასაც ლელე გვაძლევს მე და ჩემს ოჯახს. მან ოჯახი თავიდან შემაყვარა.

ხალხმა შეიძლება იფიქროს, იყო „დაუნი“ ტრაგედიაა, მაგრამ ჩემი აზრით ეს სინდრომი სიყვარულის განსახიერებაა. ოცდასამი ქრომოსომა დედისგან, ოცდასამი მამისგან, ერთი კი ღვთის საჩუქარია, სრულყოფილებასთან მისაახლოებლად.

დავალებების ბლოკი:

აქტივობა 9. სქემა 3-2-1

3 რამ, რაც გავიგე ამ ტექსტიდან

1. _____

_____

2. _____

_____

3. _____

_____

2 მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გავითვალისწინო

1. _____

_____

2. _____

_____

1 რამ, რაზეც მეტი ინფორმაცია მჭირდება

მცირე ჯგუფებში დაუნის სინდრომის თემაზე ლოგოს შექმნა, პლაკატის გაკეთება, პრზენტაცია

სტუდენტები განაწილდებიან მცირე ჯგუფებში, შეარჩევენ დაუნის სინდრომის თემაზე ლოგოს, შეაჯამებენ ლექციაზე განხილულ თემებს, დაალაგენ ინფორმაციას რომელიც შეძლებს გამოხატოს დაუნის სინდომთან დაკავშირებული თავარი გზავნილი. მოსწავლეები ლოგოებსა და სტენდურ პრზენტაციას არუდგენენ აუდიტორიას.



მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ!!!

როდესაც ვსაუბრობთ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანზე სასურველია გაკეთდეს აქცენტი თავად პიროვნებაზე და არა დაუნის სინდრომზე.

დაუნის სინდრომი არის ადამიანის გენეტიკური მდგომარეობა, როდესაც ყველა უჯრედში 46 ქრომოსომის ნაცლად 47 ქრომოსომაა. ეს გახლავთ მისი ბუნებრივი მდგომარეობა - გამომდინარე აქედან, დაუნის სინდრომი დაავადება არ არის. ეს ადამიანის გენეტიკური მდგომარეობაა.

მნიშვნელოვანია, როდესაც ვესაუბრებით დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს ან მის ახლობელს, მოვიხსენიოთ იგი სახელით და არა დაუნის სინდრომით.

საუბრისას ყოველთვის წინა პლანზე დააყენეთ პიროვნება, ადამიანი და შემდეგ მისი გენეტიკური მდგომარეობა.

დაუშვებელია შემდეგი მიმართვის ფორმის გამოყენება საუბრისას: დაუნის სინდრომით დაავადებული, დაუნიზმით დაავადებული, დაუნი.

სწორი ფორმაა: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანი და/ან პირი დაუნის სინდრომით.

საშინაო დავალება:

1. უყურეთ ფილმს:

- http://naxe.org/load/filmebi_qartulad/kape_de_plori_kartulad_cafe_de_flore_filmi_kafe_de_flori_qartulad/2-1-0-4292 - კაფე დე ფლორი.
- http://net.adjara.com/Movie/main?id=6769- მერვე დღე.

დაიყავით სამ ჯგუფად, შეარჩიეთ მოცემული ფილმიდან ერთ-ერთი,მოაწყვეთ ფილმის ჩვენების დღე.

აქტივობა 8 მოაწყვეთ ფილმის ჩვენების კლუბი. კლუბის ძირითადი საფეხურებია:

- შეიკრიბეთ და შეთანხმდით შემდეგზე: ჩამოთვლითაგან რომელ ფილმს უყურებთ? რა დრო დაგჭირდებათ? მნიშვნელოვანია, რომ კლუბის ყველა წევრს ჰქონდეს შერჩეული
- ფილმის ყურების სურვილი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ყველას ჰქონდეს საკმარისი დრო საყურებლად.
- მონიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილები. მოამზადეთ შეკითხვები და აზრები განხილვისთვის. ფილმის დასასრულს მოაწყვეთ დისკუსიები და ლექციისთვის, თქვენი კლუბის წევრებთან ერთად მოამზადეთ პრეზენტაცია ამ ფილმი შესახებ.

პრეზენტაცია წარადგინეთ ლექციაზე, გააცანით ფილმის შინაარსი, გაუზიარეთ ჯგუფელებს თქვენი შთაბეჭდილებები, შეკითხვები, პოზიციები.

2. **მოიძიეთ ინფორმაცია: რატომ ჭრელი წინდები?**

გამოჭერით წინდის ფორმა ფურცელზე, გააფერადეთ და განათავსეთ თქვენს აუდიტორიაში, როგორც მთავარი გზავნილი დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით.

კულტურული მრავალფეროვნების დღე

მარტი

გონებრივი იერიში;

1. **რას ნიშნავს სიტყვა მრავალფეროვნება? იმსჯელეთ.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „მრავალფეროვნება“...**

(სტუდენტები ვარჯიშობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობაში. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

3. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

მრავალფეროვნება	მრავალფეროვნება (მრავალფეროვნებისა), მრავალფეროვნობა (მრავალ ფეროვნობისა)მრავალფეროვნის თვისება, _ მრავალნაირობა, მრავალგვარობა.
მრავალფეროვანი	მრავალფეროვან-ი (მრავალფეროვნისა) სხვადასხვა ფერისა, ფერად-ფერადი. სასტუმრო დარბაზი ძვირფასი მრავალფეროვანი ხალებით იყო მოგებული (გ. წერეთ.). || მრავალნაირი, მრავალგვარი, სხვადასხვა სახისა. როგორც კულტურული ერის ცხოვრება მრავალფეროვანია, ისევე მრავალფეროვანია ხოლმე მისი სულიერი კულტურის ავლადიდებაც (ივ. ჯავახ.). მრავალფეროვნად ზმნს. მრავალფრად, ნაირ-ნაირად.

4. სიტყვა „<u>მრავალფეროვან-ი</u>“ ორი სიტყვის შეერთებითაა მიღებული. რა ეწოდება ასეთ შედგენილ სიტყვებს? რა სიტყვების შეერთებითაა მიღებული „<u>მრავალფეროვნება</u>“? იმსჯელეთ.

5. -ება სიტყვამაწარმოებელი სუფიქსია (ბოლოსართია); შეეჯიბრეთ ერთმანეთს ამგვარი წარმოების სიტყვების გახსენებაში.

(მასწავლებელმა მისცეს რამდენიმე ნიმუში: კეთილგონიერება, მართლმეტყველება და სხვ. ჯგუფური სამუშაო)

6. წაიკითხეთ ტექსტი:

2001 წელს იუნესკომ მიიღო უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია და 2002 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეა თავის რეზოლუციაში გამოაცხადა 21 მაისი, როგორც კულტურული განვითარების მსოფლიო დღე

ეს დღეს გვაძლევს საშუალებას, რომ გაღრმავდეს ჩვენი კულტურული ღირებულებების მრავალფეროვნება და ვისწავლოთ ერთად ცხოვრება.

2011 წელს კამპანიის „Do One Thing For Diversity and Inclusio“ ფარგლებში, მსოფლიო ყოველწლიურად ზეიმობს კულტურული განვითარების დღეს.

ამ დღის აღნიშვნა ხელს უწყობს ადამიანებს და ორგანიზაციებს მთელს მსოფლიოში, მიიღოს კონკრეტული ზომები მრავალფეროვნების მხარდასაჭერად. ამავე დროს, მიზნად ისახავს:

1. ცნობიერების ამაღლებას კულტურათაშორისი დიალოგის გამრავალფეროვნებისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე.

2. მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერას იმ პირებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ მრავალფეროვნებას რეალურ და ყოველდღიურ ცხოვრებაში.
3. ბრძოლას პოლარიზაციისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ურთიერთგაგება და თანამშრომლობა ადამიანებსა და სხვადასხვა კულტურებს შორის.

დავალებათა ბლოკი:

7. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები

ლექსიკონში:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

8. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

9. **ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად:**

დეკლარაცია მრავალფეროვნება გაღრმავდეს კულტურული უნივერსალური

2001 წელს იუნესკომ მიიღო ..... კულტურული მრავალფეროვნების ..... და 2002 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეა თავის რეზოლუციაში გამოაცხადა 21 მაისი, როგორც ..... განვითარების მსოფლიო დღე ეს დღეს გვაძლევს საშუალებას, რომ ..... ჩვენი კულტურული ღირებულებების ..... და ვისწავლოთ ერთად ცხოვრება.

10. **შეარჩიეთ ჩამოთვლილთაგან და შეაერთეთ სწორ სინონიმთან:**

უნივერსალური	-	ნამდვილი
მრავალფეროვნება	-	უკიდურესობა
გენერალური	-	მნიშვნელობა
ღირებულება	-	საყოველთაო
რეალური	-	მრავალნაირი
პოლარიზაცია	-	მთავარი

11. **წაკითხულის გააზრება:**

რას გულისხმობს უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია და რა მთავარი მიზნები აქვს მას?

(სტუდენტები დაიყონ ჯგუფებად და წარმოადგინონ პრეზენტაციები)

12. **მოისმინეთ ტექსტი:**

http://www.radiotavisupleba.ge/a/1546999.html

დავალებების ბლოკი:

13. **უპასუხეთ კითხვებს:**

როდის აღინიშნება კულტურული განვითარების მსოფლიო დღე?
ვისი ინიციატივით დაარსდა ეს დღესასწაული?

რა ეწოდება მეორენაირად კულტურული განვითარების მსოფლიო დღეს?
როდის მიიღო გაერომ საგანგებო რეზოლუცია, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდებს ყოველწლიურად აღინიშნოს კულტურული განვითარების მსოფლიო დღე?
კვლავ არსებობს თუ არა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კულტურული ერთფეროვნების საფრთხე?
რას ფიქრობს კულტურისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაზე ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.

14. **გადმოეცით წერილობით მოსმენილი ტექსტის შინაარსი:**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. **ამოიწერეთ მოსმენილი ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

16. **მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:**

_____
_____

17. **წაიკითხეთ ტექსტი:**

დეკლარაცია
კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ

ნაწყვეტი დეკლარაციიდან

იუნესკოს გენერალური კონფერენციის 33-ე სესია, რომელიც ჩატარდა პარიზში 2005 წლის 3-21 ოქტომბერს, აცხადებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის დამახასიათებელ ნიშანს,

აცნობიერებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია ყოველი ადამიანის საკეთილდღეოდ,

აცნობიერებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამდიდრებს და მრავალმხრივს ხდის სამყაროს, რომელიც აფართოებს არჩევანის დიაპაზონს და ხელს უწყობს ადამიანების შესაძლებლობებისა ღირებულებებისათვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას და, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს საზოგადოების, ადამიანების და ერების განუხრელი განვითარების მამოძრავებელ ძალას,

ითვალისწინებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც ვითარდება დემოკრატიის, შემწყნარებლობის, სოციალური სამართლიანობის და ხალხებისა და კულტურების ურთიერთპატივისცემის პირობებში, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ, სახელწიფო და საერთაშორისო დონეებზე,

განსაკუთრებით გამოყოფს რა კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ადამიანის იმ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული განხორციელების საქმეში, რომელიც განცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა თუ საყოველთაოდ აღიარებულ სხვა დოკუმენტებში,

ხაზგასმით აღნიშნავს რა იმის აუცილებლობას, რომ უნდა მოხდეს კულტურის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ელემენტის ინტეგრაცია განვითარების ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში, აგრეთვე განვითარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობაში გაეროს ათასწლეულის დეკლარაციის (2000) გათვალისწინებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სიღატაკის დაძლევას ეთმობა,

ითვალისწინებს რა, რომ კულტურა დროსა და სივრცეში სხვადასხვა ფორმას იძენს, ხოლო ეს მრავალფეროვნება გამოიხატება იმ ხალხების და საზოგადოებების თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის უნიკალური და მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებიც შეადგენს კაცობრიობას,

აღიარებს რა ტრადიციული ცოდნის, როგორც არამატერიალური და მატერიალური სიმდიდრის წყაროს,

კერძოდ, მკვიდრი ხალხების ცოდნის სისტემების მნიშვნელობას და მათ დადებით წვლილს განუხრელ განვითარებაში, და ასევე ამ ცოდნის შესაბამისი დაცვისა და წინსვლის აუცილებლობას,

აღიარებს რა კულტურული თვითგამოხატვის ფორმების მრავალფეროვნების, მათ შორის, მათი შინაარსის დაცვისთვის საჭირო ზომების მიღების აუცილებლობას, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა კულტურულ თვითგამოხატვას შეიძლება გაქრობა ან სერიოზული ზიანი ემუქრებოდეს,

ხაზგასმით აღნიშნავს რა კულტურის მნიშვნელობას ზოგადად სოციალური ერთობისთვის და კერძოდ კი მისთვის დამახასიათებელ პოტენციალს საზოგადოებაში ქალების სტატუსისა და როლის ამაღლებისათვის,

აცნობებს რა, რომ კულტურულ მრავალფეროვნებას აძლიერებს იდეების თავისუფალი გავრცელება, და რომ იგი მდიდრდება კულტურებს შორის მუდმივი გაცვლით და ურთიერთქმედებით,

კვლავაც ადასტურებს რა, რომ აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშემწყობ პირობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში,

აღიარებს რა, რომ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, მისი ტრადიციული ფორმების ჩათვლით, იმ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ადამიანებსა და ხალხებს თავიანთ იდეებისა ღირებულებების გამოხატვას და ერთმანეთისთვის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს,

ითვალისწინებს რა, რომ ენობრივი მრავალფეროვნება კულტურული მრავალფეროვნების ძირითადი ელემენტია, და კვლავაც ადასტურებს რა იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც განათლება ასრულებს კულტურული თვითგამოხატვის დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში. ითვალისწინებს რა კულტურების სიცოცხლისუნარიანობის დიდ მნიშვნელობას, მათ შორის იმ პირებისათვის, რომლებიც უმცირესობას და მკვიდრ ხალხებს წარმოადგენენ, რაც გამოიხატება მათ თავისუფლებაში, ქმნიდნენ, ავრცელებდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთი კულტურული თვითგამოხატვის ტრადიციულ ფორმებს და ხელი მიუწვდებოდეთ მათ გამოყენებაზე თავიანთი განვითარების მიზნით,

ხაზგასმით აღნიშნავს რა კულტურათა ურთიერთქმედების და შემოქმედების გადამწყვეტ მნიშვნელობას, რაც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს კულტურულ თვითგამოხატვას და ზრდის იმ ადამიანთა როლს, რომლებიც მონაწილეობენ კულტურის განვითარებაში მთლიანად საზოგადოების პროგრესის ინტერესებისათვის,

აღიარებს რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მნიშვნელობას კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდასაჭერად,

მიაჩნია რა, რომ კულტურულ საქმიანობას, კულტურის საქონელს და მომსახურებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული ხასიათი, ვინაიდან ისინი განასახიერებს თვითმყოფადობას, ღირებულება და მნიშვნელობას, და აქედან გამომდინარე, არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ კომერციული ფასეულობა,

აღნიშნავს რა, რომ გლობალიზაციის პროცესები, რომლებსაც ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, უპრეცედენტო პირობებს უქმნის კულტურების უფრო ფართო ურთიერთქმედებას და იმავდროულად საფრთხის ქვეშ აყენებს კულტურულ მრავალფეროვნებას, კერძოდ, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დისბალანსის რისკის თვალსაზრისით,

აღიარებს რა იუნესკოს განსაკუთრებულ მანდატს, რომლის თანახმადაც გარანტირებული უნდა იყოს კულტურების მრავალფეროვნების პატივისცემა და რომელიც რეკომენდაციას უწევს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც ითვალისწინებს ზეპირი თუ სახვითი გზით იდეების თავისუფალ გავრცელებას, იშველიებს რა იუნესკოს მიერ კულტურულ

მრავალფეროვნებასთან და კულტურული უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებს, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ 2001 წლის საყოველთაო დეკლარაციას,

იღებს წინამდებარე, 2005 წლის 20 ოქტომბრის, კონვენციას.

დავალების ბლოკი:

18. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები

ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

19. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

20. ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად:

საერთაშორისო სიღატაკის დეკლარაციის თანამშრომლობაში სტრატეგიული უნდა მოხდეს კულტურის, როგორც ერთ-ერთი ..... ელემენტის ინტეგრაცია განვითარების ეროვნულ და ..... პოლიტიკაში, აგრეთვე განვითარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ..... გაეროს ათასწლეულის ..... (2000) გათვალისწინებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ..... დაძლევას ეთმობა,

წაკითხულის გააზრება:

21. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- უნდა მოხდეს კულტურის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ელემენტის ინტეგრაცია განვითარების ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში.
- ითვალისწინებს რა, რომ კულტურა დროსა და სივრცეში სხვადასხვა ფორმას იძენს, ხოლო
- აღიარებს ტრადიციული ცოდნის, როგორც არამატერიალური და მატერიალური სიღარიბის წყაროს.
- დეკლარაცია აღიარებს კულტურული თვითგამოხატვის ფორმების მრავალფეროვნების, მათ შორის, მათი შინაარსის დაცვისთვის საჭირო ზომების მიღების აუცილებლობას.
- დეკლარაცია საერთოდ არ ეხება კულტურის მნიშვნელობას ზოგადად სოციალური ერთობისთვის და კერძოდ კი მისთვის დამახასიათებელ პოტენციალს საზოგადოებაში ქალების სტატუსისა და როლის ამაღლებისათვის,
- დეკლარაცია ადასტურებს, რომ აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშემწყობ პირობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში.

22. შემაჯამებელი აქტივობა:

- კითხვარის შედგენა - ვინ როგორ იცნობს ერთმანეთის კულტურას;
- რა ვიცოდი/რა გავიგე;

23. საშინაო დავალება

- შეადგინეთ მოცემული დეკლარაციის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მოამზადეთ იგი თხრობით.
- მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტით კულტურული მრავალფეროვნების შესახებ და დაწერეთ სახლში.

ქართული ენის დღე

აპრილი

შინაარსი: მშობლიური ენის არსი; მშობლიური ენის მნიშვნელობა ადამიანის . უცხო ენების პატივისცემა.

ქართული ენა ქართველების მშობლიური ენაა.

გონებრივი იერიში;

1. **რას ნიშნავს „მშობლიური“? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მშობელი - მშობლიური... როგორ არის ნაწარმოები ეს სიტყვა? რა სიტყვისგან და რის დართვით იწარმოება?**

3. **აწარმოეთ -ურ სუფიქსის დართვით და განმარტეთ მიღებული სიტყვების მნიშვნელობა:**

უცხო - _____

ქალაქ -ი - _____

ახალქალაქ-ი - _____

ბოლნის-ი - _____

4. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „მშობლიური“...**

(სტუდენტები სწავლობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობას. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

5. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

მშობლიურ-ი (მშობლიურისა) - 1. მშობლის დამახასიათებელი, _ დედობრივი ან მამობრივი. მთელი თავისი მშობლიური სიყვარული კიკოლამ ამ ორ ბავშვს შემოახვია (ნ. ლომ.).დარომ მშობლიური გრძნობით შემოხვია შვილს ორივე ხელი (გ. წერეთ.). 2. თვისი, საკუთარი, ღვიძლი, სამშობლო ქვეყნისა. მშობლიური მხარე. _ მშობლიური ენა. _ მშობლიური ადგილები. _ მშობლიური გარემო. _ მშობლიურო ჩემო მიწავ, შენ საყვარელს სახელს ვფიცავ, ...გიცავდი და კვლავ დაგიცავ! (გ. ტაბ.). იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს (ილია). 3. გადატ. ძვირფასი, საყვარელი.

6. **განმარტებით ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობებიდან, რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად შესიტყვებას: „მშობლიური ენა“?**

7. **რომელია თქვენი მშობლიური ენა? როგორ ისწავლეთ ეს ენა? ვიმსჯელოთ.**

(მასწავლებლის ფასილიტაციით, აქტივობაში ერთვება ყველა სტუდენტი და იხსენებს საკუთარ გამოცდილებას).

8. **21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღეა. მოისმინეთ ტექსტი:**

21 თებერვალი - მშობლიური ენის საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი იუნესკომ 1999 წლის 17 ნოემბერს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით. 2000 წლის თებერვლიდან მშობლიური ენის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

ამ დღის შემოღება 1952 წლის 21 თებერვალს ბანგლადეშში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება, როდესაც ბენგალიურის სახელმწიფო ენად გამოცხადების მოთხოვნით გამართული აქციის დროს ოთხი სტუდენტი დაიღუპა.

იუნესკოს შეფასებით, მსოფლიოს დაახლოებით 6 ათასი ენიდან ნახევარს უახლოეს ხანებში გაქრობის საფრთხე ემუქრება.

მშობლიური ენა არის იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობითობის დაცვისა და განვითარების უნიკალური ინსტრუმენტი. საქართველოში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, რომელთა ნაწილისთვისაც მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია.

საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეროვნული უმცირესობების

მშობლიური ენის დაცვის საკითხს. ამასთან დაკავშირებით, გასულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით საქართველოში სასკოლო განათლების ფარგლებში მცირერიცხოვანი ენების სწავლების შემოღების თაობაზე.

დავალებების ბლოკი:

9. **შეავსეთ ცხრილი:**

რა მოხდა:

1952 წლის 21 თებერვალს	
1999 წლის 17 ნოემბერს?	
2000 წლის თებერვლიდან?	

10. **გადმოეცით წერილობით მოსმენილის შინაარსი:**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

11. **რას ნიშნავს იუნესკო? გსმენიათ ამის შესახებ რამე?**

(იუნესკოს შესახებ ინფორმაციაზე სტუდენტებმა, ლექტორის დახმარებით, იმუშაონ გუგლის საძიებო სისტემის გამოყენებით).

12. **რა საფრთხე ემუქრებათ მცირე ერებს ენების შენარჩუნების თვალსაზრისით? ვიმსჯელოთ.**

(სტუდენტები დაიყოფიან 3 ჯგუფად და წარმოადგენენ თავიანთ პრეზენტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით).

13. **გსმენიათ რამე იაკობ გოგებაშვილის შესახებ?**

(ფრონტალური გამო,ითხვა. ლექტორი აჯამებს გამოკითხვის შედეგებს):

14. **იაკობ გოგებაშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის პირველი სახელმძღვანელოს შემქმნელი და განმანათლებელი იყო. ის არა მხოლოდ ქართული ენის სწავლებაზე ზრუნავდა, არამედ მიაჩნდა, რომ ყველა ადამიანმა მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს განათლება. აი, რას ფიქრობდა იაკობ გოგებაშვილი მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ:**

შესაძლო აქტივობები

10. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
11. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
12. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ

იაკობ გოგებაშვილი მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ

იაკობ გოგებაშვილს დედა-ენა მიაჩნდა ძვირფას იარაღად, რომელიც „ბუნებას ადამიანის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე მოურგია... ენა თითქოს არ არის ადამიანის არსებასთან ხილულად დაკავშირებული - ის არ ჰგავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლაც ადვილად შეიძლება… ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ხატავს სრულყოფილად...

ყოველ ადამიანს დაბადებიდან მოჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა და სწორედ ისე, როგორც ბულბულს მოჰყვება დაბადებიდანვე გალობის ნიჭი, იადონს - იადონური გალობის ნიჭი და სხვა. მაგრამ რა ემართება იადონს, როცა მას ბულბულის ენაზე აწყებინებენ გალობას?

პირველ რიგში, ის წყვეტს თავის კავშირს სამშობლოსთან და „უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს“. ამიტომაც გოგებაშვილი აცხადებდა, რომ დედა-ენაზე აღზრდას მოითხოვდა „დიდი ნაციონალური ინტერესი“. მაგრამ იაკობის, ასევე ილას პრინციპულობა ამ საკითხში არ იყო ნაკარნახევი მხოლოდ ნაციონალური ინტერესით, ან დედა-ენის სიყვარულით, ილია ბრძანებდა: „უდედაენოდ ბავშვის გონების გახსნა შეუძლებალია“.

გოგებაშვილის ღრმა რწმენით, სწავლების უცხო ენაზე წარმოება და დედა-ენის უარყოფა აფერხებს ბავშვის გონებრივ განვითარებას და მოსდევს „დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველმხრივ… არაბუნებრივი ენის ხმარება სასტიკად ეწინააღმდეგება ხალხის ბუნებას, აგებულებას, უხშობს მას შემოქმედებით ძალას, ნიჭის თავისებურებას და ძალიან აბრკოლებს ცოდნის გავრცელებას ხალხში…

იაკობის აზრით, სასწავლო საგნების შეგნება და შეთვისება, სწორედ განვითარება, გონების გაფურჩქვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვს ესმის ენა, რომელზედაც სწავლობს ამ საგანს. იაკობს ღრმად სწამდა რომ „მარტოოდენ დედა-ენას შეუძლია გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას შეუძლია ღრმად შეძრას იგი, მოხნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირ-ფესვიანად…“

„ვინც დედა-ენის ნაცვლად ხმარობს უცხო ენას, იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ზედაპირულობას და ხასიათის სისუსტეს…“ ხასიათის სისუსტეს იწვევდა არა რომელიმე ენა თავისთავად, არამედ ის, რომ „უცხო ენა ვერასდროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში, როგორც მისთვის შეუსაბამო ნიადაგში“.

თუ ხალხი თავის დედა-ენას ცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავისი გონების დაჩაგვრას, დამდაბლებასა და დაკარგავს შემოქმედებით ნიჭსა“ – წერდა იაკობი,

„წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი, მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ვერასოდეს ვერ შექმნის მას… ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი – არასოდეს. მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა ხალხიც“. - აი, ასე აფასებდა მშობლიური ენის მნიშვნელობას გოგებაშვილი.

იაკობის აზრით, მშობელმა ბავშვი ყოველდღიურად უნა ავარჯიშოს დედა-ენაში უკვე მესამე-მეოთხე წლიდან, 6 წლის შესრულების შემდეგ კი ბავშვს უკვე წერა-კითხვის შესწავლა უნდა დააწყებინონ

იაკობის ყოველი ეს შეხედულება სრულიადაც არ ეწინააღდეგება უცხო ენათა სწავლების საჭიროებას. პირიქით: „ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია… ქართველების ყველა მოკეთემ დაჟინებით უნდა ურჩიოს მათ: ისწავლეთ რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპული მეცნიერება ხარბად და გაუმაძღრად.“

და მაინც რატომ ითხოვდა ასე პრინციპულად გოგებაშვილი ჯერ ქართულის, შემდეგ კი უცხო ენის სწავლებას? მას მიაჩნდა რომ „მშობლიური ენა უნდა უნათებდეს გზას უცხო ენას“. სწორედ ამიტომ, გოგებაშვილს დაუშვებლად მიაჩნდა რუსული ენის (ანალოგიურად ნებისმიერი სხვა ენის) სწავლების დაწყება სწავლების მესამე წლამდე:

„ქართული სკოლის შეგირდებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ რუსული ენის სწავლის დაწყება, როდესაც გონება საკმაოდ გაეხსნებათ, ხოლო ორ წელიწადზე ადრე კი ეს შეუძლებალია…“.

დავალებების ბლოკი:

15. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

16. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

17. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

დედა-ენის აბრკოლებს სისუსტეს გონებრივ ზედაპირულობას აგებულებას შეუსაბამო დაქვეითება სასტიკად უცხო

გოგებაშვილის ღრმა რწმენით, სწავლების ..... ენაზე წარმოება და დედა-ენის უარყოფა აფერხებს ბავშვის ..... განვითარებას და მოსდევს „დიდი ..... ადამიანისა ყოველმხრივ… არაბუნებრივი ენის ხმარება ..... ეწინააღმდეგება ხალხის ბუნებას, ..., უხშობს მას შემოქმედებით ძალას, ნიჭის თავისებურებას და ძალიან ..... ცოდნის გავრცელებას ხალხში…

„ვინც ..... ნაცვლად ხმარობს უცხო ენას, იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ..... და ხასიათის სისუსტეს…“ ხასიათის ..... იწვევდა არა რომელიმე ენა თავისთავად, არამედ ის, რომ „უცხო ენა ვერასდროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში, როგორც მისთვის ..... ნიადაგში“.

18. შეარჩიეთ ჩამოთვლილთაგან და მიუწერეთ სწორი სინონიმი:

შეუსაბამო ეროვნული უკეტავს აჩერებს მშობლიური ენა

დედა-ენა - _____

შეუფერებელი - _____

აფერხებს - _____

ნაციონალური - _____

უხშობს - _____

19. წაკითხულის გააზრება:

იაკობ გოგებაშვილი მშობლიურ ენას დედა ენას უწოდებდა. თქვენი აზრით, რატომ?

დაიყავით 3 ჯგუფად და მოამზადეთ თქვენი დასაბუთებული პასუხი ამ კითხვაზე.

20. საქართველოში პირველად მშობლიურ ენას (დედა ენას) ძეგლი დაუდგეს.

წაიკითხეთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

1. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
2. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
3. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

დედაენის ძეგლი

წიგნს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს და უკვე 26 წელია, „**დედაენის** დღე" ტრადიციულად 14 აპრილს აღინიშნება. ძეგლი ამავე სახელწოდების პარკში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „მშრალ ხიდთან" დგას. მასზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეცისკენ **ხელებაპყრობილი** ყმაწვილი, რომელიც ეს ესაა ზარს შემოკრავს. ძეგლის ავტორებს, მოქანდაკეებს ელგუჯა ამაშუკელსა და ნოდარ მგალობლიშვილს შესანიშნავად აქვთ გადმოცემული XIX საუკუნეში ქართველ „წერა-კითხვის **გამავრცელებელთა**" უმთავრესი მიზანი.

დღევანდელი „დედა ენის" პარკის ადგილას ბაღის გაშენება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყდა, როდესაც სანაპიროზე სტალინის სახელობის მაგისტრალი გაიყვანეს. ბაღში ძირითადად ჭადრები დარგეს. უფრო ადრე ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა მადათოვის კუნძული, რომელიც თავის დროზე, მტკვრის დონის აწევის შედეგად წყლით დაიფარა, გაკეთდა მშრალი ხიდი.

„დედა ენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი. 14 აპრილის „დედაენის დღედ“ დაწესებას თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წელს სწორედ ამ დღეს, საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც **სახელმწიფო ენის** გაუქმების შესახებ. ამას საქართველოში საპროტესტო აქციები მოჰყვა, ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას მოითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა. ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“.

მანამდე კი, ქართველთა გენიალურ **პალინდრომზე** — „აი ია“, იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იზრუნა. მწერალმა დიდხანს იფიქრა პირველ საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალური, **ზნეობრივი** და პატრიოტული კრიტერიუმებზე. მის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც დედაენაზე მუშაობის პროცესს ასახავს, როგორ აზუსტებდა, ხვეწდა თითოეულ ნიუანსს, მეთოდს, ხერხს, სიტყვას მარტივიდან რთულისკენ. როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული **მოთხრობა** თუ **ლექსი.** წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა, ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიანდეს. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დღემდე ქართული **საგანმანათლებლო** ტრადიციების მთავარ ფესვად რჩება, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ამ წიგნის სიყვარულით არ არის გამოწვეული. ქართველი ერის მამა, ილია ჭავჭავაძეც „დედა ენას" უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მიაჩნდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანმოუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის რთულსა და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია." – წერდა იგი.

დავალების ბლოკი:

21. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

22. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

23. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

I

ა) წიგნს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს.

ბ) წიგნს ძეგლი პირველად ინგლისში დაუდგეს.

გ) ლექსს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს.

II

ა) ქართული ენის დღე 12 სექტემბერია.

ბ) ქართული ენის დღე 14 აპრილია.

გ) ქართული ენის დღე 1 ნოემბერია.

III

ა) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა 2-ჯერ გამოიცა.

ბ) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა 33-ჯერ გამოიცა.

გ) გოგებაშვილის სიცოცხლეში დედაენა არ გამოცემულა.

24. წაკითხულის გააზრება :

(სტუდენტები დაწყვილდნენ; ერთმა დაუსვას კითხვები მეწყვილეს, მეორემ - უპასუხოს:

სად დაიდგა პირველად მსოფლიოში დედაენის ძეგლი?

ვინ არის ძეგლის ავტორი?

რატომ აღნიშნავენ ქართული ენის დღეს 14 აპრილს?

სად წერია, რომ ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა?

ვინ დაწერა დედა ენა?

რას ნიშნავს წერა-კითხვის გავრცელება?

25. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გააპროტესტა გაუქმების გამოცხადდა. გადაწყვეტილება ცნობილია დაწესებას

„დედა ენის“ პარკი დღეს ..... როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი. 14 აპრილის „დედაენის დღედ“ ..... თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წელს სწორედ ამ დღეს, საქართველოს მოსახლეობამ ..... კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ..... საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ..... შესახებ.

პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა ..... ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“.

26. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

„დედა ენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ადგილი. .....

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობას არ გაუპროტესტებია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. .....

მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა.....

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა, რაც შეიძლება უინტერესო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული მოთხრობა თუ ლექსი.....

„დედა ენა“ ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. .....

27. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ასახავს ჩაანაცვლა მოითხოვდა გამოიცა ადგილი

„დედა ენის“ პარკი დღეს ცნობილია, როგორც დემონსტრანტების თავშეყრის ..... ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას .....

გოგებაშვილის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც დედაენაზე მუშაობის პროცესს .....

დედაენა - ეს არის წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა .....

ავტორის სიცოცხლეში დედაენა 1912 წლამდე, 33-ჯერ .....

28. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

29. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მშობლიური ენის გავლენა ძალიან დიდია ადამიანის აზროვნებასა და ქმედებებზე. წავიკითხოთ ტექსტი და ვიმსჯელოთ ამ საინტერესო თემაზე.

შესაძლო აქტივობები:

4. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
5. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
6. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

რა გავლენას ახდენს მშობლიური ენა ადამიანის აზროვნებასა და ქმედებებზე

უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ ბევრი კვლევა ჩატარდა ლინგვისტური ასპექტით და იმ კუთხით, ცვლის თუ არა ადამიანის მშობლიური ენა მის აზროვნებას და ქცევას. როდესაც ვსაუბრობთ, თუ რა გავლენას ახდენს ენა ადამიანის ქმედებაზე, საინტერესოა განვიხილოთ ბენჟამენ ლიი ვორფის კვლევა, რომელიც მე-20 საუკუნის ცნობილი ენათმეცნიერი იყო. მისი ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ინგლისელებსა და ჰოპებს (ადგილობრივი ამერიკელები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ არიზონაში ცხოვრობენ) შესახებ მოსაზრება. ვორფის აზრით, ინგლისელი ხალხი და ჰოპები განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს, რომლის მთავარი მიზეზი არის **ენა.** მაგალითად: ინგლისურ გრამატიკაში არსებობს წარსული, ახლანდელი და მომავალი დრო, ჰოპები კი დროის დანაწილებას საერთოდ არ აღიარებენ, შესაბამისად, მოვლენებს უყურებენ განსხვავებულად. უფრო მეტიც, ინგლისურში დრო შეიძლება მოვიხსენიოთ რაოდენობრივად: სამი დღე, ოთხი საათი და ა.შ, ჰოპებისთვის კი დრო მუდმივი, განგრძობითი წრეა.

მსგავს ფაქტებზეა დაფუძნებული სტენფორდის უნივერსიტეტის ასისტანტ-პროფესორის ლერა ბოროდისკის და მისი კოლეგების კვლევა, რომელიც ადარებს ინგლისურ და ებრაულ ენებს. ლერა ბოროდისკიმ და მისმა კოლეგებმა ექსპერიმენტის მონაწილეებს მისცეს სურათები, სადაც დროებითი მოვლენები იყო აღწერილი (მაგ: ადამიანის დაბერება, ან ნიანგის ზრდის პროცესი, ბანანის ჭამის პროცესი და ა.შ).მათი აზრობრივი სხვაობის დანახვა მარტივი იყო,

რადგან ინგლისელებმა მარცხდინად მარჯვნივ ააწყვეს მოვნელები, ხოლო ებრაელებმა - მარჯვნიდან მარცხნივ. ეს ექსპერიმენტი მოწმობს, რომ ენაში წერის მიმართულებაც კი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვუკეთებთ ორგანიზებას დროს.

ბევრი ენათმეცნიერი ცდილობდა აეხსნა თუ როგორ ცვლის ენა პიროვნების ცხოვრებაში ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს როგორიცაა: სივრცე, დრო და ურთიერთობა ადამიანებს შორის. მოცემული თეორემის ნათელ მაგალითად ისევ ინგლისელი ხალხი მოჰყავდათ, რომელთათვისაც მომავალი პირდაპირი მნიშვნელობით არის წინ და წარსული კი - უკან. ისიც აღმოაჩინეს, რომ ინგლისელი ხალხი ქვეცნობიერედ იწევა წინ, როცა საუბრობს მომავალზე, და პირიქით, იწევა უკან, როდესაც საუბრობს წარსულზე. ხოლო ადამიანები რომლებიც აიმარულ ენაზე (სამხრეთ ამერიკაში გავცელებული ენა) საუბრობენ, იქცევიან საპირისპიროდ.

დასტურდება, რომ ადამიანის მშობლიური ენა მოქმედებს მის ეკონომიკურ ქცევაზეც,..

ფაქტია, რომ ადამიანის აზროვნება და ქმედება პირდაპირ არის დამოკიდებული მშობლიურ ენაზე.

დავალებების ბლოკი:

30. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

31. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

32. დაასრულეთ წინადადებები:

სამყაროს ქცევაზეც განსხვავებულად საპირისპიროდ დრო აღწერილი მოსაზრება

ბენჟამენ ლიი ვორფის ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ინგლისელებსა და ჰოპებს შესახებ .....

ვორფის აზრით, ინგლისელი ხალხი და ჰოპები განსხვავებულად აღიქვამენ .....

ინგლისურ გრამატიკაში არსებობს წარსული, ახლანდელი და მომავალი .....

ჰოპები დროის დანაწილებას საერთოდ არ აღიარებენ და მოვლენებს უყურებენ .....

მეცნიერებმა ექსპერიმენტის მონაწილეებს მისცეს სურათები, სადაც დროებითი მოვლენები იყო .....

ადამიანები რომლებიც აიმარულ ენაზე საუბრობენ, იქცევიან .....

დასტურდება, რომ ადამიანის მშობლიური ენა მოქმედებს მის ეკონომიკურ .....

33. შემაჯამებელი აქტივობა: „კუთხეები“

საკამათო თემა: კიდევ რაზე შეიძლება იქონიოს გავლენა მშობლიურმა ენამ?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

საშინაო დავალება

- **3-2-1**

  უყურეთ ფილმს „იავნანამ რა ჰქმნა“. დაწერეთ მოკლე შინაარსი სამი წინადადებით. დაუსვით მთავარ გმირს 2 შეკითხვა და მიეცით მას 1 კონკრეტული რჩევა.
- **შეადგინეთ ნაწარმოების გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მოამზადეთ იგი თხრობით.**
- **მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტით მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანისთვის და დაწერეთ სახლში.**

დედამიწის დღე

აპრილი

შინაარსი: რა არის დედამიწის დღე და რატომ აღინიშნება იგი? რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ვიცოდეთ დედამიწის დღის შესახებ?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს):

რა იცით დედამიწის დღის შესახებ?
თქვენი აზრით, რატომ აღინიშნება ეს დღე?
რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ვიცოდეთ დედამიწის დღის შესახებ?
როგორ შეგვიძლია აღვნიშნოთ დედამიწის დღე?

აქტივობა 2. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე: „დედამიწა"/



აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი. (დაეთანხმე ან უარყავი ერთ-ერთი ვარიანტი)

დედამიწის დღე აღინიშნება, როგორც:

ა) დედამიწის დაბადების დღე ბ) ეკოსისტემაზე ზრუნვის დღე

აქტივობა 4. ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
საბადო	ადგილი, სადაც ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება (მაგ., ოქრო, ალმასი)
ბინადარი	ვინც ამა თუ იმ ადგილას ცხოვრობს
ფლორა	მცენარეთა სამყარო
ფაუნა	ცხოველთა სამყარო
ეკოპრობლემა	ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემა
მომხმარებელი	ის, ვინც რაიმეს ხმარობს, იყენებს
მომხმარებლური დამოკიდებულება	რაიმეს სათავისოდ გამოყენება

აქტივობა 5. ტექსტზე მუშაობა

წაიკითხეთ ტექსტი წყვილებში და გახაზეთ 4 ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ტექსტი N1

დედამიწის დღე

თითქმის ნახევარი საუკუნეა კაცობრიობა ყოველწლიურად, 22 აპრილს აღნიშნავს დედამიწის საერთაშორისო დღეს. მთელ ცივილიზებულ სამყაროში ეს უკვე ტრადიციაა. ეს დღე ამერიკელმა სენატორმა და გარემოს დამცველმა, გეილორდ ნელსონმა 1970 წელს დააწესა. მას შემდეგ, რაც სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანე დააბინძურა და წყლის ბინადრები გაანადგურა. სენატორის მოწოდებით მაშინ 20 მილიონი ამერიკელი გამოვიდა დედამიწის დასაცავად. ეს არ იყო მხოლოდ სანტა ბარბარას ტრაგედია. მისი შედეგი მთელი მსოფლიოსთვის მძიმე იყო, ვინაიდან, ზოგადად, დედამიწის ფლორასა და ფაუნას მიადგა დიდი ზიანი. ადამიანები დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ საჭირო იყო მეტი სიფრთხილის გამოჩენა, რათა მსგავსი რამ არასოდეს აღარსად განმეორებულიყო. სწორედ ამის გამო დააწესეს დედამიწის საერთაშორისო დღე.

დედამიწის დღე აღნიშვნაში ყოველ წელს მსოფლიოს 176 ქვეყნის 17 000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით,

ჩვენს ქვეყანაში დედამიწის დღე პირველად 1990 წელს აღინიშნა და მას შემდეგ ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები ყოველ წელს იმართება.

ძალიან ბევრ ქვეყანაში საავტომობილო კომპანიები სპეციალურად ამ დღისთვის აწესებენ ფასდაკლებას ე.წ. „მწვანე“ მანქანებზე, რაც იმის სტიმულია, რომ მოსახლეობამ შეიძინოს ეკოლოგიურად უფრო სუფთა და ეკონომიური ავტომობილები. მსგავსი გამოფენები თბილისშიც იმართება. დედამიწის დღის აღსანიშნავად სპორტული მაღაზიები და ველოკლუბები საზოგადოებას წარუდგენენ სხვადასხვა მოდელის ველოსიპედებს. აქციის მიზანია გააცნოს მოსახლეობას ველოტრანსპორტის დადებითი მხარეები და პოპულარიზაცია გაუწიოს მას. დედამიწის დღესთან დაკავშირებით იმართება ხოლმე გადასაყრელი საგნებისგან დამზადებული ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ეკოლოგიურად სუფთა საკვებისა და ლუდის ფესტივალები, ირგვება ხეები, კონკრეტულ ეკოპრობლემასთან დაკავშირებით (მაგალითად, დაბინძურებული გარემო, კლიმატის ცვლილება და ა.შ.) ეწყობა მშვიდობიანი აქციები, კინოჩვენებები, დისკუსიები და სხვ.

ტერმინი „დედა-მიწა“ მიღებულია ბევრ ქვეყანაში, რადგან ის კარგად გამოხატავს დამოკიდებულებას პლანეტას, მის ეკოსისტემასა და ადამიანს შორის. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ გარემოზე ზრუნვა და ბუნების მიმართ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება უყალიბდებათ. დედამიწის დღის აღნიშვნა ბუნების დამცველებს საშუალებას აძლევს ადამიანებს გაახსენონ, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომელიც გადარჩენას საჭიროებს.

დედამიწის დღის საერთაშორისოდ აღიარება სწორედ იმის დასტურია, რომ დედამიწა და მისი ეკოსისტემა ჩვენი სახლია, ის უზრუნველყოფს კაცობრიობის სიცოცხლეს, ასევე დასტურია იმისა, რომ ჩვენ მოვალენი ვართ მასზე ვიზრუნოთ. აუცილებელია, რომ ჩვენ - ადამიანებმა, დიდმა თუ პატარამ, ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენი ინტერესებით, სურვილებით, საქმიანობით ბუნების ჰარმონიული წესრიგი არ დავარღვიოთ.

დავალებების ბლოკი:

აქტივობა 6. უპასუხეთ კითხვებს:

1. როდის აღნიშნავენ დედამიწის დღეს?
2. როდის და ვინ დააარსა დედამიწის დღე?
3. როგორ აღნიშნავენ ადამიანები დედამიწის დღეს?
4. რატომაა მნიშვნელოვანი დედამიწის დღის აღნიშვნა?

აქტივობა 7. დააწყვილე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

საგანი	ა) მცენარეთა სამყარო
კლიმატი	ბ) მცხოვრები
ფლორა	გ) ნივთი
ფაუნა	დ) დანაგვიანება
ბინადარი	ე) ცხოველთა სამყარო
დაბინძურება	ვ) ჰავა

აქტივობა 8. დაასრულეთ წინადადება:

- სენატორის მოწოდებით მაშინ 20 მილიონი ამერიკელი ----------
- ჩვენს ქვეყანაში დედამიწის დღე პირველად ----------
- ავტოკომპანიები ფასდაკლებით ყიდიან „მწვანე“ მანქანებს, რათა მოსახლეობამ ----------
- დედამიწის დღის აღნიშვნით ადამიანებს ახსენდებათ, რომ ----------

აქტივობა 9. სქემა 3-2-1

3 რამ, რაც გავიგე ამ ტექსტიდან

1. ----------

-------2. ----------

----

3. ----------

----

2 მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გავითვალისწინო

1. ----------

-------2. ----------

----

1 რამ, რაზეც მეტი ინფორმაცია მჭირდება

აქტივობა 10. სად მიდის ჩვენი ნაგავი?

უყურეთ მითითებულ ვიდეოს: http://www.youtube.com/watch?v=ozBE-ZPw18c

ვიდეოს ნახვის შემდეგ ისაუბრეთ:

- ✓ **რა განწყობა დაგეუფლათ კლიპის ნახვის შემდეგ?**
- ✓ **თუ გიფიქრიათ ამ საკითხზე აქამდე?**
- ✓ **როგორ ფიქრობთ, რატომ ვნახეთ ეს კლიპი?**

აქტივობა 11. ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
პოლიეთილენი	ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ცელოფნის პარკებისა და პლასტიკის ბოთლების დასამზადებლად.
მატერიკი	ხმელეთის დიდი ფართობი, გარემოცული ზღვებითა და ოკეანეებით, კონტინენტი
სანთებელა	ცეცხლის ასანთები პატარა მოწყობილობა
მავნე	ცუდის მოქმედი, ზიანის მომტანი
ძრავა	მოტორი
გამონაბოლქვი	საწვავის წვის შედეგად გამოსული მავნე ბოლი

აქტივობა 12. ტექსტზე მუშაობა

წაიკითხეთ ტექსტი წყვილებში - თითო ნაწილი თითო მეწყვილემ.

ერთი მოსწავლე უკითხავს მეორეს ტექსტს, მეორე ისმენს და აჯამებს წაკითხულს/მოსმენილს სამი წინადადებით. მკთხველს შეუძლია დაუსვას დამატებითი შეკითხვები.

მეორე ნაწილის წაკითხვისას მოსწავლეები ცვლიან როლებს.

ტექსტი N2

„შეჩერდი, სანამ გვიანი არ არის!“

ფრთხილად, პოლიეთილენი!

თუ ორი წუთით შენ გარშემო მიმოიხედავ, უამრავ პოლიეთილენის ან, როგორც მას ყოველდღიურ ხმარებაში ეძახიან, პლასტმასის ნივთს დაინახავ. იცი, რა საფრთხე ელის ჩვენს პლანეტას ასეთი ნივთებისგან? მსოფლიოს საზოგადოებას უკვე დიდი ხანია გაუჩნდა შიში, რომ დედამიწა უახლოეს მომავალში შესაძლოა მთლიანად პოლიეთილენის ნარჩენებით დაიფაროს. ამ მასალისგან დამზადებული ნივთები სულ უფრო ხშირად გამოიყენება, ხოლო მისი ბუნებრივი გზით დასაშლელად საუკუნეებია საჭირო.

იქნებ ბევრმა არც კი იცის, რომ წყნარ ოკეანეში არის უზარმაზარი ნაგვის „მატერიკი“, რომლის 90% სწორედ პლასტმასის ნარჩენებისგან შედგება! მისი ფართობი 10 000 000 კმ^2–ია. მას გემები გვერდს უვლიან. ეს „მატერიკი“ ორმა უზარმაზარმა ნაგვის გროვამ შექმნა. დიდ წყნაროკეანურ ნაგავს მთელი კაცობრიობა აგროვებს! 1950 წლიდან მოყოლებული, როდესაც პოლიეთილენის ბოთლები და პარკები გაჩნდა, ყოველ ათ წელიწადში ამ უზარმაზარი სანაგვის ფართობი მესამედით იზრდება. ნაგვის კუნძულებთან ახლოს მყოფი სახელმწიფოები

გასაწმენდი სამუშაოებისთვის მოხალისეთა ჯგუფებს ქმნიან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არარეალურია ოკეანის ფსკერის გაწმენდაზე ფიქრიც.

დღეისათვის დაახლოებით გამოთვლილია, რომ ადამიანი ყოველწლიურად 90 000 000 ტონა პლასტმასს ამზადებს. მისი მხოლოდ 10% ხვდება ოკეანეში. დანარჩენი 81 000 000 ტონა ხმელეთზე რჩება და მას ანაგვიანებს. ხმელეთზე დარჩენილი პლასტმასის ნივთების უმრავლესობა მზის სხივების გამო პატარ–პატარა ნაწილებად იყოფა. ზღვის სანაპიროზე ალბათ შენც გინახავს სანთებელების, ბოთლებისა თუ პარკების ასეთი ნაწილები. მათგან ყოველწლიურად მილიონამდე ზღვის ფრინველი და ცხოველი იღუპება. ასე რომ, საბოლოოდ, წყნარი ოკენის დიდი უზარმაზარი ნაგავსაყრელი დედამიწაზე არსებული პოლიეთილენის ნარჩენების ძალიან მცირე ნაწილია.

თუ ასე გაგრძელდა, ვინ იცის, იქნებ დედამიწა პლასტმასის ნარჩენებით მართლა დაიფაროს!

ვიდრე ღრმად ჩაისუნთქავდე

თუ იცი, საკვების გარეშე რამდენ ხანს შეგიძლია იცოცხლო? დაახლოებით ორ თვემდე, არა? უწყლოდ — ერთ კვირამდე, უჰაეროდ კი მხოლოდ რამდენიმე წუთი თუ გაძლებ! ზრდასრული ადამიანი დღე–ღამეში 16 კგ ჰაერს ჩაისუნთქავს, რაც მოხმარებულ საკვებზე ხუთჯერ მეტია. საკვების ხარისხს ჩვენ მეტ-ნაკლებად ვაკვირდებით, ჰაერის ხარისხი კი იშვიათად გვაღელვებს. არადა ჟანგბადთან ერთად ხომ დაბინძურებული ჰაერსაც ჩავისუნთქავთ ყოველ წამს!

დღეს ცხოვრება წარმოუდგენელია სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის გარეშე. ისინი ხარჯავენ ჟანგბადის უდიდეს რაოდენობას. ერთი ავტომობილი საშუალოდ ყოველ 1000 კმ-ზე წვავს ერთი ადამიანის წლიურ ნორმა ჟანგბადს. ტექნიკურად გაუმართავი ძრავის მუშაობის პირობებში გამონაბოლქვი 10–ჯერ უფრო საშიშია. ასევე გამოთვლილია, რომ ორძრავიანი თვითმფრინავი სრული დატვირთვით აფრენისას, ასაფრენ ბილიკზე ტოვებს იმდენ მავნე ნივთიერებას, რამდენსაც 6350 ავტომანქანა.

დაბინძურების ყველა წყაროდან ატმოსფეროში წლიურად საშუალოდ 2 მილიარდი ტონა მტვერი ხვდება. ასევე გამოთვლილია, რომ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებებით მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 2 000 000 ადამიანი იღუპება. სწორედ ჰაერის დაბინძურება ხდება მრავალი დაავადების გახშირების მიზეზი განსაკუთრებით ბავშვებში. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონე მაღალია, რაც გამოწვეულია ქვეყნის რელიეფით, პარალელური სატრანსპორტო მაგისტრალების არსებობით, დასახლებულ ადგილებში ავტოტრანსპორტის სიჭარბით. ჰაერის 90%-ს მანქანები

აბინურებენ. ჯერ კიდევ 2003 წელს ბრიტანული კომპანიის კვლევების შედეგად, თბილისი ევროპაში ყველაზე დაბინძურებულ დედაქალაქად აღიარეს! იქნებ დროა, ზოგჯერ ავტომობილით წასვლაზე უარი თქვა და ფეხით ან ველოსიპედით ისეირნო?

აქ მხოლოდ იმ საფრთხეთა ნაწილზეა საუბარი, რასაც დედამიწის მიმართ ჩვენი გაუფრთხილებელი დამოკიდებულება იწვევს. თუმცა, დასაფიქრებლად, მგონი ესეც საკმარისია.

ჰოდა, შეჩერდი და დაფიქრდი, სანამ გვიანი არ არის!

ტექსტის ავტორი: ლელა ქისტაური

დავალებების ბლოკი:

აქტივობა 13. ტესტი

1. **წყნარი ოკეანის მატერიკი ძირითადად შედგება:**

ა) ქაღალდის ნარჩენებისგან;

ბ) პლასტმასის ნარჩენებისგან;

გ) საკვების ნარჩენებისგან.

2. **თუკი ადამიანები არ შეწყვეტენ ამდენი პოლიეთილენის გამოყენებას, შესაძლოა**

ა) სხვა მასალების ფასი დაეცეს.

ბ) პოლიეთილენის სასარგებლო თვისებებზე მალე ყველამ გაიგოს.

გ) მალე მთელი დედამიწა პოლიეთილენით დაიფაროს.

3. **გამონაბოლქვი გარემოსთვის უფრო საშიშია:**

ა) ტექნიკურად გამართული ძრავის მუშაობის პირობებში.

ბ) ტექნიკურად გაუმართავი ძრავის მუშაობის პირობებში.

გ) გამონაბოლქვი არ არის საშიში, თუკი კარგი იმუნიტეტი გვაქვს.

4. **რა შეიძლება იწვევდეს ჰაერის დაბინძურების მაღალ დონეს?**

_____

_____

_____

5. **კიდევ რა საფრთხეებს შეიძლება ვუქმნიდეთ ადამიანები დედამიწას?**

_____

_____

6. გადაიყვანეთ მოცემული წინადადება წარსულ დროში:

იქნებ ბევრმა არც კი იცის, რომ წყნარ ოკეანეში არის უზარმაზარი ნაგვის „მატერიკი“, რომლის 90% სწორედ პლასტმასის ნარჩენებისგან შედგება!

---

7. **დაალაგეთ სიტყვები სწორი თანმიმდევრობით, რომ მიიღოთ წინადადება.**

გაუფრთხილებელი დედამიწის საფრთხესა და იწვევს. შედეგს ადამიანების მიმართ დამოკიდებულება საშიშ უამრავ

აქტივობა 14. 3-2-1

- ✓ **3 რამ, რამაც ყველაზე მეტად დამთრგუნა ტექსტის კითხვისას**
- ✓ **2 რამ, რაზეც მეტი ინფორმაცია მჭირდება**
- ✓ **1 რამ, რაც კონკრეტულად მე შემიძლია შევცვალო**

დავალების ბლოკი:

აქტივობა 15. წერა ქარგის მიხედვით

ამ ტექსტებიდან მე გავიგე, რომ დედამიწა ----------

ადამიანის მიერ გარემოსთვის შექმნილი საფრთხეებიდან *განსაკუთრებით აღსანიშნავია* ---------

----------, რადგან ----------

----------იმისათვის, რომ დედამიწას საფრთხე არ შევუქმნათ, საჭიროა ----------

---

აქტივობა 16. მიუწერეთ წინადადებებს *სწორია/არასწორია*

- *გამონაბოლქვი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ის ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს.* ----
- *დედამიწის დღე დაწესდა მას შემდეგ, რაც აფეთქდა ატომური ელექტროსადგური და განადგურდა ფლორა და ფაუნა.*----------
- თბილისში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონე საკმაოდ მაღალია. ----------
- *პოლიეთილენის ნარჩენები საფრთხეს წარმოადგენს როგორც ადამიანებისთვის, ისე ცხოველებისთვის.* ----------

აქტივობა 17. იმუშავეთ ჯგუფებში.

ა) შექმენით დედამიწის დღის ლოგო;

ბ) ჩამოწერეთ, რა ტიპის აქტივობებით შეიძლება აღინიშნოს დედამიწის დღე.

გ) დაწერეთ, როგორ შეიძლება მოახდინოთ თქვენს თანატოლებში ეკოთემატიკის პოპულარიზაცია.

დ) წარუდგინეთ თქვენი ნამუშევარი აუდიტორიას.

ჩაის საერთაშორისო დღე

აპრილი

შინაარსი: *რა არის ჩაი. როგორია ჩაის ისტორია. როგორია მისი გავრცელების არეალი. ჩაის კულტურა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩაის კულტურა საქართველოში. ჩაის ტრანსკულტურული თავისებურებები.*

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს)

როდის მივირთმევთ ჩაის?

გაიხსენეთ, ვისთან ერთად მირთმეული ჩაი იყო დასამახსოვერებლი და რატომ?

- როგორი იყო გარემო? მუსიკა/ინტერიერი/ ჭურჭელი
- როგორი იყო ჩაის გემო?
- რა იყო თემა რაზედაც საუბრობდით?

რის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ჩაი?

გაიხსენეთ ჩაისთან დაკავშირებული ისტორიები ?

გაიხსენეთ ფილმი ან ანიმიციური სურათი, სადაც ხშირად ჩაის სვამენ?

აქტივობა 2. დაალაგე სიტყვები, და ახსენი, რატომ აირჩიე ეს თანმიმდევრობა :

1) ----------

2) ----------

3) ----------

4)----------

5) ----------

6) ----------

7) ----------

8) ----------

9) ----------

10) ----------



აქტივობა 3. მოლოდინების გზამკვლევი (დაეთანხმე ან უარყავი)

ყველა ადამიანს უყვარს ჩაი (დიახ / არა)
ჩაი ქართული კულტურის ნაწილია (დიახ / არა)
ჩაის სმა სასარგებლოა (დიახ / არა)
ინდური ჩაი საუკეთესოა მსოფლიოში (დიახ / არა)
ნამდვილი ჩაის დალევა მხოლოდ ჩინეთშია შესაძლებელი (დიახ / არა)

აქტივობა 4 საუბარი ნახატების მიხედვით. დააკვირდით ნახატებს. აღწერეთ რას ხედავთ თითოეულ მათგანზეზე. რა მსგაგვსებებს და განსხვავებებს ამჩნევთ?

მსგავსებები და განსხვავებები სხვადასხვა ქვეყანას შორის.

1. **უყურეთ ნაწყვეტებს ფოლმებიდან „ჭრიჭინა“ და „უდიპლომო სასიძო“**

   იმსჯელეთ, რა როლი ჰქონდა მეჩაიეს მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში?

2. **წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა და დაასათაურეთ**

ძნელად თუ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ჩაი არ დაუგემოვნებია. ყველა ადამიანს ინდივიდუალური დამოკიდებულება აქვს ჩაისადმი, თუმცა მის განსაკუთრებულ როლს ადამიანების ცხოვრებაში ყველა აღიარებს. ამ აღიარებას გამოხატავს ჩაის საერთაშორისო დღე, რომელიც 21 აპრილს აღინიშნება.

ჩაის სმა, ზოგიერთისათვის ხელოვნება, ზოგისთვის ოჯახური ტრადიცია ან უბრალოდ ცხოვრების სტილია. ჩაი ჯადოსნური სასმელი, ცნობილია როგორც მასტიმულირებელი, ისე დამამშვიდებელი საშუალება, მას ასევე გათბობის ან გაგრილების მიზნით ეტანებიან. მარადმწვანე ბუჩქის, კამელია სილნენსის, ნორჩი ფოთლები საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის განვითარებაზე თავისებურ გავლენას ახდენდა. ჩაი აჩქარებდა ომებს, **აღვივებდა** რევოლუციებსა და ფორმას აძლევდა მსოფლიო გეოგრაფიულ ლანდშაპტს. ჩაი, წყლის შემდგომ, მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს, როგორც ყველაზე ხშირად მოხმარებადი პროდუქტი. ჩაის ისტორია 5000 წელს ითვლის და ჩინეთის მითიურ იმპერატორ შენნონგს უკავშირდება.

ლეგენდის თანახმად, იმპერატორმა საკუთარ ბაღში ადუღებული წყლის დალევა დააპირა. ამ დროს ბუჩქიდან მის ჭიქაში გამხმარი ფოთოლი ჩავარდა, რომელმაც წყალს ფერი შეუცვალა. იმპერატორმა დააგემოვნა შეფერილი სითხე და მოეწონა.

სხვა ლეგენდა ჩაის აღმოჩენას ბუდას უკავშირებს, რომელმაც 40 წლის ასაკში მედიტაციის დროს გასინჯა იგი. 3000 წლის მანძილზე ჩაის მხოლოდ ჩინელები მიირთმევდნენ. ჩინური კულტურისათვის ჩაი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სასმელი, იგი პოეტებისა და მხატვრების შთაგონების წყაროდ იქცა. ჩაიზე დაიწერა წიგნები, სადაც გადმოცმეულია თუ სად, როგორ და რა ფორმით უნდა მივირთვათ ჩაი. ჩაის ბრიკეტები ჩინეთში ფულის ერთეულადაც გამოიყენებოდა. X-XI საუკუნეებში ჩინეთის მმართველებმა ჩაის პლანტაციის მფობელები დაავალდებულა, ჩაი მხოლოდ სახელმწიფოსთვის ჩაებარებინა, სანაცვლოს ისინი იღებდნენ ობლიგაციებს. სწორედ ჩაის ობლიგაციები მიიჩნევა მსოფლიოში პირველ ქაღალდის ფულად.

ჩინელი ბუდისტი ბერებისგან ჩაი იაპონიასა და კორეაშიც გავრცელდა. ევროპაში ჩაი მხოლოდ XVII საუკუნიდან გამოჩნდა. თუმცა - ერთი საუკუნით ადრე პორტუგალიელმა და ჰოლანდიელმა ვაჭრებმა და მისიონერებმა დააგემოვნეს ჩაი. სწორედ მათ დაიწყეს საზღვაო გზის ძიება ევროპაში ჩაის შემოსატანად. გაყიდვის მაღალი ფასი ჩაის ევროპაში ელიტურ სასმელად აქცევდა, რომელიც თავდაპირველად როგორც სამკურნალო საშუალება ისე გამოიყენებოდა. მოგვიანებით, მას ინგლისში ალკოჰოლის ალტერნატივად განიხილავდნენ. ინგლისი ჩაის მოხმარებით დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია და იქ ჩაის სმას საკუთარი კულტურის

განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. ჩაის მოხმარების ზრდას მოჰყვა ჩაის ერთჯერადი გამოყენების პაკეტების გამოგონება. თუმცა ჩაის პაკეტების შექმნა ნიუ იორკელ ვაჭარს თომას სალივანს, უკავშირდება. მან ეს გამოგონება 1903 წელს დააპატენტა, ხოლო ბაზარზე ჩაი ამ ფორმით 1908 წლიდან ჩნდება.

ქართული ჩაის ისტორია ორ საუკუნეს ითვლის. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელება დაწყო. პირველი ჩაის ბუჩქის გამოჩენა დასავლეთ საქართველოში ჩინელ მეწარმე ლაო ჯანჯოუს სახელს უკავშირდება. გასულ საუკუნეში ჩაის კულტურას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკონომიკისათვის. ამავე პერიოდში საქართველო, ჩაის წარმოების თვალსაზრისით, მსოფლიოში მეოთხე ადგილს იკავებდა. თუმცა ვითარება დღეს საგრძნობლად შეცვლილია და ჩაის პლანტაციების უდიდესი ნაწილი გავერანებულია.

და მაინც რატომ მიირთმევენ ჩაის ადამინები ასე ხშირად?

1) ჯანმრთელობის გამო.

ჩაის სმის ძირითად მიზეზად მისი შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები მიიჩნევა. ადამიანებს სჯერათ, რომ ჩაი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ჩაის სმა ადამიანს გულსისხძარღვთა დაავადებებისგან იცავს. ასევე დადასტურრბულია, რომ ჩაის ფოთლები შეიცავს პტორს, ამინომჟავებსა და C, E, K ვიტამინებს.

2) კომუნიკაციის გამო.

ჩაის სმა ერთ-ერთ ყველაზე სოციალურ აქტივობად მიიჩნევა. ჩაი აკავშირებს და აერთიანებს ადამიანებს. ჩაის დასალევად მეგობრები, თანამშრომლები, ახლობლები იკრიბებიან კაფეებში. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ნიკო ფოროსმანისშვილის სიტყვები მხატვართა გამგეობის სხდომაზე: „ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე ქალაქის შუაგულში, რომ ყველათვის ახლო იყოს... შევიყარნოთ ხოლმე... ვსვათ ჩაი... და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე!“

3) განტვირთვის გამო.

დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, ადამიანები ჩაის სიამოვნებით მიირთემევენ სახლში და ამ ფორმით ახერხებენ განტვირთავას.

მწვანე ოქროდ წოდებული ჩაი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, როგორც მსოფლიო ბარაზარზე, ისე ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში. ჩაი ის სასმელია, რომლისადმი ინტერესი მის დაგემოვნებიდან იწყება და მის შეცნობა არასდროს სრულდება. შეიძლება ითქვას, რომ რამდენი ქვეყანაცაა იმდენივე ისტორია შეიძლება ჰქონდეს ჩაის კულტურას. 21 აპრილს ჩაის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ყველა ადამიანს ჩაი განსხვავებულად უყვარს და ეს დღე საშუალებას აძლევს თავისებურად აღნიშნოს იგი.

დავალებების ბლოკი:

13. ამოწერეთ ტექსტიდან ერთი ყველაზე საინტერესო ფაქტი;
14. ამოწერეთ ტექსტიდან ორი ყველაზე უცნაური შემთხვევა;
15. ამოწერეთ ტექსტიდან სამი მიზეზი ჩაის სმისა;
16. ამოწერეთ ტექსტიდან ჩაის ოთხი თვისება;
17. ამოიწერეთ ტექსტიდან ხუთი პროფესია;
18. ამოიწერეთ ტექსტიდან ექვსი თარიღი;
19. მსოფლიო რუკაზე მონიშნე ქვეყნები და გზები, რომელიც ჩაის გავრცელებას უკავშირდება.

20. წამოიდგინეთ რაზე შეიძლება საუბრობდნენ ადამიანები ჩაის სმის დროს:

21. თქვენ რამდენად გიყვართ ჩაის დალევა?

---

22. შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები საინტერსო ფაქტები ჩაის შესახებ:

- არსებობს ჩაის ისეთი სახეობა "დაჰუნპაო" რომლის 50 გრ. 20 000 დოლარად .....
- ყველაზე მაღალი ჩაის ბუჩქის ..... შეადგენს 30 მეტრს.
- ჩაის, როგორც წესი, არ ადუღებენ, რადგან იგი ორთქლთან ..... არმომატულ თვისებებს კარგავს.
- თავდაპირველად ჩაის როგორც ..... საშუალებას ისე იყენებდნენ.
- პირველად ევროპაში პორტუგალიელებმა ..... ჩაი.
- 1773 წლის 15 დეკემბერი ისტორიაში ცნობილია, როგორ „ბოსტონის ჩაის სმა". ამ დღეს ინდოელთა ტანსაცმელში გამოწყობილმა ბოსტონელებმა ოკეანეში ..... „ოსტ ინდოეთის" გემზე არსებული ჩაი. აქედან იწყება ამერიკის გამათავისუფლებელი ..... კონტინენტური ევროპისაგან.

- ინგლისი ჩაის ტრადიციებით ..... ქვეყანაა. ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია იყო კოვზის ფინჯანზე დადება, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეტი ჩაის მირთმევა არ სურდათ. ამის არცოდნის გამო უამრავი კურიოზი მოხდა სამეფო კარზე. მაგ. საფრანგეთის პრიცს 12 ფინჯანი ჩაის დალევა მოუხდა.
- მე-9 საუკუნიდან ბუდისტმა ბერებმა ჩაის საიდუმლოებას იაპონელებიც აზიარეს. ჩინური ტრადიციის საფუძველზე იაპონელებმა შექმნეს ჩაის ..... ცერემონიალი, რომელიც ცნობილია, როგორც „ჩადო“. მონღოლთა შემოსევების შემდგომ ჩინელებმა ჩაის სმის ცერემონიალი დაივიწყეს. იაპონელებმა კი ის ..... შემოინახეს.
- ინგლისელები ჩაის რძით მიირთმევენ. თავდაპირველად ისინი რძეს ასხამენ და შემდგომ უმატებენ ჩაის. რუსები ძირითადად შაქრითა და ლიმნით მიირთმევენ ჩაის. ხოლო ჩინელები და იაპონელები მას უშაქროდ ----------.
- დღეისათვის ჩაის ყველაზე ..... პლანტაციებს ვხვდებით ჩინეთში, ინდოეთში, შრი-ლანკაში, იაპონიასა და ტაილანდში.
- 1904 წელს რიჩარდ ბლეცინდერმა ..... ცივი ჩაი. ამერიკაში ჩაის 80% პროცენტი იყიდება როგორც ცივი ჩაი.
- მწვანე ჩაიში C ვიტამინი 2-ჯერ ..... ვიდრე შავში.
- 1946 წელს ჯორჯ ორუელმა დაწერა თავისი ერთ-ერთი ყველზე ..... ნოველა „ფინჯანი ჩაი“, სადაც ჩაის მომზადების საკუთარ რეცეპტს გადმოგვცემს, რომელიც დღესაც არ კარგავდ აქტუალობას.



ნახატი “ბოსტონის ჩაის სმა“

ლექსიკონი	
ინტენსიური	გაძლიერება
ინდუსტრია	საქმიანობა
სექტორი	სფერო

სტაბილური	მუდმივი
ბაზრის ნიშა	ადგილი
ექსპორტი	საქონლის გატანა საზღვარგარეთ
იმპორტი	საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან
ჰერბიციდები	სასუქი

ტექსტის კითხვა წყვილებში

სტუდენტები წყვილდებიან. ერთ-ერთი მეწყვილე ხმამაღლა კითხულობს ტექსტის პირველ ნაწილს. მეორე უსმენს და რამდენიმე წინადადებით აჯამებს მოსმენილს(ტექსტი გაყავს მესამე პირში). ყოველი მომდევნო მონაკვეთის წაკითხვისას მეწყვილეები ცვლიან როლებს

ამონარიდი თამარ გიორგაძის და ირაკლი ჟორჟოლიანის სტატიიდან

ჩაი – ქართული სოფლის მეურნეობის პოტენციური ოქროს საბადო?

ჩაის წარმოების სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა

დასავლეთ საქართველოს ბევრ სოფელში ჩაის კრეფა ცხოვრების წესი იყო. მან შექმნა არაერთი სოციალური სტრუქტურა, რომელებზეც მოგვიანებით ქალაქები აშენდა (მაგალითად, წალენჯიხა სამეგრელოში). ჩაის წარმოება არის ხელოვნება, რომელიც მოითხოვს **ინტენსიურ** შრომას, 1980-იან წლებში დაახლოებით 180,000 ადამიანი იყო ჩართული ჩაის **ღირებულებათა ჯაჭვში**. ჩაის წარმოების მოშლამ გამანადგურებელი გავლენა იქონია მეჩაიეთა თემებზე. შედეგად, ბევრი ოჯახი გაღარიბდა. მათ შორის ყველაზე შემლებულები გადადიან თურქეთში, ძირითადად თურქეთის ჩაის სექტორის სეზონურ სამუშაოებზე.

ქართული ჩაის **ინდუსტრიის** სახელოვანი წარსული გვაფიქრებინებს, რომ ჩაის **სექტორის** გაცოცხლებამ შეიძლება უდიდესი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი მოუტანოს დასავლეთ საქართველოს სოფლებს. ის შეიძლება გადამწყვეტი გახდეს სოფლის სიღარიბის დაძლევაში, მისცემს რა ოჯახებს **სტაბილურ** სამუშაოსა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებს. ჩაის წარმოების ხელოვნება და მეცნიერება გადაეცემა თაობიდან თაობას.

ჩაის შეუძლია აიტანოს შედარებით მკაცრი **კლიმატური** პირობები, რაც დამატებითი სარგებელია, რაც უმცირებს ფერმერს ცუდი მოსავლის რისკს. უფრო მეტიც, მაღალი ხარისხის ჩაი, რისი წარმოებაც საქართველოშია შესაძლებელი, კონკურენტული შეიძლება გახდეს მსოფლიო ბაზრებზე. ქართულმა ჩაიმ შეიძლება დაიკავოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის **ბაზრის ნიშა**, რომელზეც დიდი მოთხოვნაა განვითარებულ ბაზრებზე.

ქართული ჩაის ჯერ კიდევ ვერგააზრებული პოტენციალი

საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ჩაის მწარმოებელი ქვეყანა მსოფლიოში. გრილი კლიმატი ღამით ზამთრის თვეებში დაავადებებისგან იცავს ჩაის, ეს ამცირებს პესტიციდების აუცილებლობას. დღეს ქართული ჩაი არის ეკოლოგიურად სუფთა, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი ფერმერები იშვიათად იყენებენ **ჰერბიციდებს**.

გრილი კლიმატი და მჟავე ნიადაგი უზრუნველჰყოფს ქართული ჩაის უნიკალურ ქიმიურ შემადგენლობას, იგი განსაკუთრებით კარგია მწვანე ჩაისთვის. ამ პირობების გამო, ჩაის ფოთოლი უფრო ნელა იზრდება, რის გამოც ჩაი კარგავს მწარე გემოს. საქართველო უკვე აწარმოებს მაღალი ხარისხის ჩაის, რომელიც **ექსპორტზე** გადის ისეთ ქვეყნაში, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, მაგრამ წარმოების ამჟამინდელი მოცულობა არ არის საკმარისი.

დაუჯერებელია, რომ დღეს საქართველო არის ჩაის წმინდა **იმპორტიორი** ქვეყანა, პოტენციალის მიუხედავად. ვაჭრობის მოცულობის თვალსაზრისით, ქვეყანაში ექსპორტზე 357 ტონით მეტი ჩაის იმპორტი ხდება (2014 წელი).

წინსვლა

როგორც ჩანს, ჩაის გამოცოცხლების ორი გზა არსებობს. ის მცირე ფერმერები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს და შეძლებენ, საკუთარი პროდუქცია მიუსადაგონ უკვე არსებული ქართული ჩაის ბრენდების (მაგალითად, გურიელის) მოთხოვნებს, შეიძლება ჩაერთონ ამ ბრენდების **მიწოდების ქსელში**. თუმცა ეს გულისხმობს, რომ ფერმერებს მოუწევთ საკუთარი პროდუქციის ხარისხზე გამუდმებული ზრუნვა.

უკვე დღეს საქართველოში დარეგისტრირებულია ჩაის 27 კოოპერატივი, კოოპერატივთა რაოდენობა სტაბილურად იზრდება.

დღეს საქართველო დგას მთავარ გზაჯვარედინზე, რამდენადაც საქმე ეხება ჩაის ინდუსტრიის მომავალს. თუ გაველურებული პლანტაციები სისტემატურად არ განახლდა და შესაფერისი მიწოდების კავშირები არ ჩამოყალიბდა, მცირე ჩაის ფერმერები გადავლენ სხვა კულტურებზე და ჩაის სექტორი საბოლოოდ განადგურდება. მთავრობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ჩაის სექტორის მომავლის გადაწყვეტაში.

თუ გავითვალისწინებთ, როგორ უყვართ და პატივს სცემენ ჩაის კრეფის ხელოვნებას დასავლეთ საქართველოში, დასანანი იქნება, რომ ეს სექტორი განადგურდეს. ეს არ არის სენტიმენტალური განცხადება. ამ ინდუსტრიის გაცოცხლებით მიღებული სარგებელი ეკონომიკური თვალსაზრისითაც ნათელია.

წყარო: http://iset-pi.ge/index.php/ka/entry/2015-07-17-07-18-04

დავალებების ბლოკი:

1. **რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის დასავლეთ საქართველოს სოფლებისათვის?**

   ---

2. **რამდენი ადამინი იყო დაკავებულ ჩაის წარმოებაში?**
   1) 1800
   2) 180
   3) 180000
   4) 1800000
3. **რა გამოიწვია ჩაის წარმოების მოშლამ საქართველოში?**

   ---

4. **კლიმატური პირობების თვალსაზრისით როგორი მცენარეა ჩაი?**
   1) ამტანი
   2) ყინვაგამძლე
   3) მარადმწვანე
   4) ყველაფერი ერთად
5. **რაზეა მოთხოვნა განვითარებულ ბაზარზე?**
   1) ბაიხის ჩაიზე
   2) ჩაის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტზე
   3) მწვანე ჩაი
   4) უმაღლესი ხარისხის ჩაი
6. **რა იცავს ჩაის დაავადებებისგან?**
   1) შეწავმვლა
   2) მორწყვა
   3) სიცივე
   4) გასხვლა
7. **რა შეიძლება ჩაითვალოს უცნაურად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ჩაისთან მიმართებით?**

   ---

8. **რა უნდა გაკეთდეს ჩაის კულტურის განვითარებისათვის?**

   ---

9. **რა პოტენციალი გააჩნია ქართულ ჩაის?**

---

10. **რა შეკითხვას დაუსვამდი სტატიის ავტორს?**

ამონარიდი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან „ოთარაანთქვრივი“

არ გასულა ამის მერე ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილითან მივიდა.

- ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობრძანდი.-დაუძახა შორიდანვე არჩილმა. როცა ოთარაანთ ქვრივი თვალი შეასწრო. და-ძმანი ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელ ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

- დილა კარგა-ყოფნისა, - მიესამა ოთარაანთ ქვრივი. როცა ახლოს მივიდა.

არჩილი წამოხტა. ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავის სკამი და მიიწვია დასაჯდომად.

- დაბრძანდი, დაბრძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, - უთხრა არჩილმა თავის დას.

- ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექეცით მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო. როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობით ბრძანდებით? - მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზე.

- ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

- მე ჩემთვის არ ვლოცულობ. ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი. და თქვეთვის სად ვილოცებდი, - უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივამ და სიტყვა მოუჭრა.

დავალების ბლოკი:

11. **რატომ შესთავაზეს ოთარაანთ ქვრივს ჩაი?**

---

12. **რატომ არ იყო ჩაი ოთარაანთ ქვრივის საქმე?**

---

13. **თქვენი აზრით რა განაპირობებს ადამიანების დამოკიდებულება ჩაისადმი?**

---

14. **იმსჯელეთ ძველ ჩინულ გამონათქვამზე:**

ერთ ჭიქა ჩაიში ეტევა ერთი ჭიქა სამყარო!

15. შეავსეთ მოცემული გრაფები:

რა ვიცოდი ჩაის შესახებ	რა გავიგე ჩაის კულტურაზე	რამ დამაინტერესა ყველაზე მეტად	მეტს გავიგებდი

16. საშინაო დავალება :

- აიღეთ ინტერვიუ თქვენი ბებიის ან ბაბუისაგან. დაუსვით მათ შეკითხვები ჩაის შესახებ საქართველოში. რა როლი ჰქონდა ჩაის საბჭოთა ეკონომიკისათვის. რომელ ჩაის ანიჭებენ უფროსები უპირატესობას. როგორია მათთვის ჩაის რიტუალი (რასთან ერთად მიირთმევენ) არის თუ არა ჩაი მათი კვების რაციონის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

თავისუფალი პრესის დღე

მაისი

გონებრივი იერიში;

1. **რას ნიშნავს პრესის თავისუფლება? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „თავისუფლება“...**

(სტუდენტები ვარჯიშობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობაში. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

3. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

თავისუფლება - 1. ფილოს. ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა. ავტორს 64-65-ეგვერდზე მოჰყავს ენგელსის საუცხოო განმარტება თავისუფლების დამოკიდებულებისა აუცილებლობისადმი: «თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა» (ლენინი).
2. თავისუფლის (მნიშვ. 1) მდგომარეობა, – რომელიმე პირის, საზოგადოებრივი კლასის (ფენის), სახელმწიფოს ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მის დაუბრკოლებლად მოქმედებას, საქმიანობას (საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში). პროლეტარიატი და მხოლოდ პროლეტარიატი – აი ვინ მოგიპოვებთ თავისუფლებასა და მშვიდობას (სტალინი). სჯობს მონებაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი (აკაკი). გლეხები მოითხოვდნენ სრულ თავისუფლებას და მათთვის აუცილებელი მიწის უფასოდ გადაცემას (საბჭ. კავშ. ისტ.). თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო

ანკარა(გ. ტაბ.). დასაბამიდან ანდერძად გვქონდა თავისუფლება გულს დასახული (გ. ლეონ.). || თავისი რწმენის, აზრის ან მისწრაფების რაიმე (კრების, ბეჭდვითი სიტყვის და სხვ.) საშუალებით გამომჟღავნების შესაძლებლობა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება (სტალინი). მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით. სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია: ა) სიტყვის თავისუფლება, ბ) ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება, დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება (სსრკ კონსტიტუცია). 3. თავისუფლის(მნიშვ. 3) მდგომარეობა,– იმისი მდგომარეობა, ვინც დაპატიმრებული არ არის, რაც დამწყვდეული არ არის. «არა, შვილო, დიდი ხანია ტყვეობაში იყო, თავისუფლება არა ჰქონია, და ფრენით ჟინს რომ მოიკლავს, ისევ დაბრუნდება» (აკაკი). ასე უმოკლებს სიცოცხლეს ყოველ პირუტყვს თავისუფლების დაკარგვა (ი. გოგებ.). ყველა ის, ვინც... ხელს შეუშლის სსრ კავშირის მოქალაქეს აირჩიოს და არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში – დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე («კომ.»). 4. თავისუფალი ქცევა, მოპყრობა.[ალექსანდრეს] უნდოდა ნინოს მოხვეოდა. ნინომ ეს თავისუფლება შორს დაიჭირა. (რ. ერისთ.).

4. **პრესა რამდენიმე მნიშვნელოვან დარგს მოიცავს; ჩამოთვალეთ, რა და რა სახის პრესაზე გსმენიათ.**

5. **წაიკითხეთ ტექსტი:**

   შესაძლო აქტივობები:

   - ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
   - ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
   - სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.
   - ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას.

პრესის თავისუფლება

პრესის თავისუფლების გარეშე ადამიანის უფლებები ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ძლიერი თავისუფალი პრესა კი სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერეს უწყობს ხელს, რაც დემოკრატიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკური განვითარებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ, შეერთებული შტატები მსოფლიოს მასშტაბით აშუქებს იმ ჟურნალისტთა მდგომარეობას,

რომელთა წინააღმდეგ ხორციელდება დაშინებისა და დაპატიმრების პოლიტიკა, რაც ხშირად მათი დაღუპვით მთავრდება.

იონი სანჩესი კუბელი ბლოგერია, რომელსაც ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვს. მან მსოფლიოს ყურადღება თავისი ბლოგის საშუალებით მიიპყრო. ის მკითხველს კუბაში არსებულ მწვავე რეალობას აცნობს. მისმა წერილებმა მრავალი ჯილდო მოიპოვა. მათ შორის არის კოლუმბიის უნივერსიტეტის მარია კაბოტის პრიზი, რომელიც ჟურნალისტიკის დარგშია დაწესებული. თუმცა, კუბის მთავრობამ ამ პრიზის მისაღებად მას ქვეყნის დატოვება აუკრძალა. მას უარი 19-ჯერ უთხრეს.

შეერთებული შტატები მოუწოდებს კუბის მთავრობას, დართოს ქალბატონ სანჩესს ქვეყნიდან გამგზავრების ნება. ასევე, ანალოგიური თხოვნით მიმართავს ყველა მთავრობას, რომ არ შეზღუდონ ჟურნალისტთა გადაადგილების უფლება და გამოხატვის თავისუფლება.

ასევე, ჩინეთის მთავრობამ შეზღუდა ტიბეტელი რეჟისორის დონდუპ უანგჩენის მოღვაწეობა. ის 2008 წლის მარტში ჩინეთის მთავრობამ დააპატიმრა 25 წუთიანი ფილმისთვის სათაურით „შიშის გარეშე“. ფილმში ტიბეტელები მათი სულიერი ლიდერის დალაი ლამას მდგომარეობის შესახებ საუბრობენ.

უანგჩენი გამოძიების დროს ცემეს და შეუარცხყვეს. ის 2009 წელს გაასამართლეს და ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯეს სიჩუანის ციხეში.

შეერთებული შტატები მოუწოდებს ჩინეთის ხელისუფლებას, პატივი სცეს ადამიანის უნივერსალურ უფლებებს. შეერთებული შტატები კვლავაც გააგრძელებს საერთაშორისო ყურადღების გამახვილებას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

დავალებების ბლოკი:

6. **ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. **მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

8. **დაასრულეთ წინადადებები:**

მთავრდება აცნობს თავისუფლება მიიპყრო უზრუნველყოფილი

პრესის თავისუფლების გარეშე ადამიანის უფლებები ვერ იქნება .....

შეერთებული შტატები მსოფლიოს მასშტაბით აშუქებს იმ ჟურნალისტთა მდგომარეობას, რომელთა წინააღმდეგ ხორციელდება დაშინებისა და დაპატიმრების პოლიტიკა, რაც ხშირად მათი დაღუპვით .....

იონი სანჩესი კუბელი ბლოგერია, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება თავისი ბლოგის საშუალებით .....

იონი სანჩესი მკითხველს კუბაში არსებულ მწვავე რეალობას .....

შეერთებული შტატები მიმართავს ყველა მთავრობას, რომ არ შეზღუდონ ჟურნალისტთა გადაადგილების უფლება და გამოხატვის .....

წაკითხული გააზრება:

9. **რომელი ქვეყნების ჟურნალისტებზეა ტექსტში საუბარი? რა აქვთ ამ ქვეყნებს საერთო? რატომ არის ამ ქვეყნებში შეზღუდული პრესის თავისუფლება?**
10. **ვინ არის ამ ფოტოზე გამოსახული? მოიძიეთ ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ და წარმოადგინეთ პრეზენტაციები:**

(სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად)

11. რა გსმენიათ კიდევ კუბის შესახებ? დაუკავშირეთ პირადი გამოცდილება წაკითხულს.
12. რას ნიშნავს სიტყვა დიქტატურა? მოიძიეთ ლექსიკონში და ამოიწერეთ განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

13. რა კავშირია დიქტატურასა და პრესის თავისუფლების შეზღუდვას შორის?
14. თქვენი აზრით, საქართველოში პრესა თავისუფალია? დაიყავით 2 ჯგუფად და გამართეთ ამ თემაზე დისკუსია.

15. წაიკითხეთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

- ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
- ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
- სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.
- ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას.

მსოფლიო პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე

3 მაისს მსოფლიო პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ეს თარიღი აფრიკელი ჟურნალისტების მონაწილეობით დაწესდა. 1991 წლის 3 მაისს ისინი ნამიბიის დედაქალაქ ვინდჰუკში რეგიონულ სემინარზე შეიკრიბნენ, რომელიც დამოუკიდებელი და პლურალისტული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელშეწყობას შეეხებოდა. მათ მიიღეს ე.წ. "ვინდჰუკის დეკლარაცია", რომლითაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს პრესის თავისუფლებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს.

ამ სემინარზე მიღებული დოკუმენტის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ 1993 წლის 21 დეკემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ თავისუფალი პრესის დღის აღნიშვნა სწორედ 3 მაისს გადაწყვიტა.

გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია იუნესკო (UNESCO) პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნას უწევს ორგანიზებას, რათა ხაზი გაუსვას პრესის თავისუფლების ფუძემდებლურ პრინციპებს; შეაფასოს პრესის თავისუფლება; დაიცვას მედიის დამოუკიდებლობა თავდასხმებისაგან; პატივი მიაგოს ჟურნალისტებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ.

მსოფლიო პრესის თავისუფლების დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მასშტაბურად აღინიშნება.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუსის" უკანასკნელი კვლევის მიხედვით, მედიის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების სიაში შევიდა.

მედიის თავისუფლების მხრივ, მოწინავე პოზიციებზე არიან: ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, ფინეთი და შვეიცარია.

ყველაზე მძიმე ვითარება კი ჩრდილოეთ კორეაში, უზბეკეთში, თურქმენეთსა და ბელორუსში გამოიკვეთა.

დავალებების ბლოკი:

წაკითხული გააზრება:

16. სტუდენტები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს.
17. აქტივობა: გავიგე - მაინტერესებს.
18. სტუდენტები წყვილებში ჩამოთვლიან სამ მნიშვნელოვან მესიჯს ტექსტიდან.
19. შეავსეთ ცხრილი:

ქვეყნები მედიის თავისუფლების ხარისხის მიხედვით:

თავისუფალი	*ნაწილობრივ თავისუფალი*	*არათავისუფალი*

20. სად და როდის მიიღეს დეკლარაცია, რომლითაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს პრესის თავისუფლებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს?

21. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

22. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

23. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

დაწესდა ხელშეწყობას რეგიონულ ინფორმაციის

დეკლარაცია პლურალისტული საერთაშორისო

3 მაისს მსოფლიო პრესის თავისუფლების ..... დღეს აღნიშნავს. ეს თარიღი აფრიკელი ჟურნალისტების მონაწილეობით ..... 1991 წლის 3 მაისს ისინი ნამიბიის დედაქალაქ ვინდჰუკში ..... სემინარზე შეიკრიბნენ, რომელიც დამოუკიდებელი და ..... მასობრივი ..... საშუალებათა ..... შეეხებოდა. მათ მიიღეს ე.წ. "ვინდჰუკის .....", რომლითაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს პრესის თავისუფლებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს.

24. მოისმინეთ ტექსტი:

https://www.youtube.com/watch?v=nH2xcwVTdJU&list=PLJSHfWe-qhGWTojBTQHtZFf22mvShhWD1

დავალებათა ბლოკი:

25. გადმოეცით ინფორმაცია თხრობით.
26. წარმოადგინეთ ვარაუდები და ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა.
27. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები.
28. შეარჩიეთ ტექსტიდან საკვანძო სიტყვები და ააგეთ მათზე წინადადებები.

29. წაიკითხეთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

- **ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).**
- **ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.**
- **სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.**
- **ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას.**

2004 წლიდან თავისუფალი პრესის მდგომაროება მკვეთრად გაუარესდა საქართველოში. ჩვენ წინ ვუსწრებთ მხოლოდ რამდენიმე აფრიკულ ქვეყანას ან შუა აზიის ქვეყნებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით კი, ჩვენ ვართ საკმაოდ უარყოფით ვითარებაში და, მართალია, ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი მიუთითებს, რომ საქართველოში ჟურნალისტებს არ კლავენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტები საქართველოში დაცულნი არიან", - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა მანანა კობახიძემ, რომელმაც ყველა ჟურნალისტს, რომელთა საქმიანობაშიც უხეშად ჩაერევა ხელისუფება, მოუწოდა დაიცვან საკუთარი უფლებები არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ევროპულ სასამართლოშიც.

მინიმუმამდეა დასული სარედაქციო დამოუკიდებლობა, შესაბამისად, ხელისუფლების გაზრდილი გავლენა ელექტრონულ მედიაზე, მედიის მფლობელებისა და მთავრობის ახლომეგობრული ურთიერთობები, სამართალდამცველების სრული ინდიფერენტიზმი ჟურნალისტების უფლებების დარღვევის მიმართ, ოპოზიციურად განწყობილი გაზეთების დახურვის თუ მათზე ზეწოლის ფაქტები - ეს არის საკითხები, რომელთაც გვერდს ვერავინ უვლის, როდესაც პრესის თავისუფლებაზეა ლაპარაკი.

ჟურნალისტი, ელისო ჩაფიძე ერთ საინტერესო ტენდენციაზე ლაპარაკობს: განსხვავებით რამდენიმე წლის წინანდელი სიტუაციისგან, დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს თანამშრომლობა ბეჭდვით და ელექტრონულ მედიას შორის - თუ ადრე გაზეთი დაწერდა საინტერესო თემაზე, შემდეგ, როგორც წესი, ამ თემას დანარჩენი მედიაც აიტაცებდა, მთელი მედია მსჯელობდა, რაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ეს ხიდი დღეს აღარ არსებობს. სამაგიეროდ, როგორც ჩაფიძე ამბობს, ვეღარ შუქდება სასამართლოს სხდომები, ადმინისტრაციულ კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, საჯარო აღარ არის, მაგალითად, რომელიმე ჩინოვნიკმა რა რაოდენობის პრემია მიიღო და ა.შ...

რადიო თავისუფლებამ აზრი დამწყებ ჟურნალისტებსაც ჰკითხა - მათ, ვინც ახლა ეუფლება რეპორტიორის პროფესიას. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის

სტუდენტებს ვკითხეთ, არის თუ არა, მათი აზრით, პრესა საქართველოში თავისუფალი და როგორ ხედავენ ისინი ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები: ზურაბ ბალანჩივაძე, ანი ბერუკაშვილი და ირინა ალიაშვილი.

ზურაბ ბალანჩივაძე: "ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ. თუ რამე მაინტერესებს, ინტერნეტით ვიგებ. საერთოდ, მგონია, რომ რაც უფრო პოპულარულია, ხელისუფლება მას უფრო აკონტროლებს და ამის მაგალითია ტელევიზიები. რადიო და პრესა არ არის ისე გავლენიანი საქართველოში და მათ მიმართ ყურადღებაც ნაკლებია."

ირინა ალიაშვილი: „თუ ჟურნალისტს უნდა რაღაცის თქმა, აუცილებლად იტყვის, რადგან არის იმდენი მედიასაშუალება საიმისოდ, რომ ბევრ ადამიანს მიაწვდინოს ხმა, მაგრამ მეორე პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე დიდი ბრძოლა გჭირდება, რომ გამოითხოვო."

ანი ბერუკაშვილი: "ჩემი აზრით, თუნდაც ტელევიზიაში ვინც მუშაობს, არავინ არ აღიარებს, რომ ვიღაც აიძულებს რაღაცის კეთებას. ისინი ამბობენ, რომ მათ ასე სწამთ. ამიტომ ეს უკვე ინდივიდუალური არჩევანია. თუ ისე არ გწამს, წახვალ და სხვაგან გააშუქებ, სადაც ამის მეტი შესაძლებლობაა."

დავალებების ბლოკი:

30. წაკითხულის გააზრება:

15. **სტუდენტები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს.**
16. **აქტივობა: გავიგე - მაინტერესებს.**
17. **სტუდენტები წყვილებში ჩამოთვლიან სამ მნიშვნელოვან მესიჯს ტექსტიდან.**
18. **როდიდნდელი მდგომარეობაა ტექსტში ასახული? თქვენი აზრით, დღეს პრესის თავისუფლების მხრივ სიტუაცია არ გამოსწორებულა?**

35. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

36. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

37. შემაჯამებელი აქტივობა:

საკამათო თემა: უნდა იყოს თუ არა პრესა თავისუფალი?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

საშინაო დავალება

- უყურეთ ფრანგულ კომედიურ ფილმს „სათამაშო“ დაწერეთ რეზიუმე სამი წინადადებით. დაუსვით მთავარ გმირს წარმოსახვითი 3 შეკითხვა.
- მოიძიეთ ინფორმაცია იმ ჟურნალისტების შესახებ, რომელთა მიმართაც განხორციელდა ძალადობა. მოამზადეთ პრეზენტაცია.

მეხანძრე-მაშველთა საერთაშორისო დღე

მაისი

გონებრივი იერიში;

1. **რას ნიშნავს მეხანძრე? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „მეხანძრე“...**

(სტუდენტები სწავლობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობას. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

3. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

მეხანძრე (მეხანძრისა) სახანძრო რაზმში მომუშავე, _ ხანძრის მქრობელი. ღამე მან რამდენჯერმე დამირაკუნა... და მეკითხებოდა, ხომ არ მესმის მეხანძრეების სიარული **(ქ. ბაქრ.** თარგმ.**).** || ფიგურ. ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა საქართველოს ლექსის მეხანძრენი ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ! **(გ. ლეონ.). ქეგლ, (http://ena.ge/explanatory-online)**

4. **ტერმინი „მეხანძრე სიტყვა „ხანძრისგანაა“ ნაწარმოები:**

ხანძარ-ი -→ მე-ხანძრ-ე

როგორ არის ნაწარმოები ეს ტერმინი? შექმენით ჯგუფები და მოიყვანეთ მსგავსი წარმოების სიტყვები.

5. **რა ცვლილება განხორციელდა -ხანძარ- ფუძეში? რატომ? გაიხსენეთ, რა არის კუმშვა.**

6. **რას ნიშნავს ხანძარი? შეეცადეთ, წარმოადგინოთ განმარტება.**

7. **მოიძიეთ სიტყვა „ხანძრის“ განმარტება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:**

ხანძარ-ი (ხანძრისა) დიდი, გამანადგურებელი ცეცხლი. ხანძრის ჩაქრობა. _ **ხანძარი** გაჩნდა. _ ხანძარი ქარის მეოხებით სწრაფად ვრცელდებოდა **(ი. აგლ.** თარგმ.**).** ფიგურ. განვლილი ომის ხანძარმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მიწაზე **(«კომ.»).**

8. **განსხვავებულადაა განმარტებული სიტყვა „ხანძარი“ დარგობრივ ლექსიკონში** სახანძრო - სამაშველო ტერმინთა ლექსიკონი - http://borbonchia.ge/2276-.html). **როგორ ფიქრობთ, რატომ?**

ხანძარი
– არაკონტროლირებადი წვის პროცესი, რომელიც იწვევს მატერიალურ ზარალს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს;

9. **ამავე ლექსიკონში ხანძართან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინის განმარტებაა. წავიკითხოთ და ვიმსჯელოთ:**

ხანძრის დაზვერვა
– წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც ტარდება ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციის შესახებ ვითარების შესაფასებლად ინფორმაციის შეკრების მიზნით და ძირითადი (მთავარი) მოქმედებების ორგანიზებისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად.

ხანძრის ჩაქრობა
– ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად და ხანძრის ლიკვიდაციისათვის მიმართული ძირითადი (მთავარი) მოქმედებები;

ხანძრის ლოკალიზაცია
– ხანძრის ჩაქრობის ეტაპი, რომელზეც არ არსებობს ან ლიკვიდირებულია საფრთხე ადამიანებისა და (ან) ცხოველებისათვის, შეჩერებულია ხანძრის გავრცელება და შექმნილია პირობები მისი ლიკვიდაციისათვის არსებული ძალებითა და საშუალებებით.

ხანძრის ლიკვიდაცია
– ხანძრის ჩაქრობის ეტაპი, რომელზეც შეწყვეტილია წვა და აღმოფხვრილია მისი ხელახლა (თვითნებური) წარმოქმნის პირობები;

სახანძრო - სამაშველო ტერმინთა ლექსიკონი - http://borbonchia.ge/2276-.html).

10. უყურეთ და მოისმინეთ:

http://www.myvideo.ge/v/3108954 (ვიდეო)

11. უპასუხეთ კითხვებს:

- რაზეა გამახვილებული ყურადღება ამ ანიმაციურ ფილმში?
- რას აქრობს ჩინელი მეხანძრე?

12. წაიკითხეთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

23. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
24. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
25. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.

(ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას).

(სტუდენტები ასრულებენ აქტივობას: ვიცი - მაინტერესებს - გავიგე - კიდევ მაინტერესებს)

მეხანძრეთა საერთაშორისო დღე

ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პროფესია - მეხანძრეობაა. მეხანძრეები მუდმივად რისკავენ სიცოცხლეს. ისინი ზრუნავენ ადამიანების სიცოცხლეზე; ზრუნავენ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებაზე, ტყის ეკოლოგიაზე... მეხანძრეები ნამდვილი გმირები არიან!

მეხანძრეები, როგორც პროფესიონალი ცეცხლის ჩამქრობები, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში მოღვაწეობდნენ. მოგვიანებით, ძველ რომში, ავგუსტუსის მმართველობის დროს, მეხანძრეები სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდა.

მეხანძრეების დღე პირველად 1999 წელს აღინიშნა, მას შემდეგ, რაც 5 მეხანძრე ტრაგიკულად დაიღუპა დიდი ხანძრის დროს ავსტრალიაში - როდესაც ქარმა მოულოდნელად მიმართულება შეიცვალა და შესაძლებელი იყო, უამრავი ხალხი დაღუპულიყო... ამ 5-მა გმირმა მეხანძრემ გადაარჩინა მრავალი სიცოცხლე!

მეხანძრეების დღე აღინიშნება 4 მაისს, იმიტომ, რომ წმინდა ფლორიანის დღეა და, გადმოცემის მიხედვით, წმინდა ფლორიანიც მეხანძრე ყოფილა. ფლორიანი დღემდე ითვლება მეხანძრეთა მფარველ წმინდანად.

დავალებების ბლოკი:

13. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

14. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

15. წაკითხულის გააზრება:

როგორი პროფესიაა მეხანძრეობა?
ვინ იყვნენ პირველი მეხანძრეები?
როდის აღნიშნეს პირველად მეხანძრეთა საერთაშორისო დღე?
ვინ ითვლება მეხანძრეთა მფარველ წმინდანად?

16. წაიკითხეთ ტექსტი:

მეხანძრე-მაშველის ფიცი

მე, (გვარი, სახელი), ვიღებ რა მეხანძრე-მაშველის საპასუხისმგებლო ჟეტონს და ვიწყებ სამაშველო საქმიანობას, საზეიმოდ ვფიცავ:

განუხრელად დავიცვა ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, სამსახურის წესდების ყველა მოთხოვნა, უპირობოდ დავემორჩილო ხელმძღვანელის ბრძანებებს, კეთილსინდისიერად და ღირსეულად აღვასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი.

დავიცვა და გავუფრთხილდე მეხანძრე-მაშველის პროფესიის საპატივცემულო და კეთილშობილურ ტრადიციებს.

არ დავუშვა, რომ რელიგიურმა, ნაციონალურმა, რასობრივმა, პოლიტიკურმა ან სოციალურმა მოტივებმა ხელი შემიშალოს განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის დახმარებაში.

ანგარებისა და ძალდატანების შემთხვევაშიც კი არ გამოვიყენო ჩემი ცოდნა და შესაძლებლობები კანონის საწინააღმდეგოდ.

დავიცვა პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქვეყნის ტერიტორია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.

მკაცრად დავიცვა სახელმწიფოებრივი და სამსახურეობრივი საიდუმლოებანი, გავუფრთხილდე მინდობილ ქონებას.

ვფიცავ, მიღებული ფიცის ერთგული ვიქნები მეხანძრე-მაშველად მუშაობის პერიოდში.

ვფიცავ,
ვფიცავ,
ვფიცავ!

17. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

სამაშველო კეთილსინდისიერად დაკისრებული წესდების უპირობოდ მეხანძრე განუხრელად ჟეტონს

მე, (გვარი, სახელი), ვიღებ რა .....-მაშველის საპასუხისმგებლო ..... და ვიწყებ ..... საქმიანობას, საზეიმოდ ვფიცავ:

..... დავიცვა ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, სამსახურის ..... ყველა მოთხოვნა, ... დავემორჩილო ხელმძღვანელის ბრძანებებს, ... და ღირსეულად აღვასრულო ჩემზე ..... მოვალეობანი.

18. შეარჩიეთ სინონიმები და დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ეროვნული	უპირობოდ
შემთხვევა	დავალებული
განსაკუთრებული	ნაციონალური
დაკისრებული	საგანგებო
განუხრელად	სიტუაცია

19. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს სახანძრო სამსახურის ისტორია

საქართველოს სახანძრო სამსახურს აქვს თავისი ისტორია. თბილისის სახანძრო სამსახური XIX საუკუნეში შეიქმნა. მაშინ ხანძრის ჩაქრობას ხშირ შემთხვევაში ყარაჩოხელთა ამქარი საკუთარი ძალებით ცდილობდა. ქეიფობდნენ სადმე, ორთაჭალის ბაღში და დაინახავდნენ, რომ რომელიმე სახლს ცეცხლი უკიდია, მიდიოდნენ ცხენებით და ცეცხლის ჩასაქრობად ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ. მაშინდელ პატარა ქალაქში წყალგაყვანილობის სისტემა არ იყო და წყალს თულუხჩები ყიდდნენ. თუ საერთოდ ლიტრი 5 კაპიკი ღირდა, ხანძრის შემთხვევაში, ერთი სამად მეტ ფასს ადებდნენ და ხეირს თვითონაც ნახულობდნენ.

თბილისის მაშინდელმა მცხოვრებლებმა ყარაჩოხელებს „ხანძარჩი" შეარქვეს, რაც თურქული სიტყვაა და ქართულად, ცეცხლის ჩამქრობს ნიშნავს.

განუწყვეტელმა ხანძრებმა თბილისში მჯდომი რუსეთის მეფის ნაცვალი აიძულა 1818 წელს დასახმარებლად „ცარისთვის" მიემართა. მოგვიანებით, 1825 წლის 25 დეკემბერს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, შეიქმნა საგანგებო სახანძრო რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც სულ 25 კაცი შედიოდა. სამწუხაროდ, მათი ვინაობა ისტორიისათვის უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ მეთაურად რუსი ნიკოლაი კალმიკოვი იყო, თბილისის პირველი ბრანდმეისტერი. მაშინდელი მეხანძრეთა ბრიგადა პოლიციის შემადგენლობაში შედიოდა, მას ექვემდებარებოდა და უნდა ითქვას, რომ პოლიციელები მეხანძრეებს ძალიან ცუდად, სასტიკადაც კი ეპყრობოდნენ. თუ პოლიციელი დაინახავდა, რომ მეხანძრე სამსახურში გაზეთს კითხულობდა, ან რაიმე სხვა საქმეს აკეთებდა, მას ფიზიკურადაც კი უსწორდებოდა.

ბრანდმეისტერი შემთხვევის ადგილამდე მისასვლელ მანძილს ცხენზე ამხედრებული წინ მიუძღოდა რაზმს და იძლეოდა სასიგნალო ხმოვან ბრძანებებს. „კომანდის" დანარჩენი შემადგენლობა ცხენებშებმულ ოთხთვალაზე იყვნენ მოკალათებულნი. ცალკე ცხენის ეტლები იყო გამოყოფილი წყლის საქაჩი მოწყობილობისთვის და 30-ლიტრიანი „ბოჩკების" საზიდად. ასევე, ცეცხლის გაჩენის მომენტიდან დაწესებული, იყო საეკლესიო ზარების რეკვა და საგანგებო ადგილზე დაწესებული იყო სადღეღამისო მორიგეობა.

მე-XIX საუკუნეში არ იყო სახანძრო მანქანები, არც სპეცტექნიკა. მიდიოდნენ ცხენებით, წყალი ტიკებითა და რუმბებით მიჰქონდათ. მაშინ სატელეფონო კავშირი არ არსებობდა და როგორ შეატყობინებდნენ მეხანძრეებს ცეცხლის გაჩენის ამბავს? თბილისი პატარა ქალაქი იყო და არც ამდენი რაიონი ჰქონდა. ჰოდა, მოიფიქრეს ასეთი რამ: იდგა მაღალი კოშკურების მსგავსი ნაგებობა (ან ანძა), რომელზეც მორიგეობდა მეხანძრე. იქიდან მაშინდელი „ტიფლისი" ხელისგულივით მოჩანდა. სხვადასხვა უბნის მიხედვით, სხვადასხვა ფერის ბურთებს ფენდნენ აივნიდან იმის მისანიშნებლად, რომ იქ ხანძარი გიზგიზებდა. ავლაბარში, მაგალითად, წითელ ბურთს ფენდნენ, სოლოლაკში - ლურჯს და ასე შემდეგ, ღამით კიდევ ფარნებით სარგებლობდნენ. მაგალითად, ავლაბარში ერთ ფარანს აანთებდნენ, სოლოლაკში - სამს... ასე იყო ეს სისტემა აწყობილი. სხვათა შორის, თბილისის სახანძრო რაზმი რეგიონებშიც მონაწილეობდა ცეცხლის

ჩაქრობაში. განსაკუთრებით ხშირი იყო ხანძრები დასავლეთ საქართველოში, სადაც ხის ოდები ერთმანეთთან ახლო-ახლო იყო განლაგებული. თუ ერთი სახლი იწვოდა, ხშირად ცეცხლი მეზობელ სახლებსაც გადაედებოდა. ასე ნადგურდებოდა მთელი სოფლები. მაგალითად, ქუთაისში 1928 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად მთლიანად დაიწვა ებრაელების უბანი, ხოლო 1904 წელს ლეჩხუმში, სოფელი ლაილაშში მთლიანად განადგურდა 150 სახლი. საქართველოს წარმომადგენელმა რუსეთში, ვინმე პაიჭაძემ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს დახმარებისთვის მიმართა, რომელმაც ფულადი სახსრები გამოყო ახალი სოფლის ასაშენებლად. არაფრით არ მოხერხდა ცეცხლის ჩაქრობა, თან ზამთარი იყო, თოვლი და ყინვა მეხანძრეებს ძალიან უშლიდა ხელს მუშაობაში.

1920-1930 წლებში შედგა სახანძრო პარკის მოდერნიზაცია ავტოტექნიკით. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეხანძრეების რიგებიც.

თბილისში ყველაზე გახმაურებული 2 ხანძარი საოპერო თეატრს უკავშირდება. ადრე ერევნის მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) იდგა არაჩვეულებრივი, მთელ ევროპაში სილამაზით განთქმული ოპერის თეატრი, რომელიც იტალიელმა არქიტექტორმა, რასტრელიმ ააშენა. ბუნებრივია, ხელით ასეთ დიდ ხანძარს ვერ ჩააქრობდნენ და მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის შენობა მთლიანად განადგურდა. სხვათა შორის, ეს ის ოპერაა, რომელიც ალექსანდრე დიუმას „კავკასიაში" აქვს აღწერილი. მეორედ ოპერის თეატრი ბევრად გვიან, 1973 წლის 9 მაისს დაიწვა.

საქართველოს სახანძროში ბევრი თვალსაჩინო პირი მსახურობდა, მაგალითად, ბაშარ შამბე, აფრიკელი, მავრული წარმოშობისა, რომელსაც საინტერესო ისტორია ჰქონდა. შამბე ცარიზმის დროს ერთმა რუსმა „კნიაზმა" იყიდა, შემდეგ იმან კი ერთ ქართველ თავადს აჩუქა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, შამბეს ბატონი მენშევიკებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. შამბე არ გაჰყვა ბატონს, დარჩა თბილისში და სახანძრო სამსახურში დაიწყო მუშაობა. გამბედაობა, მამაცობა და საქმისარდმი ვაჟკაცური მიდგომა კეთილშობილურ განწყობას ქმნიდა მის კოლეგებში. ბაშარმა შეირთო რუსი ქალბატონი. სხვათა შორის, მისი შვილიც სახანძროში მუშაობდა

- ქართულიც იცოდა და რუსულსაც კარგად ფლობდა. მისი შთამომავლები დღესაც საქართველოში ცხოვრობენ. 1932 წელს ბაშარს პირველს ქართველ მეხანძრეთა შორის გადასცეს საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენი. შამზე ივანე პერესტიანის ცნობილ ფილმ „წითელ ეშმაკუნებში" თამაშობს.

მნიშვნელოვანი კვალი სამსახურის ისტორიაში დატოვა 1919-1937 წლებში თბილისის მთავარმა ბრანდმეისტერმა ალექსანდრე ბერიძემ, კარგმა ხელმძღვანელმა და შესანიშნავმა პიროვნებამ. მის სახელთანაა დაკავშირებული ქალაქის სახანძროს ფეხზე დაყენება, ტექნიკურად აღჭურვა და მეხანძრე კადრების მომზადება, ერთიანი კოლექტივის შექმნა. 1928 წელს მან ქალაქ ქუთაისში ძლიერი ხანძრის დროს თბილისის მეხანძრეები მატარებლით ჩაიყვანა და რაზმს სათავეში ჩაუდგა. ასევე, ბერიძემ თბილისის სამხედრო არსენალის შენობა ცეცხლისგან გადაარჩინა. თბილისის გარნიზონმა 4 მანქანა მიიღო, მათ შორის ერთი - გერმანიიდან ჩამოყვანილი, „მერსედეს დაიმლერის" სისტემისა. ბერიძემ თავისი ცოდნა, უნარი და გამოცდილება მოახმარა საქმეს, რომელიც ძლიერ უყვარდა. სამწუხაროდ, ეს ადამიანი, როგორც ერის მოღალატე, დახვრიტეს...

მეხანძრის და მაშველის სამუშაო ხშირად სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული. ჩვენ ვცემთ პატივს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ამხანაგებს:

საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნების 1990-წლებში სამოქალაქო ომს მოყვა სახლების ნგრევა, მეხანძრეები სრული მობილიზებით მოქმედებნენ. ერთი მადდგანი, სერგო ბაიდაშვილი, ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. მანქანები ფარეხში არ შესულან, და ბევრი შენობა გადაარჩინეს გულდამწვარმა ხანძრის გუშაგებმა.

2008 წლის აგვისტოში თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახური ოკუპაციით გამოწვეულ კატასტროფებს და ტყის ხანძრებს ებრძოდა კონფლიქტის რეგიონებში.

ყველაზე მძიმე ტრაგედია დაბომბვის და რუსეთის სახმელეთო ჯარის შეჭრის შედეგად გორის რაიონს შეეხო. მეხანძრეები, მაშველები ადგილებზე ათენებდნენ და აღამებდნენ მომხდარის გამო, და მრავალი ობიექტი გადაარჩინეს.

თავად მუზეუმი 1981 წლის 25 დეკემბერს დაარსდა. სხვათა შორის, ამ დღეს, საქართველოში მეხანძრის პროფესიული დღე აღინიშნება. მაგას ხშირად დიდი ინტერესით სასწავლებლების ექსკურსიები ეწვევიან. სურათებზე ამ მუზეუმის რამდენიმე ექსპონატია:

დავალების ბლოკი:

20. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

21. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

22. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

სახანძრო ცეცხლის ხეირს თულუხჩები წყალგაყვანილობის უკიდია ამქარი ჩაქრობას

საქართველოს ..... სამსახურს აქვს თავისი ისტორია. თბილისის სახანძრო სამსახური XIX საუკუნეში შეიქმნა. მაშინ ხანძრის ..... ხშირ შემთხვევაში ყარაჩოხელთა ..... საკუთარი ძალებით ცდილობდა. ქეიფობდნენ სადმე, ორთაჭალის ბაღში და დაინახავდნენ, რომ რომელიმე სახლს ცეცხლი ....., მიდიოდნენ ცხენებით და ..... ჩასაქრობად ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ. მაშინდელ პატარა ქალაქში ..... სისტემა არ იყო და წყალს ..... ყიდდნენ. თუ საერთოდ ლიტრი 5 კაპიკი ღირდა, ხანძრის შემთხვევაში, სამჯერ მეტ ფასს ადებდნენ და ..... ნახულობდნენ.

წაკითხულის გააზრება:

23. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ აქრობდა ძველ თბილისში ხანძარს?
რით დაჰქონდათ წყალი?
რა ერქვათ წყლის დამტარებლებს?
როგორ იგებდნენ, თუ სად იყო ხანძარი ძველად?
ვინ იყო ბაშარ შამბე?

24. გადმოეცით მეხანძრე ალექსანდრე ბერიძის ისტორია.

25. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

26. მოისმინეთ ინტერვიუ:

https://sagangebo.jimdo.com/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/

27. დაუსვით ერთმანეთს კითხვები მოსმენილის ირგვლივ.

28. გადმოეცით თხრობით მოსმენილის მოკლე შინაარსი.

29. შემაჯამებელი აქტივობა:

- როგორი უნდა იყოს მეხანძრე - იმსჯელეთ ამ საკითხზე;
- რა ვიცოდი/რა გავიგე.

30. საშინაო დავალება

- შეადგინეთ მოცემული ტექსტის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მოამზადეთ იგი თხრობით.
- მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტით მსოფლიოში უდიდესი ხანძრების შესახებ და დაწერეთ სახლში.

ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე

მაისი

გონებრივი იერიში:

1. **რას ნიშნავს ჰომოფობია? წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.**

(დაფაზე იწერება სტუდენტების მოსაზრებები და ჯგუფდება).

2. **მასწავლებელი: მოდით, ვნახოთ განმარტებით ლექსიკონში, რას ნიშნავს სიტყვა „ჰომოფობია“...**

(სტუდენტები სწავლობენ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობას. მასწავლებელი უხსნის, როგორ უნდა მოიძებნოს სიტყვა-სტატია - ანბანის მიხედვით).

3. **სტუდენტები კითხულობენ განსაზღვრებას განმარტებითი ლექსიკონიდან:**

ჰომოფობია (ბერძნ. ὁμοφοβία — ὁμοιος *ჰომოიოს* – „იგივე“, „ტოლი“ და φόβος *ფობოს* – „შიში“) — უსაფუძვლო შიში, განდგომა ან დისკრიმინაცია ჰომოსექსუალობისა და ჰომოსექსუალთა მიმართ. გამომდინარეობს სიტყვებისგან ჰომოსექსუალი და ფობია.

ტერმინი **ჰომოფობია** თანამედროვე მნიშვნელობით პირველად ბეჭდვით სიტყვაში გამოყენებული იყო ჟურნალ „ტაიმში“ 1969 წელს. სიტყვის შემქმნელად შეიძლება ვიგულისხმოთ ფსიქოლოგი ჯორჯ ვაინბერგი, რომელმაც ამ სიტყვას პოპულარიზაცია საკუთარ წიგნში „საზოგადოება და ჯანსაღი ჰომოსექსუალი“ გაუკეთა 1971 წელს. მასში შერწყმულია ბერძნული ტერმინები phobos (პანიკური შიში) და homo- (იგივე). ტერმინში ჰომოფობია „ჰომო“ მოდის სიტყვიდან ჰომოსექსუალი და არა ლათინური ტერმინიდან

homo (მამაკაცი). ტერმინის შესაძლო წინამორბედი იყო „ჰომოეროტოფობია“ ნახსენები დრ. ვაინრაიტ ჩერჩილის მიერ შრომაში „ჰომოსექსუალური ქცევა მამაკაცებში“ 1967 წელს.

4. **წაიკითხეთ ტექსტი:**

   შესაძლო აქტივობები:

- ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
- ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
- სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.
- ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას.

17 მაისი მსოფლიოში ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ეს არის ჰომოფობიის, ბიფობიის და ტრანსფობიის გმობის, უფრო ზუსტად, აგრესიისა და სიძულვილის წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი, სავსებით ჩვეულებრივი დღე. ამ დღის შემოღება უკავშირდება ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ტიპის, არატრადიციულად წოდებულ, ორიენტაციათა დაავადებების სიიდან ამოღებას. იყო დრო, როდესაც ჰომოსექსუალი ავადმყოფთან ასოცირდებოდა, თუმცა, უფლებადამცველ ორგანიზაციათა დაუღალავი შრომის შედეგად, ეს მიდგომა შეიცვალა. სამწუხაროდ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ხშირად ჩამოვრჩებით და საქართველო ამ საკითხშიც ჩამორჩა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს. ამას დამატებული გაუნათლებლობის მაღალი დონე უფრო ამძიმებს სიტუაციას და ამარტივებს დამახინჯებული აღქმის ჩამოყალიბებას საქართველოში. საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებაში ასევე ლომის წილი "ერთმორწმუნე" რუსეთის ეკლესიას მიუძღვის. რუსული ჰომოფობიური პროპაგანდა პოლიტიკურ ბერკეტად იქცა. მათ მოახერხეს მასებისთვის იმის შთაგონება, ვითომდა ჰომოსექსუალიზმი ევროპიდან და ამერიკიდან მოდის. რაც უფრო პოლიტიკური პოლუსების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული, დასავლეთის გმობისა და ქრისტიანული ტრადიციების პოპულარიზაციის ხარჯზე. თუმცა აქ იგნორირებულია განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე საზოგადოება, ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ რელიგიური კუთვნილება და ა.შ. ამის შედეგად სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია ავტომატურად რელიგიურ დისკრიმინაციასაც მოიცავს.

ბევრმა საერთოდ არ იცის განსხვავება ჰომოსექსუალსა და ტრანსსექსუალს შორის, ბისექსუალი - პირდაპირ გარყვნილებასთან ასოცირდება, რიგ მედიასაშუალებებში "ჰომოსექსუალებს" – "ჰომოსექსუალისტებსაც" კი უწოდებენ, რაც არასწორია. მიდგომა იცვლება, არ იცვლება მხოლოდ რელიგია, რომელიც კრძალავს სექსუალურ ურთიერთობას საკუთარი სქესის წარმომადგენელთან და აღიარებს მხოლოდ ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს რეპროდუქციის მიზნით. მასმედიის მიერ დამკვიდრებული "არასწორი" ტერმინები მალევე იკიდებს ფეხს საზოგადოებაში, მათი არაკორექტულობა კი დისკრიმინაციული ტერმინების

დამკვიდრებას იწვევს. შემდეგ დამკვიდრებული დისკრიმინაციული ენით საუბრობს ის ხალხიც, რომლის განზრახვაც არც ერთი წამით არ წარმოადგენს ვინმეს დაკნინებას.

კიდევ ერთი ფენომენი, რაც ქართველი ერის საბჭოური დაავადებაა, რუსული ენის გავლენა, სიტყვა – "პედერასტი", რომლის გამოყენებაც არათუ დისკრიმინაციულია, არამედ გაუნათლებლობის პირდაპირი მიმანიშნებელია. ეს სიტყვა ბერძნულიდან მოდის და პედოფილიისა და ჰომოსექსუალიზმის განსასაზღვრად იხმარებოდა, თანამედროვე რუსულში კი შეურაცხმყოფელად გამოიყენება. ქართული ენა საკმაოდ მდიდარი ლექსიკონით გამოირჩევა და "პედერასტს" ძალიან ბევრი შესატყვისი აქვს მშობლიურ ენაზე. თუ მაინცდამაინც ნასესხები სიტყვის გამოყენება სურთ - ჰომოსექსუალით შეიძლება ჩანაცვლება, რომელიც დისკრიმინაციული არ არის. სიტყვა "პედერასტი" კი, იმ მდაბიო ლექსიკონის ნაწილია, რომელიც მოუშორებელი ჭირივით შემორჩა ქართულ ენას, მაგიდას – "სტოლს", ჩანგალს – "ვილკას", შეკრებას კი, "სხადნიაკს" რომ უწოდებენ.

რა არის ჰომოსექსუალიზმი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, ჯერ თავად სექსუალური ორიენტაციის დეფინიცირება. ტერმინი "სექსუალური ორიენტაცია" აღწერს ადამიანის ემოციურ, რომანტიულ და სექსუალურ მიზიდულობას და მასზე დაფუძნებულ პირად და სოციალურ გრძნობებს. უკანასკნელი კვლევები, რომლებშიც დაგმობილია ადამიანების ყოველგვარი დაყოფა კანის ფერისა, ეთნიკური, რელიგიური და სხვა კუთვნილების მიხედვით, სამი ტიპის სექსუალურ ორიენტაციას აღიარებს, ესენია: ინტერესი საპირისპირო სქესისადმი (ჰეტეროსექსუალი), საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი (ჰომოსექსუალი) და ორივე სქესის მიმართ (ბისექსუალი).

ამავე კვლევებში სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბების მიზეზებია აღწერილი. ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის გაგებასთან პრობლემები არ არსებობს. რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, მისი "გამომწვევი მიზეზები" ზუსტად ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამუდმებით მუშაობენ ამ საკითხის კვლევაზე და გავლენის რამდენიმე ასპექტი ჩამოაყალიბეს. ისინი ერთხმად თანხმდებიან, რომ მიზეზი შეიძლება იყოს ორივე, ბუნებრივიც და ხელოვნურიც. სექსუალური ორიენტაცია ადამიანს გენეტიკურად აქვს კოდირებული, ტვინის სტრუქტურა განაპირობებს, ის ასევე დამოკიდებულია ჰორმონალურ ბალანსზე და შეიძლება ჩამოყალიბების ან აღზრდის პროცესში გარემო ფაქტორებმა იქონიონ გავლენა.

ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია, პირველად, 1975 წელს გამოვიდა ჰომოსექსუალიზმის ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან ამოღების ინიციატივით. ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო საუბრები, რომ ადამიანების კლასიფიცირება სექსუალური ორიენტაციის მიხედვით დისკრიმინაციულია. ასეთი მიდგომა ნეგატიურ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს უმცირესობებზე და მათ ქცევებზე. იწვევს ასოციალურობასა და, უარეს შემთხვევაში, მიდრეკილებას სუიციდისკენ. საბოლოო

ჯამში, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, 1990 წელს, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა სიიდან ამოიღო.

თავად ფენომენი, რომელიც ასეთ დიდ გაღიზიანებას იწვევს ქართველ ერში, კაცობრიობის ისტორიის საწყისებიდან იღებს სათავეს. პირველად, ძველ ბერძნულ ეპოქაში, პლატონის ნაშრომებში გვხვდება. პირველი ნახატი, რომელზეც მეცნიერთა ვარაუდით ჰომოსექსუალი წყვილია გამოსახული, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2400 წელს ეგვიპტეშია შესრულებული. ჰომოსექსუალურ ურთიერთობებზე ბევრ საინტერესო ნაშრომს ძველ ჩინურ და ზოგადად აზიურ ლიტერატურაში შეგიძლიათ შეხვდეთ. ჰომოსექსუალურ კულტურაზე ინფორმაციით ყველაზე მდიდარი ინდოეთია.

ჰომოსექსუალიზმისადმი ნეგატიური დამოკიდებულება რელიგიურ მოტივებს ემყარება. მართლმადიდებლობა იმ რელიგიათაგან მხოლოდ ერთ-ერთია, რომლებიც ჰომოსექსუალიზმს ცოდვად აღიარებენ. თუმცა, ქრისტიანული მრწამსი ყოველგვარ აგრესიასა და ძალადობას გმობს და არსად წერია, რომ ცოდვილები ამ ქვეყნად თავად ადამიანებმა უნდა განიკითხონ, მეტიც - განკითხვა შვიდ უმძიმეს ცოდვათაგან ერთ-ერთია.

ხშირად ყველა ტიპის უმცირესობა ერთ ქვაბში იხარშება, რაც ისევე დამამცირებელია მათთვის, როგორც ზოგადად სექსუალური ორიენტაციის გამო გამორჩევა. ტრანსსექსუალი აბსოლუტურად განსხვავდება ჰომოსექსუალისგან. ტრანსსექსუალი არის ადამიანი, რომელიც არ მიიჩნევს თავს იმ სქესის წარმომადგენლად, რომლითაც დაიბადა, სხვადასხვა მიზეზთა გამო. ასეთ ადამიანებს ჩამოყალიბების პროცესშივე უვითარდებათ საპირისპირო სქესის მახასიათებლები. ეს გამოიხატება აღნაგობაში, გარეგნობაში, ხმის ტემბრში, ქცევასა და ინტერესებში. კლასიკური განმარტებით "ტრანსსექსუალიზმი" არის მდგომარეობა, როდესაც პიროვნების სქესი არ შეესაბამება მის გენდერს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრანსსექსუალი არის ადამიანი, რომელიც საპირისპირო სქესის სხეულშია მოხვედრილი.

სამედიცინო დასკვნების მიხედვით ტრანსსექსუალიზმის განვითარება შეიძლება მუცლადყოფნის პერიოდში დაიწყოს, ან ჩამოყალიბების პროცესში გამოვლინდეს, ძირითადი მიზეზი ჰორმონებია. ასეთი ადამიანები მკურნალობის ორ ტიპს მიმართავენ, პირველი, როდესაც თავიანთ გენდერს საკუთარ სქესს უსაბამებენ ფსიქოლოგთა დახმარებითა და ჰორმონალური ბალანსის აღდგენით და მეორე, როდესაც ქირურგიული ჩარევითა და ჰორმონების დაბალანსებით ფიზიკურ სქესს იცვლიან გენდერის შესაბამისად. ასეთი ტიპის ოპერაციები საკმაოდ რთულია. საბედნიეროდ, მათი უმრავლესობა წარმატებულია.

რიგი მეცნიერების დასკვნით, ტრანსგენდერის საწყისებს ჰერმაფროდიტები წარმოადგენენ. ამ ფენომენის უკეთ გასაგებად ისევ ინდოეთს, ამჯერად კონკრეტულად ჰიჯრათა კულტურას დავუბრუნდეთ. ჰიჯრები არიან ჰერმაფროდიტები - ორსქესიანი ადამიანები. ისინი ორივე სქესის წარმომადგენლის სასქესო ორგანოთი იბადებიან და მხოლოდ სექსუალური მომწიფების პერიოდში უყალიბდებათ რომელიმე კონკრეტული სქესის მკვეთრად გამოხატული მახასიათებლები.

მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას მცდარად მიიჩნევს და სასტიკად ეწინააღმდეგება. მათი აზრით, ჰერმაფროდიტად დაბადება სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ საპირისპირო სქესის მახასიათებლებმა იმრავლონ ადამიანში. არ არის აუცილებელი ორივე სქესის ორგანოთი დაბადება, იმისთვის რომ შემდეგ ერთ-ერთი განვითარდეს უფრო მეტად და გავლენა იქონიოს ორიენტაციაზე. სავსებით შესაძლებელია ქალად დაბადებულს მამაკაცური თვისებები და მოთხოვნილებები გამოუვლინდეს, ისევე როგორც მამაკაცს - ქალის. ჩვენს რეალობაში ხშირად ვაწყდებით ასეთ ადამიანებს, რომლებზეც ძნელია იეჭვო, რომ დაბადებისას საპირისპირო სქესის წარმომადგენელი იყო.

ასევე განსხვავდება ტერმინი "ტრანსგენდერი" და "ტრანსექსუალი"-ს მნიშვნელობები. პირველი განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარი სქესის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერი არ აღიარებს თავის სქესად - სქესს, რომლითაც დაიბადა, ეგუება ფაქტს და ხშირ შემთხვევაში უარს ამბობს ყოველგვარ სამედიცინო და ქირურგიულ ჩარევაზე, ზოგჯერ სექსუალურ ორიენტაციაზეც, მათი დიდი ნაწილი მკურნალობის იმ მეთოდს ირჩევს, რომლითაც გენდერის ფიზიკურ სქესთან თანხმობაში მოყვანას გულისხმობს. ტრანსექსუალი კი, თვითგამორკვეული, ჩამოყალიბებული, (ქირურგიული გზით) სქესშეცვლილი ადამიანია, რომელიც საკუთარი გენდერის შესაბამის სქესს "ირგებს".

დავალების ბლოკი:

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

ფენომენის სასქესო ჰერმაფროდიტები მახასიათებლები სქესის მომწიფების ტრანსგენდერის

რიგი მეცნიერების დასკვნით, ... საწყისებს ჰერმაფროდიტები წარმოადგენენ. ამ ..... უკეთ გასაგებად ისევ ინდოეთს, ამჯერად კონკრეტულად ჰიჯრათა კულტურას დავუბრუნდეთ. ჰიჯრები არიან ..... - ორსქესიანი ადამიანები. ისინი ორივე სქესის წარმომადგენლის ..... ორგანოთი იბადებიან და მხოლოდ სექსუალური ..... პერიოდში უყალიბდებათ რომელიმე კონკრეტული ..... მკვეთრად გამოხატული .....

8. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას მცდარად მიიჩნევს. და სასტიკად ეწინააღმდეგება.

_____

17 მაისი მსოფლიოში ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

_____

გაუნათლებლობის მაღალი დონე უფრო ამძიმებს სიტუაციას და ამარტივებს დამახინჯებული აღქმის ჩამოყალიბებას საქართველოში.

_____

_____

სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია ავტომატურად რელიგიურ დისკრიმინაციასაც მოიცავს.

_____

წაკითხულის გააზრება:

9. უპასუხეთ კითხვებს:

რა აღინიშნება 17 მაისს?

რის წინააღმდეგ არის მიმართული დღის აღნიშვნა?

რატომ ჩამოვრჩებით დასავლეთს და რა ამძიმებს სიტუაციას საქართველოში?

მოიცავს თუ არა სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია ავტომატურად რელიგიურ დისკრიმინაციასაც?

როგორ ურთიერთობებს ამართლებს, საზოგადოდ, რელიგია?

როგორ განიმარტება სიტყვა „პედერასტი“?

რას წარმოადგენს სექსუალური ორიენტაცია?

სად გვხვდება პირველი ნახატი, რომელზეც, მეცნიერთა ვარაუდით, ჰომოსექსუალი წყვილია გამოსახული?

ვინ წარმოადგენს ტრანსგენდერის საწყისებს?

10. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

რელიგია	ქალი
ჰომოსექსუალი	კოდირება
სტერეოტიპი	დისკრიმინაცია
უმცირესობა	სქესი
ორიენტაცია	შემწყნარებლობა
გენდერი	მასმედია

11. რა განსხვავებაა ჰომოსექსუალსა და ტრანსსექსუალს შორის? ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება და დაწერეთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

12. მოისმინეთ ტექსტი:

ჰომოფობია პოლიტიკაში

(https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90)

13. ვინ ინათლება პოლიტიკაში ჰომოფობად?

14. რატომ დასწამეს ჰომოფობია ალან კისს?

.

15. წაიკითხეთ ტექსტი:

შესაძლო აქტივობები:

26. ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით).
27. ერთ-ერთი სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს.
28. სტუდენტები კითხულობენ წყვილებში.
29. ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტივობას.

რა დღეა 17 მაისი?

ეს მოძრაობა 2004 წელს შეიქმნა იმისათვის, რომ მაღალჩინოსნების, ანალიტიკოსების, სოციალური მოძრაობების, საზოგადოების და მედიის ყურადღება იმ დისკრიმინაციის მიმართ მიეპყრო, რომელსაც ლგბტი (LGBTI) ადამიანები განიცდიან მთელი მსოფლიოს მაშტაბით.

ათწლეულის შემდეგ, 17 მაისი ჩამოყალიბდა, როგორც ერთდადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი ლგბტი თემების მსოფლიოს მასშტაბით მობილიზებისთვის.

ეს დღე წარმოადგენს ყოველწლიურ ორიენტირს იმისათვის, რომ მიიპყროს მაღალჩინოსნების, მედიის, საზოგადოების, მედია ანალიტიკოსების და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება საგანაშო სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც პრობლემურია ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და იმ

ადამიანებისთვის, ვინც არ არიან კონფორმულები გაბატონებული სექსუალური და გენდერული ნორმების მიმართ.

საერთაშორისო დღე ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ არ არის ცენტრალიზებული კამპანია; ის არის *მომენტი*, რომელიც ყველას შეუძლია გამოიყენოს მოქმედებისთვის.

ეს თარიღი სპეციალურად შეირჩა იმისათვის, რომ აღნიშნულიყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1990 წელს მიღებული გადაწყვეტილება – მოეხდინა ჰომოსექსუალობის, როგორც ფსიქიკური აშლილობის, დეკლასიფიცირება.

საერთაშორისო დღემ ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ მიიღო ოფიციალური აღიარება საერთაშორისო ინსტიტუტებისგან, ევროპარლამენტისგან და უამრავი ადგილობრივი მთავრობისგან. გაეროს სააგენტოების უმრავლესობა ამ დღეს სპეციალური ღონისძიებებით აღნიშნავს.

ცოტა რამ სახელწოდების შესახებ

17 მაისი თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც „საერთაშორისო დღე ჰომოფობიის წინააღმდეგ“ (“International Day against Homophobia”), რის საფუძველზეც შეიქმნა აკრონიმი “I.D.A.H.O”.

2009 წელს სათაურში ჩაემატა ტრანსფობია იმისათვის, რომ მოხდეს სხვადასხვა საკითხების წამოწევა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული გამოხატულებების შესახებ. ამის შემდეგ “IDAHOT” გახდა შემდგომი გავრცელებული აკრონიმი, რომელიც იგამოიყენებოდა ზემოთხსენებულ აკრონიმთან ერთად.

2015 წლიდან აკრონიმს ბიფობია ჩაემატა სათაურში, იმისათვის რომ მომხდარიყო იმ სპეციფიური პრობლემების აღიარება, რომელსაც განიცდიან ბისექსუალი ადამიანები.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ორგანიზაციები სახელის ადაპტირებას თავიანთი კონტექსტისა და პრიორიტეტების საფუძველზე ახდენენ. ბრიტანეთში, მაგალითად, ეს დღე ცნობილია როგორც IDAHOBiT, ლათინურ ამერიკაში კი ლესბიფობია განთავსებულია აკრონიმის პირველ სიმბოლოდ.

მეტი ჩართულობის უზრუნველყოფისა და სექსუალური და გენდერული უმცირესობების მრავალფეროვნების ასახვის მიზნით გლობალურ დონეზე შეიქმნა საბაზისო ღონისძიება „სექსუალური და გენდერული მრავალფეროვნების გლობალური აღნიშვნა“. სავარაუდოდ, ეს არის ერთადერთი გზა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების „გადასაჭრელად“ და გენდერულ მრავალფეროვნებაზე (ქვიარი, ასექსუალი, პანსექსუალი; ადგილობრივ-კულტურული იდენტობები, როგორიცაა, მაგალითად, ჰიჯრა და სხვ.) რეფლექსირებისათვის. ეს დღე

არ არის ერთი ცენტრალური „საფირმო მარკა“, შესაბამისად, ყველა თავისუფალია მოახდინოს მისი კონტექსტის მიხედვით ადაპტირება. ეს ქმნის არაკონსისტენტურობას, თუმცა ეს არის საფასური იმისა, რომ ეს დღე გახდეს საზოგაგდო საკუთრება.

1990 წლის 17 მაისს გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა ნუსხიდან ამოიღო. 2004 წლიდან კი დაიწყო ამ დღის, როგორც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნა.

2014 წელს 17 მაისი მსოფლიოს 130 ქვეყანაში აღინიშნა. მათ შორის იყო ის 37 ქვეყანა, სადაც ჰომოსექსუალობა ლეგალიზებული არაა. ამ დღეს გაიმართა 1600 ღონისძიება, რომელშიც 1280 ორგანიზაცია იყო ჩართული.

დავალებების ბლოკი:

16. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

17. მოცემულ სიტყვებზე ააგეთ წინადადებები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

18. დაასრულეთ წინადადებები:

მოქმედებისთვის დეკლასიფიცირება სიმბოლოდ ინსტიტუტებისგან კამპანია

საერთაშორისო დღე ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ არ არის ცენტრალიზებული .....; ის არის *მომენტი*, რომელიც ყველას შეუძლია გამოიყენოს .....

ეს თარიღი სპეციალურად შეირჩა იმისათვის, რომ აღნიშნულიყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1990 წელს მიღებული – მოეხდინა ჰომოსექსუალობის, როგორც ფსიქიკური აშლილობის, ...

საერთაშორისო დღემ ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ მიიღო ოფიციალური აღიარება საერთაშორისო .....

ლათინურ ამერიკაში კი ლესბიფობია განთავსებულია აკრონიმის პირველ .....

19. შეაერთეთ სინონიმები:

ნებადართული	რიცხვი
თარიღი	ორიენტირი
მიზანი	ზიზღი
მაღალჩინოსანი	გლობალური
ფობია	ლეგალიზებული
საყოველთაო	სახელმწიფო მოხელე

წაკითხულის გააზრება:

20. უპასუხეთ კითხვებს:

რომელი თემებისთვის იქცა მნიშვნელოვან თარიღად 17 მაისი?

რისთვის შეირჩა სპეციალურად ეს თარიღი?

ვისგან მიიღო ოფიციალური აღიარება 17-მა მაისმა?

ჩამოაყალიბეთ 17 მაისის მოძრაობის სრული დასახელება.

რომელ წელს ამოიღეს ჰომოსექსუალობა დაავადებათა ნუსხიდან?

21. დისკუსია თემაზე: უნდა ჩაითვალოს თუ არა ჰომოსექსუალიზმი ფსიქიკურ დაავადებად?

22. ჰომოფობიასთან დაკავშირებით, გაეცანით ანგარიშს, რომელიც ევროკავშირის 27 ქვეყანაში არსებულ მდგომაროებას ასახავს:

ანგარიშში, რომელიც ევროკავშირის 27 ქვეყანაში არსებულ მდგომაროებას ასახავს და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს ემთხვევა, ევროპელი 93 000 ლგბტ პირი გამოიკითხა.

მათ ორ მესამედს ეშინია საკუთარ ორიენტაციაზე საჯაროდ საუბარი და ისინი ამბობენ, რომ საზოგადოების მხრიდან დისკრიმინაციას გრძნობენ. მათი განცხადებით დისკრიმინაცია, რომელიც სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზეა დაფუძნებული, ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული.

სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას. გამოკითხულთა ერთი მეოთხედი ამბობს, რომ მათზე თავდასხმა განხორციელდა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო, ან რომ მათ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი თავდასხმები აშინებდათ. გამოკითხულთა ერთი მეხუთედი ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ სამსახურებში ან სამსახურის ძებნის პროცესში დისკრიმინაციას აქვს ადგილი.

ანგარიშში დაფიქსირებული ტენდენციების შემდეგ, ევროკავშირის ლიდერები დაუყოვნებლივი მოქმედებისკენ მოუწოდებენ.

დოკუმენტში, სადაც ევროპაში აშკარა ჰომოფობიურ ტენდენციებზეა საუბარი, ევროპელი ლიდერები შემაშფოთებელ ნიშნებს ხედავენ რეგიონისთვის, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვით ამაყობს.

23. შემაჯამებელი აქტივობა: „კუთხეები“

საკამათო თემა: მისაღებია თუ დასაგმობი ჰომოფობია?

მოსწავლეთა ნაწილი დაეთანხმება, ნაწილი არ დაეთანხმება, ნაწილი არ გამოხატავს პოზიციას. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

24. საშინაო დავალება

- **3-2-1**

უყურეთ ფრანგულ ფილმს „ქამელეონი“. დაწერეთ მოკლე შინაარსი. სამი წინადადებით. დაუსვით მთავარ გმირს 2 შეკითხვა და მიეცით მას 1 კონკრეტული რჩევა.

მუზეუმის საერთაშორისო დღე

მაისი

შინაარსი:

რა მიზანს ემსახურება მუზეუმი? მსოფლიოში გამორჩეული მუზეუმები; უცნაური მუზეუმები;

გამოწვევის/პროვოცირების აქტივობები

აქტივობა 1. ფრონტალური შეკითხვები (სწრაფი პასუხები ან მოკლე საუბრები)

- რატომ შეიქმნა მუზეუმი/ რა მიზანს ემსახურება მუზეუმი?
- გაიხსენეთ და აღწერეთ რომელიმე ცნობილი მუზეუმი ?
- საქართველოში რომელი მუზეუმი/მუზეუმები იცი?
- გაიხსენეთ მსოფლიოს რომელიმე მუზეუმი, რომლის შესახებაც თქვენ გაქვთ ინფორმაცია.
- რა ტიპის მუზეუმები არსებობს? რა არის გამოფენილი მუზეუმში?
- გაიხსენეთ და დაახასიათეთ რამდენიმე ნივთი, რომელიც მუზეუმში გინახავთ

საბაზისო ტექსტი N1.

მუზეუმის საერთაშორისო დღე

იცოდით, რომ 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნება?! დიახ! ეს გადაწყვეტილება 1977 წლიდან ICOM - ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) საბჭომ მიიღო და ამ წლიდან, 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნება. 150 ქვეყნის მუზეუმებში, მათ შორის საქართველოში ამ დღეს ღია კარის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ღონისძიებები ეწყობა.

მუზეუმი ბერძნული სიტყვაა **(ბერძ. μουσείο[v])** და ქართულად მუზათა ტაძარს ნიშნავს. მუზეუმი საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია; მუზეუმი შეისწავლის, განათლების ან ვიზუალური სიამოვნებისთვის- **იძენს**, **ინახავს**, **იკვლევს** და **გამოფენს** ადამიანთა შემოქმედებას, მნიშვნელოვან მასალასა, ნივთებს. მუზეუმები გალერიებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ფინანსური მოგებისთვის არ არსებობენ. მუზეუმი შეიძლება იყოს სამთავრობო, არა-სამთავრობო ან არა-მომგებიანი, და ასევე, კერძო ან საოჯახო.

მუზეუმები ღიაა დაათვალიერების ნერბისმიერი მსურველისათვის და, როგორც წესი, შემსვლელთათვის მცირე გადასახადი არსებობს. ზოგიერთ მუზეუმში პერმანენტულად ან გარკვეულ დღეებში (მაგ. კვირადღეს) შესვლა უფასოა.

მუზეუმში განთავსებულ ნივთებს სამუზეუმო ექსპონატი ეწოდება, **ექსპონატი ლათინური სიტყვაა და** (ლათ. exponatus) — საჩვენებლად გამოფენილ საგანს ნიშნავს, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე. ის გადმოსცემს ხელოვნების რომელიმე მიმართულების, კულტურული მიღწევის, მეცნიერების, განათლებისა და სხვ. საკითხებს. მუზეუმის ექსპონატების გამოფენა კერძო კოლექციების სახით დაიწყო. ჯერ კიდევ რომის იმპერიაში არსებობდნენ მონეტების ცნობილი შემგროვებლები. მუზეუმის ექსპონატები კოლექციაში სხვადასხვა საშუალებით ჩნდება. უფრო ხშირად კი, მუზეუმები შეისყიდიან ექსპონატებს, მიიღებენ გაცვლით, საჩუქრის ან ანდერძის საშუალებით.

მუზეუმთა რაოდენობით წამყვანია ფინეთი. როგორც ამბობენ, ამ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი მუზეუმი მოდის ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

დავალების ბლოკი:

3 რამ, რაც გავიგე ამ ტექსტიდან

1. ----------

---

2. ----------

---

3. ----------
---

2 მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გავითვალისწინო

1. ----------
---

2. ----------
---

1 რამ, რაზეც მეტი ინფორმაცია მჭირდება

ტექსტი N 2

მუზეუმის სახეები

მუზეუმებში სიარული ალბათ დამეთანხმებით, რომ ძალიან ბევრს უყვარს, ალბათ თქვენც გაქვთ თქვენი ინტერესები და გაგჩენიათ სურვილი რომელიმე მუზეუმის დათვალიერების, ზოგს შეიძლება ოცნებაც ჰქონდეს ნახოს რომელიმე მსოფლიოში გამორჩეული მუზეუმი, ადამიანი ვინც მუზეუმში მოხვედრისას ყველა იქ გამოფენილ ნივთზე, ექსპონანტზე, მუზეუმზე დაწვრილებით გესაუბრებათ გიდი ჰქვია; გიდს თუ ვკითხავთ მუზეუმების რა სახეები არსებობს ის გიპასუხებთ:

თანამედროვე მუზეუმები ერთ მიმართულებაზე არიან ორიენტირებულები, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მუზეუმს თავისი სფერო აქვს, რასაც ის **იძენს**, **ინახავს**, **იკვლევს** და **გამოფენს.** მათი უმრავლესობა შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს ეკუთვნის: <u>სახვითი ხელოვნება</u>, <u>არქეოლოგია</u>, <u>ანთროპოლოგია</u>, <u>ეთნოლოგია</u>, <u>ისტორია</u>, <u>კულტურის ისტორია</u>, <u>მეცნიერება</u>, <u>ტექნოლოგია</u>, <u>ბუნებისმეტყველება</u>. ამ კატეგორიებში შეიძლება უფრო სპეციალიზირებული მუზეუმები არსებობდეს, მაგ. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები, ადგილობრივი ისტორიის, ავიაციის ისტორიის, სასოფლო-სამეურნეო ან გეოლოგიის მუზეუმები. მათში, როგორც წესი, არის გამოფენილი ან შენახული მოცემული სფეროს მნიშვნელოვანი ნიმუშები.

მუზეუმი შეიძლება იყოს არა მხოლოდ შენობა, სადაც გამოფენილია სამოზეუმო ექსპონატები, არამედ ისტორიული ადგილებიც, ეს მუზეუმის ერთ-ერთი სახეობაა და მას მუზეუმ-ქალაქებს უწოდებენ (მაგ. <u>მცხეთა</u>) და ღია-ცისქვეშა მუზეუმები იმ ადგილას სადაც ადრე ისტორიული ქალაქები ფუქნციონირებდნენ. მაგ. <u>ოლიმპიის არქეოლოგიური</u>

მუზეუმი ისტორიულ ქალაქ ოლიმპიის ადგილას საბერძნეთში. ზოგი მუზეუმი ახერხებს ისტორიული ქალაქების ნარჩენების შეგროვებას და მისგან ამ ქალაქის ფრაგმენტების ხელახლა აშენებას მუზეუმის ტერიტორიაზე. მაგ. პერგამონის მუზეუმი (ბერლინი) გერმანიაში.

დავალების ბლოკი:

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონში:**

_____

_____

_____

_____

დავალების ბლოკი:

წაკითხულის შეჯამება

1)----------

2)----------

3)----------

4) ----------

5) ----------

აქტივობა 4. საუბარი ფოტოების მიხედვით.

1. დააკვირდით ფოტოებს. აღწერეთ, რას ხედავთ თითოეულ ფოტოზე, მიუწერეთ ფოტოებს რა ტიპის მუზუმებში იმყოფებიან ფოტოს გმირები. რა მსგაგვსებებსა და განსხვავებებს ხედავთ?

ა) 

ბ)

გ)

დ)

2. თქვენ რომ შეგეძლოთ, რა /რის მუზეუმს გახსნიდით რატომ?

კითხვები ვიდეო-რგოლის ჩვენებამდე:

- რა იცით ორხან ფამუქის შესახებ?
- თქვენი აზრით რა კავშირში შეიძლება იყოს მოთხრობა და მუზეუმი ერთმანეთთან?
- თქვენი აზრით არსებობს მუზეუმი სადაც წიგნის გმირების ნივთებია გამოფენილი?

მოუსმინეთ/უყურეთ:

https://youtu.be/oCd6oYr2nZU

დავალებების ბლოკი:

1. შეურჩიეთ ვიდეოს სახელწოდება, რას დაარქმევდით.

---

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

რომელ მუზეუმზეა საუბარი ვიდეოში?

ა)სიყვარულის მუზეუმზე.

ბ)უმანკოების მუზეუმზე.

გ)ორხან ფამუქის სახელობის მუზეუმზე.

დ)წიგნების მუზეუმზე.

3. ვიდეოს მიხედვით რას ვნახავთ მუზეუმში შესვლისთანავე კედელზე?

ა)ფუსუნის საყურეს.

ბ)ყვითელ ფეხსაცმელს

გ)სიგარეტის ნამწვავებს.

დ) სიგარეტის ღერებს.

4. ვინ არიან წიგნის მთავარი გმირები?

ა)ფუქსუნი და ორხანი.

ბ)ჯემალ ბასმაჩი და ფუსუნი.

გ)მხოლოდ ქემალ ფასმაჩი.

დ) ფუსუნი და ქემალ ბასმაჩი.

5. რა არის მუზეუმის პირველი ექსპონანტი?

ა) საყურე.

ბ)ყვითელი ფეხსაცმელი.

გ)სიგარეტი.

დ) ჩანთა.

უპასუხეთ კითხვებს::

6. რა იდეა გაუჩნდა მწერალ ორხან ფამუქს? რატომ და რა გააკეთა?

---

7. რას აკეთებს მოთხრობის მიხედვით ქემალ ბეი და რატომ?

---

8. ჩამოთვლილი ნივთებს მიუწერეთ შესაბამისი სახელი და შემოხაზეთ, რა იყიდა პირველად მუზეუმისთვის ორხან ფამუქმა?

1) ---------- 2)

---

3) ---------- 4)  ----------

5) ---------- 6) 

მცდარი/მართებული

ა) მოთხრობის გმირი ფუსუნი ქერა და ცისფერთვალებაა;----------

ბ) უმანკოების მუზეუმი ანკარაშია----------

გ) ფუსუნი და ქემალ ბასმაჩი ერთმანეთზე შეყვარებულები არიან-----

დ) ქემალ ბასმაჩი მუდმივად იპარავდა ფუსუნის ნივთებს, რადგან ის ძალიან უყვარდა------

ე) ქემალ ბეიმ ხუთშაბათს დაუბრუნა ფუსუნს დაკარგული საყურე----------

ვ) ქემალი და ფუსუნი მდიდარი ოჯახის წარმომადგენლები არიან--------

12. ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული სიტყვა/სიტყვები

ა) რას გვასწავლის ---------- ფამუქის ----------?

ბ) ამის შესახებ საყვარელ ---------- მაშინვე უნდა ----------

გ) თორემ როცა ----------მერე უკვე --------- იქნება .

აქტივობა 13. დიალოგი



თქვენს ჯგუფელთან ერთად ისაუბრეთ, რა გაიგეთ ახალი? რა იცოდით? სთხოვეთ, გაიხსენოს მისთვის ყველაზე საყვარელი წიგნი და რომელი მოთხრობის/რომანის/ზღაპრის მუზეუმის გახსნას მოისურვებდა? როომელი პერსონაჟია მისთვის ძვირფასი?
გაუზიარეთ ადუდიტორიას თქვენს მეგობართან დიალოგისას მიღებული ინფორმაცია.



5.

უყურეთ ფილმს .....

- ფილმის განხილვა.
- ვინ არიან ფილმის მთავარი პერსონაჟები? რა ხდება ამ ფილმში?
- დაწერეთ რამდენიმე შეკითხვა ფილმის მიხედვით.

თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

მაისი

თემა: მსოფლიო თამბაქოს გარეშე

გამოწვევის აქტივობა:

მოვწიოთ თუ არ მოვწიოთ? ყველგან მოვწიოთ?

წაიკითხეთ და აირჩიეთ პასუხი 1-დან 4-მდე:

1. სრულად ვეთანხმები; 2. ნაწილობრივ ვეთანხმები; 3. დარწმუნებული არ ვარ;

4. საერთოდ არ ვეთანხმები.

პასუხის არჩევის შემდეგ დაასახელე 2-3 არგუმენტი და განმარტე შენი მოსაზრება მოცემულ წინადადებებთან დაკავშირებით.

ა. 1 2 3 4 მწეველებს არ უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის უფლება

ბ. 1 2 3 4 მოწევა ერთ-ერთი სიამოვნებაა ცხოვრებაში

გ. 1 2 3 4 მოწევა გვათავისუფლებს სტრესისგან

დ. 1 2 3 4 მოწევა იმავე კატეგორიაში შედის, რომელშიც ალკოჰოლი

ე. 1 2 3 4 ადამიანის პერსონალური უფლებაა, მოწევს თუ არა

ვ. 1 2 3 4 ზოგიერთი კომპანია არ იღებს სამსახურში მწეველ ადამიანს. სამართლიანია ეს?

ზ. 1 2 3 4 მოწევა საშიშია

თ. 1 2 3 4 თამბაქოს კომპანიებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ფილტვის კიბოს შემთხვევების გამო

თამბაქოს ისტორია

თამბაქო (Nicotiana) ერთ ან მრავალწლოვან მცენარეთა ოჯახს მიეკუთვნება. თამბაქოს 60-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. კულტივირებულია 2 სახეობა: კულტურული ანუ მოსაწევი თამბაქო (Nicotiana tabacum) და წეკო, იგივე რუსტიკა (Nicotiana rustica). დეკორატიულ მებაღეობაში თამბაქოს ისეთ სახეობებს იყენებენ, რომლებსაც დიდი ფოთლები და სურნელოვანი ყვავილები აქვს.

მოსაწევი თამბაქო მრავალწლოვანი მცენარეა, მაგრამ მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. მას აქვს სწორი, მომრგვალო, 2,5 მ-მდე სიმაღლის ღერო, რომელიც ზემოთ დატოტვილია. ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. თამბაქო მწვანე, იშვიათად ყვითელი ან მომწვანო-მოყვითალო ფერისაა. ყვავილები ვარდისფერი, წითელი ან თეთრია. ნაყოფში დიდი რაოდენობითაა წვრილი, მუქი ყავისფერი თესლი.

თამბაქოს სავეგეტაციო პერიოდი 135-170 დღეა. იგი სითბოს მოყვარული (თესლის გაღივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 27-28 °C, ღეროსა და ფოთლების ზრდა-განვითარებისათვის 24-28 °C) და ტენის მომთხოვნი მცენარეა.

თამბაქოს ფოთლებისაგან მზადდება მოსაწევი სიგარები, სიგარეტები, საჩიბუხე თამბაქო; ძველად ფართოდ იყო გავრცელებული თამბაქოს ფოთლების ღეჭვა, მისი ფხვნილის, ე. წ. ბურნუთის ყნოსვა და სხვა.

თამბაქოს სამშობლოდ ითვლება სამხრეთ ამერიკა. იგი ევროპას კოლუმბმა გააცნო, რომელიც ფრანგებს უყვებოდა, თუ როგორ შეხვდა მაიას ტომის ხალხი თამბაქოს ფოთლებით ხელში.

ევროპაში თამბაქო ამერიკიდან შეიტანეს XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის I ნახევარში. პირველად მოაშენეს დეკორატიულ და სამკურნალო მცენარედ. რუსეთში თამბაქო გავრცელდა XVII საუკუნის დასაწყისში. საქართველოში თამბაქო XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. პირველად იგი აფხაზეთში გააშენეს, შემდეგ - აჭარაში და ბოლოს - აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (მარნეულში, ბოლნისში, ყვარელში, ლაგოდეხში და სხვა).

თამბაქოს საქართველოში თუთუნს უწოდებდნენ. მისი მოწევა, ყნოსვა, ღეჭვა გავრცელებული იყოს ხევსურეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. აქ თამბაქოს ხმარობდნენ წამლადაც - ჭრილობიდან სისხლდენის შესაწყვეტად, პირუტყვის ქეცის მოსარჩენად, თავის ტკივილის გასაყუჩებლად...

ადამიანი, რომლის სახელთანაც თამბაქო ასოცირდება, ფრანგი ჟან ნიკო გახლავთ. იგი საფრანგეთის სამეფო კარმა ქორწილის ორგანიზებისთვის ლისაბონში გაგზავნა. სწორედ იქ შეიტყო მან თამბაქოს სამკურნალო თვისებების შესახებ და მცენარე გაუგზავნა დედოფალ ეკატერინე მედიჩის, რომელსაც შაკიკი სტანჯავდა. თამბაქომ დედოფალს შვება მოჰგვარა. ამის შემდეგ ეს მოსაწევი საფრანგეთშიც პოპულარული გახდა.

1828 წელს ფრანგმა ქიმიკოსებმა თამბაქოს აქტიური ინგრედიენტი გამოყვეს და ნიკოს პატივსაცემად ნიკოტინი დაარქვეს.

მხოლოდ 80 წლის შემდეგ დაამტკიცა ექიმმა ლეგარმა (საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტით) თამბაქოს სამკურნალო ეფექტის მოჩვენებითობა. თამბაქოს მავნებლობის შესახებ კაცობრიობამ მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიტყო. მანამდე კი ექიმებსაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ თამბაქო სრულიად უვნებელი იყო.

დავალება:

1. **მართებული/მცდარი**

ა) თამბაქო მრავალწლოვან მცენარეთა ოჯახს მიეკუთვნება.

ბ) თამბაქო სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა.

გ) ევროპაში თამბაქო მაიას ტომის ხალხმა შეიტანა.

დ) დედოფალ ეკატერინე მედიჩის თამბაქო თავის ტკივილს უყუჩებდა.

ე) ექიმი ლეგარი ექსპერიმენტებს პაციენტებსა და ცხოველებზე ატარებდა.

ვ) თამბაქოს ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად იყენებდნენ.

ზ) ძველად ექიმები ფიქრობდნენ, რომ თამბაქო აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას.

თ) ძველად თამბაქოს ფოთლებს ღეჭავდნენ, მის ფხვნილს ყნოსავდნენ.

ი) თამბაქო საქართველოში XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს.

2. გაიხსენე დასახელებული სიტყვების ანტონიმები

მავნებელი ----------
    მოჩვენებითი ----------

შეწყვეტა ----------
    შემოტანა ----------

გავრცელებული ----------
    მრავალწლოვანი----------

3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები და ფრაზები სათანადო ფორმით:

სურნელოვანი, შვების მოგვრა, მოსარჩენად, სამკურნალო თვისებები, პატივისცემად, შეხვედრა, ეჭვის შეპარება, განლაგებული, ტკივილის გაყუჩება

ა) თამბაქომ დედოფალ ეკატერინე მედიჩის ---------- ----------.

ბ) ნიკომ შეიტყო თამბაქოს ---------- ---------- შესახებ და მცენარე დედოფალ ეკატერინე მედიჩის გაუგზავნა.

გ) თამბაქოს დიდი ფოთლები და ---------- ყვავილები აქვს.

დ) თამბაქოს ხმარობდნენ პირუტყვის ქეცის ----------.

ე) ფრანგმა ქიმიკოსებმა თამბაქოს აქტიური ინგრედიენტი გამოყვეს და ნიკოს --------- ნიკოტინი დაარქვეს.

ვ) ძველად თამბაქოს ხმარობდნენ წამლადაც - თავის ---------- ----------.

ზ) თამბაქოს ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა ---------- .

თ) მე-20 საუკუნემდე ექიმებსაც არ ---------- ---------- , რომ თამბაქო სრულიად უვნებელი იყო.

უყურეთ სიუჟეტს სიგარეტის შესახებ

(GD *ჰედია*, სოფო კიკვილაშვილი, სიგარეტი
https://www.youtube.com/watch?v=wubiDGksJ3I)

სიუჟეტის ნახვის შემდეგ:

მართებული/მცდარი

1. 2020 წლისათვის თამბაქო ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი იქნება.

2. ეფექტურია სიგარეტისათვის ეტაპობრივად თავის დანებება (შემცირება).

3. სიგარეტისთვის თავის დანებებისას ვითარდება ნიკოტინის შიმშილი.

4. სიგარეტის მოწევისას ვითარდება არა ფიზიოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა.

5. ელექტრონული სიგარეტი პანაცეაა მოწევისთვის თავის დასანებებლად.

განმარტეთ სიტყვები:

დაგემოვნება ----------

ტოქსიკური ----------

გამოყავით ძირითადი საკითხები და დებულებები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილეს:

ჟურნალისტმა ----------

ექიმმა ----------

ფსიქოლოგმა ----------

გავრცელებული მითები სიგარეტის შესახებ

მოწევასთან დაკავშირებით ძალიან ხშირად გვსმენია შემდეგი ფრაზები:

- ნერვებს ამშვიდებს, ანტიდეპრესანტია;
- ხსნის თავის ტკივილს;
- ხელს უშლის გასუქებას;
- სიცივეში გათბობს;
- სიგარეტის მოწევა მოდაშია;
- თავდაჯერებულობას მატებს;
- შიმშილის გრძნობას აქრობს;
- დამხმარე საშუალებაა აზროვნებისთვის, საზრიანობაში გვეხმარება (მაგ., ბევრი ჟურნალისტი ეწევა) და ა.შ.

მოიფიქრეთ კონტრარგუმენტები. მაგალითად, გამონათქვამის "ხელს უშლის გასუქებას"

კონტრარგუმენტია: ბევრი მსუქანი ადამიანი ეწევა, მაგრამ არ ხდება.

წაიკითხეთ სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც მოწევას ეხება

ცოტა ხნის წინ მოქალაქე გიული ჩხაიძემ კომპანია ფილიპ მორისის დაქვემდებარებაში მყოფი ,,ელ-ემის" მწარმოებელი ქართული კომპანია „ოჯითის" წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საჩივრის საფუძველს სიგარეტის კოლოფზე მოთავსებული გაფრთხილება წარმოადგენს. ჩხაიძე ინფორმირებული არ იყო, რომ თამბაქოს მოხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს იწვევს, მისი გამოყენების შემთხვევაში კი მომხმარებელი თამბაქოზე დამოკიდებული ხდება. ჩხაიძე მომხმარებლის უფლებების დარღვევისათვის კომპანიისაგან ფულად ჯარიმას 500 ათას ლარს ითხოვს...

გიული ჩხაიძე ათი წელია „ელ-ემის" მომხმარებელია. მას სამედიცინო გამოკვლევებისა და ოპერაციის შემდეგ, ექიმის რეკომენდაციით, სიგარეტისათვის თავი უნდა დაენებებინა. მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გიული ჩხაიძის განცხადებით, „ელ-ემის" კოლოფზე მხოლოდ შემდეგი სახის გაფრთხილება იყო: „სიგარეტის მოწევა ორსულობის დროს გართულებებს იწვევს". მას რომ სიგარეტისგან გამოწვეული დაავადებების შესახებ მეტი ინფორმაცია ჰქონოდა, თამბაქოს მოხმარებას მოერიდებოდა.

გიული ჩხაიძის ადვოკატის განცხადებით, ამგვარი გაფრთხილება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაა. კომპანია „ოჯითი" ვალდებული იყო, მომხმარებლისათვის სიგარეტის მავნებლობაზე უფრო სრული ინფორმაცია მიეწოდებინა. მისი თქმით, „ელ-ემის" კოლოფებზე მხოლოდ ერთი სახის გაფრთხილებაა, რომ მოწევა ორსულთა პათოლოგიებს იწვევს. საქართველოში ორსულთა რაოდენობა 0,7%-ს შეადგენს. დაუშვებელია, რომ კომპანიამ, მომხმარებელთა მცირე ნაწილის ინტერესები გაითვალისწინოს და საზოგადოების დიდ ნაწილს პროდუქტის მავნებლობაზე ინფორმაცია არ მიაწოდოს.

ფილიპ მორისის კომპანიის მიერ თავის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გაფრთხილება თამბაქოს მომხმარებლებს აფრთხილებს: „სიგარეტის მოწევა თამბაქოზე დამოკიდებულებას იწვევს და მისთვის თავის დანებება რთულია; სიგარეტის მოწევა იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს; მწეველებს ფილტვების კიბო უფრო ხშირად უვითარდებათ, ვიდრე არამწეველებს; მოწევა საშიშია და დამოკიდებულს ხდის".

კომპანია „ოჯითის" წარმომადგენლების თქმით, ისინი საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებენ.

აირჩიეთ მართებული პასუხები:

1. მოქალაქე გ. ჩხაიძემ თამბაქოს კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა:
   ა) სიგარეტის მაღალი ფასის გამო;
   ბ) ფილტვებისა და სასუნთქი გზების დაავადების გამო;
   გ) გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო.
2. სიგარეტ ,,ელ-ემის“ ყუთზე არსებული წარწერა აფრთხილებდა:
   ა) მხოლოდ მოხუცებს;
   ბ) მხოლოდ სასუნთქი გზებით დაავადებულებს;
   გ) მხოლოდ ორსულებს.

უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რამდენი წლის მანძილზე მოიხმარდა მოქალაქე გ. ჩხაიძე სიგარეტ ,,ელ-ემს“?
2. რომელ კომპანიას უჩივლა მომხმარებლის უფლებების დარღვევისთვის მოქალაქემ?
3. რა განაცხადა ადვოკატმა?
4. რას აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები?

წარმოიდგინე, რომ მოსამართლე ხარ, ვის სასარგებლოდ გამოიტანდი განაჩენს, გიული ჩხაიძის თუ თამბაქოს კომპანიის? რატომ? დაასაბუთე შენი მოსაზრება 2-3 არგუმენტით.

უყურეთ ეპიზოდებს ქართული მხატვრული ფილმიდან „კუკარაჩა“

ვინ არიან ეპიზოდის მთავარი პერსონაჟები?
რა ხდება ამ ფილმის მითითებულ ეპიზოდებში?
რა პრობლემას ეხება მოცემული ეპიზოდები?
მოკლედ დაახასიათე ფილმის მთავარი პერსონაჟი/პერსონაჟები? როგორი ადამიანი/ადამიანები არიან ისინი?
როგორ ფიქრობ, რა მიზანი აქვს კუკარაჩას?

(https://www.youtube.com/watch?v=sJsXeL3maNo წუთები: 1:00-5:10; 34:58-41:33)

უპასუხეთ კითხვებს (პასუხი დაასაბუთეთ)

1. ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია რესტორნებში/კვების ობიექტებში მოწევა. ეს სამართლიანია/უსამართლოა?

ზოგიერთ სადაზღვევო კომპანია მწეველებს უფრო მაღალ გადასახადს აკისრებს, ვიდრე არამწეველებს. ეს სამართლიანია/უსამართლოა?

რატომ იწყებს ხალხი მოწევას?

სიგარეტის ყუთებზე დღეს დატანილია ინფორმაცია მოწევის საშიშროების შესახებ. რომელი გაფრთხილებები გახსენდებათ? ეს გაფრთხილების სისტემა მოგწონთ? დაასაბუთეთ პასუხი.

რა იცით პასიური მოწევის შესახებ?

რა არის ყველაზე მთავარი მიზეზი, რომლის გამოც მწეველმა თავი უნდა დაანებოს სიგარეტს?

პასიური მოწევა

სიგარეტის კოლოფზე წარწერებს - ,,მოწევა კლავს," „მოწევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენ ირგვლივ მყოფთ," „მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას", „იწვევს კიბოს" - მილიონობით ადამიანი არიდებს თვალს, თუმცა ყველა მწეველმა იცის, რომ მოწევა ორგანიზმისთვის საზიანოა.

განვითარებულ ქვეყნებში სიგარეტის კოლოფებს შემზარავი ფოტოებითაც აფორმებენ - მათზე გამოსახულია ზრდასრული ადამიანი, რომელსაც ტუჩის ან ფილტვის კიბო აქვს, ბავშვი, რომელიც ხელოვნურ სუნთქვაზეა მიერთებული...

მწეველთა რაოდენობის შესამცირებლად ყოველწლიურად უამრავი აქცია ეწყობა. მსოფლიო თამბაქოსთან ბრძოლის დღესაც კი აღნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მილიარდ ორასი მილიონი ზრდასრული ადამიანი მწეველია (მათგან რვაასი მილიონი განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს). სხვები პასიური მწეველები არიან – თამბაქოს მომხმარებლების მიერ ამოსუნთქულ კვამლს შეისუნთქავენ. ისინი თამბაქოს კვამლით, მწეველთა მსგავსად ზიანდებიან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით, პასიური მწეველობა ბრონქიტის, პნევმონიის, ხველებისა და მძიმე სუნთქვის, ასთმური შეტევების მიზეზია. სიკვდილიანობაში პასიური მოწევის წილი დაახლოებით 20%-ია. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე ადამიანი, რომელიც პასიური მოწევის გავლენის ქვეშაა, ამ მიზეზით იღუპება. მწეველები საკუთარი სურვილით ზარალდებიან – ეს მათი არჩევანია, ხოლო არამწეველები – უნებლიეთ.

შესაძლებელია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაყოფა მწეველთათვის და არამწეველთათვის, მაგრამ მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ისინი მიიჩნევენ, რომ კერძო დაწესებულებებში ფართის ხელოვნურად დაყოფა ბიზნესს აზარალებს.

ბუნებრივია, პასიურ მწეველთა შორის ბავშვებიც არიან. მათ ზიანს, უმეტესად, მშობლები აყენებენ – თანაც, ხშირ შემთხვევაში, არა კაფე-ბარებში ან რესტორნებში, არამედ სახლში. 2005 წელს თბილისში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების უმრავლესობა – 87.7% – პასიური მოწევის გავლენის ქვეშაა. თანაც, ზრდასრულ არამწეველებს შეუძლიათ დატოვონ თამბაქოს კვამლით გაბოლილი ოთახი, ბავშვები კი ხშირად ამას ვერ ახერხებენ.

ბავშვების ფილტვები პატარაა და მათი იმუნური სისტემაც ნაკლებადაა განვითარებული. პასიური მწეველობა ჩვილთა უეცარ სიკვდილიანობას, გულსისხლძარღვთა და ნევროლოგიურ გართულებებსაც იწვევს. მათში დაავადების განვითარების რისკი უფრო მაღალია, ვინაიდან ბავშვები ზრდასრულებზე უფრო დიდი სიხშირით სუნთქავენ და მეტ მავნე ნივთიერებას ჩაისუნთქავენ. შედეგად, ისინი სრულწლოვნებზე მეტად ზარალდებიან.

თამბაქოს კვამლი შეიცავს 4 ათასამდე ქიმიურ ნივთიერებას, რომელთა შორისაა კიბოს გამომწვევი ტოქსიკური ნივთიერებები: კუპრი, დარიშხანი, ბენზოლი, კადმიუმი..., შეჩვევის გამომწვევი ნიკოტინი და ასობით მომწამვლელი ნივთიერება: ციანიდი, მხუთავი აირი, ამიაკი...). ჩასუნთქვისას ეს ნივთიერებები ორგანიზმში ხვდება და ხელს უშლის მის გამართულ ფუნქციონირებას. სწორედ ამიტომ, თამბაქო დაახლოებით 25 დაავადების გამომწვევადაა მიჩნეული. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, მოწევით გამოწვეული დაავადებებით ყოველწლიურად ხუთი მილიონი ადამიანი კვდება და მათგან ყოველი მეხუთე პასიური მწეველია.

აირჩიეთ მართებული პასუხი:

1. მწეველები არ ითვალისწინებენ გაფრთხილებას სიგარეტი ყუთზე, რადგან:
   ა) საშიშად არ მიიჩნევენ;
   ბ) არ იციან კითხვა;
   გ) საკუთარი სურვილით ზარალდებიან.

2. პასიური მწეველები არიან ადამინები, რომლებიც:
   ა) იშვიათად ეწევიან;
   ბ) თამბაქოს კვამლს არ შეისუნთქავენ;
   გ) თამბაქოს კვამლს შეისუნთქავენ.

3. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაყოფა მწეველები/არამწეველები:
   ა) ბიზნესისთვის მომგებიანია;
   ბ) მწეველებს არ სურთ;
   გ) ბიზნესისთვის წამგებიანია.
4. ყველაზე მეტად სად ზარალდებიან პასიური მოწევისაგან ბავშვები?
   ა) რესტორნებში;
   ბ) სახლებში;
   გ) კაფე-ბარებში.

ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

1. ბავშვების ფილტვები პატარაა და მათი იმუნური ---------- ნაკლებადაა განვითარებული.
2. მწეველთა რაოდენობის ---------- ყოველწლიურად უამრავი აქცია ეწყობა.
3. კერძო დაწესებულებებში ფართის ხელოვნურად დაყოფა ბიზნესს ----------.
4. განვითარებულ ქვეყნებში სიგარეტის კოლოფებს ---------- ფოტოებით აფორმებენ.
5. თამბაქო დაახლოებით 25 დაავადების ---------- მიჩნეული.
6. მწეველები საკუთარი სურვილით ----------.

წაიკითხეთ სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც კვლავ მოწევას ეხება

ვაშინგტონის მცხოვრებ ედვინ გრეის (Edwin Gray) სასამართლომ საკუთარ სახლში დროებით სიგარეტისა და სიგარების მოწევა აუკრძალა. ამის შესახებ ABC7 იტყობინება. საქმე ისაა, რომ გრეის მეზობლები შეწუხდნენ კვამლის სუნით, რომელიც მათ სახლში სარდაფის ხვრელიდან აღწევს.

გამოცემის ინფორმაციით, მწეველის მეზობლები ახალ სახლში ერთი წლის წინ გადმოვიდნენ. თავიდან მათ გრეისთან მოლაპარაკება სცადეს და სთხოვეს სახლში არ მოეწია, მაგრამ როდესაც მამაკაცმა მოწევისგან თავის შეკავებაზე უარი განაცხადა, მეზობლებმა მას სასამართლოში უჩივლეს. მოწევაზე აკრძალვის გარდა გრეის ახალმა მეზობლებმა მიყენებული ზიანის სანაცვლოდ 50 ათასი დოლარი მოითხოვეს.

გრეის, გრეის ოჯახის წევრებს და მათ სტუმრებს შენობაში სიგარეტის მოწევა სასამართლო დავის პროცესის დროსაც აუკრძალეს. გრეის დამ მოზელლამ (Mozella Johnson) განაცხადა, რომ მომხდარის გამო გაოცებულია და ვერ იგებს, რატომ უკრძალავენ მის ოჯახს საკუთარ სახლში გაბოლებას, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს სახლი უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც მათი (მოზილლას და მისი ძმის) საკუთრებაა. მან აქვე დასძინა, რომ ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს და ძმასთან ერთად გააგრძელებს ბრძოლას მეზობლების წინააღმდეგ.

აირჩიეთ მართებული პასუხები:

1. მეზობლებთან თამბაქოს სუნი აღწევდა:

   ა) აივნიდან/ღია ფანჯრიდან;

   ბ) აბაზანის ხვრელიდან;

   გ) სარდაფის ხვრელიდან.

2. რას აპირებს და-ძმა გრეისი?

   ა) სიგარეტის მოწევისთვის თავის დანებებას;

   ბ) ბრძოლის გაგრძელებას;

   გ) მეზობლებთან მოლაპარაკებას.

დააკავშირეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები

მოლაპარაკება	დაამატა
კვამლი	შეთანხმება
სანაცვლოდ	ბოლი
დასძინა	გაკვირვებული
გაოცებული	ზიანი
ზარალი	სამაგიეროდ

წარმოიდგინე, რომ მოსამართლე ხარ, რას იზამდი მსგავს სიტუაციაში? დაასაბუთე შენი მოსაზრება 2-3 არგუმენტით.

თამბაქო საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რადგან იგი იწვევს:

- სასუნთქი გზების დაავადებებს;
- ფილტვის კიბოს;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და არტერიული წნევის მერყეობას;
- ორსულთა პათოლოგიებს;
- ნევროზს და ძილის დარღვევას;
- თმის ცვენას;
- კანის ნაადრევ დაბერებას;
- კბილების დაზიანებას;
- ფრჩხილების ფერის შეცვლა;
- შრომის უნარის გარკვეულ დაქვეითებას და დეპრესიას;
- ყელის კიბოს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები დააკავშირე მოცემულ ფოტოებთან





--- --- ---

--- --- --- ---

--- --- --- ---

რა ვიცოდი	**რა გავიგე**

საშინაო დავალება:

1. **მინიკვლევა**

   გამოკითხვის ჩატარება ახალგაზრდებს /სტუდენტებსა, მოსწავლეებსა და ზრდასრულებს შორის. ამ მიზნით რამდენიმე პუნქტიანი კითხვარის შექმნა, მაგალითად: (მოწევა ჩვევაა თუ დაავადება? აქვს მოწევას დადებით მხარე? სასარგებლო თვისებები? მოწევის რომელ უარყოფით მხარეზე გსმენიათ?....).

   მასალების დახარისხება და წარმოდგენა პრეზენტაციის სახით.

2. **უყურეთ შემდეგ მასალას და დაწერეთ რეზიუმე რამდენიმე წინადადებით:**

   მითები და სიგარეტი https://www.youtube.com/watch?v=VHayIeVKuAM

   გადაცემა ,,ექიმები"- თამბაქოს მოხმარება https://www.youtube.com/watch?v=DKUrG9_0Pjg

3. მოიძიეთ სლოგანები/პლაკატები ,,თამბაქოს მავნებლობის შესახებ", შეარჩიეთ რამდენიმე და იმსჯელეთ თქვენს არჩევანზე. შეგიძლიათ თავადაც შექმნათ სლოგანი/პლაკატი.
4. დაწერეთ ესე: ,,რატომ არ უნდა მოვწიოთ სიგარეტი"
5. ჯგუფელებთან ერთად მოიფიქრე, რა კამპანიას მოაწყობდი იმისათვის, რომ ადამიანებმა დაიწყონ ფიქრი საკუთარ ჯანმრთელობაზე და უარი თქვან მოწევაზე.

დროშის დღე

03ნისი

შინაარსი: რა ფუნქცია აქვს დროშას; სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშები; დროშებთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტები; რატომ უნდა აღვნიშნოთ დროშის დღე?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში (უპასუხეთ შეკითხვებს):
რა დანიშნულება აქვს დროშას?
რა ემოციებს აღძრავს ადამიანებში დროშა?
სად შეიძლება ვნახოთ სახელმწიფო დროშა?
როდის შეიძლება იყოს სახელმწიფო დროშა დაშვებული?
როგორ შეიძლება აღვნიშნოთ დროშის დღე, რა შეიძლება გავაკეთოთ?
დაასახელეთ რომელიმე ქვეყნის დროშა და აღწერეთ მისი ფორმა, ფერი, სიმბოლური მნიშვნელობა.
იმსჯელეთ დროშის მნიშვნელობაზე ომისა და მშვიდობის დროს.

აქტივობა 2. სინონიმთა ლექსიკონში ძიება:
სიტყვა **დროშის** მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ლექსიკონში: **ალამი, ბაირაღი**

აქტივობა 3. ასოციაციური რუკა. შექმენით ასოციაციური რუკა ან ცნების რუკა სიტყვაზე: „დროშა"



აქტივობა 4. მოლოდინების გზამკვლევი. (დაეთანხმე ან უარყავი)
დროშის დღის აღნიშვნა აუცილებელია (დიახ/არა)
დროშა ყველა დაწესებულებაზე უნდა ფრიალებდეს (დიახ/არა)

ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
ლეგიტიმურობა	კანონიერება
პორტულანო	საზღვაო-სანავიგაციო რუკები
ჰერალდიკა	ლათ. heraldus [მაცნე] – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც გერბებს სწავლობს; გერბთმცოდნეობა
ეტალონი	1. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 2. რისამე საზომი, სტანდარტი.
სუვერენიტეტი	დამოუკიდებლობა

ტექსტი N1

სახელმწიფო დროშა ეროვნული **დამოუკიდებლობის** გამომხატველი **სიმბოლოა.** ერის ისტორიაში მას უმნიშვნელოვანესი როლი და დანიშნულება ეკისრება. არსებობს დროშასთან დაკავშირებული დღესასწაული - დროშის დღე - რომელიც ეძღვნება რომელიმე კონკრეტული დროშის აღმართვას (მაგალითად, სახელმწიფო დროშის) ან დღეს, როცა აღნიშნავენ ისეთ ისტორიულ მოვლენას, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ მისი **ამჟამინდელი** დროშის მიღება.

დროშის დღეები ჩვეულებრივ ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება (მათ შორის საქართველოშიც), თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურის დადგენილებაც საკმარისია მის დასანიშნად. კანონი ან დადგენილება შეიძლება განსაზღვრავდეს, თუ სად და რა სახით აღიმართება დროშა.

ქვეყნების უმრავლესობა სახელმწიფო დროშისადმი **პატივისცემის** ნიშნად ეროვნული დროშის დღეს აღნიშნავს. მაგალითად, ქართული დროშის დღე 14 იანვარს აღინიშნება, ამერიკული დროშის - 14 ივნისს, იტალიის-7 იანვარს, ევროკავშირის-9 მაისს...

14 ივნისი ამერიკის შეერთებული შტატების დროშის ოფიციალურად მიღებას ეძღვნება 1777 წელს. ამ დროიდან მოყოლებული ამერიკის დროშის დიზაინი ოფიციალურად 26-ჯერ შეიცვალა. 47 წლის განმავლობაში 48-ვარსკვლავიანი დროშა გამოიყენებოდა. 1959 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ოფიციალურად გამოაცხადა 50-ვარსკვლავიანი დროშის **ლეგიტიმურობა.**

1936 წლის 30 მაისს პრეზიდენტმა ვილსონმა გამოსცა **განკარგულება** 14 ივნისის ამერიკის დროშის დღედ გამოცხადების შესახებ. პრეზიდენტმა თავის სიტყვაში ასეთი რამ თქვა: ,,დღეს საიუბილეო თარიღია, რომელიც კონგრესის მიერ ამერიკის დროშის, როგორც ერთიანობის სიმბოლოს მიღებას, ეძღვნება.“

საქართველოს დროშა

2004 წლის 14 იანვრიდან საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა აქვს. საქართველოს დროშაზე მოცემული გამოსახულება — ვერცხლისფერ (თეთრ) ფონზე ერთი სწორკუთხა ჯვარი, კუთხეებში ოთხი მცირე ჯვრით — ზოგადქრისტიანული სიმბოლოა, რომელიც მაცხოვარსა და ოთხ მახარობელს განასახიერებს. ვერცხლი (თეთრი) ჰერალდიკურად უმანკოებას, უბიწობას, სიწმინდეს, სიბრძნეს აღნიშნავს, ხოლო წითელი — სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამართლიანობას და სიყვარულს. ეს დროშა საქართველოს ტერიტორიის აღმნიშვნელად ანჯელინო დულჩერის (1339 წ.) და ფრაჩესკო და დომენიკო პიციგანების პორტულანოებზე იყო დაფიქსირებული. პორტულანო ჰქვია (იტალიური სიტყვაა - It. Portolano და ნავსადგურს ნიშნავს) საზღვაო-სანავიგაციო რუკებს, რომლებსაც ხმარობდნენ მე-13 -16 სს.-ში სავაჭრო ზღვაოსნობასთან დაკავშირებით ხმელთაშუა ზღვაში; მათზე სანაპირო ზოლი ნაჩვენები იყო **დაწვრილებით**; წინ

უძღოდა ისეთ რუკებს, რომლებზეც მერიდიანებისა და პარალელების ბადეა (მათ სხვაგვარად კომპასური რუკებიც შეიძლება ეწოდოს).

საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანმა დროშამ მეოცე საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვლავ დაიბრუნა თავისი ისტორიული, სახელმწიფოებრივი და ზოგადეროვნული მნიშვნელობა 2004 წლის 14 იანვარს და შედეგად 14 იანვარი დადგინდა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღედ.

2016 წელს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მეცადინეობით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო დროშის ეტალონი და პირველად აღინიშნა სახელმწიფო დროშის დღე. ამ უმთავრესი სახელმწიფო სიმბოლოს მიმართ პატივისცემა, მისი **სათანადო** ღირსებითა და პატივით გამოფენა, საქართველოს თითოეული მოქალაქის, უწყებისა თუ დაწესებულების ვალდებულებაა უწინარესად საკუთარი სახელმწიფოს და ეროვნული მემკვიდრეობის მიმართ.

დავალებების ბლოკი:

5. დაასრულეთ წინადადებები:

5. დროშის დღეს იმიტომ აღნიშნავენ, რომ ----------
6. დროშის დღეს ქვეყნების უმეტესობაში კანონმდებლობა განსაზღვრავს, ზოგიერთ ქვეყანაში ----------
7. ამერიკის დროშა პირვანდელი სახით არაა წარმოდგენილი, ის ოფიციალურად ---------- ----------
8. პორტულანო ჰქვია საზღვაო რუკებს, რომლებსაც ---------- ----------
9. საქართველოს დროშაზე წითელი ფერი გამოხატავს ---------- ----------
10. საქართველოს დროშამ მეოცე საუკუნის ბოლოს ---------- ----------
11. 2016 წელს ჰერალდიკის საბჭომ შექმნა ---------- ----------

შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ, ან *გ*)

6. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა დაფიქსირებული იყო:

ა) XIII საუკუნის პორტულანოებზე;

ბ) XIV საუკუნის პორტულანოებზე;

გ) XVI საუკუნის პორტულანოებზე;

7. ამერიკა დროშის დღეს აღნიშნავს:

ა) XVIII საუკუნიდან;

ბ) XIX საუკუნიდან;

გ) XX საუკუნიდან.

8. ჩაანაცვლეთ წინადადებებში გამუქებული სიტყვები შემოთავაზებული ლექსიკური ერთეულებით:

ახლანდელი, ბრძანება, შესაბამისი, დაფასება, კანონიერება, ნიშანი, სუვერენიტეტი, დეტალურად.

1. პრეზიდენტმა ოფიციალურად გამოაცხადა 50-ვარსკვლავიანი დროშის **ლეგიტიმურობა /** ----------.
2. დროშისადმი **პატივისცემის**/ ---------- ნიშნად ეროვნული დროშის დღე აღინიშნება.
3. ქვეყნები აღნიშნავენ ისეთ ისტორიულ მოვლენას, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ მისი **ამჟამინდელი** /---------- დროშის მიღება.
4. სახელმწიფო დროშა ქვეყნის **დამოუკიდებლობის** / ---------- გამომხატველი სიმბოლოა.
5. პრეზიდენტმა გამოსცა **განკარგულება** / ---------- დროშის დღის გამოცხადების შესახებ.
6. პორტულანოებზე **დაწვრილებით /** ---------- იყო ნაჩვენები სანაპირო ზოლი.
7. ქვეყნის დამოუკიდებლობის **სიმბოლოს** / ---------- წარმოადგენს დროშა.
8. სახელმწიფო დროშის მიმართ პატივისცემა, მისი **სათანადო** / ---------- ღირსებითა და პატივით გამოფენა საქართველოს თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა.

9. უყურეთ სიუჟეტს სახელმწიფო დროშის დღის შესახებ

პრეზიდენტის სიტყვა (წუთები-5:25-10:28) https://www.youtube.com/watch?v=h9PAr39hO-Y

დაასახელეთ პრეზიდენტის გამოსვლის ძირითადი აქცენტები

1)----------

2)----------

3)----------

10. დროშა და სპორტი: https://www.youtube.com/watch?v=cO065f-JfcI

ჩემპიონატებზე დროშის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ როგორც სპორტსმენებს, ასევე გულშემატკივრებს.

,,ამაყი ვარ, როცა ჩემი ქვეყნის დროშა ყველაზე მაღლაა და ჩემი ქვეყნის ჰიმნზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება“- ლადო ხინჩეგაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი (რიო 2016)

ტექსტი N2

ლექსიკური ერთეულების წინასწარ გაცნობა

ლექსიკონი	
იდენტობა	საკუთარი თავის იგივეობის განცდა; მიკუთვნებულობის გამოხატვა
ემბლემა	საგანი ან საგნის გამოსახულება, გამოყენებული რაიმე იდეის სიმბოლოდ
გრინპისი	საერთაშორისო საზოგადოებრივი ბუნებისდამცველი ორგანიზაცია, დაარსდა კანადაში 1971 წელს.
პაციფისტები	ყველა სახის ომების მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა, რომელიც დედამიწაზე მშვიდობის დამყარებას მოითხოვს
კონსტიტუცია	უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი

დროშის ისტორია

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრები ამაყობს თავისი ეროვნული დროშით. ეს გასაკვირი არცაა, რადგან დროშის ფერები ეხმარება ადამიანებს ერთნაირი განცდების ჩამოყალიბებაში: საფეხბურთო მატჩი ეროვნული გუნდის მონაწილეობით ან მხიარული სახალხო დღესასწაული მთავარი ეროვნული სიმბოლოს - დროშის გარეშე ხომ წარმოუდგენელია.

დროშები პირველად ჩინეთსა და ინდოეთში გაჩნდა, მოგვიანებით კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ჩინეთში დროშებს უკვე ჩვენს ერამდე 1100 წელს იყენებდნენ და მათ ძირითადად აბრეშუმის ქსოვილისგან ამზადებდნენ, რაც ამ ქსოვილის სიიაფით აიხსნებოდა. ევროპაში დროშები ფართოდ შუა საუკუნეებში - ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გავრცელდა.

დროშების შემსწავლელ მეცნიერებას ვექსილოლოგია ჰქვია. მსოფლიოს ყველა ქვეყანას საკუთარი სახელმწიფო დროშა აქვს, რომელიც სახელმწიფოს ოფიციალური განმასხვავებელი

ნიშანია და მის აღწერილობას კანონი, როგორც წესი, კონსტიტუცია ადგენს. სახელმწიფო დროშა სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლოდ ითვლება. იგი წარმოადგენს ერთფერ ან მრავალფერ ქსოვილს, რომელზეც გამოსახული შეიძლება იყოს რაიმე ემბლემა. სახელმწიფო დროშა აღმართულია სახელმწიფო დაწესებულებების, საელჩოების, საკონსულოების და სხვა დაწესებულებების შენობებზე. გარდა სახელმწიფოებრივი დროშისა, ქვეყნებს ასევე გააჩნიათ სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო-კომერციული დროშები (გამოიყენება გემებზე). ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში, სამივე მიზნით ერთი მთავარი დროშა გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი დროშები გააჩნია არა მარტო სახელმწიფოებს, არამედ პროვინციებს, ოლქებსა და რეგიონებს, ქალაქებს, კლუბებსა და საზოგადოებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს (მაგ; გაეროს), საზოგადოებრივ მოძრაობებს (მაგ; პაციფისტებს, გრინპისს) და, ზოგადად, ყველა სუბიექტს, რომელსაც სურს საკუთარი იდენტობის ხაზგასმა. ისინი სწორედ ამ მარტივი და ძველი ინსტრუმენტით სარგებლობენ.

დავალებების ბლოკი:

11. ჩასვით შესაბამისი სიტყვები ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით

ა) ადამიანებს ---------- ---------- ეხმარება ერთნაირი განცდების ჩამოყალიბებაში.
ბ) დროშა შეიძლება ჰქონდეს ყველა სუბიექტს, ვისაც სურს ---------- ---------- ხაზგასმა.
გ) სახელმწიფო დროშა ---------- სახელმწიფო დაწესებულებების, საელჩოების, საკონსულოებისა და სხვა დაწესებულებების შენობებზე.
დ) გარდა სახელმწიფოებრივი დროშისა, ქვეყნებს ასევე გააჩნიათ ---------- და ---------- დროშები.

12. დააკავშირეთ საპირისპირო (საწინააღმდეგო) მნიშვნელობის სიტყვები:

ერთფეროვანი	სიძვირე
სიიაფე	დაშვებული
ეხმარება	მრავალფეროვანი
აღმართული	ხელს უშლის
მხიარული	საშუალება
ინსტრუმენტი	საზოგადო
საკუთარი	მოსაწყენი

13. ფოტოებს მოუწერეთ ორგანიზაციების დასახელებები:

გაერო, პაციფისტები, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაცია, ოლიმპიური თამაშები, ნატო, გრინპისი, ევროკავშირი



--- --- ---

--- --- --- ---

9. სად და როდის გაჩნდა პირველად დროშები?

_____

_____

10. *მოცემული სიტყვებისაგან აწყვეთ წინადადება:*

დროშები შუა ლაშქრობების საუკუნეებში - ჯვაროსნული გავრცელდა დროს ფართოდ ევროპაში

ტექსტი #3

საინტერესო ფაქტები დროშებზე

დროშებთან დაკავშირებულია საინტერესო, საიდუმლო და ზოგჯერ კურიოზული ისტორიებიც.

მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობის დროშები მართკუთხედის ფორმისაა ზომებით 2:3 ან 1:2, თუმცა არსებობს გამონაკლისები: ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს, მაგ: ვატიკანისა და შვეიცარიის დროშები კვადრატის ფორმისაა, ხოლო ნეპალის დროშა - სიმაღლეზე განლაგებული და ერთმანეთთან შერწყმული 2 სამკუთხედისგან შედგება.

ყველაზე ძველი სამფერიანი დროშა ნიდერლანდის დროშაა, რომელიც თითქმის უცვლელი სახით მე-16 საუკუნის ბოლოდან გამოიყენება.

სახელმწიფო დროშების ყველაზე პოპულარული ფერებია წითელი, თეთრი და ლურჯი. ამ ფავორიტი სამეული ფერებისგან შედგება რუსეთის, საფრანგეთის, აშშ–ს, გაერთიანებული

სამეფოს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ნიდერლანდის, სერბეთის, ტაილანდისა და სხვა მრავალი ქვეყნის დროშა. შედარებით ნაკლებად პოპულარულია ყვითლის, შავისა და მწვანე ფერის ტრიო. მათ ვხვდებით ესპანეთის, გერმანიის, იტალიისა და ვატიკანის დროშებზე.

ციური სხეულები დროშებზე

სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე ცნობილი სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო დროშაზეა გამოსახული: ბრაზილიის, პაპუა–ახალი გვინეის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სამოას.

რაც შეეხება დიდი დათვის თანავარსკვლავედს, იგი აშშ–ს ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე შტატის ალასკის დროშაზე იწონებს თავს. აი, მთვარე და ნახევარმთვარე, ძირითადად, მუსულმანური ქვეყნების, მაგ; თურქეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ალჟირის, მავრიტანიის, სინგაპურის, მალაიზიის, პაკისტანისა და ტუნისის დროშების მთავარი ატრიბუტია.

სხვადასხვა ქვეყნის დროშაზე მზეც ხშირად არის გამოსახული, ამასთან როგორც სხივებით, მაგ. არგენტინისა და ურუგვაის დროშებზე, ისე მხოლოდ წრის სახით, მაგ. იაპონიის, ბანგლადეშის, ნიგერის დროშებზე. გვინეის დროშაზე კი მზე ყვითელი ზოლის სახითაა და წითელ და მწვანე ვერტიკალურ ზოლებს შორისაა მოქცეული. კირიბატმა და მალავიმ, ასევე ტაივანმაც თავის სიმბოლოდაც მზე აირჩიეს.

სკანდინავიური ჯვარი გვხვდება ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, ფინეთის და შვედეთის დროშებზე.

წარწერები დროშებზე

ერაყის, ავღანეთის, საუდის არაბეთის დროშებზე არაბული წარწერებია. ბრაზილიის დროშაზე დევიზი პორტუგალიურ ენაზე წერია, ჰაიტის დროშაზე – ფრანგული, ხოლო ბელიზისა და სან-მარინოს დროშებზე – ლათინური წარწერებია. მცირე მასშტაბის, და ამიტომ თითქმის შეუმჩნეველი, ესპანური წარწერები გვხდება ესპანეთის, ბოლივიის, გვატემალის, დომინიკის რესპუბლიკის, კოსტა-რიკის, ეკვატორული გვინეის და სალვადორის დროშებზე, ასევე ვენესუელას გერბზე, რომელიც თავის მხრივ ამ ქვეყნის დროშაზეა გამოსახული.

ნამგლისა და უროს მსგავსი ჰერალდიკური სიმბოლოები შეიძლება შევნიშნოთ ანგოლის დროშაზე, ხოლო მოზამბიკის დროშაზე კი კალაშნიკოვის ავტომატია გამოსახული.

ყველაზე კეთილი დროშა

კუნძულ-სახელმწიფო შრი-ლანკას, წარსულში ცეილონს, ყველაზე ბუდისტური და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო დროშა აქვს. მსოფლიოს ყველა ეროვნული დროშის ფერები, შეიძლება ითქვას, ერთსა და იმავეს აღნიშნავს: სიმამაცეს, პატივს, სიამაყეს, ვაჟკაცობას, გამბედაობას, სამხედრო გამარჯვებებს. შრი–ლანკას დროშა კი სიყვარულის, თანაგრძნობის, სიმშვიდისა და ბედნიერების სიმბოლოა.

ვეტერანი დროშა

მსოფლიოს ყველაზე ძველი დროშა დანიას აქვს. თეთრი ჯვარი წითელ ფონზე პირველად 1219 წელს გამოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ავსტრიაც პრეტენდენტია მსოფლიოში ყველაზე ძველი დროშის სახელის მოსაპოვებლად, თუმცა მათი დროშა 1230 წლით თარიღდება.

პატრიოტიზმის რეკორდი

მსოფლიოში ყველზე დიდი ეროვნული დროშის მფლობელი არცთუ ისე დიდი ხნის წინ რუმინეთი გახდა. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა გულდასმით გაზომეს ბუქარესტიდან 35 კმ–ის დაშორებით მდებარე სოფელ კლინჩელის მოსახლის მიერ შექმნილი დროშა და რეკორდი დააფიქსირეს.

კანადის დროშის ნეკერჩხალი

დროშაზე გამოსახული ცხოველებითა და მცენარეებითა ბევრ ქვეყანას შეუძლია იამაყოს, მაგალითად, კანადის დროშას უმეტესობა მასზე გამოსახული ნეკერჩხლის ფოთლით ცნობს. მაგრამ ალბათ ცოტას თუ მიუქცევია ყურადღება, რომ ცნობილი ფოთოლი თეთრ ფონზე ძალიან განსხვავდება ორიგინალისგან. ნამდვილ ნეკერჩხლის ფოთოლს 27 მკვეთრი გვერდი აქვს, დროშაზე კი მხოლოდ 11–ია. ნეკერჩხალი ყოველთვის არ იყო კანადის ეროვნული სიმბოლო. ქვეყანა, შეიძლება ითქვას, სასწაულებრივად გადაურჩა დროშას, რომელზეც გამოსახული უნდა ყოფილიყო თახვი. არადა მე–19 საუკუნეში კანადის მოსახლეობის ერთიანი სიმბოლო სწორედ ეს პატარა და სასარგებლო ცხოველი იყო. როცა ტორონტოში უელსის პრინცის საზეიმო შეხვედრისთვის ემზადებოდნენ, დადგა საკითხი, როგორ უნდა მისალმებოდნენ სტუმარს ემიგრანტების კანადაში დაბადებული შვილები და ე.წ. „თახვის“ იდეა სასწრაფოდ უარყვეს. არჩევანი იმ ადგილებში ყველაზე გავრცელებული მცენარის – ნეკერჩხლის – სასარგებლოდ გადაწყდა.

წყარო: http://www.mastsavlebeli.ge/uploads/Droshebi%20bolo%20versia.pdf

დავალებების ბლოკი:

შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ, ან *გ*)

11. **მსოფლიო დროშების უმეტესობა:**
    ა) კვადრატულია;
    ბ) მართკუთხედის ფორმისაა;
    გ) სამკუთხედის ფორმისაა.

12. **სიდიდით რეკორდსმენი დროშის მფლობელი ქვეყანაა:**
    ა) რუმინეთი;
    ბ) დანია;
    გ) ავსტრია.

13. **მზე გამოსახულია:**

ა) ტუნისის დროშაზე;

ბ) იაპონიის დროშაზე;

გ) ისლანდიის დროშაზე.

14. **რა შედეგით დასრულდა კანადის მოსახლეობის შეხვედრა პრინცთან, რომელი დროშა გამოიყენეს?**

_____

_____

15. **რომელია სახელმწიფო დროშების იშვიათი ფერები?**

_____

16. **რომელი დროშა ატარებს ყველაზე ძველის სტატუსს?**

_____

გახაზეთ ერთ-ერთი სიტყვა, რომლითაც შეიძლება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შეცვლა.

17. დროშებთან დაკავშირებულია საინტერესო, <u>საიდუმლო</u> და ზოგჯერ კურიოზული ისტორიებიც.

ა) საგანგაშო; ბ) ტოქსიკური; გ) მისტიკური.

18. დროშაზე გამოსახული ფოთლები სიყვარულის, <u>თანაგრძნობის</u>, სიმშვიდისა და ბედნიერების სიმბოლოა.

ა) სოლიდარობის; ბ) სიმსუბუქის; გ) თანამშრომლობის.

19. მოცემულ წინადადებებში ჩასვით სიტყვები შესაბამისი ფორმით

ა) სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი ერთდროულად ---------- ---------- სახელმწიფო დროშაზეა გამოსახული.

ბ) გვინეის დროშაზე მზე წითელ და მწვანე ვერტიკალურ ---------- ---------- მოქცეული.

გ) ტორონტოში უელსის პრინცის საზეიმო ---------- ემზადებოდნენ.

ტექსტი #4

ქართული დროშები



ძველი ქართული სახელმწიფო დროშები ჩვენი ერის ისტორიული წარსულის მრავლისმეტყველი დოკუმენტებია. ტერმინი „დროშა“ ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ იგი უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო. დროშის ტარს ეწოდება „ძელი“ ან „ბუნი“, ტარზე შებმულ ტილოს კი „ალამი“.

დროშები სხვადასხვაგვარი იყო. არსებობდა სახელმწიფო, საეკლესიო, ლაშქრის (ლაშქრის ცალკეულ რაზმებსაც თავიანთი დროშები ჰქონდათ) დროშები. სახელმწიფო დროშას სამეფო დროშა ეწოდებოდა და მას ძალაუფლების სხვა ნიშნებთან ერთად მეფე ტახტის მემკვიდრეს გადასცემდა. სახელმწიფო დროშას ქართველები სეფე-დროშასაც უწოდებდნენ. იგი ორგვარი ყოფილა: დიდი დროშა და პატარა დროშა.



დიდი დროშა განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოჰქონდათ. მაგალითად, მეფის კურთხევის ან დაქორწინების დროს, ლაშქრობებშიც მეფეს ეს სახელმწიფო დროშა მიჰქონდა.

პატარა დროშა აღმართული იყო მეფის სასახლის თავზე, ასევე, წირვა-ლოცვების დროს ტაძარში.

XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროებში ქართულ სახელმწიფო დროშას იხსენიებენ, როგორც „გორგასლიან და დავითიანს... ბედნიერად ხმარებულს, დროშას სვიანს“. იგი იყო ერთიანი საქართველოს შემაკავშირებელი, მისი სიძლიერისა და სიამაყის გამომხატველი. ეს დროშა ვახტანგ გორგასლის დროიდან მოდიოდა.

საქართველოს „გორგასლიანი და დავითიანი“ სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა ყოფილა, რომელიც წითელ ბუნზე იყო მიმაგრებული, ბუნი ჯვრის გამოსახულებით სრულდებოდა. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო დროშაზე წმიდა გიორგის გამოსახულება იყო აღბეჭდილი. ამ ცნობას იძლევა შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაური კოტოვიჩი, რომელსაც უნახავს იერუსალიმში სალოცავად მოსული ქართველები, ქართული სახელმწიფო დროშით.

XIV საუკუნეში ბარსელონაში გამოქვეყნდა ერთი კატალონელი ბერის მიერ შედგენილი მსოფლიო ქვეყნების ატლასი, სადაც ქართული დროშებიცაა აღწერილი. ამ აღწერილობით, ქართული დროშის ალმის თეთრ ფონზე მთელ სიგრძე-სიგანეზე შინდისფერი ჯვრის სწორი ხაზებია გამოსახული, რომელთა კუთხეებშიც ასევე პატარა ჯვრებია ჩახატული. სავარაუდოდ, ასეთი დროშა XIII საუკუნიდან უნდა წარმოშობილიყო.

XIII-XIV საუკუნეებში თეთრი ალმის გვერდით ჩნდება შავიც. ფიქრობენ, რომ იგი დავით ნარინმა შემოიღო დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ.

XV საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პერიოდიდან დროშათა ნაირისახეობაც გამრავლდა. ქართლის სამეფო დროშა მოწითალო შინდისფერი გახდა. დასავლეთ საქართველოში კი დამკვიდრდა თეთრი დროშა.



,,გორგასლიანი და დავითიანი" დროშა XIX საუკუნემდე არსებობდა და იგი ქუთაისის სამეფო ზარდახანაში ინახებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ახალციხის ბრძოლის დროს იგი თურქებს ჩაუგდიათ ხელში და გაუტაცნიათ.



1801 წელს შეწყდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთმა აქ თავისი მმართველობა დაამყარა და ქართულმა დროშამაც არსებობა შეწყვიტა.

მეფის რუსეთის ბატონობის 117 წლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა და თბილისში აღიმართა ეროვნული, სამფეროვანი (შინდისფერი დროშა თავში შავი და თეთრი ზოლებით) დროშა. მაგრამ სულ მალე საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკად იქცა. მას თავისი, საბჭოთა დროშა მისცეს. ეს იყო წითელი დროშა, ცისფერი ზოლითა და ცისფერი მზით, რომელშიც ნამგალი და ურო იყო ჩახატული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. სახელმწიფო დროშად კვლავ სამფეროვანი დროშა აღიარეს.

დღეს კი სახელმწიფო დროშად აღდგენილია ერთ-ერთი ძველი ქართული დროშა - თეთრ ალამზე ხუთი წითელი ჯვრით.

დავალების ბლოკი:

19. **მიუწერეთ წინადადებებს: სწორია/არასწორია**

- ქართულ ისტორიულ წყაროებში ტერმინი ,,დროშა" ჩნდება მე-11 საუკუნიდან ----------
- სახელმიფო დროშას, როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, მეფე ტახტის მემკვიდრეს გადასცემდა ----------
- დიდ დროშას მხოლოდ მეფედ კურთხევის ან ქორწინებისას იყენებდნენ ----------
- თეთრი დროშა ვახტანგ გორგასლის დროიდან არსებობს ----------
- თეთრი ალმის გვერდით შავი დროშა მე-14 საუკუნიდან ჩნდება ----------
- მე-15 საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში შინდისფერი, ხოლო აღმოსავლეთში თეთრი დროშა დამკვიდრდა ----------

20. წაკითხულის შეჯამება

1)----------

2)----------

3)----------

4) ----------

5) ----------

21. ჯგუფური სამუშაო : შექმენით ჯგუფის დროშა, მოიფიქრეთ ფერი, სიმბოლოები... (თქვენი არჩევანი ახსენით)

დისკუსია თემის შესახებ

22. **დამხმარე კითხვები დისკუსიისთვის:**

- დროშა ადამიანებს აერთიანებს/ერთიანობის სიმბოლოა?
- როდის ამაყობს ადამიანი სახელმწიფო დროშით?
- დროშის დიზაინი უნდა იცვლებოდეს?

დავალებები/იდეები:

23. აქტივობა - რუკაზე ქვეყნების დასახელებების ნაცვლად დროშების განლაგება (ჯგუფები ეჯიბრებიან);

24. შექმენით აკროსტიქი ,,დროშა“

25. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ერთობა, დამოუკიდებლობა, დროშა, ალამი, სიმბოლო, პატრიოტიზმი, გაერთიანება (აერთიანებს);

25. დაწერეთ ესე ,,ჩვენი დროშა“

ლაშქრობების თვე

ივნისი

შინაარსი:

- ✓ რა უნდა გავითვალისწინოთ ექსკურსიის/ლაშქრობის დაგეგმვისას? ექსკურსიაზე ყოფნისას?
- ✓ რა არის ექსკურსია? რა განსხვავებაა ლაშქრობასა და ექსკურსიას შორის?
- ✓ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ექსკურსია გარესამყაროს უკეთ შეცნობასა და ახალი აღმოჩენების გაკეთებაში?
- ✓ როგორ შეიძლება ექსკურსია გავატაროთ საინტერესოდ, შინაარსიანად, სახალისოდ?

აქტივობა 1. წარმოიდგინე...

დააკვირდით naxatebs და შეავსეთ ღრუბლები. დააკვირდით ლოგოებს და თითოეულ ღრუბელში ჩაწერეთ, რას ხედავთ, რა გესმით და რისი სუნი გცემთ ფოტოების ყურებისას. გამოიყენეთ თქვენი ფანტაზია და წარმოსახვა. გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები აუდიტორიას.

აქტივობა 2. ფრონტალური კითხვები

რა აერთიანებს ამ ფოტოებს? სად შეიძლება ვნახოთ ამგვარი პეიზაჟები? რატომ გადიან ადამიანები ბუნებაში? ყოფილხართ თუ არა სადმე ქალაქგარეთ (სად? ვისთან ერთად? რამდენი ხნით? როგორ გაუკეთეთ ორგანიზება?)? რა განსხვავებაა ექსკურსიასა და ლაშქრობას შორის?

აქტივობა 3. გონებრივი იერიში წყვილებში

დაწყვილდით და ჩამოწერეთ, 5-6 მიზეზი, თუ რატომ გადიან ადამიანები ბუნებაში. მუშაობის დასრულების შემდეგ გაუზიარეთ მოსაზრებები აუდიტორიას.

აქტივობა 4. I ტექსტის წაკითხვა

დაიყავით 4-კაციან ჯგუფებად. ტექსტები წაიკითხეთ წყვილებში. ჯგუფის ორმა წევრმა პირველი ტექსტი („რჩევები ლაშქრობისთვის 1.“), დანარჩენმა ორმა წევრმა - მეორე ტექსტი („რჩევები ლაშქრობისთვის 2.“).

რჩევები ლაშქრობისთვის 1.	
ლექსიკონი	
გამყოლი	ექსკურსიამძღოლი, გიდი. გამოცდილი ადამიანი, რომელიც ლაშქრობაში/ექსკურსიაზე თან ახლავს ჯგუფს და პასუხისმგებელია მასზე.
მწკრივი	ერთ რიგად მოსიარულე ადამიანები.
უსაფრთხოება	როდესაც საშიშროება, ხიფათი არ გვემუქრება.
აღჭურვილობა	რაიმე საქმისთვის საჭირო ნივთების კომპლექტი (მაგ., საომარი აღჭურვილობა, სალაშქრო აღჭურვილობა, ტექნიკური აღჭურვილობა).
კარავი	
საძილე ტომარა	
დასაფენი, ე.წ. „პარალონი“	

ზურგჩანთა	
ტევადი	რაშიც ბევრი ეტევა (მაგ., ტევადი ჭურჭელი, ტევადი ჩანთა და ა.შ.).
მიჯაჭვულობა	ძალიან მიჩვევა, დამოკიდებულება (მაგ., მე მივეჯაჭვე ამ სახლს; ის მიეჯაჭვა კომპიუტერს.).

რჩევები ლაშქრობისთვის 2.	
ლექსიკონი	
გამოცდილი	როდესაც ადამიანმა რაიმეს კეთება კარგად იცის (მაგ., ლაშქრობაში გამოცდილი, სწავლებაში გამოცდილი და ა.შ.).
ბარგი	მგზავრობისას თან წასაღები ნივთები.
ბეჭები	ადამიანის ზურგის ზევითა ნაწილი.
ტვირთი	იგივეა, რაც ბარგი.
მოთავსება	ჩადება, დაბინავება, ადგილის მიჩენა.
ულუფა	საკვების წილი, მისი გარკვეული ნაწილი.
საკიდი	ის, რაზეც რაიმეს ჩამოკიდებენ.
წყალგამძლე	ის, რაც არ სველდება.
მალფუჭებადი	პროდუქტი, რომელიც მალე და ადვილად ფუჭდება.
ჯანსაღი	ჯანმრთელი.
შებოლილი	რაც ბოლში სპეციალური ტექნოლოგიით მომზადდა (მაგ., შებოლილი ხორცი, შებოლილი ყველი).
მდნარი	დამდნარი, გამდნარი (მაგ., მდნარი ყველი).

ჩამარხვა	მიწაში ჩაფვლა, მიწით დაფარვა.

რჩევები ლაშქრობისთვის 1.

უამრავი ადამიანისთვის საქართველოში ლაშქრობა უკვე ცხოვრების წესად იქცა. უმეტესობისთვის ეს ბუნებასთან ურთიერთობისა და დასვენების საშუალებაა, თუმცა ზოგისთვის ლაშქრობა ჯერ კიდევ უცხოა.

ხშირად ლაშქრობის შესახებ არასწორი წარმოდგენები და სტერეოტიპები გვაქვს. **ლაშქრობა არ არის აუცილებლად მთაში სიარული. მთაში სიარული ალპინიზმია.** ლაშქრობა ჰგავს ალპინიზმს, მაგრამ ბევრად მარტივია და მასში მონაწილეობა ყველას შეუძლია.

ლაშქრობას აქვს სამი კატეგორიის ბილიკი: მარტივი, საშუალო და რთული. რთულ ბილიკზე, რა თქმა უნდა, გამოუცდელი ადამიანი არ მიჰყავთ. ამისთვის საჭიროა, მინიმუმ სამჯერ გაიაროთ საშუალო სირთულის ბილიკი, რადგან თითოეულ დეტალს მაინც პრაქტიკაში სწავლობთ.

ლაშქრობაში მარტო წასვლა არ შეიძლება, აუცილებელია **გამყოლი / ინსტრუქტორი**. ზოგჯერ გადაადგილებული ჯგუფი იკარგება, შემდეგ ხიფათს აწყდება და სამაშველო სამსახურის გამოძახება ხდება საჭირო. გამყოლი წინასწარ მომზადებულია ექსტრემალური სიტუაციისთვის. გარდა ამისა, აქვს სპეციალური აღჭურვილობა (მაგალითად, აფთიაქი, GPS და სხვ.). შესაბამისად, ჩვეულებრივ მოლაშქრეს აღარ უწევს ამ საკითხებზე ზრუნვა.

მოლაშქრეთა ჯგუფს მიჰყვება მინიმუმ სამი ინსტრუქტორი. ისინი აკონტროლებენ მოლაშქრეთა მწკრივის გადაადგილებას. ერთი ინსტრუქტორი არის **წამყვანი**. იგი ჯგუფს წინ მიუძღვის. მეორე ინსტრუქტორი ჯგუფის შუაშია, ხოლო მესამე არის „**ჩამკეტი**“, რომელიც მოდის სულ ბოლოს და აკონტროლებს ჯგუფის წევრთა რაოდენობას და უსაფრთხოებას.

ლაშქრობაზე წასასვლელად, სურვილსა და მონდომებასთან ერთად, მთავარია სწორად შერჩეული და ხარისხიანი აღჭურვილობა. ლაშქრობისათვის აუცილებელი ნივთებია: კარავი, საძილე ტომარა და დასაფენი, ე.წ. „პარალონი“. ასევე აუცილებელია შესაბამისი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ზურგჩანთა და ჭურჭელი. კარგი აღჭურვილობის შეძენა შეიძლება საკმაოდ დიდი თანხა დაგიჯდეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიყენებთ.

რა არის აუცილებელი ლაშქრობისთვის? პირველ რიგში, კარგი **ზურგჩანთა**, რომელიც უნდა იყოს ძალიან ხარისხიანი და ტევადი. აუცილებელია კარგი **კარავი**, რომელიც არ გაატარებს წყალს. გვჭირდება, ასევე, ხარისხიანი **საძილე ტომარა**, **ფეხსაცმელი**, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად მაღალძირიანი (და არა მაღალქუსლიანი). აუცილებელია, აგრეთვე,

გამოსაცვლელი ტანსაცმელი, იმიტომ, რომ ხშირად, წვიმაც რომ არ იყოს, სიარულის დროს სხეული ოფლიანდება და სველი სამოსით სიარული არ არის რეკომენდებული.

ლაშქრობაში წასვლის წინ შეაგროვეთ ინფორმაცია სალაშქრო ადგილის შესახებ. დაიმახსოვრეთ, გეოგრაფიული ადგილების სახელები.

გახსოვდეთ არასდროს დაყაროთ ნაგავი საბანაკე ადგილას ან ბილიკზე. სადაც ლაშქრობთ, რადგან თქვენ გარდა იქ სხვაც უნდა მივიდეს. შეგიძლიათ დატოვოთ ზედმეტი საჭმელი ან წერილი, რომელიც გაამხიარულებს შემდეგ ჯგუფს და მოტივაციას აუმაღლებს.

მნიშვნელოვანია, რომ ლაშქრობაში წასვლამდე გვქონდეს ინფორმაცია მოსალოდნელი ამინდის შესახებ. ამისთვის არის სპეციალური ვებგვერდები (მაგ., www.accuweather.com , www.amindi.ge), მაგრამ მოლაშქრე მომზადებული უნდა იყოს ნებისმიერი ამინდისთვის. მოლაშქრეებისთვის ცუდი ამინდი არ არსებობს.

თუკი ავტოსტოპით სარგებლობას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ გაუჩეროს, თქვენს ქცევაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგალითად, ის, გაუჩერებენ თუ არა მძღოლები ტრანსპორტს სხვა მოგზაურებსაც. ამიტომ მგზავრობისას იყავით ზრდილობიანები, მადლიერები, ეცადეთ თავი მოაწონოთ თქვენი ქცევებით მას, ვინც მანქანას გაგიჩერებთ.

რაც შეეხება ჰიგიენას, არ გეგონოთ, რომ ლაშქრობაში სისუფთავის დაცვა შეუძლებელია. გამოუცდელ მოლაშქრეებს ზოგჯერ თან კბილის ჯაგრისიც კი არ მიაქვთ, რადგან ჰგონიათ, რომ ბუნებაში შესაბამისი პირობები არ ექნებათ. სინამდვილეში სისუფთავის დასაცავად ელემენტარული პირობების მოძებნა ყოველთვის შეიძლება.

4 მიზეზი, თუ რატომ არის სასარგებლო ფეხით სიარული და ლაშქრობა

1) ლაშქრობა აუმჯობესებს ჯანმრთელობას, ამცირებს ინსულტის წარმოშობის რისკს, ხელს უშლის დიაბეტს. ლაშქრობა კარგი იმითაც არის, რომ მასში მონაწილეობა შეუძლია ყველა ადამიანს.

2) ფეხით სიარული წვავს კალორიებს და გეხმარებათ აკონტროლოთ თქვენი წონა. თუ თქვენ მიდიხართ 3 კმ/ სთ.-ით, წვავთ დაახლოებით 240 კალორიას. დაიწყეთ პატარა დისტანციით და იარეთ ყოველდღე 30–60 წუთის განმავლობაში.

3) ლაშქრობა აწყნარებს ნერვებს და გიქმნით კარგ განწყობას. ლაშქრობა მეგობრებთან ერთად ეს არის საუკეთესო შანსი ურთიერთობებისა და დასვენებისთვის.

4) ლაშქრობა ებრძვის უძილობას. ყოველი ლაშქრობის შემდეგ შეამჩნევთ, რომ გძინავთ უკეთ. იარეთ ფეხით ბევრი, თუ გინდათ დამარცხოთ უძილობა და დატკბეთ გასაოცარი პეიზაჟებით.

ლაშქრობისას ხშირად ისმის ფრაზები: "ნეტავ, რესტორანში წავსულიყავით", "აქ რა გვინდოდა", "ვინ აიტეხა აქ წამოსვლა", მაგრამ როდესაც ეს ადამიანები სახლში ბრუნდებიან,

მეორე-მესამე დღეს ისევ სადღაც წასვლის სურვილი უჩნდებათ. ეს ერთგვარი მიჯაჭვულობაა, რომელიც ყველამ უნდა საკუთარ თავზე გამოსცადოს.

რჩევები ლაშქრობისთვის 2.

გამოცდილი მოლაშქრეები ამბობენ, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ლაშქრობის დროს ბარგია. ლაშქრობაში ქალებისთვის დაახლოებით 13-14 კილო ტვირთის წაღებაა რეკომენდებული, ხოლო მამაკაცებისთვის - 17-18 კილო. ცხადია, იმისათვის, რომ ეს ტვირთი კომფორტულად ვატაროთ, ძალიან მნიშვნელოვანია, გვქონდეს მოსახერხებელი ზურგჩანთა.
სწორად ჩალაგებული ჩანთის ტარება გაცილებით კომფორტულია. ჩანთის ჩალაგებისას სიმძიმის ცენტრი აუცილებლად უნდა გადანაწილდეს ბეჭებზე და მაქსიმალურად ახლოს იყოს ზურგთან. რაც უფრო შორსაა სიმძიმის ცენტრი ზურგისგან, მით უფრო მალე ვიღლებით,თუნდაც ნაკლებად მძიმე ტვირთის ტარებისას.
ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა, რომლებიც დაგეხმარებათ ზურგჩანთის სწორად ჩალაგებაში. დააკვირდით სურათზე მითითებულ ციფრებს და მათ შესაბამის რჩევებს.

1) ზურგჩანთის ქვედა ნაწილში უნდა ჩავდოთ მსუბუქი ნივთები, მაგ,: საძილე ტომარა, თბილი ტანსაცმელი და ა.შ.
2) შედარებით მძიმე ნივთები იდება ზურგთან ახლოს. როგორც წესი, ეს არის საკვებისა და წყლის მარაგი.

3) ყველა დანარჩენი საშუალო სიმძიმის ნივთი თავსდება ჩანთის ამ განყოფილებაში (იხ. სურათზე ციფრი 3). უფრო საჭირო ნივთებს ვათავსებთ ზემოთ, ნაკლებად საჭიროს - ქვემოთ.

4) საკვების დღიური ულუფა, ხელსახოცები, საპირფარეშოს ქაღალდი, საწვიმარი და სხვა აუცილებელი სალაშქრო ინვენტარი თავსდება ზურგჩანთის ზედა ნაწილში (იხ. სურათზე ციფრი 4).

5) ჩანთის სულ ზედა ნაწილში ვინახავთ ყველაფერ იმას, რასაც ლაშქრობაში იშვიათად ვიყენებთ. მაგ.: სახლის ან მანქანის გასაღები, საბუთები, საფულე, ფული და სხვა ფასეული ნივთები. რაც შეეხება წვრილმან აუცილებელ ნივთებს, როგორებიცაა კომპასი, რუკა, ფანარი, დანა, ასანთი და სხვ., სასურველია, რომ ისინი ზურგჩანთის გარეთა ჯიბეებში მოვათავსოთ.



6) თუკი რაიმე ნივთი ზურგჩანთაში არ გვეტევა, შეგვიძლია გარედან მივამაგროთ სპეციალური საკიდებით, რომლებიც თითქმის ყველა ჩანთას აქვს. მიმაგრება შეგვიძლია გვერდებზე, თავში ან ბოლოში. თუმცა გვახსოვდეს, რომ ჩანთაზე დამაგრებული ზედმეტი ნივთები ხელს შეგვიშლის ტყეში მოძრაობისას.

თუკი წყალგამძლე ზურგჩანთა არ გაქვთ, უარს ნუ იტყვით ლაშქრობაზე. შეგიძლიათ ყველა ნივთი ცალ-ცალკე პარკში ჩააწყოთ და ისე მოათავსოთ ზურგჩანთაში.

ლაშქრობისას მნიშვნელოვანია თან ვიქონიოთ სწორად შერჩეული საკვები, რომელიც არ უნდა იყოს მალფუჭებადი და მძიმე. სამწუხაროდ, ამგვარი საკვები ნაკლებად ჯანსაღია. ძირითადად ეს არის სწრაფად მოსამზადებელი წვნიანები, პიურეს ფხვნილები. საჭიროა, რომ ლაშქრობისთვის განკუთვნილი საკვები იყოს მსუბუქი, კალორიული და მშრალი. ეს შეიძლება იყოს შებოლილი ძეხვეული, ორცხობილა, მდნარი ყველი, ჩირი, თხილეული, ჩურჩხელა, შოკოლადი და სხვ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დავიცვათ ტემპერატურული რეჟიმი და არ დავტოვოთ საკვები მზეზე. აგრეთვე, აუცილებელია, რომ პროდუქტის შეძენისას დავაკვირდეთ მისი შენახვის ვადებსა და პირობებს. გახსოვდეთ, რომ ვადაგასული ან არასწორად შენახული პროდუქტის მოხმარებამ შეიძლება შეგიქმნათ პრობლემები როგორც თქვენ, ასევე მთელ ჯგუფს.

აქვე ჩამოთვლილია კვებასთან დაკავშირებული ნივთები, რომელთა თან წაღებაც არ უნდა დაგავიწყდეს:

- სპეციალური პარკები ნარჩენების შესაგროვებლად;
- სველი და მშრალი ხელსახოცები (ან ანტიბაქტერიული თხევადი საპონი);
- ჭურჭელი, რომელიც ადვილად არ იმტვრევა;
- დანა.

ვიდრე ადგილს დატოვებდეთ, სთხოვეთ მეგობრებსაც და ყველამ ერთად ყურადღებით გადაამოწმეთ გარემო, სადმე რაიმე ნაგავი ხომ არ გრჩებათ. ჩააქრეთ კოცონი, შეაგროვეთ ნარჩენები წინასწარ მომზადებულ პარკებში და წამოიღეთ უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე ან ჩამარხეთ მიწაში. თქვენ შემდეგ სხვებიც თუ მოინახულებენ იმავე ადგილს, კარგი იქნება, მათაც სიამოვნება მიიღონ.

აქტივობა 5. საკითხის რუკა

კითხვისას ჯგუფის თითოეულმა წევრმა შეავსეთ *საკითხის რუკა.* ჩაწერეთ თემის სახელწოდება ცენტრში, გარშემო მიუწერეთ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია - დეტალები.

აქტივობა 6. ინფორმაციის გაზიარება

ტექსტის წაკითხვის შემდეგ თითოეულმა წევრმა დანარჩენ ჯგუფს გაუზიარეთ ტექსტიდან თქვენ მიერ ამოწერილი მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია და გაამთლიანეთ ტექსტი ჯგუფში. გაზიარებისას დაიხმარეთ შევსებული *საკითხის რუკები.*

აქტივობა 7. გზამკვლევის შემქნის ინსტრუქცია

პირველ რიგში, მოიძიეთ ინფორმაცია იმ ადგილზე, რომლის შესახებაც გზამკვლევის შედგენას აპირებთ. ეს სხვადასხვა წყარო შეგიძლიათ დაიხმაროთ, მაგალითად: შეიძლება ინფორმაცია ინტერნეტში ან ბიბლიოთეკაში მოიძიოთ, ჰკითხოთ ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ნაცნობებს ან ადგილობრივებს. სასურველია, კითხვები მოხუც ადამიანებსაც დაუსვათ, რადგან მათ ბევრი ამბავი უნახავთ და შეიძლება საინტერესო რაღაცები გაგიზიარონ.

ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, სასურველია, რომ თავად გაიაროთ ის მარშრუტი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოაგროვეთ, რათა ყველა მნიშვნელოვანი ადგილი თქვენი თვალით ნახოთ, შეაფასოთ და გადაწყვიტოთ, ღირს თუ არა მისი შეტანა თქვენს გზამკვლევში.

რისგან შედგება გზამკვლევი?

- აღწერეთ, ქვეყნის რომელ რეგიონში, ქალაქში, სოფელში ან დაბაში მდებარეობს სალაშქრო მარშრუტი;
- მოყევით, რა ისტორიული, კულტურული ან ბუნებრივი ღირებულება აქვს ამ ადგილს;
- შექმენით მარშრუტის რუკა, ლაშქრობის დაწყების ადგილიდან ბოლო პუნქტამდე;
- რუკაზე პირობითი აღნიშვნებით დაიტანეთ ყველა მნიშვნელოვანი ადგილი, რომლებიც გსურთ მოლაშქრეებს დაათვალიერებინოთ.
- მოკლედ აღწერეთ თითოეული მათგანი:
  - ✓ **ადგილმდებარეობა** (რა სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, რა მანძილია საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე, რამდენი საათი ან დღე დასჭირდებათ ამა თუ იმ მარშრუტის გასავლელად და ა.შ.);
  - ✓ **ისტორიულ-კულტურული ძეგლები** (არის თუ არა რაიმე ისტორიული/კულტურული ძეგლი და რა ისტორიული ძეგლის კულტურული ღირებულების შესახებ);
  - ✓ **მთები, მდინარეები და ტბები;**
  - ✓ **კარვის გასაშლელი ადგილები;**
  - ✓ **საკვები ობიექტები;**
  - ✓ **სუვენირებისა და საკვები პროდუქტების მაღაზიები;**
  - ✓ **ტურისტული ცენტრები;**
  - ✓ **სასტუმროები (დიდი და საოჯახო);**
  - ✓ **მუზეუმები;**
  - ✓ **სასმელი წყლის პუნქტები;**
  - ✓ **ამინდი** (რა ტემპერატურაა სალაშქრო ადგილას სეზონების მიხედვით; რომელ სეზონზე ურჩევდით სალაშქრო ადგილის მონახულებას და რატომ?).

რაც უფრო მეტ ინფორმაციასა და რჩევას მიაწვდით მომხმარებლებს, მით უფრო საინტერესო იქნება თქვენი გზამკვლევი.

თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია დაბეჭდეთ ქაღალდზე ან ჩაწერეთ რვეულში. მეტი გამომსახველობისთვის დაურთეთ ილუსტრაციები, ლოგოები, სიმბოლოები.

აქტივობა 8. ტურისტული გზამკვლევის შედგენა და ექსკურსიის დაგეგმვა

დაჯგუფდით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შექმენით თქვენი სოფლის/ქალაქის/რაიონის ტურისტული გზამკვლევი. გაითვალისწინეთ ჩვენ მიერ მოცემული რეკომენდაციები.

გზამკვლევის შექმნის გეგმის გასაწერად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. მარცხენა სვეტის უჯრებში ჩაწერეთ კონკრეტული მოქმედება, თუ რის გაკეთებას აპირებთ, ხოლო მარჯვენაში - ამ მოქმედებასთან დაკავშირებული საჭირო/მნიშვნელოვანი დეტალები.

ნაბიჯები	დეტალები
ნაბიჯი 1:	
ნაბიჯი 2:	
ნაბიჯი 3:	
ნაბიჯი 4:	
ნაბიჯი 5:	

აქტივობა 9. შექმნილი გზამკვლევების პრეზენტაცია

წარუდგინეთ აუდიტორიას თქვენ მიერ შექმნილი გზამკვლევის მაკეტი/პოსტერი. შეეცადეთ, რომ ეფექტური პრეზენტაციით მიიზიდოთ ყველაზე მეტი ტურისტი.

აქტივობა 10. შეფასების რუბრიკების შევსება

შეაფასეთ ერთმანეთის ნამუშევრები 5-ქულიანი სისტემით, სადაც 5 ქულა ნიშნავს საუკეთესოს.

დაგეგმეთ ექსკურსია/ლაშქრობა გამარჯვებული ჯგუფის გზამკვლევის მიხედვით.

N	კრიტერიუმი	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი
1.	საინტერესო და სრულყოფილი ინფორმაცია				
2.	ინფორმაციის ორგანიზება				
3.	დიზაინი/ვიზუალური მხარე				
4.	პრეზენტაცია				

გამოყენებული მასალა:

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). *კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები). სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული.* თბილისი. 2016

http://geopedia.ge/hik

http://www.rogor.ge/article_1736_rogor-shevarchiot-tansacmeli-lashqrobashi-wasasvlelad.html

https://gijmaj.wordpress.com/2015/05/07/backpack/

https://www.facebook.com/notes/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-hiking-club-yeti/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%97-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%90/1102024979848772

https://www.facebook.com/notes/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-hiking-club-yeti/%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%97-

%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A-
%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A8%E1%83%98/1011856085532329
www.ambebi.ge
http://www.allnews.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A
3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/146700-
%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%8
3%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98-
%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-
%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-
%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83
%93%E1%83%9D%E1%83%97-
%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A5%E1%83%A0%E1%8
3%9D%E1%83%93.html
https://www.facebook.com/groups/gpriedlearningprojects/